



გაეროს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

გაეროს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია და
ფაკულტატიური ოქმი - 2006 წლის 13 დეკემბერი

კომიტეტის მიერ განხილული საჩივრები

შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი ადვოკატირების
პროექტი
კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის

თბილისი, 2016

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია და
ფაკულტატიური ოქმი

2006 წლის 13 დეკემბერი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა
უფლებების კომიტეტის მიერ განხილული
საჩივრები

კომიტეტის მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 სესიებზე განხილული
საჩივრები და მიღებული მოსაზრებები
(2012-2015)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიერ განხილული საჩივრების თარგმნა, ბეჭდვა და გავრცელება შესაძლებელი გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი ადვოკატირების პროექტის ფარგლებში, რომელსაც კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

მოცემულ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არის ავტორებისეული და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოსაზრებებს.

აღნიშნული მასალები წარმოადგენს არაოფიციალურ თარგმანს, რომელიც განახორციელა კოალიციამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. მასალების დედანი ვერსიების ნახვა ინგლისურად და სხვადასხვა ენაზე შესაძლებელია შემდეგ საიტზე: <http://www.ohchr.org/EN/HRBodies/CRPD/Pages/Jurisprudence.aspx>

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი ადვოკატირება
2016 წ.

წინასიტყვაობა

საქართველომ 2013 წლის დეკემბერში მოახდინა გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება, რომელიც ძალაში 2014 წლიდან შევიდა. გაერომ, კონვენციასთან ერთად, მიიღო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმი, რომელიც მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებს, სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის რომელიმე დებულების დარღვევის შემთხვევაში, საშუალებას აძლევს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტს პირდაპირ მიმართონ ადგილობრივ დონეზე სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ამოწურვის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ამ დრომდე არ მოუხდენია ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის კონკრეტული მუხლების, დებულებების სწორად გააზრებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის საქმიანობას, განსაკუთრებით, კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს კერძო საჩივრებთან დაკავშირებით. აღნიშნულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება აპელირება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოვახდინოთ რეალურად კონვენციის ამა თუ იმ მუხლის ინტერპრეტირება, რათა პრაქტიკაში თავიდან ავირიდოთ კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და იდეის სხვაგვარი განმარტება, რაც საერთო ჯამში დააზარალებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტერესებს.

სწორედ ზემოაღნიშნული საჭიროებიდან გამომდინარე ითარგმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიერ განხილული საჩივრები, რომელსაც თავი ერთ კრებულში მოვუყარეთ.

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მადლობას უხდის ყველა ორგანიზაციას, ექსპერტსა და უფლებადამცველს, რომლებიც აქტიურად მუშაობენ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებული მადლობა გვსურს, გადავუხადოთ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ამ პროცესებში შეტანილი წვლილისა და აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობების მხარდაჭერისათვის.

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი ადვოკატირება
2016 წ.



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია

გავრცელება: საყოველთაო
2012 წლის 21 მაისი
ორიგინალი შედგენილია ინგლისურ ენაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

შეტყობინება No. 3/2011

კომიტეტის მიერ მე-7 სესიაზე მიღებული მოსაზრებები (2012 წლის 16-27 აპრილი)

<i>წარმდგენი:</i>	ჰ.მ. (წარმოდგენილი ბატონ ჰ-ე.გ.-სა და ქალბატონ ბ.გ.-ს მიერ)
<i>სავარაუდო დაზარალებული:</i>	წარმდგენი
<i>სახელმწიფო მხარე:</i>	შვედეთი
<i>წარდგენის თარიღი:</i>	6 დეკემბერი 2010 (თავდაპირველი წარდგენა)
<i>გამოყენებული დოკუმენტი:</i>	სპეციალური მომხსენებლის მიერ 70-ე წესის თანახმად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფო მხარეს გადაეცა 2011 წლის 9 თებერვალს (არ გამოცემულა დოკუმენტის სახით)
<i>მოსაზრებების მიღების თარიღი:</i>	19 აპრილი 2012
<i>შეტყობინების თემა:</i>	ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირის რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი ჰიდროთერაპიული აუზის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარი, მისი ურბანული განვითარების გეგმასთან შეუთავსებლობის მოტივით
<i>პროცედურული საკითხები:</i>	მოთხოვნების დაუსაბუთებულობა
<i>არსებითი საკითხები:</i>	კონვენციის მიზანი; დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით; გონივრული მისადაგება; კონვენციის ზოგადი პრინციპები; კონვენციაში გათვალისწინებული ზოგადი ვალდებულებები; თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა; ხელმისაწვდომობა; სიცოცხლის უფლება; პირის თავისუფლება და უსაფრთხოება; დამოუკიდებლად ცხოვრება და საზოგადოებაში ჩართულობა; ინდივიდუალური მობილურობა; ჯანმრთელობა; აბილიტაცია და რეაბილიტაცია; ადექვატური ცხოვრების დონე და სოციალური დაცვა
<i>კონვენციის მუხლები:</i>	1; 2; 3; 4; 5; 9; 10; 14; 19; 20; 25; 26 და 28

დანართი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კომიტეტის მოსაზრებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის მეხუთე მუხლის შესაბამისად (მე-7 სხდომა)

No. 3/2011· შეტყობინებასთან დაკავშირებით

შეტყობინების წარმდგენი:	ჰ.მ. (წარმოდგენილი ბატონ ჰ-ე.გ.-სა და ქალბატონ ბ.გ.-ს მიერ)
სავარაუდო დაზარალებული:	წარმდგენი
სახელმწიფო მხარე:	შვედეთი
წარდგენის თარიღი:	6 დეკემბერი 2010 (თავდაპირველი წარდგენა)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კომიტეტმა, რომელიც შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე,

2012 წლის 19 აპრილის სხდომაზე,

დაასრულა რა No. 3/2011 შეტყობინების განხილვა, რომელიც კომიტეტს წარუდგინა ქალბატონმა ჰ.მ.-მ კონვენციის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე,

გაითვალისწინა რა შეტყობინების წარმდგენისა და მხარე სახელმწიფოს მიერ წარდგენილი სრული წერილობითი ინფორმაცია,

მიიღო შემდეგი მოსაზრებები:

ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის საფუძველზე მიღებული მოსაზრებები

1. 2010 წლის 6 დეკემბრით დათარიღებული შეტყობინების ავტორია 1978 წელს დაბადებული, შვედეთის მოქალაქე ქ-ნი ჰ.მ. შეტყობინების ავტორი ამტკიცებს, რომ შვედეთის სახელმწიფომ მის წინააღმდეგ დაარღვია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციის 1, 2, 3, 4, 5, 9, 10, 14, 19, 20, 25, 26 და 28 მუხლები. კონვენციის ფაკულტატური ოქმი შვედეთში ძალაში შევიდა 2009 წლის 15 იანვარს. კომიტეტის წინაშე მომჩივანს წარმოადგენენ ბ-ნი ჰ-ე.გ. და ქ-ნი ბ.გ.

* წინამდებარე შეტყობინების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომიტეტის შემდეგმა წევრებმა: ანა ალი ალ-სუვაიდი, მოჰამედ ალ-ტარავენი, მონსურ აჰმედ ჩოუდური, მარია სოლედად სისტერნას რეიესი, ტერესია დეგენერი, გაბორ გომბოსი, ფატიჰა ჰაჯ-სალაჰი, ჰიუნგ შიკ კიმი, ლოფტი ბენ ლალაჰომი, სტიგ ლანგვალდი, ედაჰ ვანგეჩი მაინა, რონალდ მაკკალუმი, ანა პელაეზ ნარვაეზი, სილვია ჯუდიტ ქუან-ჩანგი, კარლოს რიოს ესპინოსა, დამჯან ტატივი, გერმან ხავიერ ტორეს კორეა და ჯია იანგი.

შეტყობინების ავტორის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები

2.1 მომჩივანს აქვს შემაერთებული ქსოვილების ქრონიკული დაავადება - ელერს-დანლოსის სინდრომი (EDS) და აღნიშნება ამ დაავადების თანმდევი ჰიპერმოზილობა (სახსრების ზედმეტი მოქნილობა), მწვავე ამოვარდნილობა და ქვეამოვარდნილობა (სასახსრე ზედაპირების დაცილება), სუსტი და ადვილად დაზიანებადი სისხლძარღვები, კუნთების სისუსტე და მწვავე ქრონიკული ნევრალგია. ბოლო რვა წელია მომჩივანს არ შეუძლია სიარული და დგომა; უჭირს ჯდომა და წოლა. აღნიშნული დარღვევების შედეგად, ბოლო ორი წელია მომჩივანი არის მუდმივად მწოლიარე მგომარეობაში, რამაც იგი კიდევ უფრო დაასუსტა. მომჩივანი ვერ იღებს საჭირო მედიკამენტებს, პრეპარატების მიმართ ატიპური ჰიპერსენსიტიურობის გამო.

2.2 მომჩივანს არ შეუძლია არც სახლიდან გასვლა და არც საავადმყოფომდე ან სარეაბილიტაციო ცენტრამდე გადაადგილება, ვინაიდან აღნიშნული დარღვევების გამო დაზიანებების მაღალი საფრთხის ქვეშ იმყოფება. კვლავ გრძელდება დარღვევის მავნე შედეგები, ხოლო რეაბილიტაციის ერთადერთი სახეობა, რომელსაც აღნიშნული პროგრესის შეჩერება შეუძლია არის ჰიდროთერაპია, რომელიც მომჩივნის მდგომარეობის გათვალისწინებით პრაქტიკაში შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მის სახლში განთავსდება გარე აუზი. ელერს-დანლოსის სინდრომის სამკურნალოდ წყლის თერაპია რეკომენდირებულია სპეციალისტების მიერ. მომჩივნის შემთხვევაში, აღნიშნული თერაპია გააუმჯობესებს მისი ცხოვრების ხარისხს - მაგ. უფრო სტაბილური გახდება მისი სახსრები, გაიზრდება კუნთოვანი მასალა, გაუმჯობესდება სისხლის მიმოქცევა და შეუმსუბუქდება ტკივილი და ტანჯვა.

2.3 2009 წლის 7 დეკემბერს მომჩივანმა შეიტანა განცხადება საცხოვრებელ სახლზე მიშენების ნებართვის მისაღებად. კერძოდ, მიშენება განთავსდებოდა მომჩივნის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, დაახლოებით 63 კვადრატული მეტრის ფართობზე. გეგმის თანახმად, მიშენების ძირითადი ნაწილი (დაახლოებით 45 კვადრატული მეტრი)¹ მოხვდებოდა ისეთ ტერიტორიაზე, სადაც მშენებლობა აკრძალულია.

2.4 2009 წლის 17 დეკემბერს, ორებროს განთავსების ადგილობრივმა კომიტეტმა უარი თქვა ნებართვის გაცემაზე. მომჩივანმა კომიტეტის გადაწყვეტილება ორებროს საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. 2010 წლის 3 მარტს სასამართლომ უარი თქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. მომჩივანმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა კარლსტენდის ადმინისტრაციულ სასამართლოში. 2010 წლის 28 აპრილს ადმინისტრაციულმა სასამართლომ საჩივარი დააკმაყოფილა და მომჩივნის განცხადება ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით უკან დაუბრუნა ორებროს განთავსების ადგილობრივ კომიტეტს და ამ უკანასკნელს ხელახალი მოსმენის გამართვა მოსთხოვა.

2.5 კერძოდ, ადმინისტრაციულ სასამართლომ განაცხადა:

“მართალია დარჩენილი მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე აკრძალულია მშენებლობა, გეგმის თანახმად, ალტერნატიული განთავსება შეუძლებელია. [...] არ აღნიშნულა, რომ ჰ.მ. შეძლებს სავარჯიშო აუზთან დაკავშირებული საჭიროების დაკმაყოფილებას უფრო მცირე ზომის მიშენებით, რომელიც გეგმას უფრო მეტად შეესაბამება. რაც შეეხება წინამდებარე საქმის მასალებს, ისეთ სახლში გადასვლა, სადაც დაკმაყოფილებდა მისი სავარჯიშო აუზთან დაკავშირებული მოთხოვნა, ან შესაფერის დაწესებულებაში გადასვლა, რეალისტურ

¹ 2010 წლის 1 ივლისს მიღებულ გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციული სასამართლო მიუთითებს 48 კვ.მ-ზე (იხ. პუნქტი 2.6).

ალტერნატივას არ წარმოადგენს. ამასთან, სამედიცინო დოკუმენტებიდან აშკარაა, რომ სავარჯიშო აუზს უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰ.მ.-ს მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად; [სავარჯიშო აუზი] ამასთან დაზოგავს სამომავლო ზრუნვასთან და ყურადღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული სასამართლო, “დაგეგმარებისა და მშენებლობის აქტის” 1-ლი თავის მე-5 პუნქტის შესაბამისად ინტერესთა დაბალანსებით ადგენს: დეტალური გეგმასთან სრულ შესაბამისობაში ტერიტორიის დაცვის საზოგადოებრივ ინტერესს გადაწონის ჰ.მ.-ს ინტერესები, რომელიც უკავშირდება მოცემულ მიწის ნაკვეთზე კონკრეტული მიშენების განთავსებას. იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ეხება საგანგებო შემთხვევას, რომელიც აღნიშნული შეფასების საფუძველია, ადმინისტრაციული სასამართლო ვერ ხედავს რისკს იმისა, რომ ნებართვის გაცემის შედეგად ტერიტორიაზე არსებულ სხვა საკუთრებებთან დაკავშირებით სხვებიც მოითხოვენ იგივე ნებართვას. შესაბამისად, განთავსების ადგილობრივი კომიტეტის მიერ მითითებული მოტივები არ არის საკმარისი საფუძველი მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის სათქმელად.”²

2.6 ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება ორებროს მუნიციპალიტეტმა გოტენბერგის ადმინისტრაციულ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, ხოლო 2010 წლის 1 ივლისს ადმინისტრაციულმა სააპელაციო სასამართლომ მშენებლობის ნებართვის შესახებ მომჩივნის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი თქვა. კერძოდ, სასამართლომ განაცხადა:

“მშენებლობის ნებართვა, რომელსაც ჰ.მ.-მ ითხოვს, ეწინააღმდეგება დეტალური გეგმის მარეგულირებელ წესებს, რამეთუ შემოთავაზებული ნაგებობა დიდწილად (დაახლოებით 48 კვ.მ.) განლაგდება ე.წ. “წერტილოვან მიწაზე”, ე.ი. მიწაზე, სადაც აკრძალულია მშენებლობა. როგორც საოლქო საბჭომ განაცხადა, ასეთი მშენებლობის ნებართვის გაცემა დაუშვებელია, მაშინაც კი, თუ აღნიშნული დეტალური გეგმიდან უმნიშვნელო გადახვევას წარმოადგენს, “დაგეგმარებისა და მშენებლობის აქტის” მე-8 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად.”³

2.7 მომჩივანმა ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოში (სტოკჰოლმი). სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა 2010 წლის 5 აგვისტოს.

საჩივარი

3.1 მომჩივანი აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოებისა და სასამართლოების გადაწყვეტილებების შედეგად, ვინაიდან მათ არ გაითვალისწინეს მომჩივნის უფლება რეაბილიტაციისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების თანაბარ შესაძლებლობაზე. ამრიგად, მას წაერთვა ღირსეული ცხოვრების უფლება. [სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოებისა და სასამართლოების] უარი მხოლოდ საზოგადოებრივ ინტერესს ეფუძნება, რომელიც მდგომარეობს ურბანული განვითარების გეგმის დაცვაში და პრინციპის საკითხია, ხოლო შშმ პირის საცხოვრებელ პირობებზე სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს. ამასთან, მომჩივნის საცხოვრებელი სახლის ადაპტირება შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული საჭიროებების შესაბამისად 42,000 ევრო დაჯდა. ახალი მიშენება ქუჩიდან არ გამოჩნდება, ხოლო მისი სახლის

² თარგმანი მოწოდებულია მომჩივნის მიერ

³ თარგმანი მოწოდებულია მომჩივნის მიერ

უკან მდებარე ნაკვეთი კი, რომელზე მშენებლობის უფლებასაც ითხოვს მომჩივანი, მრავალრიცხოვანი ხეებითა და ბუჩქებით მჭიდროდ არის დაფარული. მეზობლებმა მომჩივანს მიშენებაზე თანხმობა უთხრეს. მომჩივანი აცხადებს, რომ ამ ერთხელ ურბანული განვითარების გეგმიდან გადახვევა შემოგარენს არ დააზიანებს. ვინაიდან მისი შემთხვევა გამონაკლისია, არც იმის რისკი არსებობს, რომ მსგავს მოთხოვნას სხვა ადამიანებიც დააყენებენ.

3.2 მომჩივანი აცხადებს, რომ რეაბილიტაციის ერთადერთი იმედია ჰიდროთერაპია სახლის პირობებში, ხოლო ნებისმიერი სხვა შესაძლებლობა გამორიცხულია. მომჩივანმა წარმოადგინა ორი სამედიცინო ცნობა, რომლებიც თარიღდება 2009 წლის 29 სექტემბრითა და 2010 წლის 28 ივნისით, იმის დასადასტურებლად, რომ მომჩივანს რეაბილიტაციისათვის სახლის პირობებში ჰიდროთერაპიის გარდა სხვა ალტერნატივა არ აქვს. მომჩივანი აგრეთვე აცხადებს, რომ შშმ პირის ჯანმრთელობა, ინტერესი და კეთილდღეობა იმ საზოგადოებრივი ინტერესის მაღლა დგას, რომლის თანახმადაც აკრძალულია შენობის განთავსება მიწის კონკრეტულ მონაკვეთზე, რომელზეც მშენებლობა არის აკრძალული. იგი აგრეთვე აცხადებს, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც ითხოვა მშენებლობის ნებართვა, მის საკუთრებაშია.

3.3 ნებართვაზე უარის თქმა შედეგად წარმოშობს მნიშვნელოვან რისკს იმისას, რომ მომჩივანი განუსაზღვრელი დროით დარჩება წოლით მდგომარეობაში, კუნთების მწვავე ატროფიით, დაჭიმული მყესებით, მწვავე ამოვარდნილობებით და, მათ შორის, გულმკერდის შეზოჭილობით, რაც აფერხებს სრულ სუნთქვას და იწვევს მწვავე ტკივილს. რეაბილიტაციის გარეშე მომჩივანს საბოლოოდ შესაძლოა მოუწიოს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში განთავსება.

3.4 მომჩივანი კომიტეტს სთხოვს, დაადგინოს, ენიჭება თუ არა კონვენციას პრიორიტეტული მნიშვნელობა განთავსების ადგილობრივი კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან შედარებით, რომელიც ეფუძნება სახელმწიფო მხარის “დაგეგმარებისა და მშენებლობის აქტს.” სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომჩივანი კომიტეტს მიმართავს თხოვნით, მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რამდენად გადაწონის მომჩივნის რეაბილიტაციისა და მზრუნველობის საჭიროებები, რომელიც გამოწვეულია შეზღუდული შესაძლებლობით, საზოგადოებრივ ინტერესს, რომელსაც იცავს განთავსების ადგილობრივი კომიტეტი.

სახელმწიფო მხარის არგუმენტები შეტყობინების დასაშვებობასა და არსებით მხარესთან დაკავშირებით

4.1 2011 წლის 5 სექტემბერს სახელმწიფო მხარემ წარმოადგინა არგუმენტები მომჩივნის შეტყობინების დასაშვებობასა და არსებით მხარესთან დაკავშირებით. სახელმწიფო მხარის მტკიცებით, “დაგეგმარებისა და მშენებლობის აქტი” შეიცავს დებულებებს მიწისა და წყლის ობიექტებისა დაგეგმარებასა და მშენებლობასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტები მიწის გამოყენებასა და ურბანულ განვითარებას არეგულირებენ ურბანული განვითარების დეტალური გეგმის მეშვეობით. აქტის თანახმად სხვადასხვა საკითხების განხილვის დროს ხდება როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო ინტერესების გათვალისწინება. ახალი შენობა და მიშენება უმეტეს შემთხვევაში მშენებლობის ნებართვას საჭიროებს. ურბანული განვითარების დეტალური გეგმით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილი ზომები არ ეწინააღმდეგება განვითარების გეგმას.

4.2 მშენებლობის ნებართვა გაიცემა იმ ღონისძიებების შემთხვევაშიც, რომლებიც განვითარების გეგმიდან უმნიშვნელო გადახვევას ითვალისწინებს, თუ ეს გადახვევა გეგმის

მიზანს არ ეწინააღმდეგება. უმნიშვნელო გადახვევის მაგალითებია: მშენებლობა, რომელიც დაცულ ტერიტორიას მხოლოდ რამოდენიმე მეტრით არღვევს, ან სტრუქტურული მიზეზების გამო შენობის მაქსიმალურ სიმაღლეს აჭარბებს. უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ 1990 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში მიიჩნია, რომ ზომა, რომელიც ითვალისწინებდა დაცული მიწის 125 კვადრატული მეტრის ფართობზე მშენებლობას, უმნიშვნელო გადახვევას არ წარმოადგენდა. იმის შეფასებისას, თუ რამდენად უმნიშვნელოა ურბანული განვითარების დეტალური გეგმიდან კონკრეტული გადახვევა, სახელმწიფო ორგანომ ან სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი ინტერესები. მომჩივანს არ განუცხადებია, რომ ღონისძიება, რომლისთვისაც მშენებლობის ნებართვას ითხოვდა, ურბანული განვითარების არსებული დეტალური გეგმიდან უმნიშვნელო გადახვევას წარმოადგენდა. აღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით, “დაგეგმარებისა და მშენებლობის აქტის” თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემა დაუშვებელია.

4.3 “ჯანმრთელობისა და სამედიცინო სერვისების აქტის” შესაბამისად, ეფექტური ჯანდაცვისა და სამედიცინო სერვისების უზრუნველყოფა წარმოადგენს ოლქის საბჭოების ვალდებულებას. ეს ვალდებულება ითვალისწინებს, მათ შორის, შშმ პირებისათვის რეაბილიტაციისა და დამხმარე მოწყობილობების შეთავაზებას. აღნიშნული ზომები უნდა დაიგეგმოს შესაბამის პირთან კონსულტაციის საფუძველზე. მეცნიერულად დამტკიცებული, ნაცადი და შემოწმებული მკურნალობის არსებობის შემთხვევაში, [მუნიციპალიტეტმა] პაციენტს ყოველთვის უნდა შესთავაზოს ასეთი მკურნალობა. მკურნალობის რამოდენიმე ვარიანტის არსებობის შემთხვევაში, პაციენტს საშუალება უნდა მიეცეს, აირჩიოს მისთვის სასურველი. ამავდროულად, მკურნალობის რამოდენიმე ვარიანტის შემთხვევაში, ერთმანეთს უნდა შეუდარდეს კონკრეტულ მკურნალობასთან დაკავშირებული სარგებელი და ხარჯები. “დისკრიმინაციის აქტი” შეიცავს დებულებებს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით.

4.4 სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ 2009 წლის ნოემბერში მომჩივანმა მიმართა ორებროს მუნიციპალიტეტს მშენებლობის ნებართვის თხოვნით; კერძოდ, საქმე ეხებოდა მშენებლობას ნაკვეთს, რომლის დიდი ნაწილიც ურბანული განვითარების დეტალური გეგმის თანახმად არის დაცული. დაშენება, რომელშიც რეაბილიტაციისათვის საჭირო ჰიდროთერაპიული აუზი უნდა მოთავსებულიყო, დაიკავებდა დაახლოებით 65 კვადრატულ მეტრს (საიდანაც 45 კვადრატული მეტრი დაცულ მიწას წარმოადგენს). მომჩივანმა მოითხოვა ურბანული განვითარების გეგმის თანახმად დაწესებული აკრძალვის გაუქმება მის მიმართ, მისი ჯანმრთელობის გართულებული მდგომარეობის საფუძველზე. მომჩივანმა წარმოადგინა ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა, რათა დაედასტურებინა, რომ მას ჰიდროთერაპიული აუზი სჭირდება. ექიმი, რომელმაც ცნობა გასცა, საოლქო საბჭოში არ მუშაობს. მომჩივანმა მშენებლობის ნებართვაზე განაცხადს თან დაურთო დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაგეგმილი მიშენების შემთავაზებული მდებარეობა ერთადერთ შესაძლო მდებარეობას წარმოადგენდა, რაც ძირითადად შენობის ფუნქციასთან დაკავშირებული მიზეზებით იყო განპირობებული.

4.5 2009 წლის დეკემბერში მუნიციპალიტეტმა უარი განაცხადა მომჩივნის თხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან მიშენება ურბანული განვითარების გეგმიდან უმნიშვნელო გადახვევას არ წარმოადგენდა. 2010 წლის იანვარში მომჩივანმა საოლქო ადმინისტრაციულ კოლეგიას მიმართა საჩივრით, რომელშიც აცხადებდა, რომ მისი ჯანმრთელობის პრობლემების გათვალისწინებით, ნებართვა უნდა გაცემულიყო გამონაკლისი შემთხვევის სახით და მანამდე წარდგენილ დოკუმენტაციაზე აკეთებდა მითითებას. დოკუმენტების თანახმად, კონკრეტული

ზომის აუზი საჭიროა მომჩივნის სიმპტომების შემსუბუქებისა და რეაბილიტაციისათვის. მომჩივანი აგრეთვე აცხადებდა, რომ მას ფაქტობრივად არ ჰქონდა საცხოვრებელი სახლის დატოვების შესაძლებლობა, ინფექციის მაღალი რისკისა და მობილურობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. 2010 წლის მარტში საოლქო ადმინისტრაციულმა კოლეგიამ უარი თქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ წარმოდგენილი ღონისძიება ეწინააღმდეგება განვითარების გეგმის დებულებებს და გეგმიდან გადახვევა მისი ბუნებისა და მასშტაბების გამო უმნიშვნელო გადახვევად ვერ ჩაითვლება.

4.6 მომჩივანმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა კარლსტენდის ადმინისტრაციულ სასამართლოში. კერძოდ, მომჩივანი აცხადებდა, რომ ჰიდროთერაპია სახლის პირობებში არსებული აუზის საშუალებით ერთადერთი გზა იყო მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მომჩივანი აგრეთვე აცხადებდა, რომ ჰიდროთერაპიის მიზნით სხვა დაწესებულებაში სასწრაფო დახმარების მანქანით ტრანსპორტირება გამორიცხული იყო, ვინაიდან, მისი სუსტი მდგომარეობის გამო, სასწრაფო დახმარების თანამშრომლები უარს აცხადებენ მის ტრანსპორტირებაზე; მომჩივანს არც საცხოვრებელი ადგილის შეცვლა შეუძლია, ვინაიდან იგი დამოკიდებულია მშობლებზე, რომლებიც მასთან ახლოს ცხოვრობენ. მომჩივნის განცხადებით, მიშენება ქუჩიდან არ გამოჩნდება, ტერიტორიის იერსახეზე გავლენას არ იქონიებს და არც მახასიათებელ ნიშან-თვისებებს შეუცვლის. 2010 წლის აპრილში ადმინისტრაციულმა სასამართლომ გააუქმა მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება და საქმე მუნიციპალიტეტს ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნა. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ინტერესს, რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიაზე მიშენების განთავსებას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს საზოგადოებრივ ინტერესთან დაკავშირებით, რომელიც მდგომარეობს ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნებაში, განვითარების გეგმის შესაბამისად. გადაწყვეტილება ერთხმად არ ყოფილა მიღებული.

4.7 2010 წლის მაისში ორბეროს მუნიციპალიტეტმა გადაწყვეტილება გოტენბურგის ადმინისტრაციულ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. 2010 წლის ივლისში სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და მხარი დაუჭირა მუნიციპალიტეტისა და საოლქო ადმინისტრაციული კოლეგიის გადაწყვეტილებას იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა და სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ არსებული კანონმდებლობა და სხვა დებულებები მშენებლობის ნებართვის საკითხის შეფასებისას, ხოლო ნებართვა, რომელიც მომჩივანმა მოითხოვა, ეწინააღმდეგება განვითარების გეგმას; წარმოდგენილი ღონისძიება ვერ ჩაითვლება გეგმიდან უმნიშვნელო გადახვევად. გადაწყვეტილება ერთსულოვნად იქნა მიღებული.

4.8 2010 წლის ივლისში მომჩივანმა ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოში გაასაჩივრა. იგი აცხადებდა, რომ გადაწყვეტილება ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ არ იყო გინივრული და პროპორციული იმ ზიანისა, რომელიც მას მიადგა. მომჩივნის მტკიცებით, ჰიდროთერაპიული აუზის საჭიროება გადაწონის განვითარების არსებული გეგმიდან მომდინარე ინტერესს. 2010 წლის 5 აგვისტოს უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ მომჩივნის საკასაციო საჩივარს არ დაუჭირა მხარი, რითაც გადაწყვეტილება მომჩივნის განცხადებაზე უარის თქმის შესახებ საბოლოო გახდა და გასაჩივრებას არ დაექვემდებარა.

4.9 შეტყობინების დასაშვებობასთან დაკავშირებით, სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, წინამდებარე საკითხი სხვა საერთაშორისო საგამოძიებო ან დავების მოგვარების პროცედურის ფარგლებში არ განხილულა და აღიარებს, რომ ამოწურულია ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება, როგორც ამას

ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის “გ” და “დ” პუნქტები მოითხოვს. ამავდროულად, სახელმწიფო მხარის მტკიცებით, მომჩივანი ვერ აკმაყოფილებს შეტყობინების დასაშვებობისათვის საჭირო ელემენტარული დასაბუთების სტანდარტს, რის გამოც შეტყობინება ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის “ე” პუნქტის თანახმად დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი.

4.10 შეტყობინების არსებით მხარესთან დაკავშირებით, სახელმწიფო მხარე აღნიშნავს, რომ მომჩივნის პრეტენზიების თანახმად, მის წინააღმდეგ განხორციელდა დისკრიმინაცია, ვინაიდან შვედეთის სახელისუფლებო ორგანოებმა და სასამართლოებმა მიიღეს ნეგატიური გადაწყვეტილებები მომჩივნის რეაბილიტაციისა და ჯანმრთელობის უფლების გათვალისწინების გარეშე, და არ გამოიყენეს პროპორციულობის პრინციპი. სახელმწიფო მხარე დამატებით აცხადებს, რომ კონვენციის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი, საწყის ეტაპზე მაინც, ეკისრება მომჩივანს. აღნიშნულში იგულისხმება საჩივრის დასაბუთების მიზნით მითითებული გარემოებების არსებობის მტკიცების ტვირთი. სახელმწიფო მხარე აგრეთვე აღნიშნავს: მომჩივნის მიერ მშენებლობის ნებართვის მიღების შესახებ თხოვნასთან დაკავშირებით, კომიტეტს არ აქვს შვედეთის სასამართლოს გადაწყვეტილებისა თუ შვედეთის სახელისუფლებო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების უფლებამოსილება. კომიტეტს არც ადგილობრივი გადაწყვეტილების საკუთარი გადაწყვეტილებით ჩანაცვლების უფლებამოსილება გააჩნია. კომიტეტის უფლებამოსილება შემოიფარგლება იმის დადგენით, თუ რამდენად იკვეთება საქმის გარემოებებში კონვენციის დარღვევა.

4.11 სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ მომჩივანი უბრალოდ მიუთითებს კონვენციის სხვადასხვა მუხლებზე და არ ასახელებს კონკრეტულ საფუძვლებს აღნიშნული მუხლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სახელმწიფო მხარეს ისლა დარჩენია, ზოგადად განმარტოს, თუ როგორ უკავშირდება და აკმაყოფილებს შვედეთის კანონმდებლობა წინამდებარე საქმის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მომჩივნის მიერ მითითებულ სხვა მუხლებს წინამდებარე საქმესთან კავშირი არ აქვს და შესაბამისად, ამ მუხლებთან დაკავშირებით სახელმწიფო მხარე კომენტარების წარმოდგენისაგან თავს შეიკავებს.

4.12 კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით, კანონის წინაშე და მის თანახმად ყველა ადამიანი თანასწორია, ხოლო აკრძალულია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია. აღნიშნული შვედეთის კანონმდებლობის შემადგენელ ფუნდამენტურ და ცალსახა პრინციპს წარმოადგენს და მომდინარეობს შვედეთის კონსტიტუციიდან. წინამდებარე საქმის შესაბამისი “დაგეგმარებისა და მშენებლობის შესახებ აქტი” ყველა ადამიანზე თანასწორად ვრცელდება, იმის მიუხედავად, აქვთ თუ არა მათ შეზღუდული შესაძლებლობა. აქტი არ შეიცავს რაიმე დებულებებს, რამაც შესაძლოა ირიბად გამოიწვიოს შშმ პირთა დისკრიმინაცია. წინამდებარე საქმეში მომჩივანის თხოვნას მშენებლობის ნებართვის მიღების შესახებ შეზღუდული შესაძლებლობის გამო კი არ ეთქვა უარი, არამედ, იმ პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც ყველა ადამიანზე თანაბრად ვრცელდება.

4.13 რაც შეეხება მომჩივნის პრეტენზიას კონვენციის მე-19 მუხლის საფუძველზე, შვედეთის კანონმდებლობა შშმ პირებს ხელს არ უშლის სასურველი საცხოვრებელი ადგილის ან ცხოვრების წესის არჩევაში. მუნიციპალურ დონეზე არსებული ზომები - მაგ. სპეციალური განსახლება - სავალდებულო ზომებს არ წარმოადგენს. მუნიციპალიტეტებში ხელმისაწვდომია ალტერნატიული ზომები იმისათვის, რომ კონკრეტული საჭიროებების მქონე პირებმა საკუთარ

სახლებში ცხოვრება შეძლონ - მაგ. დახმარება სახლის ადაპტირებაში, პერსონალური ასისტენტის მომსახურება და შინ მოვლა.

4.14 რაც შეეხება მომჩივნის პრეტენზიებს კონვენციის 25-ე და 26-ე მუხლების საფუძველზე, სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ შედეგითი საოლქო საბჭოებს ეკისრებათ ჯანდაცვისა და სამედიცინო სერვისების, მათ შორის რეაბილიტაციის, უზრუნველყოფის ვალდებულება საოლქო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანისათვის. შესაბამისად, მომჩივნის კონვენციის 25-ე და 26-ე მუხლებით დაცული უფლებების უზრუნველყოფა არ ხდება “დაგეგმარებისა და მშენებლობის აქტის” საფუძველზე; არამედ, აღნიშნული უფლებების პრაქტიკაში განხორციელებას უზრუნველყოფს საოლქო საბჭო, “ჯანდაცვისა და სამედიცინო სერვისების აქტის” შესაბამისად მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებით. სახელმწიფო მხარის მტკიცებით, საოლქო საბჭოსთან კომუნიკაციისა და შეთავაზებული მკურნალობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა - მაგ. შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარდგენით - მომჩივანზეა დამოკიდებული. თუმცა, მომჩივანს ამ მხრივ არგუმენტები არ წარმოუდგენია. ვინაიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომჩივანს კომიტეტისათვის რაიმე ინფორმაცია არ მიუწოდებია, სახელმწიფო მხარე მიიჩნევს, რომ მომჩივანს შესთავაზეს მისი საჭიროებების შესაბამისი მკურნალობა. მომჩივანს არ დაუსაბუთებია ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ვერ შეძლებს ადექვატური მზრუნველობის მიღებას იმ შემთხვევაში, თუ არ მისცემენ ჰიდროთერაპიისათვის საჭირო აუზის აშენების ნებას, მის მიერ მოთხოვნილი მშენებლობის ნებართვის შესაბამისად.

4.15 ზემოაღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, წინამდებარე საქმეში გამოყენებული კანონმდებლობა არ არის დისკრიმინაციული. ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ ყოფილა მოტივირებული მომჩივნის შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით და შესაბამისად, ეს გადაწყვეტილებები არ არის დისკრიმინაციული, კონვენციის მე-5 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. ამასთან, არც ერთი მათგანი სხვაგვარად არ არღვევს კონვენციის მე-5 მუხლს ან რაიმე სხვა დებულებას.

4.16 დასკვნის სახით, სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ წინამდებარე კომუნიკაციაში არ იკვეთება კონვენციის დარღვევა. ვინაიდან მომჩივნის პრეტენზიები კონვენციის სხვადასხვა მუხლების საფუძველზე ელემენტარული დასაბუთების მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, შეტყობინება დაუსაბუთებულობის გამო დაუშვებლად უნდა იქნას მიჩნეული.

მომჩივნის კომენტარები სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით

5.1 2011 წლის 14 ნოემბერს მომჩივანმა წარმოადგინა კომენტარები შეტყობინების დასაშვებობისა და არსებითი მხარის შესახებ სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით.

5.2 მომჩივნის მტკიცებით, მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარი წარმოადგენს დისკრიმინაციას, ვინაიდან სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება, რომელმაც შესაძლოა უზრუნველყოს მისი, როგორც “ფუნქციონალურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის”, რეაბილიტაცია, ამოწურულია. მომჩივნის ადაპტირებულ სახლთან მიბმული ჰიდროთერაპიის აუზის მშენებლობაზე უარი მას ართმევს იმ მკურნალობის შესაძლებლობას,

რომელიც აბსოლუტურად აუცილებელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობს გამო. მომჩივნის განცხადებით, აშკარაა, რომ ერთი შეხედვით ნეიტრალური კანონებისა და მარეგულირებელი წესების გამოყენება მის წინააღმდეგ უსამართლობას ამკვიდრებს და ირიბი დისკრიმინაციის ეფექტი აქვს. ის ფაქტი, რომ “ფუნქციონალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე” შვედეთის მოქალაქეს არ აქვს ადეკვატური რეაბილიტაციის კანონიერი უფლების მოპოვების საშუალება, საკუთარი საცხოვრებელი პირობების სპეციალური ადაპტირების მიზნით მშენებლობის ნებართვის მოპოვების გზით, კონვენციის დარღვევას წარმოადგენს.

5.3 მომჩივნის განცხადებით, საკუთარ არგუმენტებში სახელმწიფო მხარე ამტკიცებს, რომ კონვენციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია და მიუთითებს 1990 წლის საქმეს მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით, რომელშიც სასამართლომ უარი თქვა 125 კვ.მ.-ის ტერიტორიაზე გეგმის საწინააღმდეგოდ მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. აღნიშნული ტერიტორია კი გაცილებით აღემატება მშენებლობის შესახებ მომჩივნის ნებართვის მოთხოვნით გათვალისწინებულ 45 კვ.მ. ფართობს. მომჩივანს ეჭვი შეაქვს 1990 წელს განხილული საქმის რელევანტურობაში, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში აბსოლუტურად განსხვავებული საკითხი განიხილება. მომჩივნის მტკიცებით, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება დაცულ ტერიტორიასთან დაკავშირებით 1987 წლის “მშენებლობის აქტის” ვიწრო ინტერპრეტაციას.

5.4 მომჩივანი დამატებით აღნიშნავს: მშენებლობის ნებართვის ფარგლებში გეგმიდან გადახვევის მასშტაბის მიუხედავად, არსებობს მოთხოვნა “ფუნქციონალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის” მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, ცხოვრების ხარისხის თანასწორობის კანონიერი უფლების ფარგლებში. პროპორციულობის პრინციპის გამოყენების მოთხოვნა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ პიროვნების მიზანი და ინტერესი მნიშვნელოვნად გადაწონის ფართო საზოგადოებრივ ინტერესებს. ნომინალურად მნიშვნელოვანი გადახვევა “დაგეგმარებისა და მშენებლობის აქტიდან” შესაძლოა მიჩნეულ იქნას შედარებით მცირე გადახვევად საზოგადოების მხრიდან, მაშინ, როდესაც აღნიშნულ გადახვევას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პიროვნების ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, მათ შორის ჯანმრთელობის უფლების დასაცავად.

5.5 როგორც “დაგეგმარებისა და მშენებლობის აქტი”, ისე “ჯანმრთელობის აქტი” უზრუნველყოფს მშენებლობის წესებისა და მოქალაქეთა ჯანმრთელობის უფლებების დაცვას, მშენებლობის ნორმებისა და ჯანდაცვის შესახებ კანონების ჭრილში. ამავდროულად, მომჩივნის მტკიცებით, მისი, როგორც “ფუნქციონალური შშმ პირის” უფლებების დაცვას ჯანდაცვის ეროვნული კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს. ის ფაქტი, რომ “დაგეგმარებისა და მშენებლობის აქტიდან” გადახვევა კონკრეტული მიზნისთვის დაუშვებელია, მეტყველებს იმაზე, რომ შშმ პირი არ არის უზრუნველყოფილი მისი მდგომარეობის შესაბამისი ჯანდაცვით. შედეგად, “ფუნქციონალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი” შესაძლოა დაექვემდებაროს დისკრიმინაციას, ვინაიდან მისი ჯანდაცვის უფლების დასაცავად შესაბამისი ზომები არ განხორციელებულა.

5.6 მომჩივნის განცხადებით, მისი შეზღუდული შესაძლებლობის ხარისხისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, კონვენციის 25-ე და 26-ე მუხლებით გათვალისწინებული რეაბილიტაციის უფლების უზრუნველყოფა მის მიმართ შესაძლებელია მხოლოდ მშენებლობის ნებართვის გაცემით. მომჩივნის მოსაზრებით, სახელმწიფო მხარის მიერ მითითებული ჯანდაცვის ეროვნული კანონები ნაკლებად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კანონების ინტერპრეტაცია და გამოყენება ვერ აკმაყოფილებს შშმ პირის აშკარა საჭიროებას.

5.7 რაც შეეხება სახელმწიფო მხარის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია, მომჩივანი აცხადებს, რომ კანონის გამოყენება საზოგადოების რომელიმე წარმომადგენელზე ტანჯვის მიყენების გარეშე უნდა იყოს შესაძლებელი. მისივე მტკიცებით, კონვენციის რატიფიცირებით სახელმწიფო მხარემ აიღო შშმ პირთა უფლებების უზრუნველყოფის ვალდებულება.

5.8 რაც შეეხება ჯანმრთელობის მდგომარეობას, მომჩივანი აცხადებს, რომ ექიმს, რომელმაც ცნობა გასცა, საკუთარი პრაქტიკა აქვს და კავშირი აქვს საოლქო საბჭოსთანაც. მისივე მტკიცებით, შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია წარდგენილ იქნა მშენებლობის ნებართვის შესახებ განაცხადთან ერთად. ექიმი რეგულარულად ახდენს მის მონახულებას, ვინაიდან თავად მომჩივანს ჯანდაცვისა და რეაბილიტაციის სერვისების მისაღებად საოლქო საბჭოს დაწესებულებებამდე გადაადგილების შესაძლებლობა არ აქვს, რაც გამოწვეულია ფუნქციონალური შესაძლებლობის სერიოზული შეზღუდვით. მომჩივნის ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და რეკომენდირებული სამედიცინო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია წარდგენილ იქნა მშენებლობის ნებართვის შესახებ განაცხადთან და შემდგომში, საჩივრებთან ერთად. დაუშვებელია იმის მტკიცება, რომ სახელმწიფო მხარის მიერ მითითებული ეროვნული ჯანდაცვის კანონები მომჩივნის საქმეს მიესადაგება.

5.9 მომჩივანმა აგრეთვე წარმოადგინა დამატებითი სამედიცინო დასკვნა, რომელიც 2007 წლის 25 ოქტომბერს გაცემულ იქნა ორებროს უნივერსიტეტის საავადმყოფოს ნევროლოგიური კლინიკის ხელმძღვანელის მიერ. დასკვნის თანახმად, მომჩივნის “მდგომარეობა არის მემკვიდრეობითი და სამედიცინო თვალსაზრისით განუკურნებადი. ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის დახმარება, მაგრამ ყოველთვის საჭიროა მათი მისადაგება პაციენტის მდგომარეობასთან [...] ხშირად საჭიროა მკურნალობა სახლის პირობებში, ვინაიდან მკურნალობისათვის პაციენტის გადაადგილება სხვა დაწესებულებაში შეუძლებელია. აღნიშნული განაპირობებს ცხოვრების მაღალ ხარჯებს; შესაბამისად, შეფასების საფუძველზე შესაძლებელია წამოიჭრას შეზღუდული შესაძლებლობის გამო კომპენსაციის მინიჭების საკითხი.”⁴ მომჩივნის განცხადებით, მას სახლის პირობებში მკურნალობა პირველად 2007 წელს დაუნიშნეს, ხოლო კუნთოვანი სტრუქტურის შესანარჩუნებლად, შემართებელი ქსოვილის დასაცავად და ტკივილის შესამცირებლად, რისი მიღწევაც მედიკამენტებით შეუძლებელია, ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს ჰიდროთერაპია სახლის პირობებში. მომჩივნის შეზღუდული ანატომიური შესაძლებლობა სხვა სახის მკურნალობის საშუალებას არ იძლევა. მომჩივანი ეროვნული ჯანდაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით ისარგებლებს მხოლოდ გეგმიდან კონკრეტული გადახვევის დაშვების შემთხვევაში, მისი სპეციალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდგომ.

სახელმწიფო მხარის დამატებითი არგუმენტები

6. 2012 წლის 10 იანვარს სახელმწიფო მხარემ კომიტეტს შეატყობინა, რომ შეტყობინების დასაშვებობასთან და არსებით მხარესთან დაკავშირებით იგი ინარჩუნებს იმავე პოზიციას, რომელიც კომიტეტს 2011 წლის 5 სექტემბერს წარუდგინა.

⁴ თარგმანი მოწოდებულია მომჩივნის მიერ.

კომიტეტის წინაშე დასმული საკითხები და მათი განხილვის პროცედურა

შეტყობინების დასაშვებობის განხილვა

7.1 შეტყობინებაში წარმოდგენილი ნებისმიერი პრეტენზიის განხილვამდე, კომიტეტმა, ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 65-ე წესის შესაბამისად, უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა შეტყობინება კონვენციის ფაკულტატური ოქმის თანახმად დასაშვები.

7.2 ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (გ) პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, კომიტეტმა დაადგინა, რომ წინამდებარე შეტყობინების თემა კომიტეტს აქამდე არ განუხილავს, და რომ ეს თემა არ განხილულა და არ განიხილება სხვა საერთაშორისო საგამოძიებო ან დავების მოგვარების პროცედურის ფარგლებში. კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე პრეტენზია ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ ფაკულტატური ოქმის მე-2(დ) მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7.3 კომიტეტი ითვალისწინებს, რომ კონვენციის 1 და 2 მუხლები, მათი ზოგადი ბუნებიდან გამომდინარე, პრინციპულად არ ქმნის კონვენციის ნიადაგზე ინდივიდუალური საჩივრების წარდგენის საფუძველს; არამედ, ფაკულტატური ოქმის ფარგლებში წარდგენილ ინდივიდუალურ შეტყობინებაში მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კონვენციით გარანტირებულ არსებით უფლებებთან ერთობლიობაში. წინამდებარე საქმის გარმეოებების გათვალისწინებით, კომიტეტს მიაჩნია, რომ შეტყობინების ეს ნაწილი დაუშვებელია ფაკულტატური ოქმის მე-2(ე) მუხლის საფუძველზე.

7.4 კომიტეტი აღნიშნავს, რომ მომჩივანი მიუთითებს კონვენციის მე-9 (ხელმისაწვდომობა), მე-10 (სიცოცხლის უფლება), მე-14 (პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება), მე-20 (ინდივიდუალური მობილურობა) მუხლების დარღვევაზე, მაგრამ არ მოჰყავს რაიმე დასაბუთება იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად როგორ დაირღვა აღნიშნული დებულებები. ამრიგად, კომიტეტს მიაჩნია, რომ დასაშვებობის მიზნებისთვის ხსენებული პრეტენზიები საკმარისად არ არის დასაბუთებული და შესაბამისად, ეს პრეტენზიები დაუშვებელია ფაკულტატური ოქმის მე-2(ე) მუხლის საფუძველზე.

7.5 კომიტეტი მიიჩნევს, რომ მომჩივნის მიერ კონვენციის 3, 4, 5, 19, 25, 26 და 28 მუხლების საფუძველზე წარმოდგენილი დანარჩენი ბრალდებები დასაშვებობის მიზნებისთვის საკმარისადაა დასაბუთებული და იწყებს მათ არსებით განხილვას.

არსებითი განხილვა

8.1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებების შესახებ კომიტეტმა წინამდებარე საქმე განიხილა მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ფაკულტატური ოქმის მე-5 (1) მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 73-ე წესის 1-ლი პუნქტის თანახმად.

8.2 კომიტეტი ითვალისწინებს მომჩივნის ბრალდებებს დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც სახელმწიფო მხარის კომპეტენტურმა ორგანოებმა, მომჩივნის რეაბილიტაციის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ჰიდროთერაპიის აუზის აშენების ნებართვის განხილვისას არ გამოიყენეს პროპორციულობის პრინციპი, ხოლო მომჩივნის ინტერესი, რომელიც მდგომარეობს მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე ჰიდროთერაპიის აუზის აშენებაში, არ შეუდარეს საზოგადოებრივ ინტერესს, რომელიც მდგომარეობს ტერიტორიის იერსახის შენარჩუნებაში, განვითარების გეგმის ზედმიწევნით დაცვის საფუძველზე. კომიტეტი აგრეთვე მიუთითებს სახელმწიფო მხარის არგუმენტზე, რომლის თანახმადაც “დაგეგმარებისა და მშენებლობის აქტი” ყველა ადამიანზე თანასწორად ვრცელდება, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა ამ ადამიანებს შეზღუდული შესაძლებლობები. აქტი არ შეიცავს რაიმე დებულებებს, რამაც შესაძლოა ირიბად გამოიწვიოს შშმ პირთა დისკრიმინაცია.

8.3 კომიტეტი მხარეებს შეახსენებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, “შესაძლებლობის შეზღუდვაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია” გულისხმობს “ყველანაირ განსხვავებას, გამორიცხვას ან შეზღუდვას, რომლის მიზანი ან შედეგია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან სხვა სფეროებში ადამიანის ყველა უფლების და ფუნდამენტური თავისუფლების სხვების თანასწორად, ცნობის, რეალიზების ან სარგებლობის ხელის შეშლა ან მათი უარყოფა”. კომიტეტი აცხადებს, რომ ნეიტრალურად გამოყენებულ კანონმდებლობას შესაძლოა ჰქონდეს დისკრიმინაციული შედეგი იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება იმ პირის კონკრეტული მდგომარეობის გათვალისწინება, რომლის მიმართაც გამოიყენება კანონმდებლობა. კონვენციით გარანტირებული უფლებების სარგებლობაში დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება შესაძლოა დაირღვეს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო, ყოველგვარი ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე, განსხვავებულად არ ეპყრობა იმ ადამიანებს, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

8.4 კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული დისკრიმინაციის განმარტებაში ნათლადაა ჩამოყალიბებული, რომ შესაძლებლობის შეზღუდვაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია “მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმის ჩათვლით.” ამასთან, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული განმარტების თანახმად, გონივრული მისადაგება გულისხმობს “ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტირების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ ტვირთს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას.”

8.5 წინამდებარე საქმეში, კომიტეტის წინაშე წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია, ხოლო სახლის პირობებში ჰიდროთერაპიის აუზზე ხელმისაწვდომობა აუცილებელი და ეფექტური - ამ შემთხვევაში, ერთადერთი ეფექტური - ზომია მისი ჯანმრთელობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამრიგად, შესაბამისი ცვლილებები და შესწორებები საჭიროებს განვითარების გეგმიდან გადახვევას ჰიდროთერაპიისათვის განკუთვნილი აუზის აშენების ნებართვის გასაცემად. კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარეს არ აღუნიშნავს, რომ ეს გადახვევა “არაპროპორციულ და უსამართლო ტვირთს დააკისრებდა”. ამ მხრივ, კომიტეტი აღნიშნავს, რომ “დაგეგმარებისა და მშენებლობის აქტი” განვითარების გეგმიდან გადახვევის შესაძლებლობას იძლევა და შესაბამისად, კონკრეტული საჭიროების შემთხვევაში ამ აქტის საფუძველზე შესაძლებელია გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა, შშმ პირთა მიერ ადამიანის უფლებების სხვების თანასწორად და დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობისა თუ

გამოყენებისათვის. ამრიგად, კომიტეტს, მის წინაშე წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, არ მიაჩნია, რომ წინამდებარე საქმეში განვითარების გეგმიდან გადახვევის ნებართვის გაცემა სახელმწიფოს “არაპროპორციულ ან უსამართლო ტვირთს” დააკისრებდა.

8.6 კომიტეტი მხარეებს შეახსენებს, რომ ჯანმრთელობის უფლებასთან დაკავშირებით კონვენციის 25-ე მუხლში აღნიშნულია: “მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებას, ისარგებლონ ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი ხელმისაწვდომი სტანდარტებით შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების მისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის; ითვალისწინებენ გენდერულ სპეციფიკას, მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სარეაბილიტაციო მომსახურებაში.”

8.7 ამავედროულად, სახელმწიფო მიუთითებს 26-ე მუხლით გათვალისწინებულ აბილიტაციასა და რეაბილიტაციაზე, რომლის თანახმადაც: “მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ეფექტურ და შესაბამის ზომებს, მათ შორის, კოლეგიალური მხარდაჭერის გამოყენებითაც, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მაქსიმალური დამოუკიდებლობის, სრული ფიზიკური, მენტალური, სოციალური და პროფესიული შესაძლებლობების მიღწევისა და გამოყენების შესაძლებლობა. აღნიშნული მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები ორგანიზებას უკეთებენ, აძლიერებენ და განავრცობენ ყოვლისმომცველი სარეაბილიტაციო და სააბილიტაციო სამსახურებსა და პროგრამებს, კერძოდ ჯანდაცვის, დასაქმების, განათლებისა და სოციალური მომსახურების სფეროში იმგვარად, რომ აღნიშნული სამსახურები და პროგრამები ა) განხორციელებულ იქნეს მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე და ეფუძნებოდეს ინდივიდის საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების მულტიდისციპლინურ შეფასებას; ბ) ხელს უწყობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ჩართულობას და ინტეგრირებას, არის ნებაყოფლობითი და მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცხოვრებელი თემის მაქსიმალურ სიახლოვეში, მათ შორის სოფლად.

8.8 ამ მხრივ, კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარეს, მშენებლობის ნებართვის შესახებ მომჩივნის განცხადების უარყოფისას, არ გაუთვალისწინებია მომჩივნის საქმის კონკრეტული გარემოებები და მისი კონკრეტული საჭიროებები, რომელიც შეზღუდულ შესაძლებლობას უკავშირდება. შესაბამისად, კომიტეტს მიაჩნია, რომ ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილება ჰიდროთერაპიისათვის განკუთვნილი აუზის აშენების უფლების გასაცემად განვითარების გეგმიდან გადახვევაზე უარის თქმასთან დაკავშირებით იყო არაპროპორციული და მოჰყვა დისკრიმინაციული შედეგი, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია მომჩივნის, როგორც შშმ პირის ხელმისაწვდომობაზე მისი ჯანმრთელობისათვის საჭირო სამედიცინო დახმარებასა და რეაბილიტაციაზე. ამრიგად, კომიტეტი ასკვნის, რომ მომჩივნის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მე-5(1), 5(3), 25 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები და სახელმწიფო მხარის ვალდებულება, რომელიც კონვენციის 26-ე მუხლით არის გათვალისწინებული, როგორც ცალკე, ისე კონვენციის მე-1(ბ), (დ) და (ე) პუნქტებთან და მე-4(1)(დ) პუნქტთან ერთობლიობაში.

8.9 კომიტეტი დამატებით მიუთითებს მომჩივნის პრეტენზიაზე, რომლის თანახმადაც სახლის პირობებში ჰიდროთერაპიისათვის განკუთვნილი აუზის არარსებობის გამო საბოლოოდ საჭირო გახდება მისი სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებაში განთავსება, ხოლო სახელმწიფო მხარეს მომჩივნის აღნიშნული ბრალდების საწინააღმდეგო არგუმენტები არ წარმოუდგენია. ამ მხრივ, კომიტეტი მხარეებს შეახსენებს, რომ კონვენციის მე-19(ბ) მუხლის თანახმად, სახელმწიფო მხარეებს მოეთხოვებათ, მიიღონ ყველა ეფექტური და სათანადო ზომა,

რათა შშმ პირებს გაუადვილონ დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის უფლებით სრული სარგებლობა, მათ შორის, უზრუნველყონ, რომ შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომია “ზინაზე, ინსტიტუციური თუ სხვა მომსახურების ფართო სპექტრი, მათ შორის ცხოვრების წესის მხარდაჭერის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩამბისთვის და საზოგადოებისაგან იზოლაციის ან განცალკევების პრევენციისათვის აუცილებელი ინდივიდუალური დახმარება.” მშენებლობის ნებართვის თაობაზე მომჩივნის განცხადებაზე უარის თქმით, მომჩივანს წაერთვა ხელმისაწვდომობა ჰიდროთერაპიაზე, რომელიც ერთადერთი საშუალებაა მისი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართვის მხარდასაჭერად. ამრიგად, კომიტეტი ასკვნის, რომ მომჩივნის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მე-19(ბ) მუხლით გათვალისწინებული უფლებები.

8.10 აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, კომიტეტს არ მიაჩნია საჭიროდ განიხილოს მომჩივნის მიერ კონვენციის 28-ე მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი პრეტენზიები.

9. კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კომიტეტი აცხადებს, რომ სახელმწიფო მხარემ ვერ შეასრულა კონვენციის 5(1), 5(3), 19(ბ), 25 და 26, მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებები, როგორც ცალკე, ისე კონვენციის მე-1(ბ), (დ) და (ე) პუნქტებთან და მე-4(1)(დ) პუნქტთან ერთობლიობაში. შესაბამისად, კომიტეტი სახელმწიფოს მიმართავს შემდეგი რეკომენდაციებით:

1. მომჩივანთან დაკავშირებით: სახელმწიფო მხარეს ეკისრება ვალდებულება, აღადგინოს მომჩივნის წინააღმდეგ დარღვეული კონვენციით გათვალისწინებული უფლებები, მათ შორის ჰიდროთერაპიის აუზის ასაშენებლად ნებართვის შესახებ განცხადების ხელახალი განხილვის გზით, კომიტეტის მოსაზრებების გათვალისწინების საფუძველზე. სახელმწიფო მხარემ აგრეთვე უნდა უზრუნველყოს ადეკვატური კომპენსაცია მომჩივნის მიერ წინამდებარე შეტყობინების წარდგენასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად;

2. ზოგადი რეკომენდაციები: სახელმწიფო მხარეს ეკისრება ვალდებულება, გადადგას ნაბიჯები მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად, მათ შორის იმის უზრუნველყოფით, რომ ადგილობრივი კანონმდებლობა და ადგილობრივი სასამართლოების მიერ ამ კანონმდებლობის გამოყენება შეესაბამებოდეს სახელმწიფო მხარის ვალდებულებას, რომელის თანახმადაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ კანონმდებლობას არ ჰქონდეს შშმ პირთა მიერ ადამიანის ყველა უფლების და ფუნდამენტური თავისუფლების, სხვების თანასწორად, ცნობის, რეალიზების ან სარგებლობის ხელის შეშლის ან მათი უარყოფის მიზანი ან შედეგი.

10. ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 75-ე წესის შესაბამისად, სახელმწიფო მხარემ კომიტეტს ექვსი თვის მანძილზე უნდა წარუდგინოს წერილობითი პასუხი, მათ შორის ნებისმიერი ინფორმაცია კომიტეტის წინამდებარე მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი ქმედების შესახებ. სახელმწიფო მხარეს, აგრეთვე, მოეთხოვება კომიტეტის მოსაზრებების გამოქვეყნება,

სახელმწიფო მხარის ოფიციალურ ენაზე თარგმნა და ფართოდ გავრცელება ხელმისაწვდომ ფორმატებში, რათა მოსაზრებები მოსახლეობის ყველა სექტორისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

[მოსაზრებები მიღებულია არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ხოლო ინგლისურენოვანი ტექსტი წარმოადგენს ორიგინალ ვერსიას. შემდგომში აგრეთვე იგეგმება მოსაზრებების რუსულ ენაზე გამოქვეყნება, იმ ორენოვანი ანგარიშის ფარგლებში, რომელსაც კომიტეტი ყოველწლიურად წარუდგენს გენერალურ ასამბლეას.]



**შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა უფლებების
კონვენცია**

გავრცელება: საყოველთაო
2012 წლის 13 ნოემბერი

ორიგინალი შედგენილია
ინგლისურ ენაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

შეტყობინება No. 6/2011

**კომიტეტის მიერ მე-8 სესიაზე მიღებული მოსაზრებები
(2012 წლის 17-28 სექტემბერი)**

<i>წარმდგენი:</i>	კენეტ მაკალპაინი (არ არის წარმოდგენილი ადვოკატის მიერ)
<i>სავარაუდო დაზარალებული:</i>	წარმდგენი
<i>სახელმწიფო მხარე:</i>	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფო
<i>წარდგენის თარიღი:</i>	2011 წლის 25 მაისი (პირველი წარდგენა)
<i>გამოყენებული დოკუმენტები:</i>	სპეციალური მომხსენებლის მიერ 70-ე წესის თანახმად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფო მხარეს გადაეცა 2011 წლის 21 დეკემბერს (არ გამოცემულა დოკუმენტის სახით)
<i>მოსაზრებების მიღების თარიღი:</i>	2012 წლის 28 სექტემბერი
<i>შეტყობინების თემა:</i>	დამსაქმებლის მიერ მომჩივნის, როგორც შაქრიანი დიაბეტის (პირველი ტიპის დიაბეტი) მქონე თანამშრომლის, შემცირებასთან დაკავშირებული პროცედურა
<i>პროცედურული საკითხები:</i>	შეტყობინებაში წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს ჰქონდა არა ადგილი სახელმწიფო მხარის მიერ ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირებამდე; შეტყობინებაში მოცემული საკითხების განხილვა მოხდა თუ არა სხვა საერთაშორისო საგამომიებო ან დავეების მოგვარების პროცედურის ფარგლებში; რამდენად დაუსაბუთებელი ან არასაკმარისად დასაბუთებულია შეტყობინება.
<i>არსებითი საკითხები:</i>	კონვენციის ზოგადი პრინციპები; თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა; ცნობიერების ამაღლება; კანონის წინაშე თანასწორობა; პირადი ცხოვრების პატივისცემა; შრომა და დასაქმება.

კონვენციის მუხლები:

მე-4 მუხლის 1(დ) და (ე) პუნქტები; მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი; მე-8 მუხლის 1(ბ) პუნქტი, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 27-ე მუხლის 1(ა) პუნქტი.

ფაკულტატური ოქმის მუხლები:

მე-2 მუხლის (გ), (ე) და (ვ) პუნქტები

დანართი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მოსაზრებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის შესაბამისად (მე-8 სესია)

No. 6/2011* შეტყობინებასთან დაკავშირებით

შეტყობინება

შეტყობინების წარმდგენი:

კენეტ მაკალპაინი (არ არის წარმოდგენილი ადვოკატის მიერ)

სავარაუდო დაზარალებული:

წარმდგენი

სახელმწიფო მხარე:

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფო

წარდგენის თარიღი:

2011 წლის 25 მაისი (პირველი წარდგენა)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა, რომელიც შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე,

2012 წლის 28 სექტემბრის სხდომაზე,

დაასრულა რა No. 6/2011 შეტყობინების განხილვა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტს წარუდგინა კენეტ მაკალპაინმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე,

გაითვალისწინა რა შეტყობინების წარმდგენისა და მხარე სახელმწიფოს მიერ წარდგენილი სრული წერილობითი ინფორმაცია,

მიიღო შემდეგი მოსაზრებები:

* წინამდებარე შეტყობინების განხილვაში მონაწილეობდნენ კომიტეტის შემდეგი წევრები: მოჰამედ ალ-ტარავანი, მონსურ აჰმედ ჩოდური, მარია სოლედად ცისტერნას რეისი, ტერესა დეგენერი, გაბორ გომბოსი, ჰიუნგ შიკ კიმი, ლოფტი ბენ ლალომი, სტივ ლანგვადი, ედა ვანგეჩი მაინა, რონალდ მაკკალუმი, ანა პელაზ ნარვაეზი, სილვია ჯუდიტ ჭუან-ჩენგი, კარლოს როს ესპინოსა, დამიან ტატიჩი, ჯია იანგი.

ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება

1.1 შეტყობინება წარადგინა 1964 წლის 12 აგვისტოს დაბადებულმა ბრიტანეთის მოქალაქემ კენეთ მაკალპაინმა. მისი მტკიცებით, სახელმწიფო მხარემ მის წინააღმდეგ დაარღვია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-4 მუხლის 1 პუნქტის(დ) და (ვ) ქვეპუნქტები; მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი; მე-8 მუხლის 1 (ბ) პუნქტი; მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი; 22-ე მუხლის 1 პუნქტი; და 27-ე მუხლის 1 (ა) პუნქტი. შეტყობინების მომჩივანი არ არის წარმოდგენილი ადვოკატის მიერ. მონაწილე სახელმწიფოში კონვენცია ძალაში შევიდა 2009 წლის 7 ივლისს, კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხოლო ფაკულტატური ოქმი კი - 2009 წლის 6 სექტემბერს, ოქმის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

1.2 2012 წლის 8 მარტს, ფაკულტატური ოქმის თანახმად კომიტეტის სახელით მოქმედმა სპეციალურმა მომხსენებელმა მიიღო გადაწყვეტილება, კომიტეტის რეგლამენტის 70-ე წესის მე-8 პუნქტის შესაბამისად, შეტყობინების დასაშვებობისა და არსებითი მხარის ცალ-ცალკე განხილვის შესახებ.

ფაქტობრივი გარემოებები⁵

2.1 1966 წლის თებერვალში (წლინახევრის ასაკში) მომჩივანს დაუსვეს შაქრიანი დიაბეტის (პირველი ტიპის დიაბეტი) დიაგნოზი. იგი დაავადების კონტროლს ახდენს ინსულინის ყოველდღიური ინექციებით. მომჩივანი ფლობს ბაკალავრის ხარისხს საწარმოო ინჟინერიასა და მენეჯმენტში და მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხს ბიზნესის საინფორმაციო სისტემებში.

2.2 1998 წლის 12 აგვისტოს მომჩივანმა მუშაობა დაიწყო Oracle Corporation UK Limited-ში (შემდგომში, "Oracle") კონსულტანტად. 2004 წლის ივლისში, მომჩივნის მოთხოვნით, იგი გადაყვანილ იქნა მოთხოვნითი მომსახურების მიმწოდებელ გუნდში, მომსახურების მიწოდების მენეჯერად. კომპანიაში მუშაობის სტაჟის მიხედვით, მომჩივანი გუნდის 14 წევრიდან მეშვიდე ადგილს იკავებდა. მომჩივანს ჩააბარეს კლიენტის ერთი ანგარიში; მის მოვალეობებში შედიოდა ინციდენტთა მართვა, ყოველთვიურ შეხვედრებზე დასწრება და ყოველთვიური ანგარიშის მომზადება. 2005 წლის ნოემბრისთვის, პირველ კლიენტთან დაკავშირებული ინციდენტების რაოდენობის შემცირების გამო, მომჩივანის მოვალეობებს დაემატა მეორე კლიენტის ანგარიშის ინციდენტების მართვა. 2005 წლის 16 დეკემბერს, მომჩივანსა და მის უშუალო მენეჯერს ბატონ პ.ს.-ს შორის შედგა სატელეფონო საუბარი, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელს ეცნობა, რომ მომჩივანი არ აპირებდა, დასწრებოდა 2005 წლის 21 დეკემბერს დანიშნულ ყოველთვიურ შეხვედრას. დისკუსიის დროს მომჩივანმა აღნიშნა, რომ იგი არ იყო კმაყოფილი მისი სამუშაო დატვირთვით, რის შემდეგაც მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ მომჩივანი შეწყვეტდა პირველი ანგარიშის ინციდენტების მართვას, იმუშავებდა ამ ანგარიშის ყოველთვიურ ანგარიშებსა და შეხვედრებზე, ხოლო დარჩენილ დროს დაუთმობდა მეორე კლიენტის ანგარიშთან დაკავშირებული ინციდენტების მართვას. აღნიშნულ საუბარში, ბატონმა პ.ს.-მ პირველად შეიტყო იმის შესახებ, რომ მომჩივანს დიაბეტი ჰქონდა, და რომ 2005 წლის ნოემბრიდან მეორე კლიენტის დამატების შემდეგ იგი სტრესს განიცდიდა სამუშაო დატვირთვის გამო. 2005 წლის 21 დეკემბერს, მომჩივანმა მეორე უშუალო

⁵ ფაქტების ქრონოლოგია ეფუძნება მომჩივნის თავდაპირველ საჩივარს, მათ შორის დანართებს და სასამართლო გადაწყვეტილებებს.

ხელმძღვანელთან, ბატონ ნ.კ.-სთან საუბრისას აღნიშნა, რომ მას არ სურდა მომსახურების მიწოდების მენეჯერის სრული მოვალეობების შესრულება, რადგან იგი სახლიდან მუშაობდა და სურდა მგზავრობის მინიმუმამდე დაყვანა. მომჩივანმა კომპანიაში სხვა ფუნქციის მოძებნის სურვილი გამოთქვა.

2.3 2006 წლის იანვარში, Oracle-მა განაცხადა მეორე კომპანიასთან გაერთიანების შესახებ, რის გამოც საჭირო იყო ორგანიზაციის სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული პროცესის ფარგლებში კომპანიამ შექმნა გლობალური მოთხოვნითი მომსახურების ბიურო და დაიქირავა მომხმარებელთა ინცინდენტების მენეჯერები, რამაც მომჩივნის ფუნქციებზე იქონია გავლენა. კერძოდ, ინცინდენტების მართვა გახდა ცენტრალიზებული პროცესი, ხოლო მომჩივანს დარჩა ერთადერთი ფუნქცია - პირველი კლიენტის ყოველთვიური ანგარიშების წარმოება და ყოველთვიურ შეხვედრებზე დასწრება. 2006 წლის 30 მაისს, კომპანიის დირექტორმა მომჩივანს აცნობა, რომ იგი შემცირებულ იქნა, ვინაიდან ახალი ბიზნეს-მოდელის პირობებში მისი ფუნქციები საჭიროებას აღარ წარმოადგენდა, ხოლო მისი კვალიფიკაციები არ შეესაბამებოდა მომხმარებელთა ინცინდენტების მენეჯერის თანამდებობას, რომელსაც პირდაპირ კლიენტებთან უწევს ურთიერთობა. რეორგანიზაციამდე, მომჩივანს არ ჰქონია მომხმარებელთან კონტაქტის გამოცდილება, რადგან მისი საქმიანობა, ძირითადად, ინციდენტების მართვითა და ანგარიშების წარმოებით შემოიფარგლებოდა. რეორგანიზაციის შემდეგ მოხდა ინციდენტთა მართვის ფუნქციის ცენტრალიზება გლობალური მომსახურების ბიუროში, რის შედეგადაც ეს ფუნქცია ჩამოერთვათ მომსახურების მიწოდების მენეჯერებს. დასაქმების ტრიბუნალის წინაშე მომჩივანმა აღიარა, რომ, მართალია, გამოცხადდა კონკურსი მომხმარებელთა ინცინდენტების ახალი მენეჯერის თანამდებობების დასაკავებლად, მას კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია.⁶ დასაქმების ტრიბუნალმა აღნიშნა: ის ფაქტი, რომ 2006 წლის იანვრიდან ივნისამდე მომჩივანი კომპანიაში ეძებდა ტექნიკური ხასიათის ალტერნატიულ თანამდებობას, სადაო ფაქტს არ წარმოადგენს.⁷ 2006 წლის 10 ივლისს მომჩივანი შეამცირეს (გაათავისუფლეს სამსახურიდან).

2.4 2006 წლის 25 აგვისტოს, მომჩივანმა საჩივარი შეიტანა დასაქმების ტრიბუნალის სამსახურში. მისი მტკიცებით, Oracle-მა ვერ დაიცვა გათავისუფლებისა და შემცირების შესაბამისი პროცედურები. მან ასევე განაცხადა, რომ Oracle-ის გადაწყვეტილება იყო დისკრიმინაციული და ეწინააღმდეგებოდა შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ 1995 წლის აქტის 3A (1) და 3A (5) სექციებს. მომჩივანის მტკიცებით, მისი შემცირების მიზეზი მისი შეზღუდული შესაძლებლობა და/ან შეზღუდული შესაძლებლობის გამო მისი სამუშაო დატვირთვის შემცირების მოთხოვნა გახდა. ამასთან, Oracle-მა ვერ შეძლო გონივრული ცვლილებების განხორციელება, რათა მას შენარჩუნებოდა სამუშაო ადგილი და გაეგრძელებინა ფუნქციების შესრულება. სასამართლოში საქმის განხილვის დროს, Oracle-მა წარმოადგინა მისი ერთ-ერთი მენეჯერის ბატონი პ.ს.-ს ელექტრონული გზავნილები, სადაც ნათქვამი იყო, რომ „დიაბეტისა და მაღალი წნევის ერთობლიობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს სამუშაოს ხანგრძლივი დროით გაცდენა ავადმყოფობის გამო“ და რომ მიზანშეწონილი იქნებოდა „მისი შემცირება“. ტრიბუნალმა დაადგინა, რომ იმ ეტაპზე, იმის გამო, რომ შემცირების სია იყო მკაცრად კონფიდენციალური, მომჩივანის უშუალო მენეჯერმა ბატონმა პ.ს.-მ, რომელმაც ხსენებული განცხადება გააკეთა, არ იცოდა, რომ მომჩივნის სახელი უკვე დამატებული იყო შემცირების სავარაუდო კანდიდატთა სიაში. მომჩივნის განცხადებით, სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოების დროს Oracle-მა აღიარა, რომ მომჩივანმა 2004 წლის ივლისიდან 2006 წლის

⁶ იხ. დასაქმების ტრიბუნალის მიერ 2007 წლის 13 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილება, S/116267/06, პუნქტი 47.
⁷ იქვე, პუნქტი 39.

აპრილამდე ავადმყოფობის გამო შვებულებით მხოლოდ ორი დღით ისარგებლა. ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ უშუალო ხელმძღვანელმა ბატონმა პ.ს.-მ, რომელმაც განაცხადა მომჩივნის მიერ ავადმყოფობის გამო სამსახურის გაცდენის შესაძლებლობის შესახებ, სასამართლო პროცესზე აღიარა, რომ მისი განცხადება იყო შეცდომა, რადგან რეალურად მომჩივანმა მხოლოდ რამოდენიმე დღე გააცდინა ავადმყოფობის გამო. მომჩივნის მტკიცებით, იგი მომსახურების მიწოდების მენეჯერთა გუნდიდან გათავისუფლებული ერთადერთი ადამიანია, მიუხედავად იმისა, რომ მას იგივე თანამდებობა ეკავა და იგივე ამოცანებს ასრულებდა, რასაც მისი კოლეგები. მომჩივნისვე მტკიცებით, მისი გათავისუფლების შემდეგ კომპანიამ ახალი კადრები აიყვანა. დასაქმების ტრიბუნალის დასკვნის თანახმად, მომჩივანი არ უარყოფდა, რომ იგი არ ასრულებდა მომსახურების მიწოდების მენეჯერის ყველა ფუნქციას, ხოლო მტკიცებულებებით დასტურდება შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს ჰქონდა მომსახურების მიწოდების მენეჯერის სამსახურებრივი წოდება, იგი შესაბამისი ფუნქციების მხოლოდ ნაწილს ასრულებდა.⁸ Oracle-მა აღნიშნა, რომ შემცირების სავარაუდო კანდიდატთა სიაში მომჩივნის შეყვანის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2006 წლის თებერვალში, რეორგანიზაციის გამო, ხოლო გადაწყვეტილების მიმღებ პირს, ბატონ მ.ტ.-ს მომჩივნის შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა.

2.5 2007 წლის 13 მარტს დასაქმების ტრიბუნალმა განაცხადა, რომ მომჩივანმა არ იმოქმედა 2002 წლის დასაქმების აქტის 32-ე სექციის შესაბამისად და არ გაასაჩივრა კომპანიის მხრიდან გონივრული ცვლილებების არ-განხორციელება. შესაბამისად, ამ ნაწილში მისი სარჩელი იქნა უარყოფილი. აღნიშნული გადაწყვეტილება მომჩივანმა გაასაჩივრა.

2.6 2007 წლის ივლისსა და აგვისტოში დასაქმების ტრიბუნალმა უარყო მომჩივნის ორივე საჩივარი, როგორც უსამართლო შემცირების, ისე შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციაზე. ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ მომჩივანი არასრულად ასრულებდა მომსახურების მიწოდების მენეჯერის ფუნქციებს, რომელიც ისედაც მნიშვნელოვნად შემცირდა Oracle-ის რეორგანიზაციის შემდეგ და განაცხადა, რომ მომჩივნის როლი ზედმეტი იყო. დისკრიმინაციის საჩივართან დაკავშირებით ტრიბუნალი დაეყრდნო შემდეგ ფაქტებს: ელექტრონული შეტყობინებები, რომლებშიც მომჩივნის დიაბეტი იყო ნახსენები, არ გამხდარა მისი შემცირების მიზეზი; შემცირების სავარაუდო კანდიდატთა სია მომზადდა აღნიშნული შეტყობინებების გაგზავნამდე; პირმა, რომელმაც მოამზადა აღნიშნული სია, არ იცოდა მომჩივნის შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ. ტრიბუნალმა უარყო მომჩივნის არგუმენტი და განაცხადა, რომ კომპანიაში მომუშავე მომსახურების მიწოდების კიდევ ერთი მენეჯერი, რომელსაც პირველი ტიპის დიაბეტი ჰქონდა, ჩვეულებრივ აგრძელებდა მუშაობას. პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის მიზნით, ტრიბუნალმა აგრეთვე განაცხადა, რომ „პირდაპირი დისკრიმინაციის შემთხვევაში სწორი შესადარებელი მაგალითია პირი, რომელსაც არ აქვს იგივე შეზღუდული შესაძლებლობა, მაგრამ მისი მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ განსხვავდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისგან“. და ბოლოს, რაც შეეხება მომჩივნის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მას შეზღუდული შესაძლებლობის გამო არასათანადოდ მოექცნენ, ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ უნდა არსებობდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი თანამშრომლის შეზღუდულ შესაძლებლობასა და არასათანადო მოპყრობას შორის, და განაცხადა, რომ მომჩივანი მისივე თხოვნის საფუძველზე გადაიყვანეს მოთხოვნითი მომსახურების გუნდში, შეუცვალეს ფუნქციები და შეუმცირეს სამუშაო დატვირთვა. აქედან გამომდინარე, მას არ შეეძლო ემტკიცებინა, რომ არათანაბარ მოპყრობას დაექვემდებარა.

⁸იქვე, პუნქტები 144 და 145.

2.7 2007 წლის 24 ოქტომბერს მომჩივანმა მიმართა დასაქმების სააპელაციო ტრიბუნალს განცხადებით, რომლის თანახმადაც არ არსებობდა მტკიცებულება იმისა, თუ რა მიზეზით დაემატა მისი სახელი შესამცირებელ სავარაუდო კანდიდატთა სიას; Oracle-ის მენეჯერების ელექტრონული შეტყობინებები ამტკიცებდა, რომ იგი შემცირებაში სწორედ დიაბეტის გამო მოხვდა; Oracle-ის მიერ მასთან კონსულტაციის მცდელობა არ იყო გულწრფელი და რომ კონსულტაციის დამადასტურებელი მტკიცებულება საგანგებოდ მომზადდა ან გაყალბდა. დასაქმების სააპელაციო ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ მის იურისდიქციაში შედიოდა მხოლოდ კანონთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, ხოლო “საქმის ფაქტობრივი გარემოებების ხელახლა განხილვა და ტრიბუნალის მიერ ამ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა” მის მოვალეობას არ წარმოადგენდა. 2007 წლის 19 დეკემბერს დასაქმების სააპელაციო ტრიბუნალმა უარყო მომჩივანის სააპელაციო საჩივარი იმ მოტივით, რომ საჩივარს საკმარისი გონივრული საფუძველი არ გააჩნდა. დასაქმების სააპელაციო ტრიბუნალის აღნიშნული გადაწყვეტილება მომჩივანმა გაასაჩივრა სასესიო სასამართლოში, 1996 წლის დასაქმების ტრიბუნალის აქტის 37-ე სექციის შესაბამისად. 2010 წლის 12 თებერვალს სასამართლომ უარყო სააპელაციო საჩივრის ყველა საფუძველი და განაცხადა, რომ მტკიცებულებების შეფასება დასაქმების ტრიბუნალის კომპეტენციის სფეროს განეკუთვნებოდა, ხოლო სამართლებრივ ხარვეზს ადგილი არ ჰქონია. დასაქმების ტრიბუნალზე და სასესიო სასამართლოზე მომჩივანს დაეკისრა შესაბამისად, £3,700.00 და £6,968.25 ოდენობის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება.

2.8 2008 წლის 12 აგვისტოს მომჩივანმა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართა საჩივრით, სადაც ამტკიცებდა რომ შეილახა მისი სამართლიანი განხილვის უფლება და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სხვა უფლებები. 2011 წლის 29 მარტს, სასამართლომ ერთი მოსამართლის სხდომაზე სარჩელი დაუშვებლად მიიჩნია იმ მოტივით, რომ “მასში არ აღინიშნა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმებით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების რაიმე სახის დარღვევა”.

საჩივარი

3.1 მომჩივანი აცხადებს, რომ მხარე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-4 მუხლის 1 პუნქტის(დ) და (ვ) ქვეპუნქტებით; მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით; მე-8 მუხლის 1 (ბ) პუნქტით; მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით; 22-ე მუხლის 1 პუნქტით; და 27-ე მუხლის 1(ა) პუნქტით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის ვალდებულება, ეროვნული კანონმდებლობის არასრულად გამოყენების გამო, რაც, მომჩივანის მტკიცებით, მოხდა იმ სტერეოტიპული მოსაზრების გამო, რომლის მიხედვითაც დიაბეტიანი თანამშრომლები ავადმყოფობის მიზეზით ხანგრძლივად აცდენენ სამსახურს. გარდა ამისა, მომჩივანი აღნიშნავს, რომ მხარე სახელმწიფოს ტრიბუნალებმა და სასამართლოებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს მათ წინაშე წარმოდგენილი დისკრიმინაციის მტკიცებულებები და დაეყრდნენ Oracle-ის მიერ წარმოდგენილ გამოგონილ და/ან გაყალბებულ მტკიცებულებას.

3.2 კონვენციის მე-4 მუხლის 1 პუნქტის დ) და ვ) ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით მომჩივანი აცხადებს, რომ სახელმწიფო მხარეს არ მიუღია რაიმე ზომა სახელმწიფო ორგანოების მიერ დიაბეტის საფუძველზე დისკრიმინაციის აღიარების უზრუნველსაყოფად. მას ასევე არ მიუღია ზომები ისეთი კერძო კომპანიების მიერ ჩადენილი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, როგორცაა Oracle.

3.3 მომჩივანი დამატებით აცხადებს, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვა კონვენციის მე-5 და მე-2 მუხლების შესაბამისად; კერძოდ, სახელმწიფო მხარემ დაადგინა, რომ სტერეოტიპული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც შეზღუდული შესაძლებლობა ავადმყოფობაა და იწვევს სამუშაოს გაცდენას, არ წარმოადგენდა დისკრიმინაციას.

3.4 კონვენციის მე-8 მუხლის 1 (ბ) პუნქტის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, მომჩივანი აცხადებს: მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოში მოქმედებს შშმ პირების დისკრიმინაციისგან დაცვის კანონები, სახელმწიფოს არ მიუღია დაუყოვნებლივი, ეფექტური და შესაბამისი ზომები იმ სტერეოტიპების, ცრურწმენებისა და მავნე პრაქტიკის წინააღმდეგ, რომლის საფუძველზეც დამსაქმებლებს, სასამართლო სისტემასა და მოსამართლეებს მიაჩნიათ, რომ დიაბეტის მქონე ყველა ადამიანი ხანგრძლივი დროით აცდენს სამსახურს.

3.5 კონვენციის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, მომჩივანი აცხადებს, რომ არ მოხდა მისი საქმის სამართლიანი განხილვა, რადგან ის მტკიცებულება, რომელსაც დაეყრდნო ორივე ტრიბუნალი, მისი ყოფილი დამსაქმებლის მიერ იყო გაყალბებული⁹. მისივე განცხადებით, ელექტრონული შეტყობინებები, რომლებშიც მომჩივანი მოხსენიებულია შემცირების სავარაუდო კანდიდატა სიაში, არ არის ქრონოლოგიური, რადგან პირველი შეტყობინება თარიღდება 2006 წლის 2 თებერვლით, მეორე - 2006 წლის 23 მარტით, მესამე - 2006 წლის 21 თებერვლით, ხოლო მეოთხე - 2006 წლის 4 თებერვლით და რომ მისი სახელი სიაში ხელით იყო ჩამატებული მაშინ, როცა დანარჩენი სახელები დაბეჭდილი სახით იყო წარმოდგენილი.

3.6 მომჩივანი აღნიშნავს, რომ იგი პირად და ოჯახურ ცხოვრებაში თვითნებური და უკანონო ჩარევის მსხვერპლი იყო. 2010 წლის 8 სექტემბერს, მისი არყოფნის დროს, სასამართლო ოფიცერმა მისი მეზობლები გამოკითხა მისი ადგილსამყოფელის შესახებ. 2010 წლის 14 სექტემბერს სასამართლოს ორმა ოფიცერმა მომჩივანს ჰკითხა მისი სახლისა და ავტომობილის ღირებულების შესახებ, თუმცა, მომჩივანის მიერ გადასახდელი სასამართლო ხარჯის ზუსტი რაოდენობა ვერ დაასახელეს.¹⁰ მომჩივანი აღნიშნავს, რომ მან სასამართლო ხარჯის გადახდის ვალდებულება გაასაჩივრა, ხოლო სასამართლო ოფიცერის მიერ ხარჯის ამოღების მცდელობა განხორციელდა მასზე ზეწოლის მოხდენის მიზნით, რათა მომჩივანს მომავალში საჩივარი აღარ აღემრა. მისივე მტკიცებით, დასაქმების ტრიბუნალის განცხადება, რომ იგი „არ არის სანდო მოწმე“¹¹, არღვევდა კონვენციის 22-ე მუხლს და ლახავდა მის ღირსებასა და რეპუტაციას.

3.7 კონვენციის 27-ე მუხლის 1(ა) პუნქტის დარღვევასთან დაკავშირებით, მომჩივანი აცხადებს, რომ იგი იყო იმ სტერეოტიპული წარმოდგენის მსხვერპლი, რომლის მიხედვითაც დიაბეტი გამოიწვევდა სამსახურის ხშირ გაცდენას. მომჩივანი აცხადებს, რომ ეს წარმოდგენა არ შეესაბამებოდა ფაქტებს, რადგან შემცირებამდე ორი წლის განმავლობაში მან მხოლოდ ორი დღე გააცდინა ავადმყოფობის გამო. მომჩივანი აცხადებს, რომ იგი დაექვემდებარა

⁹ დასაქმების ტრიბუნალის 2007 წლის 13 სექტემბრის S/116267/06 გადაწყვეტილების თანახმად (პუნქტი 126), მომჩივანის ბრალდება ტრიბუნალის წინაშე წარდგენილი დოკუმენტებიდან მტკიცებულების განზრახ ამოღების ან შეცვლის სესახებ დაუსაბუთებელი იყო.

¹⁰ იურიდიული ფირმის თანამშრომლის მიერ შენახული ელექტრონული გზავნილი მომჩივანს ატყობინებს, რომ სასამართლოს ოფიცერებს იურიდიულმა ფირმამ წინასწარი მოკვლევის ჩატარება დაავალა, რაც მომჩივანზე დაკისრებული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულების აღსრულების მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგამდე განსახორციელებელი წინასწარი პროცედურის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

¹¹ იხ. დასაქმების ტრიბუნალის 2007 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება, S/116267/06, პუნქტი 122.

დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის გამო, რადგან მას არ მიეცა სხვა თანამშრომლებთან შედარებით თანაბარ პირობებში მუშაობის შესაძლებლობა.

სახელმწიფო მხარის არგუმენტები შეტყობინების დასაშვებობის შესახებ

4.1 სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ შეტყობინება დაუშვებელია შემდეგი მიზეზების გამო: შეტყობინებაში მოყვანილ ფაქტობრივი გარემოებები ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლამდე მოხდა; მომჩივნის პრეტენზიები განხილულ იქნა სხვა საერთაშორისო საგამომიებო ან დავების მოგვარების პროცედურის ფარგლებში, ხოლო საჩივარი ამკარად დაუსაბუთებელია ან არ არის საკმარისად დასაბუთებული.

4.2 სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ ფაკულტატური ოქმი 2009 წლის 6 სექტემბერს შევიდა ძალაში, ხოლო მომჩივნის შემცირებასთან დაკავშირებულ მთავარ ფაქტობრივ გარემოებას 2006 წლის 10 ივლისს ჰქონდა ადგილი. სასამართლო მოსმენები, რომლის ფარგლებშიც მოხდა მომჩივნის შემცირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლამდე გაიმართა. სახელმწიფო მხარის მტკიცებით, შეტყობინება დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (ვ) პუნქტის საფუძველზე.

4.3 სახელმწიფო მხარე დამატებით აცხადებს, რომ მომჩივანმა საჩივარი შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომელმაც განაცხადი დაუშვებლად ცნო, ვინაიდან “მასში არ აღინიშნა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმებით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების რაიმე სახის დარღვევა”. სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ სასამართლომ მოახდინა მომჩივნის განაცხადის შინაარსობრივი მხარის განხილვა და შესაბამისად, შეტყობინება დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (გ) პუნქტის საფუძველზე.

4.4 და ბოლოს, სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ ადამიანის უფლებათა სახელმწიფო ორგანოების თანახმად, კომიტეტი არ ახდენს ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას ადგილობრივი ორგანოების ნაცვლად.¹² წინამდებარე შეტყობინება ეფუძნება იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლის საფუძველზეც ეროვნულ სასამართლოებში გასაჩივრდა შემცირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. ეროვნულმა სასამართლოებმა განიხილეს ეს ფაქტობრივი გარემოებები და მომჩივანს პრეტენზიების დაკმაყოფილებაზე უარი უთხრეს. მომჩივანს არ განუმარტავს თუ რა სახით დაარღვიეს კონვენცია ადგილობრივმა ორგანოებმა შემცირებასთან დაკავშირებით აღძრული საჩივრის განხილვისას. სახელმწიფო მხარის თანახმად, მომჩივანი აღიარებს, რომ სახელმწიფოში მოქმედებს სამსახურში შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციისა და უთანასწორო მოპყრობის ამკრძალავი კანონმდებლობა (1995 წლის აქტი შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ). სახელმწიფო მხარის მტკიცებით, დასაქმების ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებით მომჩივანი ითხოვს კომიტეტის მიერ ეროვნული ტრიბუნალის გადაწყვეტილების გაუქმებას; თუმცა, მას არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება იმ ბრალდების გასამყარებლად, რომლის თანახმადაც სახელმწიფო მხარის სასამართლო

¹² სახელმწიფო მხარე მიუთითებს შემდეგი სახელმწიფო ორგანოს სამართალზე: ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტი, შეტყობინება No. 18/2008, “ერდიტო ფილიპინების წინააღმდეგ”, 2010 წლის 16 ივლისს მიღებული მოსაზრებები, პუნქტი 8.2., და იოკო ჰიაშის თანმხვედრი მოსაზრება. აგრეთვე, იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტის შეტყობინება No. 584/1994, “ვალენტინი საფრანგეთის წინააღმდეგ”, 1996 წლის 22 ივლისს მიღებული მოსაზრებები, პუნქტი 5.3.

სისტემამ სავარაუდო დისკრიმინაცია გაამართლა. შესაბამისად, სახელმწიფო მხარე მიიჩნევს, რომ შეტყობინება აშკარად დაუსაბუთებელია ან არ არის საკმარისად დასაბუთებული, ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (ე) პუნქტის შესაბამისად.

მომჩივნის კომენტარები სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით

5.1 2012 წლის 4 მაისს მომჩივანმა წარმოადგინა კომენტარები სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მისი საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით სასამართლომ ბოლო გადაწყვეტილება მიიღო 2012 წლის 12 თებერვალს. შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოებები ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლის შემდეგაც გრძელდებოდა და ამჟამადაც გრძელდება.

5.2 ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით მომჩივანი ამტკიცებს, რომ სასამართლომ განიხილა მისი საჩივრის ნაწილი გონივრული ცვილებების განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელიც დასაქმების ტრიბუნალმა უარყო. მან აგრეთვე შეიტანა დამატებითი განაცხადი, რომელიც შეეხებოდა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის სავარაუდო დარღვევებს სამართლიან სასამართლო პროცესთან და დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, სხვა მუხლებთან ერთობლიობაში. დამატებითი განაცხადი შეტანილ იქნა 2010 წლის დეკემბერში იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც მომჩივანს სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრა. 2011 წლის 29 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მომჩივანს შეატყობინა, რომ მისი განაცხადი, მათ შორის ყველა დამატებითი გაერთიანებული განაცხადი, დაუშვებლად იქნა ცნობილი მოსამართლის მიერ. მომჩივანი აცხადებს, რომ შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენცია შშმ პირებისათვის უფრო ფართო დაცვას ითვალისწინებს, ვიდრე ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენცია, სადაც შეზღუდული შესაძლებლობა ნახსენებიც არ არის. მომჩივნის ინფორმაციით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 29 მარტის წერილში აღნიშნულია, რომ “მოცემული კომუნიკაცია ხორციელდება სასამართლოს რეგლამენტის 52A წესის თანახმად, რომლის მიხედვითაც პროცედურული გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია დამატებითი განხილვის გარეშე.”¹³ შესაბამისად, მომჩივანს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა პროცედურული საფუძვლით, ხოლო საჩივრის არსებითი განხილვა არ მომხდარა.

5.3 რაც შეეხება სახელმწიფო მხარის არგუმენტს, რომლის თანახმადაც საჩივარი აშკარად დაუსაბუთებელია ან არასაკმარისად არის დასაბუთებული, მომჩივანი აცხადებს, რომ იგი კომიტეტს ფაქტობრივი გარემოებების შეფასებაში ეროვნული ორგანოების ჩანაცვლებას არ სთხოვს; არამედ, მომჩივანი კომიტეტს მიმართავს თხოვნით, კონვენციის მუხლების საფუძველზე გადაწყვიტოს, დაარღვია, თუ არა სახელმწიფო მხარემ კონვენცია, მოახდინოს საქმის არსებითი განხილვა და შეისწავლოს ის მტკიცებულებები, რომელსაც ეფუძნება წარმოდგენილი ბრალდებები და რომელიც ადასტურებს კონვენციის შესაბამისი მუხლების

¹³ წესი 52A – ერთი მოსამართლის პროცედურა

1. კონვენციის 27-ე მუხლის შესაბამისად, ერთ მოსამართლეს უფლება აქვს 34-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი განაცხადი მიიჩნიოს დაუშვებლად ან ამოიღოს სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეების სიიდან, ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია დამატებითი განხილვის გარეშე. გადაწყვეტილება საბოლოოა. მომჩივანს გადაწყვეტილების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს.

დარღვევას. მომჩივნის მტკიცებით, მისი პეტიცია შეიცავს საკმარისად დასაბუთებულ არსებით მხარეს, ფაქტებსა და არგუმენტებს კონვენციის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით. მომჩივნის განცხადებით, მიღებული გადაწყვეტილებები ნათლად ადასტურებს, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ მოსაზრება, რომლის თანახმადაც დიაბეტმა შესაძლოა გამოიწვიოს სამსახურის გაცდენა ავადმყოფობის გამო, დისკრიმინაციული არ არის.

კომიტეტის მიერ განსახილველი საკითხები და განხილვის პროცედურა

დასაშვებობის განხილვა

6.1 შეტყობინებაში წარმოდგენილი ნებისმიერი პრეტენზიის განხილვამდე, კომიტეტმა, ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 65-ე წესის შესაბამისად, უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა შეტყობინება კონვენციის ფაკულტატური ოქმის თანახმად დასაშვები.

6.2 კომიტეტი აღნიშნავს სახელმწიფო მხარის არგუმენტს, რომლის თანაცხმადაც მომჩივნის შემცირებასთან დაკავშირებულ მთავარ ფაქტობრივ გარემოებას 2006 წლის 10 ივლისს ჰქონდა ადგილი, ხოლო სასამართლო მოსმენები, რომლის ფარგლებშიც მოხდა მომჩივნის შემცირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა 2009 წლის 6 სექტემბერს ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლამდე გაიმართა. კომიტეტი აგრეთვე აღნიშნავს მომჩივნის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ მისი საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით სასამართლომ ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო 2012 წლის 12 თებერვალს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფაქტობრივი გარემოებები ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლის შემდეგაც გრძელდებოდა და ამჟამადაც გრძელდება.

6.3 რაც შეეხება ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (ვ) პუნქტის საფუძველზე დასაშვებობის *ratione temporis* კრიტერიუმს, კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარის მიმართ ფაკულტატური ოქმი ძალაში შევიდა 2009 წლის 7 ივლისს, კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხოლო ფაკულტატური ოქმი კი 2009 წლის 6 სექტემბერს, ოქმის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მომჩივანი შემცირებაში მოყვა 2006 წლის 10 ივლისს, ხოლო დასაქმების ტრიბუნალში საჩივარი წარადგინა 2006 წლის 25 აგვისტოს. ტრიბუნალმა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა 2007 წლის ივლისსა და აგვისტოში. 2007 წლის 24 ოქტომბერს მომჩივანმა გადაწყვეტილება დასაქმების სააპელაციო ტრიბუნალში გაასაჩივრა. ამ უკანასკნელმა კი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა 2007 წლის 29 დეკემბერს. 2010 წლის 12 თებერვალს სასესიო სასამართლომ უარი განაცხადა დაეკმაყოფილებინა საჩივარი, რომელიც მომჩივანმა დასაქმების სააპელაციო ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ აღძრა.

6.4 კომიტეტს მიაჩნია, რომ ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (ვ) პუნქტის შესაბამისად, კომიტეტს არ აქვს უფლება, განიხილოს კონვენციის ის სავარაუდო დარღვევები, რომელსაც სახელმწიფო მხარის მიმართ ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლამდე - მოცემულ შემთხვევაში, 2009 წლის 6 სექტემბრამდე - ჰქონდა ადგილი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს ფაქტები ძალაში შესვლის თარიღის შემდეგაც გრძელდებოდა.

6.5 კომიტეტი აღნიშნავს: მომჩივნის მტკიცებით, სახელმწიფო მხარის სასამართლო ორგანოებმა ზეპირი მოსმენის ფარგლებში მოახდინეს არსებითი განხილვა იმ პრეტენზიისა, რომლის თანახმადაც მომსახურების მიწოდების მენეჯერის თანამდებობიდან მომჩივნის დათხოვნა ეფუძნებოდა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ შეზღუდულ შესაძლებლობას შესაძლოა სამსახურის ხანგრძლივი დროით გაცდენა გამოეწვიოს, რის გამოც აღნიშნული გადაწყვეტილება იყო დისკრიმინაციული. ამავდროულად, მომჩივნის თანამდებობიდან დათხოვნა და სასამართლო განხილვა სახელმწიფო მხარის მიმართ კონვენციისა და ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლამდე მოხდა. ამასთან, 2010 წლის 12 თებერვალს, მას შემდეგ რაც აღნიშნული ორივე ინსტრუმენტი ძალაში შევიდა, სასესიო სასამართლომ მომჩივანს ახალი სააპელაციო საჩივრის აღძვრის უფლებაზე უარი უთხრა იმ მოტივით, რომ “მტკიცებულებების შეფასება დასაქმების ტრიბუნალის კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება, ხოლო სამართლებრივ ხარვეზს ადგილი არ ჰქონია”. კომიტეტს მიაჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს ქმედებას, რომელიც დაადასტურებდა ქვემდებარე სასამართლოების მიერ მომჩივნის დისკრიმინაციის ბრალდებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შინაარსს. შესაბამისად, სასამართლოს არ დაურღვევია მომჩივნის კონვენციით გათვალისწინებული უფლებები. ამრიგად, კომიტეტი ასკვნის, რომ სავარაუდო დარღვევებს ადგილი ჰქონდა მონაწილე სახელმწიფოში კონვენციისა და ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლამდე პერიოდში, ხოლო აღნიშნული მექანიზმების რეტროაქტიურად გამოყენება შეუძლებელია. შესაბამისად, ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (ვ) პუნქტის თანახმად, კომიტეტს არ გააჩნია *ratione temporis* უფლებამოსილება, განიხილოს წინამდებარე შეტყობინება.

6.6 *ratione temporis* პრინციპის გამოყენებით შეტყობინების დაუშვებლად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების გამო, კომიტეტი აღარ განიხილავს შეტყობინების დასაშვებობას ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (გ) და (ე) პუნქტების საფუძველზე, მომჩივნის მიერ მითითებული რომელიმე უფლების მიმართ.

7. ამრიგად, კომიტეტმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

(ა) შეტყობინება დაუშვებლად გამოცხადდეს ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (ვ) პუნქტით გათვალისწინებული *ratione temporis* პრინციპის საფუძველზე;

(ბ) აღნიშნული გადაწყვეტილება ეცნობოს სახელმწიფო მხარეს და შეტყობინების წარმდგენს.

[მოსაზრებები მიღებულია არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ხოლო ინგლისურენოვანი ტექსტი წარმოადგენს ორიგინალ ვერსიას. შემდგომში აგრეთვე იგეგმება მოსაზრებების რუსულ ენაზე გამოქვეყნება, იმ ყოველწლიური ანგარიშის ფარგლებში, რომელსაც კომიტეტი წარუდგენს გენერალურ ასამბლეას.]



შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა უფლებების
კონვენცია

გავრცელება: საყოველთაო
2013 წლის 21 ივნისი

ორიგინალი შედგენილია
ინგლისურ ენაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

შეტყობინება No. 1/2010

კომიტეტის მიერ მე-9 სესიაზე მიღებული მოსაზრებები
(2013 წლის 15-19 აპრილი)

წარმდგენი:	სილვია ნიუსტი და პეტერ ტოკაჩი (წარმოდგენთ ადვოკატი ტამას ფაზეკასი, ორგანიზაციიდან “უნგრეთის ჰელსინკის კომიტეტი”)
სავარაუდო დაზარალებული:	ავტორები
სახელმწიფო მხარე:	უნგრეთი
წარდგენის თარიღი:	2010 წლის 11 მარტი (თავდაპირველი წარდგენა)
გამოყენებული დოკუმენტები:	სპეციალური მომხსენებლის მიერ 70-ე წესის თანახმად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფო მხარეს გადაეცა 2010 წლის 20 სექტემბერს (არ გამოცემულა დოკუმენტის სახით)
გადაწყვეტილების მიღების თარიღი:	2013 წლის 16 აპრილი
შეტყობინების თემა:	კერძო საკრედიტო დაწესებულების მიერ პირის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე ჩადენილი დისკრიმინაციის ფაქტის სახელმწიფო მხარის ორგანოების მიერ აღმოუფხვრელობა; მხედველობის დარღვევის მქონე პირთათვის ბანკომატების მომსახურებაზე შეუფერხებელი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, [ბანკის] სხვა კლიენტებთან თანასწორობის საფუძველზე.
არსებითი საკითხები:	თანასწორი და ეფექტური იურიდიულ დაცვა შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე განხორციელებული დისკრიმინაციისგან; გონივრული მისადაგება; ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; საკუთარი ფინანსური საქმეების თავად განკარგვის უფლება
პროცედურული საკითხები:	სარჩელის <i>ratione temporis</i> დასაბუთება
კონვენციის მუხლები:	მე-5 მუხლის 2 და 3 პუნქტები, მე-9 მუხლი და მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი

დანართი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიერ ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის შესაბამისად მიღებული მოსაზრებები (მე-9 სესია)

No. 1/2010 შეტყობინებასთან დაკავშირებით*

შეტყობინების წარმდგენები:	სილვია ნიუსტი და პეტერ ტოკაჩი (წარმოადგენთ ადვოკატი ტამას ფაზეკასი, ორგანიზაციიდან “უნგრეთის ჰელსინკის კომიტეტი”)
სავარაუდო დაზარალებული:	ავტორები
სახელმწიფო მხარე:	უნგრეთი
წარდგენის თარიღი:	2010 წლის 11 მარტი (თავდაპირველი წარდგენა)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა, რომელიც შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე,

2013 წლის 16 აპრილს გამართულ შეხვედრაზე,

დაასრულა რა No. 1/2010 შეტყობინების განხილვა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტში წარადგინეს სილვია ნიუსტიმ და პეტერ ტოკაჩმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე,

გაითვალისწინა რა შეტყობინების წარმდგენისა და სახელმწიფო მხარის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაცია,

მიიღო შემდეგი მოსაზრებები:

* წინამდებარე უწყების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომიტეტის შემდეგმა წევრებმა: ბ-ნ. მოჰამედ ალ-ტარავენი, ბ-ნ. მუნთიან ბუნტანი, ქ-ნ. მარია სოლედად სისტერნას რეიესი, ქ-ნ. ტერესია დეგენერი, ბ-ნ. ჰიუნგ შიკ კიმი, ბ-ნ. ლოფტი ბენ ლალაჰომი, ბ-ნ. სტივ ლანგვალდი, ქ-ნ. ედაჰ ვანგეჩი მაინა, ბ-ნ. რონალდ მაკკალუმი, ქ-ნ. დიან მალიგანი, ბ-ნ. მარტინ ბაბუ მვესიგვა, ქ-ნ. საფაკ პავეი, ქ-ნ. ანა პელაეზ ნარვაეზი, ქ-ნ. სილვია ჯუდიტი ქუან-ჩანგი, ბ-ნ. კარლოს რიოს ესპინოსა, ბ-ნ. დამჯან ტატიკი და ბ-ნ. გერმან ხავიერ ტორეს კორეა. კომიტეტის რეგლამენტის მე-60 მუხლის შესაბამისად, კომიტეტის წევრ ბნ. ლაზლო გაბორ ლოვაზს არ მიუღია მონაწილეობა წინამდებარე მოსაზრებების მიღებაში.

ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის საფუძველზე მიღებული მოსაზრებები

1. შეტყობინების ავტორები არიან: სილვია ნიუსტი, უნგრეთის მოქალაქე, დაბადებული 1979 წლის 8 მაისს (პირველი მომჩივანი) და პეტერ ტოკაჩი, უნგრეთის მოქალაქე, დაბადებული 1977 წლის 31 მაისს (მეორე მომჩივანი). საჩივრის ავტორები ამტკიცებენ, რომ უნგრეთის სახელმწიფომ მათ წინააღმდეგ დაარღვია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, მე-9 მუხლი და მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი. კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება მოხდა 2008 წლის 3 მაისს. მომჩივნებს წარმოადგენს ადვოკატი ტამას ფაზეკასი, ორგანიზაციიდან “უნგრეთის ჰელსინკის კომიტეტი”.

ფაქტობრივი გარემოებები

2.1 მომჩივნებმა - მხედველობის მწვავე დარღვევის მქონე პირებმა - საბანკო დაწესებულებასთან “OTP Bank Zrt.” (შემდგომში, OTP) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გააფორმეს ხელშეკრულება კერძო პირთა მიმდინარე ანგარიშით მომსახურების თაობაზე.¹⁴ მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება მომჩივნებს საბანკო ბარათების გამოყენების უფლებას ანიჭებს, მათ არ აქვთ ბანკომატების დამოუკიდებლად გამოყენების შესაძლებლობა, ვინაიდან OTP-ის ექსპლუატაციაში არსებული ბანკომატების კლავიატურას ბრაილის შრიფტი არ აქვს. ამასთან, ბანკომატები არ უზრუნველყოფს აუდიო ინსტრუქციებსა თუ ხმოვან დახმარებას საბანკო ბარათით ოპერაციების განსახორციელებლად. მოსარჩელები იხდიან საბანკო ბარათით მომსახურებისა და საბარათე ტრანზაქციების განხორციელებისათვის დაწესებულ ყოველწლიურ საფასურს, ბანკის სხვა კლიენტების მიერ გადახდილი საფასურის ტოლი ოდენობით. მიუხედავად ამისა, მათ არ შეუძლიათ ბანკომატების მომსახურებით სარგებლობა მხედველობის მქონე კლიენტებთან თანასწორობის საფუძველზე. შესაბამისად, იმავე საფასურის ნაცვლად ისინი [სხვა კლიენტებთან შედარებით] ნაკლებ მომსახურებას იღებენ.

2.2. 2005 წლის 11 აპრილს მომჩივანთა იურიდიულმა წარმომადგენელმა OTP-ს მიმართა საჩივრით და მოითხოვა მისი კლიენტების საცხოვრებელ ადგილებთან ახლოს განთავსებულ ბანკომატებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.¹⁵ საჩივარი ეყრდნობოდა 2003 წლით დათარიღებულ CXXV აქტს “თანასწორი მოპყრობისა და თანასწორი შესაძლებლობების ხელშეწყობის” შესახებ (შემდგომში, “თანასწორი მოპყრობის შესახებ აქტი”). საჩივრის თანახმად, აქტის ძალაში შესვლის შემდგომ OTP ვალდებული იყო, თანასწორი მოპყრობის მოთხოვნებს დამორჩილებოდა და კლიენტები თანაბარი ხარისხის მომსახურებით უზრუნველყო. 2005 წლის 16 ივნისს OTP-მ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.

2.3. 2005 წლის 5 აგვისტოს მომჩივნებმა სამოქალაქო კოდექსის მე-4 თავის 76-ე და 84-ე მუხლების საფუძველზე (შემდგომში, “სამოქალაქო კოდექსი”) მეტროპოლიტანურ სასამართლოში შეიტანეს სარჩელი. თავიანთი სარჩელით ისინი მოითხოვდნენ OTP-ის მიერ

¹⁴ პირველ მომჩივანსა და OTP -ს შორის კონტრაქტი გაფორმდა 1996 წლის 1 ნოემბერს და განახლდა 2006 წლის 1 იანვარს. მეორე მომჩივანსა და OTP-ს შორის კონტრაქტი გაფორმდა 2003 წლის 23 დეკემბერს.

¹⁵ 2005 წლის 11 აპრილის საჩივრის შესაბამის მონაკვეთში აღნიშნულია: “გთხოვთ, წერილობით შემატყობინოთ ბუდაპეშტში ჩემი კლიენტის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე OTP -ის რომელი ბანკომატები იძლევა შეუფერხებლად გამოყენების საშუალებას. ასეთი ბანკომატების არარსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, უზრუნველყოთ 15 დღის ვადაში მათი შესაბამისად მოდიფიცირება და აღნიშნულის შესახებ შემატყობინოთ.”

მათი პიროვნული უფლებების - კერძოდ, თანასწორი მოპყრობის უფლების - დარღვევის აღიარებას. მათი განმარტებით, OTP ახდენს მათ პირდაპირ დისკრიმინაციას, ვინაიდან შეზღუდული შესაძლებლობის გამო, OTP-ის სხვა კლიენტებთან შედარებით ისინი იღებენ რაოდენობრივად და ხარისხობრივად ნაკლებ მომსახურებას, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ გადახდილი საფასური სხვა კლიენტების მიერ გადახდილი საფასურის იდენტურია. მომჩივანთა მტკიცებით, სამოქალაქო კოდექსის 84-ე მუხლის 1-ლი პუნქტის “დ” ქვეპუნქტის საფუძველზე, OTP ვალდებული იყო, აღმოეფხვრა არსებული უკანონობა, მის ექსპლუატაციაში არსებული ყველა ბანკომატის მოდიფიცირების გზით. სამართლებრივი დაცვის აღნიშნულ საშუალებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოსარჩელები მოითხოვდნენ, რომ მეტროპოლიტანურ სასამართლოს OTP-ისათვის დაევალებინა ქვეყნის მასშტაბით არსებული ბანკომატების მოდიფიცირება თანასწორობისა და დაბალანსებული ტერიტორიული განაწილების საფუძველზე¹⁶. მოსარჩელები მოითხოვდნენ ადამიანური ღირსების შელახვის შედეგად მიყენებული არა-მატერიალური ზიანის ანაზღაურებას 300,000 უნგრული ფორინტის ოდენობით (თითოეული მათგანისათვის), სამოქალაქო კოდექსის 84-ე მუხლის 1-ლი პუნქტის “ე” ქვეპუნქტის შესაბამისად.

2.4 თავიანთ სამოქალაქო სარჩელში მომჩივნები მიუთითებდნენ “თანასწორი მოპყრობის აქტის” მე-8 და 30(1)(ბ) მუხლებზე, “შშმ პირებისათვის უფლებებისა და თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფის შესახებ” 1998 წლის XXVI აქტზე (“შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ აქტი”) და “ანთროპოგენური გარემოს ფორმირებისა და დაცვის შესახებ” 1997 წლის LXXVIII აქტზე (“ანთროპოგენური გარემოს შესახებ აქტი”). ამ კანასკნელის თანახმად, ბანკომატი შენობის ნაწილია და, როგორც ასეთი, ექვემდებარება ხელმისაწვდომობის შესახებ მოთხოვნებს.

2.5 2005 წლის 3 ოქტომბერს OTP-მ მოითხოვა მომჩივანთა სამოქალაქო სარჩელის უარყოფა. OTP-ის მოსაზრებით, მომჩივანთა მიერ მოთხოვნილი დამატებითი სერვისები პოზიტიურ დისკრიმინაციას წარმოადგენდა. შესაბამისად, სასამართლოს არ გააჩნდა უფლებამოსილება, კომპანიისთვის დაეკისრებინა აღნიშნული ზომების მიღების ვალდებულება. OTP დამატებით აცხადებდა, რომ სახელმწიფოს ვალდებულებას ძირითადად წარმოადგენდა შშმ პირებისათვის შენობებზე შეუფერხებელი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ხოლო “ანთროპოგენური გარემოს შესახებ აქტის” თანახმად, OTP-ის ხმარებაში არსებული ბანკომატები “შენობებს” არ წარმოადგენდა. შესაბამისად, ამ აქტის მოთხოვნები არ ვრცელდებოდა OTP-ზე. კომპანია აგრეთვე აღნიშნავდა, რომ ვინაიდან ორივე მომჩივანმა [საბანკო მომსახურების შესახებ] ხელშეკრულებას ხელი მოაწერა “თანასწორი მოპყრობის შესახებ აქტის” ძალაში შესვლამდე, ეს უკანასკნელი არ ვრცელდებოდა განსახილველ სამართლებრივ ურთიერთობაზე. დამატებით, “თანასწორი მოპყრობის შესახებ აქტის” მე-5(ბ) მუხლის თანახმად, ბანკომატები არ ხვდება “საქონლისა და მომსახურების მიწოდებისათვის განკუთვნილი ღია საზოგადოებრივი ადგილების” განსაზღვრებაში.

2.6 OTP დამატებით აღნიშნავდა, რომ საბანკო ბარათის მომსახურების მიწოდების პროცესში იგი არ ახორციელებდა მომჩივანთა წინააღმდეგ პირდაპირ ან ირიბ დისკრიმინაციას, ვინაიდან ხელშეკრულების ფარგლებში OTP-ის ურთიერთობა მომჩივნებთან არ წარმოადგენდა “აქტიურ ქცევას”, “თანასწორი მოპყრობის შესახებ აქტის” მიზნების შესაბამისად. აქტის მე-7(2) მუხლის

¹⁶ 2005 წლის 5 აგვისტოთი დათარიღებულ სამოქალაქო სარჩელში აღნიშნულია: “ჩვენ მოვითხოვთ, რომ [...] სასამართლომ [OTP-ის] დაავალოს არსებული უკანონო სიტუაციის აღმოფხვრა და ზოგიერთი ბანკომატის მოდიფიცირება, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.”

საფუძველზე OTP აცხადებდა, რომ ბანკომატებში შესაბამისი შესწორებების განხორციელება გაზრდიდა საბანკო უსაფრთხოების რისკებს მხედველობის დარღვევის მქონე კლიენტებისათვის “მათი სპეციალური მდგომარეობიდან გამომდინარე”. ამასთან, აღნიშნული შესწორებები OTP-ის მოულიდნელ ფინანსურ ტვირთს დააკისრებდა. კომპანია აგრეთვე აცხადებდა, რომ ზოგიერთი ბანკომატის მოდიფიცირება შეუძლებელია. და ბოლოს, კომპანია აცხადებდა, რომ მომჩივნების მიერ მოთხოვნილი სერვისების უზრუნველყოფის ვალდებულების დაკისრებით სასამართლო ჩაერეოდა მხარეებს შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რითაც დაარღვევდა OTP-ის ხელშეკრულების თავისუფლების უფლებას, რომელიც კონსტიტუციით არის გარანტირებული.

2.7 2007 წლის 14 მაისს მეტროპოლიტანურმა სასამართლომ დაადგინა, რომ OTP-მ დაარღვია მომჩივნების უფლება ადამიანურ ღირსებასა და თანასწორ მოპყრობაზე. სასამართლოს დასკვნით, OTP-ის ქცევამ გამოიწვია ირიბი დისკრიმინაცია, ვინაიდან მხედველობის დარღვევის გამო მომჩივნებს არ ჰქონდათ ბანკომატის სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა, სხვა კლიენტებთან თანასწორობის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნები იხდიდნენ იგივე საფასურს, რასაც დანარჩენი კლიენტები.¹⁷ სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნების მიერ მოთხოვნილი სერვისები ვერ ჩაითვლებოდა პოზიტიურ დისკრიმინაციად და ხაზგასმით აღნიშნა თანასწორობის უფლებასა და შესაძლებლობების თანასწორობას შორის არსებული განსხვავება. თანასწორობის უფლება სერვისის პროვაიდერებს აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყონ თანაბარი სერვისები თანაბარ ფასად, მაგრამ არ გულისხმობს იმას, რომ თითოეული კლიენტისათვის მიწოდებული სერვისი უნდა იყოს იდენტური. პირიქით, თანასწორობის უფლება მოიცავს სერვისების მიწოდების სხვადასხვა გზებს, რათა მხედველობის დარღვევის მქონე კლიენტებმა შეძლონ ბანკომატებით სარგებლობა დამოუკიდებლად და ნებისმიერ დროს, ისევე როგორც იმ კლიენტებმა, რომლებიც [ბანკომატით სარგებლობის] იგივე საფასურს იხდიან.

2.8 მეტროპოლიტანურმა სასამართლომ დაადგინა, რომ OTP-ს მხედველობის დარღვევის მქონე კლიენტებისათვის უნდა უზრუნველყო ბანკომატების გამოყენებისათვის საჭირო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, OTP-მ არ შეასრულა ბანკომატების მოდიფიცირების ვალდებულება 2004 წლის 27 იანვრის შემდეგომ პერიოდში, როდესაც “თანაბარი მოპყრობის აქტი” შევიდა ძალაში. სასამართლომ OTP-ის დაავალა 120 დღის ვადაში თითოეული ოლქის მთავარ ქალაქში, სულ მცირე, ერთი ბანკომატის მოდიფიცირება; აგრეთვე, ბუდაპეშტის თითოეულ რაიონში ერთი ბანკომატისა და მომჩივნების საცხოვრებელ უბნებში ოთხი ბანკომატის მოდიფიცირება. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ბანკომატების მოდიფიცირება შესაძლებელია ყოველწლიური სარემონტო სამუშაოების ფარგლებში, ხოლო გაწეული ხარჯების დაანგარიშება უნდა მოხდეს ბანკომატის ტიპის და არა თითოეული ბანკომატის მიხედვით. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ არსებული 1,800 ბანკომატიდან დაახლოებით მესამედის მოდიფიცირება შეუძლებელია, ხოლო ამ ბანკომატების ახლით ჩანაცვლება OTP-ის მნიშვნელოვან ფინანსურ ტვირთს დააკისრებდა.

2.9 OTP-ის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების საპასუხოდ, მეტროპოლიტანურმა სასამართლომ განაცხადა, რომ “თანასწორი მოპყრობის შესახებ აქტის” მე-5 მუხლი ვრცელდება ყველა სამოქალაქო ურთიერთობაზე, მიუხედავად იმისა, წარმოადგენენ თუ არა მხარეები

¹⁷ სასამართლო მიუთითებს “თანასწორი მოპყრობის შესახებ აქტის” მე-8(ზ) მუხლზე, რომლის თანახმადაც, “[სერვისის] მიწოდება პირდაპირ დისკრიმინაციას წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ იწვევს პიროვნების ან ჯგუფის უთანასწორო მოპყრობას სხვა პირებთან ან ჯგუფთან შედარებით, მხოლოდ და მხოლოდ მათი სავარაუდო ან რეალური შეზღუდული შესაძლებლობის გამო.”

საჯარო ან სამოქალაქო სექტორს, სადაც სერვისები კლიენტთა მრავალრიცხოვან რაოდენობას მიეწოდება. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ აღნიშნული მუხლის დებულებები ვრცელდება ხელშეკრულების ისეთ შეთავაზებებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა “თანასწორი მოპყრობის შესახებ აქტის” ძალაში შესვლამდე, ვინაიდან აქტის მიზანია დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს დაუქვემდებაროს ნებისმიერ ურთიერთობა, რომელიც შეეხება კლიენტთა დიდ ოდენობას.

2.10 მეტროპოლიტანურმა სასამართლომ თითოეულ მომჩივანს აგრეთვე მიანიჭა კომპენსაცია მიყენებული მატერიალური ზიანისთვის, 200,000 უნგრული ფორინტის ოდენობით. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ OTP-მ ცოტა ხნის წინ მოახდინა ახალი ბანკომატების შესყიდვა, რომელთა მოდიფიცირებაც შეუძლებელია, და არ მიიღო რაიმე ზომა მომჩივანთა მიერ ბანკომატის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მას შემდეგაც კი, რაც ძალაში შევიდა “თანასწორი მოპყრობის შესახებ აქტი”. ამასთან, OTP-მ მომჩივნებს შესთავაზა ხელშეკრულებების გაუქმება უსაფრთხოების მაღალი რისკების გამო.

2.11 2007 წლის 2 ივლისს მომჩივნებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს სააპელაციო მეტროპოლიტანურ სასამართლოში და მოითხოვეს ყველა ბანკომატის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა¹⁸, ხოლო კომპენსაციის ოდენობის 300,000 უნგრულ ფორინტამდე გაზრდა. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ მათი ხელმისაწვდომობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ ქალაქებით, სადაც მეტროპოლიტანური სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მოხდა ბანკომატების მოდიფიცირება, ვინაიდან მათ მინიჭებული აქვთ გადაადგილების თავისუფლება და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება. სამართალწარმოების მიზანს წარმოადგენდა დისკრიმინაციული პრაქტიკის სრულებით და არა ნაწილობრივ გაუქმება. შესაბამისად, მომჩივნების აზრით, მეტროპოლიტანური სასამართლოს მიერ დადგენილი 120 დღის ვადა არასაკმარისია ყველა ბანკომატის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათი მტკიცებით, აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია თანდათანობით და შესაბამისი ვადების დაწესებით. და ბოლოს, მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ბანკომატების მოდიფიცირებასთან დაკავშირებული ხარჯები OTP -ის მიერ 2006 წელს მიღებული სუფთა შემოსავლის მხოლოდ 0.12 პროცენტს წარმოადგენდა და შესაბამისად, ვერ ჩაითვლება არაპროპორციულ ფინანსურ ტვირთად.

2.12 პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება OTP-მ გაასაჩივრა 2007 წლის 13 ივლისს. სააპელაციო საჩივარში კომპანიამ კიდევ ერთხელ მოითხოვა მომჩივანთა სამოქალაქო სარჩელის უარყოფა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეტროპოლიტანურ სასამართლოს არ დაუკონკრეტებია ის სამართლებრივი დებულება, რომელიც 2004 წლის 27 იანვრის შემდგომ პერიოდში ბანკომატების მოდიფიცირების ვალდებულებას აწესებს და რომლის მიხედვითაც, OTP-ის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა ადამიანის უფლებების დარღვევა იქნება. ბანკომატების რაოდენობა და მდებარეობა განისაზღვრა “ფართო სპექტრში”, რის გამოც აღნიშნული ბანკომატები ვერ იქნება მიჩნეული მომჩივანთა “აუცილებელ საჭიროებად”, ვინაიდან მომჩივნები ბუდაპეშტის მაცხოვრებლები არიან. OTP დამატებით აცხადებს, რომ ბანკომატების მოდიფიცირება “უსინათლო და მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანებს მისცემს მოტივაციას იმისა, რომ ბანკომატები დახმარების გარეშე

¹⁸ მეტროპოლიტანური სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ აღძრულ 2007 წლის 2 ივლისის საჩივრის შესაბამის ნაწილში ნათქვამია: “ჩვენ მოვითხოვთ, რომ [...] მეტროპოლიტანურმა სააპელაციო სასამართლომ [OTP-ს] დაავალოს ყველა ბანკომატის გარდაქმნა ხელმისაწვდომ ბანკომატად (ე.ი. პირველი ინსტანციის [სასამართლოს] გადაწყვეტილებით განსაზღვრულ დონეზე მაღლა, ისე, როგორც [ამ] გადაწყვეტილებაშია აღნიშნული.”

გამოიყენონ, რამაც შესაძლოა არა მხოლოდ OTP-ის უსინათლო და მხედველობის დარღვევის მქონე კლიენტთა ქონების უსაფრთხოებას, არამედ მათ პიროვნულ უსაფრთხოებასაც შეუქმნას საფრთხე.” OTP აგრეთვე უარყოფდა მომჩივანთა ბრალდებას, რომლის მიხედვითაც ბანკი მათ ანგარიშების დახურვით დაემუქრა, ხოლო ბანკის მიერ შექმნილი ახალი ბანკომატები მოდიფიცირებას არ ექვემდებარება. OTP-ი აცხადებდა, რომ ბანკომატების მოდიფიცირება არღვევს ბანკის ხელშეკრულების თავისუფლებას, ვინაიდან სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობაში ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კანონმდებლობით ცალსახად და მკაფიოდ განსაზღვრულ შემთხვევებში. რაც შეეხება მომჩივანთა პრეტენზიას კომპენსაციის შესახებ, კომპანია აცხადებს: ის ფაქტი, რომ უსინათლო ან მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანებს ბანკომატების გამოსაყენებლად სხვა პირის დახმარება ესაჭიროებათ, არ არღვევს მათ ადამიანურ ღირსებას. შესაბამისად, კონკრეტული ზიანის არარსებობის ფონზე, მომჩივანთა პრეტენზია მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ უსაფუძვლოა.

2.13 2008 წლის 10 იანვარს მეტროპოლიტანურმა სააპელაციო სასამართლომ უარყო მომჩივნის საჩივარი და მხარი დაუჭირა მეტროპოლიტანური სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც მოცემულ სამართლებრივი დავაზე არ ვრცელდებოდა “შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ აქტი”. კერძოდ, აქტის დებულებები არეგულირებს ანთროპოგენურ გარემოსთან დაკავშირებული ბარიერების აღმოფხვრას, მაშინ როდესაც მომჩივნების სამოქალაქო სარჩელი უკავშირდებოდა ბანკომატის საშუალებით საბანკო ბარათით სარგებლობას. ამრიგად, საჩივარი “შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ აქტს” არ ექვემდებარება. ამასთან, აქტი სახელმწიფო მხარეს აკისრებს შშმ პირთა უფლებების პრაქტიკაში განხორციელების ვალდებულებას, რაც დამოკიდებულია “ეროვნულ ეკონომიკურ სიძლიერეზე”. შესაბამისად, მეტროპოლიტანურმა სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ “შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ აქტი” არ შეიცავს ისეთ დებულებებს, რომლებსაც ექვემდებარებიან მომჩივანთა სამოქალაქო საჩივარში წარმოდგენილი მხარეები; არამედ, წინამდებარე საჩივარში გამოყენებული უნდა იქნას კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსისა და “თანასწორი მოპყრობის შესახებ აქტის” დებულებები. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მხარი დაუჭირა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოცემული სამართლებრივი ურთიერთობა ხვდება “თანასწორი მოპყრობის შესახებ აქტის” მოქმედების ფარგლებში, აქტით განსაზღვრული პირთა წრისა და ვადების შესაბამისად. დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით, მეტროპოლიტანურმა სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება; კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნების საქმეში განხორციელდა ირიბი და არა პირდაპირი დისკრიმინაცია.¹⁹ ამასთან, სასამართლოს დასკვნით, ის ფაქტი რომ მომჩივნებს სჭირდებოდათ ან შესაძლოა დასჭირვებოდით საზოგადოების სხვა წევრების დახმარება მათი შეზღუდული შესაძლებლობის გამო, არ არღვევს მათ ადამიანურ ღირსებას და შესაბამისად, ვერ იქნება მიჩნეული მომჩივნების, როგორც ადამიანების, დამცირებად. სასამართლომ დამატებით დაადგინა, რომ OTP-ს ენიჭება ხელშეკრულების გაფორმების თავისუფლება, რომელსაც პატივი უნდა ეცეს არა მხოლოდ ხელშეკრულების ხელმოწერის, არამედ მასში ცვლილებების შეტანის დროს. ამრიგად, სასამართლოს არ აქვს უფლება ხელშეკრულების რომელიმე მხარის თხოვნის საფუძველზე ჩაერიოს ხანგრძლივ სახელშეკრულებო ურთიერთობაში და კომპანიას დაავალოს იმ მოვალეობის შესრულება, რომელიც ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული. სასამართლომ აგრეთვე მხარი დაუჭირა OTP-ს არგუმენტს იმის თაობაზე, რომ პიროვნული

¹⁹ მეტროპოლიტანურმა სააპელაციო სასამართლომ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ ყველა ადამიანს მიუწვდება ხელი ბანკომატის გამოყენების თანაბარ პირობებზე, მომჩივნები იმყოფებოდნენ არათანაბარ მდგომარეობაში, სხვა კლიენტებთან შედარებით, მათი შეზღუდული შესაძლებლობის გამო.

უსაფრთხოების მაღალი რისკების გამო, მოდიფიცირება არ უზრუნველყოფს მომჩივანთა მიერ ბანკომატების დამოუკიდებლად გამოყენებას. და ბოლოს, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნებს არ აქვთ უფლება, მოითხოვონ ქვეყნის მასშტაბით OTP-ს ხმარებაში არსებული ყველა ბანკომატის მოდიფიცირება. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილებას არ ამართლებს პიროვნების მიერ საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპი. ამრიგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ OTP თავისუფალია “თანაბარი მოპყრობის აქტით” გათვალისწინებული [თანასწორი] მოპყრობის უზრუნველყოფის ვალდებულებისაგან.

2.14 2008 წლის 14 აპრილს მომჩივნებმა უზენაეს სასამართლოს მიმართეს საგანგებო სასამართლო გადასინჯვის თხოვნით და მეტროპოლიტანური სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვეს.²⁰ ამასთან, თავიანთ თავდაპირველ არგუმენტებში მომჩივნები აცხადებდნენ, რომ მოცემულ სამართლებრივ დავაში დისკრიმინაციის პირდაპირ ან ირიბ დისკრიმინაციად კვალიფიცირების საკითხი არ იყო მნიშვნელოვანი, ვინაიდან ორივე შემთხვევაში თანასწორი მოპყრობის ვალდებულებისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებული წესები ერთი და იგივეა. მომჩივნები მიუთითებდნენ “თანასწორი მოპყრობის საკონსულტაციო საბჭოს” მოსაზრებაზე,²¹ რომლის თანახმადაც “შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ აქტის” მოთხოვნების შეუსრულებლობა კვალიფიცირებულია ირიბ ნეგატიურ დისკრიმინაციად, ვინაიდან აღნიშნული იწვევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ნაკლებად ხელსაყრელ მოპყრობას, შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებთან შედარებით, ვინაიდან იზღუდება ან ფერხდება მათი გადაადგილება და სერვისებზე ხელმისაწვდომობა. მომჩივნები აგრეთვე აცხადებდნენ, რომ ხელშეკრულების თავისუფლება არ წარმოადგენს “თანასწორი მოპყრობის აქტის” გამოყენების ვალდებულებიდან გათავისუფლების საფუძველს, ვინაიდან ხელშეკრულების თავისუფლება არ წარმოადგენს ფუნდამენტურ კონსტიტუციურ უფლებას.²² მომჩივნებმა გაასაჩივრეს მეტროპოლიტანური სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომლის თანახმადაც შშმ პირთა დამოკიდებულება საზოგადოების სხვა წევრების დახმარებაზე არ არღვევს მათ ადამიანურ ღირსებას და განაცხადეს, რომ ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 70A მუხლით გათვალისწინებულ თანაბარი მოპყრობის მოთხოვნას.

2.15 OTP-მ უზენაეს სასამართლოს მიმართა მეტროპოლიტანური სააპელაციო სასამართლოს მხარდაჭერის თხოვნით და კიდევ ერთხელ აღნიშნა ხელშეკრულების თავისუფლებასთან დაკავშირებული არგუმენტები. კომპანიის თანახმად, მომჩივნებმა კონტრაქტს თავისუფალი ნების საფუძველზე მოაწერეს ხელი, OTP-ის სერვისების შესახებ გააჩნდათ სრული ინფორმაცია და სრულად ეთანხმებოდნენ აღნიშნული სერვისების მიწოდების პირობებს.

2.16 უზენაესმა სასამართლომ 2009 წლის 4 თებერვალს გამოტანილ გადაწყვეტილებაში უარყო როგორც მომჩივანთა, ისე OTP-ის თხოვნა სასამართლო გადასინჯვის შესახებ. უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა მეტროპოლიტანურ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც მხედველობის მქონე პირებისათვის შექმნილი ბანკომატები უსინათლო ან მხედველობის დარღვევის მქონე პირებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, მიუხედავად

²⁰ მეტროპოლიტანური სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ აღძრულ 2008 წლის 14 აპრილის საჩივრის შესაბამის ნაწილში ნათქვამია: “ჩვენ მოვითხოვთ, რომ [...] უზენაესმა სასამართლომ [OTP-ს] დაავალოს ყველა ბანკომატის მოდიფიცირება, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.”

²¹ “თანასწორი მოპყრობის საკონსულტაციო საბჭოს” მოსაზრება, 10.007/3/2006.TT.

²² მომჩივნები მიუთითებენ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე 229/B/1998 და 61/1992 (XI.20). მომჩივნები აგრეთვე განსხვავებენ “ხელშეკრულების თავისუფლებასა” და “ხელშეკრულების დადების თავისუფლებას.”

იმისა, რომ ერთი შეხედვით მათ სხვებთან შედარებით თანაბარ პირობებში შეუძლიათ ბანკომატების გამოყენება. არახელსაყრელ მდგომარეობას იწვევს ის ფაქტი, რომ ბანკომატებს არ აქვს ბრაილის შრიფტი, ხოლო საბანკო ბარათის მფლობელს აპარატის გამოყენების დროს ხმოვან დახმარებაზე არ მიუწვდება ხელი. უზენაესი სასამართლო აგრეთვე დაეთანხმა მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ “თანასწორი მოპყრობის შესახებ აქტის” თანახმად OTP-ის არ ეკისრება თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფის ვალდებულება. ამასთან, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეებმა ხელი მოაწერეს კერძო მიმდინარე ანგარიშის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას, რომლის შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებაც ენიჭებათ. სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივნები გაეცნენ ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის შეზღუდული სარგებლობის შესახებ და ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დაეთანხმდნენ ნაგულისხმევი ქმედებით გამოწვეულ არახელსაყრელ მდგომარეობას.

2.17 მომჩივნები აცხადებენ, რომ მათ ამოწურეს ყველა სახის ადგილობრივი დაცვის ეფექტური საშუალება, ხოლო წინამდებარე თემა არ განხილულა და არ განიხილება სხვა საერთაშორისო საგამომიებო ან დავების მოგვარების პროცედურის ფარგლებში. ფაკულტატური ოქმის მე-2(ვ) მუხლზე მითითებით, რომლის თანახმადაც დაუშვებელია ნებისმიერი შეტყობინება, თუ მასში მოყვანილს ადგილი ჰქონდა შესაბამისი სახელმწიფო მხარის მიმართ ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ფაქტები გრძელდება [ძალაში შესვლის] თარიღის შემდეგ, მომჩივნები აცხადებენ, რომ კომიტეტს უფლება აქვს, განიხილოს წინამდებარე შეტყობინება. მათი მტკიცებით, განსახილველი ფაქტები გრძელდება ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლის შემდგომ პერიოდშიც, ხოლო წინამდებარე შეტყობინებასთან დაკავშირებით მიღებული ბოლო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სახელმწიფო მხარის მიერ ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების შემდგომ.

საჩივარი

3.1 მომჩივნები აცხადებენ, რომ სახელმწიფომ მხარი დაუჭირა შშმ პირების წინააღმდეგ დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმების ძალაში შესვლას და შექმნა აღნიშნული დებულებების დარღვევის შემთხვევაში სამართლებრივი დაცვის საშუალებები. ამავდროულად, ნორმების ძალაში შესვლა არ უზრუნველყოფს უნგრეთის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების სრულად შესრულებას. ამ ნორმების იმგვარად გამოყენება და განმარტება, რაც ხელს უწყობს ეფექტურ ხელმისაწვდომობას, დამოკიდებულია სახელმწიფო მხარის სახელით მოქმედ ორგანოებზე. მომჩივნები აცხადებენ, რომ მეტროპოლიტანური სასამართლოს მსჯელობიდან ამკარაა, რომ სახელმწიფო მხარის სამართლებრივი ჩარჩოს განმარტება შესაძლებელია კონვენციის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს კონვენციაში მითითებულ დაცვას. მიუხედავად ამისა, მეტროპოლიტანურმა სააპელაციო სასამართლომ და უზენაესმა სასამართლომ კანონები განმარტეს იმგვარად, რაც ეწინააღმდეგება კონვენციას. შესაბამისად, სახელმწიფო მხარის მიერ მიერ უზრუნველყოფილი დაცვა ვერ ჩაითვლება საკმარისად და ეფექტურად. ამრიგად, მომჩივნები აცხადებენ, რომ კანონმდებლობის არასწორად ინტერპრეტაციით სახელმწიფო მხარის სახელით მოქმედმა ორგანოებმა ვერ შეძლეს, უზრუნველყოთ მომჩივნების კონვენციით დაცული უფლებები.

3.2 მომჩივნები აცხადებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის გამო მათ განიცადეს პირდაპირი დისკრიმინაცია ბანკომატებით უზრუნველყოფილი სერვისების

ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, OTP-ის მხედველობის მქონე კლიენტებთან შედარებით. ისინი აცხადებენ, რომ დისკრიმინაციის განსაზღვრისას როგორც მეტროპოლიტანურმა სააპელაციო სასამართლომ, ისე უზენაესმა სასამართლომ უგულვებელყო “თანასწორი მოპყრობის საკონსულტაციო საბჭოს” მოსაზრება, რომლის თანახმადაც “[...] შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს თანასწორი მოპყრობის დარღვევას. შესაბამისად, შეუფერხებელი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულების შეუსრულებლობა ხვდება “თანასწორი მოპყრობის შესახებ აქტის” მოქმედების სფეროში. [...] ხელმისაწვდომობის მოვალეობის უგულვებელყოფა წარმოადგენს პირდაპირ დისკრიმინაციას, ვინაიდან ეს ნიშნავს, რომ შშმ პირებს სერვისების ხელმისაწვდომობის მხრივ ეპყრობიან უთანასწოროდ, შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე პირებთან შედარებით [...]”²³ ამასთან, მეტროპოლიტანურმა სასამართლომ სწორად გამოიყენა გონივრულობის ტესტი მაშინ, როდესაც მსჯელობდა, ეკისრება, თუ არა OTP-ის არაპროპორციული ფინანსური ტვირთი ბანკომატებში საჭირო შესწორებების განხორციელების გამო (იხ. პუნქტი 2.8). ამავდროულად, “ადამიანური ღირსების” კრიტერიუმში, რომელზეც მეტროპოლიტანურმა სააპელაციო სასამართლომ მიუთითა გონივრულობის ტესტის გამოყენებისას (იხ. პუნქტი 2.14), არა მხოლოდ შეუსაბამოა განსხვავებული მოპყრობის გონივრული საფუძველის არსებობის საკითხის განხილვისას, არამედ აგრეთვე ეწინააღმდეგება კონვენციის ისეთ ძირითად მიზნებს, როგორებიცაა თანდაყოლილი ღირსების პატივისცემა, შშმ პირთა ინდივიდუალური ავტონომიურობა და მათი ჩართვა საზოგადოებაში.

3.3 მომჩივნები აცხადებენ, რომ მათი თხოვნის საფუძველზე OTP-სა და მომჩივნებს შორის არსებულ ხანგრძლივ სახელშეკრულებო ურთიერთობაში ჩარევაზე უარის თქმით, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა OTP-ზე თანაბარი მოპყრობის ვალდებულების დაკისრება, რაც ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული, მეტროპოლიტანურმა სააპელაციო სასამართლომ და უზენაესმა სასამართლომ დაარღვიეს სახელმწიფო მხარის კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე ყველა სახის დისკრიმინაციის აკრძალვისა და შშმ პირებისათვის დისკრიმინაციის წინააღმდეგ თანასწორი და ეფექტური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის შესახებ, დისკრიმინაციის საფუძველისდა მიუხედავად.

3.4 ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომჩივნები ასკვნიან, რომ მათ წინააღმდეგ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 და მე-2 პუნქტებით, მე-9 მუხლითა და მე-12 უხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებები და შესაბამისად, მათ აქვთ სამართლიანი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

სახელმწიფო მხარის არგუმენტები შეტყობინების დასაშვებობასთან და არსებით მხარესთან დაკავშირებით

4.1 2010 წლის 22 ნოემბერს სახელმწიფო მხარემ კომიტეტს შეატყობინა, რომ მას წინამდებარე შეტყობინების დასაშვებობის წინააღმდეგ არგუმენტები არ აქვს.

4.2 2011 წლის 21 მაისს სახელმწიფო მხარემ წარადგინა არგუმენტები შეტყობინების არსებით მხარესთან დაკავშირებით. იგი აღნიშნავს, რომ არსებული უნგრული კანონმდებლობის თანახმად, უზენაესი სასამართლოს მიერ 2009 წლის 4 თებერვალს მიღებული

²³ <http://www.egyenlobanasmod.hu/index.php?g=hirek/TTaf200610.htm>

გადაწყვეტილება იყო მყარი; თუმცა, ამავდროულად აცხადებს, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი პრობლემა რეალურია და სამართლიანად უნდა გადაიჭრას.

4.3 სახელმწიფო მხარემ წარადგინა პრობლემის ყველა მხარისათვის მისაღები გადაწყვეტის სამი ასპექტი: პირველ რიგში, საჭიროა გადაიდგას ნაბიჯები ბანკომატებისა და სხვა საბანკო სერვისების ხელმისაწვდომობისათვის, მათ შორის არა მხოლოდ უსინათლო, არამედ სხვა შშმ პირებისათვის. მეორე, შესაბამისი ხარჯებისა და ტექნიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია თანდათანობით, ისეთი ახალი ბანკომატების შესყიდვითა და დამონტაჟებით, რომლებიც აკმაყოფილებს ფიზიკური და ინფო-კომუნიკაციური ხელმისაწვდომობის ელემენტარულ მოთხოვნას. და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ შეტყობინება შეეხება კონკრეტული ბანკის მიერ მიწოდებულ სერვისებს, ხსენებული მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს უნგრეთში არსებულმა თითოეულმა ფინანსურმა დაწესებულებამ.

4.4 ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, ეროვნული რესურსების სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა სოციალურ, ოჯახურ და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში 2011 წლის 18 მარტს OTP-ს აღმასრულებელ დირექტორს/პრეზიდენტს მიმართა წერილით და მოითხოვა ინფორმაცია ბანკის სარგებლობაში არსებულ ბანკომატებთან დაკავშირებით შესაძლო გეგმებისა და ვალდებულებების თაობაზე. სახელმწიფო მდივანმა კომპანიას მოუწოდა, რომ მომავალში ახალი ბანკომატების შესყიდვის პროცესში პრიორიტეტი მიანიჭოს აპარატების ხელმისაწვდომობის საკითხს.

4.5 იმის გათვალისწინებით, რომ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მხოლოდ ერთი ბანკის ვალდებულებას არ წარმოადგენს, სახელმწიფო მდივანი დაუკავშირდა უნგრეთის ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს პრეზიდენტს და მოითხოვა შესაძლო მარეგულირებელი ინსტრუმენტებისა და წამახალისებელი საშუალებების იდენტიფიცირება ყველა ფინანსური ინსტიტუტისთვის.

მომჩივნების კომენტარები სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით

5.1 2011 წლის 19 დეკემბერს მომჩივნებმა წარმოადგინეს კომენტარები სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ისინი მიესალმებიან წინამდებარე შეტყობინებასთან დაკავშირებით სახელმწიფო მდივნის კომუნიკაციას OTP-სთან და უნგრეთის ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოსთან. ამავდროულად, მათ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო მდივნის მიერ კომიტეტისათვის წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს შეიცავს. სახელმწიფო მდივანი, ერთის მხრივ, აცხადებს, რომ მომჩივნის საქმეში უზენაესი სასამართლოს მსჯელობა არის “მყარი”, ხოლო მეორეს მხრივ, აღიარებს, რომ სახელმწიფოში მოცემული პრობლემა “რეალურია” და “სამართლიანად უნდა გადაიჭრას”. მომჩივნების აზრით, უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვერ უზრუნველყოფს “რეალური პრობლემის სამართლიანად გადაჭრას”, მიუხედავად იმისა, რომ იმავე საქმეში მეტროპოლიტანური სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებაში სახელმწიფო მხარის საკანონმდებლო ჩარჩოს განმარტება მოხდა კონვენციის შესაბამისად.

5.2 მომჩივნები აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მდივნის აზრით უზენაესი სასამართლო სრულ შესაბამისობაშია სახელმწიფო მხარის კანონმდებლობასთან, უნგრეთმა დაარღვია კონვენცია, ვინაიდან არ მიიღო საჭირო საკანონმდებლო ზომები ეროვნულ დონეზე კონვენციის განხორციელებისათვის. კერძოდ, მომჩივნები მიუთითებენ სახელმწიფო მხარის მიერ კონვენციის მე-4 და მე-5 მუხლებით აღებულ ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მდივანის მოსაზრება მცდარია და შესაძლებელია სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია კონვენციის შესაბამისად, რასაც ამტკიცებენ მომჩივნები, მაშინ უნგრეთმა კონვენცია დაარღვია, ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ ვერ შეძლო კანონმდებლობის სათანადოდ განმარტება. ამრიგად, პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფო მხარეს, ვინაიდან სწორედ მის მოვალეობას წარმოადგენს შშმ პირთა უფლებების სამართლებრივი დაცვა და სასამართლო ხელისუფლების მიერ კანონმდებლობის სწორი ინტერპრეტაცია, სახელმწიფო მხარის მიერ კონვენციით აღებული ვალდებულებების შესაბამისად.

5.3 მომჩივნები აცხადებენ, რომ მეტროპოლიტანური სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კონვენციის სულისკვეთებას ეწინააღმდეგება, რის გამოც დაირღვა მომჩივნების თავდაპირველ წარდგენაში მითითებული დებულებებით გარანტირებული უფლებები. ამასთან, მეტროპოლიტანურმა სააპელაციო სასამართლომ და უზენაესმა სასამართლომ დაარღვიეს ადგილობრივი კანონმდებლობის კონვენციის შესაბამისად ინტერპრეტაციის ვალდებულება. მომჩივნები აგრეთვე აცხადებენ, რომ აღნიშნულმა სასამართლოებმა მოახდინეს “თანასწორი მოპყრობის შესახებ აქტის” და აგრეთვე, შეტყობინების შესაბამისი საერთაშორისო დირექტივების, მათ შორის, დისკრიმინაციასა და პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მარეგულირებელი დებულებების, არასწორი ინტერპრეტაცია. მათივე მტკიცებით, ის ფაქტი, რომ მეტროპოლიტანურმა სასამართლომ სახელმწიფო მხარის საკანონმდებლო ჩარჩო განმარტა ხსენებული დირექტივების შესაბამისად, მეტროპოლიტანური სააპელაციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს მიერ არასწორ ინტერპრეტაციას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის.

5.4 მომჩივნები მიუთითებენ ბანკომატების ხელმისაწვდომობის სამ სხვადასხვა ასპექტზე, რომელიც სახელმწიფო მდივანმა საპასუხო პოზიციაში წარმოადგინა: პირველ რიგში, საჭიროა გადაიდგას ნაბიჯები ბანკომატების ხელმისაწვდომობისათვის; მეორე, შესაბამისი ხარჯების გათვალისწინებით, ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია თანდათანობით; მესამე, ცვლილებები შეეხება უნგრეთში მოქმედ ყველა ბანკს. მომჩივნები ამ მხრივ აცხადებენ: მართალია, შეუძლებელია უნგრეთში არსებული ყველა ბანკომატის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დროის მოკლე მონაკვეთში, მათი და მხედველობის დარღვევის მქონე სხვა პირების მდგომარეობა უცვლელი რჩება იმის გამო, რომ უზენაესმა სასამართლომ ვერ შეძლო მათი უფლებების რეალიზების უზრუნველყოფა. მომჩივნები დამატებით აღნიშნავენ, რომ OTP-ის დამოკიდებულება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისა და შშმ პირების მიმართ აშკარად ჩანს იმ ფაქტში, რომ ეროვნულ დონეზე მიმდინარე სამართალწარმოების დროს ბანკმა შეისყიდა 384 ახალი ბანკომატი, მიუხედავად იმისა, რომ 300 მათგანის შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მოდიფიცირებას არ ექვემდებარება. უფრო მეტიც, OTP -მ მომჩივნებს შესთავაზა თავიანთი ანგარიშების დახურვა, რათა შეწყვეტილიყო სახელშეკრულებო ურთიერთობა.

5.5 მომჩივნების განცხადებით, შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომი ბანკომატების დამონტაჟებასა და მოდიფიცირებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინების შემდგომ, მეტროპოლიტანურმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც [მოპასუხე მხარეს]

დაავალა რამოდენიმე ზომიერი ნაბიჯის გადადგმა შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის; თუმცა, OTP-მ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. მომჩივნები ამ მხრივ აცხადებენ, რომ მიმდინარე სამართალწარმოებაში კომპანიის მიერ საკუთარი ინტერესების დასაცავად გაწეული ფინანსური ტვირთი მალე გადააჭარბებს შშმ პირებისათვის ბანკომატების ხელმისაწვდომობისათვის საჭირო ხარჯებს.

5.6 მომჩივნები ეთანხმებიან სახელმწიფო მდივნის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ შშმ პირებისათვის სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულება უნდა გავრცელდეს სახელმწიფო მხარის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა ფინანსურ ინსტიტუტზე, რაც უზრუნველყოფს შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციას. მათივე განცხადებით, უნგრეთში მოქმედმა სხვა ბანკებმა, OTP-ისაგან განსხვავებით, უკვე გადადგეს გარკვეული ნაბიჯები შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომი ბანკომატების დასამონტაჟებლად. მომჩივნების მტკიცებით, უნგრეთის უმსხვილესი ფინანსური ინსტიტუტის - OTP-ის მიერ შშმ პირებისათვის სერვისების მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობას უარყოფითი გავლენა ექნება სხვა ბანკების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის შესაბამისი ბანკომატების დამონტაჟების ტემპებზე.

5.7 დასკვნის სახით, მომჩივნები აცხადებენ, რომ მხედველობის დარღვევის მქონე სხვა პირების მსგავსად, ისინი კვლავ ექვემდებარებიან OTP -ის მიერ დისკრიმინაციულ მოპყრობას იმის გამო, რომ უზენაესმა სასამართლომ ვერ უზრუნველყო უნგრეთის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებების პრაქტიკაში განხორციელება. კერძოდ, მათ მოეთხოვებათ იმავე ტარიფის გადახდა, რასაც შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირები იხდიან; თუმცა, მათ არ აქვთ იმავე დონის მომსახურების მიღების შესაძლებლობა. აღნიშნული დისკრიმინაციული მოპყრობა უნგრეთში მცხოვრებ მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანებს ხელს უშლის დამოუკიდებლობის მიღწევასა და საზოგადოებაში ინტეგრაციაში და შესაბამისად, არღვევს მათ ადამიანურ ღირსებას. მომჩივნების მტკიცებით, სახელმწიფო მხარის სასამართლოებმა ვერ შეძლეს მათი კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა, ხოლო ამ დარღვევის გამოსწორება ვერ მოხდება OTP-ისა და უნგრეთის ფინანსური ზემდახედველობის ორგანოს სახელზე წერილების გაგზავნით, ვინაიდან აღნიშნული არ ადგენს რაიმე სამართლებრივ ვალდებულებას.

5.8 შესაბამისად, მომჩივნები არ ცვლიან თავიანთ პოზიციებს თავდაპირველ პრეტენზიებთან დაკავშირებით და კომიტეტს მიმართავენ თხოვნით, დაადგინოს სახელმწიფო მხარის მიერ კონვენციით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევა.

სახელმწიფო მხარის დამატებითი არგუმენტები

6.1 2012 წლის 12 მარტს სახელმწიფო მხარემ წარადგინა არგუმენტები შეტყობინების დასაშვებობის შესახებ მომჩივნების კომენტარებთან დაკავშირებით. სახელმწიფო მხარე აღნიშნავს, რომ იგი უერთდება და სრულად ეთანხმება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას მომჩივნების საქმეში. დამატებით, იგი აღნიშნავს, რომ კანონის უზენაესობისა და ძალაუფლების დანაწილების პრინციპებიდან გამომდინარე, სახელმწიფო მხარეს არ აქვს უფლება, მოახდინოს დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების ან მისი მსჯელობის გადასინჯვა.

6.2 სახელმწიფო მხარე კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ კომიტეტში წინამდებარე შეტყობინების წარდგენის შემდგომ, სოციალურ, ოჯახურ და ახალგაზრდულ საკითხებში სახელმწიფო მდივანმა OTP-ის პრეზიდენტს/აღმასრულებელ დირექტორს მიმართა წერილით და მოითხოვა ინფორმაცია ბანკის ხმარებაში არსებული ბანკომატების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით შესაძლო გეგმებისა და ვალდებულებების შესახებ. სახელმწიფო მდივანმა კომპანიას მოუწოდა, რომ მომავალში ახალი ბანკომატების შესყიდვის პროცესში პრიორიტეტი მიანიჭოს აპარატების ხელმისაწვდომობის საკითხს.

6.3 2011 წლის 11 აპრილით დათარიღებულ წერილში, OTP-ის პრეზიდენტმა/აღმასრულებელმა დირექტორმა პირველ რიგში აღნიშნა, რომ ბანკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ბანკომატების ფიზიკურ ხელმისაწვდომობას; შედეგად, ბანკის ფილიალების 90% და ფილიალებში განთავსებული ბანკომატები ხელმისაწვდომია მობილური შეზღუდვის მქონე პირებისათვის. იგი აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბანკი უპირველეს ყოვლისა იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ ფილიალებში განთავსებული ბანკომატების ხელმისაწვდომობაზე. რაც შეეხება ფილიალების გარეთ არსებულ ბანკომატებს, ხშირად შეუძლებელია სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, “გარემო მახასიათებლების” გამო. არაერთ შემთხვევაში, იმ შენობების მეიჯარეები, სადაც ბანკომატებია განთავსებული, უარს აცხადებენ საჭირო ცვლილებების განხორციელებაზე. მიუხედავად ამისა, OTP-მ აიღო ვალდებულება, მოახდინოს ყველა ბანკომატის მოდიფიცირება ოთხწლიანი პროგრამის ფარგლებში, რათა მხედველობის დარღვევის მქონე პირებმა შეძლონ მათი დამოუკიდებლად გამოყენება. სახელმწიფო მხარის მოსაზრებით, აღნიშნულმა ვალდებულებამ, რომელიც შეესაბამება კონვენციით გათვალისწინებული გონივრული მისადაგების პრინციპს, შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი და არსებითი ცვლილებები წინამდებარე საქმის გარემოებებში.

6.4 სახელმწიფო მხარე დამატებით აღნიშნავს, რომ 2011 წლის 18 მარტს სოციალური, ოჯახური და ახალგაზრდული საკითხების სახელმწიფო მდივანმა წერილით მიმართა უნგრეთის ფინანსური ზედამხედველობის ორგანოს (HFSA) და მოითხოვა მარეგულირებელი ინსტრუმენტებისა და წამახალისებელი საშუალებების განხილვა, რომელთა გამოყენებაც მოხდება ყველა ფინანსური ინსტიტუტის მიმართ. 2011 წლის 26 აპრილით დათარიღებულ პასუხში, HFSA-ს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები შშმ პირთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პრეზიდენტმა გამოსცა რეკომენდაცია No. 1/2011 (IV.29), “ფინანსური ინსტიტუტების მიერ მომხმარებელთა დაცვის პრინციპების შესახებ”. რეკომენდაციის III.3 სექციაში აღნიშნულია: “HFSA მიიჩნევს, რომ ფინანსური ინსტიტუტებისათვის საუკეთესო პრაქტიკის სახით რეკომენდირებულია დამატებითი ყურადღების გამოჩენა იმ მომხმარებლების მიმართ, რომელთაც საკუთარი ინტერესებს სრულფასოვნად ვერ იცავენ - მაგ. არასრულწლოვნები, მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მძიმე ავადმყოფები, აგრეთვე ისინი, ვისაც კომპლექსური პირობებისა და ინფორმაციის გაგება უჭირს.”²⁴ სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ ზემოაღნიშნული რეკომენდაცია მნიშვნელოვანია, ვინაიდან ყველა ფინანსურ ინსტიტუტზე ვრცელდება. ამასთან, მის განხორციელებას მონიტორინგს უწევს HFSA. HFSA-ის პრეზიდენტმა აგრეთვე გამოხატა მზადყოფნა, შეიმუშაოს შემდგომი დირექტივები იმ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, რომლებიც უსინათლო და ნაწილობრივი მხედველობის მქონე პირთა ინტერესებს წარმოადგენენ, რათა საბანკო სერვისების გამოყენება მხედველობის დარღვევის მქონე მაქსიმალურად ბევრმა ადამიანმა შეძლოს.

²⁴ შესაბამისი ნაწყვეტის თარგმანი ინგლისურ ენაზე წარმოადგინა სახელმწიფო მხარემ.

6.5 სახელმწიფო მხარის დასკვნით, OTP-ის პრეზიდენტისაგან/აღმასრულებელი დირექტორისაგან და HFSA-ის პრეზიდენტისაგან მიღებული დადებითი პასუხები გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს შშმ პირთა მიერ საბანკო სერვისების ხელმისაწვდომობას.

მომჩივანთა კომენტარები სახელმწიფო მხარის დამატებით არგუმენტებთან დაკავშირებით

7.1 2012 წლის 31 მაისს მომჩივანმა განაცხადა, რომ სახელმწიფო მხარის მტკიცებით, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ადგილობრივ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში იყო. ამ მხრივ, მომჩივნები კიდევ ერთხელ ადასტურებენ მანამდე წარმოდგენილ არგუმენტებს (იხ. პუნტი 5.2.). ისინი ეთანხმებიან არგუმენტს იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო მხარეს არ აქვს დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების ან მისი მსჯელობის გადასინჯვის უფლება. თუმცა, სახელმწიფო მხარის მოვალეობა არა სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა, არამედ შშმ პირთა უფლებების (სამართლებრივი) დაცვის უზრუნველყოფა. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საჭირო დაცვას ვერ უზრუნველყოფს, სახელმწიფო მხარე ვალდებულია, აიღოს პასუხისმგებლობა აღნიშნულზე. მოცემულ კონტექსტში, ეროვნული რესურსების სამინისტროს მიერ კონვენციის შესაბამისი კანონმდებლობის არასწორად გამოყენების აღიარება არ წარმოადგენს ძალაუფლების განცალკევების პრინციპის დარღვევას. სხვა შემთხვევაში, სახელმწიფო მხარეს კონვენციის საწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით პასუხს ვერავინ მოსთხოვდა.

7.2 მომჩივნები მიესალმებიან სახელმწიფო მხარის დადებით განცხადებას მომავალი შესყიდვების ფარგლებში ბანკომატების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მნიშვნელობასთან დაკავშირებით; ამავდროულად, ისინი მიუთითებენ, რომ მთავრობას ამ მხრივ ჯერ არ გადაუდგამს იურიდიული ძალის მქონე ნაბიჯები, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ აუცილებელი ყველა საშუალება გააჩნია. კონვენციის მე-4 მუხლის 1(ა) პუნქტზე მითითებით, მომჩივნები აცხადებენ, რომ იურიდიული ძალის არმქონე წერილის გაგზავნა აღნიშნულ ვალდებულებას არ აკმაყოფილებს.

7.3 მომჩივნები მიესალმებიან OTP-ის ძალისხმევას ფილიალებში ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მხრივ. ამავდროულად, ისინი მიუთითებენ კონვენციის მე-9 მუხლზე, რომლის მიხედვითაც “ხელმისაწვდომობა” მხოლოდ ფიზიკური ბარიერების აღმოფხვრით არ შემოიფარგლება, არამედ, აგრეთვე მოიცავს ინფორმაციაზე, კომუნიკაციაზე და სხვა სერვისებზე დაწესებული ბარიერების აღმოფხვრას. მომჩივნების განცხადებით, თავად OTP-მ აღიარა, რომ ხელმისაწვდომობის კუთხით კომპანიის მიერ გაწეული ძალისხმევა ორიენტირებულია შეზღუდული მობილობის მქონე ადამიანებზე და არა მხედველობის დარღვევის მქონე პირებზე მაშინ, როდესაც წინამდებარე კომუნიკაცია სწორედ მხედველობის დარღვევის მქონე პირებს შეეხება.

7.4 მომჩივნები აცხადებენ, რომ სახელმწიფო მხარემ ვერ შეძლო საჭირო ზომების განხორციელება “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ, შესაძლებლობის შეზღუდვაზე დაფუძნებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ადამიანის ყველა უფლებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით” სრული სარგებლობისთვის, როგორც ამას კონვენციის მე-4 მუხლი ითვალისწინებს. დამატებით, მომჩივნები აღნიშნავენ, რომ

სისტემატურად ირღვევა ხელმისაწვდომობის ზომების მისაღებად “შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ აქტის” თანახმად დადგენილი ვადები, ხოლო არ არსებობს ხელმისაწვდომობის ეროვნული გეგმა.²⁵ მომჩივნების განცხადებით, განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს რაიმე კონკრეტულ და აღსრულებად ზომებს ინფორმაციისა და კომუნიკაციების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

7.5 დასკვნის სახით, მომჩივნები აცხადებენ, რომ სახელმწიფო კანონმდებლობა ჯერ კიდევ არ ცნობს დისკრიმინაციის ფართო განსაზღვრებას, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-2 მუხლში განსაზღვრული გონივრული მისადაგების კონცეფციაში. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ შეასრულებს დისკრიმინაციისათვის განკუთვნილი სამართლებრივი დაცვის საშუალების უზრუნველყოფის ვალდებულებას ისე, როგორც ამას კონვენცია მოითხოვს, გაგრძელდება შშმ პირთა უფლებების დარღვევა. ამრიგად, მომჩივნები კიდევ ერთხელ ადასტურებენ თავდაპირველად წარმოდგენილ პრეტენზიებს და კომიტეტს მიმართავენ თხოვნით, დაადგინოს სახელმწიფო მხარის მიერ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა.

კომიტეტის წინაშე დასმული საკითხები და მათი განხილვის პროცედურა

წინამდებარე შეტყობინების დასაშვებობის განხილვა

8.1 შეტყობინებაში წარმოდგენილი ნებისმიერი პრეტენზიის განხილვამდე, კომიტეტმა, ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 65-ე წესის შესაბამისად, უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა შეტყობინება კონვენციის ფაკულტატური ოქმის თანახმად დასაშვები.

8.2 კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარემ ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება მოახდინა 2008 წლის 3 მაისს, ხოლო უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლით დათარიღებული გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა აღნიშნული თარიღის შემდეგ. კომიტეტი აგრეთვე აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარე არ ეწინააღმდეგება წინამდებარე შეტყობინების დასაშვებობას. ამასთან, შეტყობინებაში წარმოდგენილი შესაბამისი ფაქტები - კერძოდ, ის, რომ მომჩივნებს ხელი არ მიუწვდებათ OTP-ის ხმარებაში არსებული ბანკომატების საშუალებით საბანკო ბარათის სერვისებით სარგებლობაზე, სახელმწიფო მხარის მიმართ ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლის შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა. შესაბამისად, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ფაკულტატური ოქმის მე-2(ვ) პუნქტი ხელს არ უშლის კომიტეტის მიერ წინამდებარე შეტყობინების განხილვას.

8.3 კომიტეტი დამატებით აღნიშნავს, რომ მომჩივნები მიუთითებენ კონვენციის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევაზე; თუმცა, მათ არ წარმოუდგენიათ შემდგომი დასაბუთება იმისა, თუ როგორ მოხდა აღნიშნული დებულებების დარღვევა, ხოლო კომიტეტის წინაშე წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, მათ არ შეეზღუდათ საკუთარი ფინანსების განკარგვის ქმედუნარიანობა. ამრიგად, კომიტეტი მიიჩნევს, რომ შეტყობინების აღნიშნული

²⁵ მომჩივნები მიუთითებენ “უნგრეთის შეზღუდული შესაძლებლობების საკითხთა ჯგუფის” მიერ შშმ პირთა უფლებების შესახებ კომიტეტის მეშვიდე სესიისათვის მომზადებული პრობლემური საკითხების ჩამონათვალზე (2012 წლის აპრილი).

ნაწილი არასაკმარისად დასაბუთებულია, დასაშვებობის მიზნებისთვის და შესაბამისად, კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-2(ე) მუხლის საფუძველზე დაუშვებელია.

8.4 კომიტეტი მიიჩნევს, რომ მომჩივნებმა საკმარისად დასაბუთეს, დასაშვებობის მიზნებისთვის, კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და მე-9 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი პრეტენზიები. ამრიგად, ვინაიდან შეტყობინების დასაშვებობის წინააღმდეგ სხვა არგუმენტი არ არსებობს, კომიტეტი აღნიშნულ პრეტენზიებს დასაშვებად აცხადებს და იწყებს არსებითი მხარის განხილვას.

არსებითი მხარის განხილვა

9.1 კომიტეტმა წინამდებარე საქმე განიხილა მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 73-ე წესის 1-ლი პუნქტის თანახმად.

9.2 კომიტეტი აღნიშნავს, რომ მომჩივნების თავდაპირველი საჩივარი OTP-ის მიმართ ყურადღებას ამახვილებდა გონივრული მისადაგების ნაკლებობაზე, ე.ი. OTP-ის მიერ ინდივიდუალური ზომების გამოყენების ვალდებულების შეუსრულებლობაზე, მომჩივნების საცხოვრებლებთან მდებარე ზოგიერთი ბანკომატის მოდიფიცირების მიზნით, რათა მომხდარიყო ბანკომატების საშუალებით არსებული საბანკო ბარათის სერვისების მორგება მომჩივნების კონკრეტულ საჭიროებაზე და აღნიშნული სერვისები გამხდარიყო მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანებისათვის ხელმისაწვდომი. კომიტეტი დამატებით აღნიშნავს, რომ მომჩივნების სამოქალაქო საჩივარი მეტროპოლიტანური სასამართლოს წინააღმდეგ და მათ მიერ მეტროპოლიტანურ სააპელაციო სასამართლოში და უზენაეს სასამართლოში წარდგენილი საჩივრები, ისევე როგორც კომიტეტის წინაშე წარდგენილი შეტყობინება, უფრო ღრმად მიდის და ფართო პრეტენზიებს მოიცავს, ე.ი. [პრეტენზიები შეეხება] მხედველობის დარღვევის მქონე პირთა მიერ OTP-ის სარგებლობაში არსებული ბანკომატების მთელს ქსელზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობას. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნებმა გადაწყვიტეს კომიტეტში შეტყობინება წარედგინათ ფართო საჩივრის სახით - კერძოდ, მხედველობის დარღვევის მქონე პირთა მიერ OTP-ის სარგებლობაში არსებული ბანკომატების მთელს ქსელზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ზომების მიღების მოთხოვნით, - კომიტეტი მიიჩნევს, რომ წინამდებარე შეტყობინების გარემოებების გათვალისწინებით, მომჩივნების პრეტენზიები მთლიანად უნდა იქნას განხილული კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად; შესაბამისად, კომიტეტი არ თვლის საჭიროდ, ცალკე შეაფასოს სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების საკითხი.

9.3 კომიტეტი აღნიშნავს მომჩივნის პრეტენზიას კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე, რომელიც შეეხება სახელმწიფოს მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას, ვინაიდან მან არ უზრუნველყო მხედველობის დარღვევის მქონე პირებისათვის OTP-ის ხმარებაში არსებული ბანკომატების საშუალებით საბანკო ბარათის სერვისების ხელმისაწვდომობა, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე. ამ მხრივ კომიტეტი მიუთითებს სახელმწიფო მხარის შეფასებაზე, რომლის თანახმადაც უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება იყო “მყარი” (იხ. პუნქტი 4.2), ხოლო სახელმწიფო მხარე “უერთდება” და “სრულად იზიარებს” ამ გადაწყვეტილებას (იხ. პუნქტი 6.1) და მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს პოზიცია მდგომარეობს შემდეგში: არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს თანახმად, ინფორმაციაზე, კომუნიკაციაზე და

სხვა სერვისებზე მხედველობის დარღვევის მქონე პირთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულება, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, არ ეხება ისეთ კერძო დაწესებულებებს, როგორცაა OTP, და გავლენას არ ახდენს სახელშეკრულებო ურთიერთობებზე.

9.4 ამ მხრივ, კომიტეტი აცხადებს, რომ კონვენციის მე-4 მუხლის 1(ე) პუნქტის თანახმად, სახელმწიფო მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, “მიიღონ ყველა საჭირო ზომა ყველა პიროვნების, ორგანიზაციისა ან კერძო საწარმოს მხრიდან შესაძლებლობების შეზღუდვაზე დაფუძნებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად”. ამ მიზნით, კონვენციის მე-9 მუხლი თანახმად, სახელმწიფო მხარეებს მოეთხოვებათ, მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შშმ პირთათვის უზრუნველყონ, სხვების თანასწორად ინფორმაციის, კომუნიკაციებისა და სხვა სერვისების, მათ შორის ელექტრონული სერვისების, ხელმისაწვდომობა დაბრკოლებებისა და ბარიერების გამოაშკარავებითა და აღმოფხვრით. კერძოდ, სახელმწიფო მხარეებმა უნდა განახორციელონ შესაბამისი ზომები საზოგადოებისათვის ღია მომსახურებების და მოწყობილობების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მინიმალური ეროვნული ნორმების შემუშავების, მიღებისა და მათი შესრულებისათვის თვალყურის დევნების მიზნით (კონვენციის მე-9 მუხლის 2(ა) პუნქტი) და უზრუნველყონ საზოგადოებისათვის ღია მომსახურებებისა და მოწყობილობების შემთავაზებელი კერძო ორგანიზაციების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ამ მომსახურებებისა და მოწყობილობების ხელმისაწვდომობის გათვალისწინება (კონვენციის მე-9 მუხლის 2(ბ) პუნქტი).

9.5 წინამდებარე შეტყობინებაში კომიტეტი, პირველ რიგში, აღნიშნავს: სახელმწიფო მხარემ აღიარა, რომ მხედველობისა და სხვა დარღვევის მქონე პირების მიერ ბანკომატებისა და სხვა საბანკო სერვისების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა წარმოადგენს პრობლემურ საკითხს, რომელიც ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით უნდა გადაიჭრას (იხ. პუნქტი 4.2 და 4.3). იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარემ მოახდინა მიზნის მისაღწევად სამი ასპექტის იდენტიფიცირება; კერძოდ, (1) ბანკომატებისა და სხვა საბანკო სერვისების ხელმისაწვდომობა ყველა შშმ პირისათვის; (2) მიზნის თანდათანობით მიღწევა, შესაბამისი ხარჯების გათვალისწინებით; და (3) არა მხოლოდ OTP-ის, არამედ სახელმწიფო მხარის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ფინანსური დაწესებულების ბანკომატებისა და სხვა საბანკო სერვისების ხელმისაწვდომობა. კომიტეტი, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ ეროვნული რესურსების სამინისტროს სოციალური, ოჯახური და ახალგაზრდული საკითხების სახელმწიფო მდივანმა OTP-ის პრეზიდენტს/აღმასრულებელ დირექტორს მოუწოდა, მომავალში ახალი ბანკომატების შესყიდვის პროცესში პრიორიტეტი მიანიჭოს აპარატების ხელმისაწვდომობის საკითხს, ხოლო პასუხად მიიღო დაპირება ოთხ წელიწადში ბანკომატთა სრული ქსელის ნებაყოფლობით მოდიფიცირების შესახებ. და ბოლოს, კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მდივანმა უნგრეთის ფინანსური ზედამხედველობის ორგანოს პრეზიდენტს სთხოვა შესაძლო მარეგულირებელი ინსტრუმენტებისა და წამახალისებელი საშუალებების იდენტიფიცირება ყველა ფინანსური ინსტიტუტისთვის, რაც უზრუნველყოფს ამ ინსტიტუტების მიერ მიწოდებული სერვისების შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობას, ხოლო ფინანსური ზედამხედველობის ორგანომ გამოსცა რეკომენდაცია “ფინანსური ინსტიტუტების მიერ მომხმარებელთა დაცვის პრინციპების შესახებ” (იხ. პუნქტი 6.4).

9.6 კომიტეტი ითვალისწინებს სახელმწიფო მხარის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს OTP-ისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების ხმარებაში არსებული ბანკომატების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად მხედველობის დარღვევისა და სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ამავდროულად, კომიტეტი მიიჩნევს, რომ არცერთმა

ღონისძიებამ არ უზრუნველყო მომჩივნებისა და მსგავს მდგომარეობაში მყოფი სხვა პირებისათვის OTP-ის ხმარებაში არსებული ბანკომატების საშუალებით საბანკო ბარათის სერვისების ხელმისაწვდომობა. ამრიგად, კომიტეტი ადგენს, რომ სახელმწიფო მხარემ ვერ შეასრულა მასზე კონვენციის მე-9 მუხლის 2(ბ) პუნქტით დაკისრებული მოვალეობები.

10. კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების კომიტეტი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო მხარემ ვერ შეასრულა მასზე კონვენციის მე-9 მუხლის 2(ბ) პუნქტით დაკისრებული მოვალეობები. შესაბამისად, კომიტეტი სახელმწიფო მხარეს შემდეგი რეკომენდაციებით მიმართავს:

1. მომჩივნებთან დაკავშირებით: სახელმწიფო მხარეს ეკისრება ვალდებულება, გამოასწოროს მომჩივნებისათვის OTP-ის ხმარებაში არსებული ბანკომატების საშუალებით საბანკო ბარათის სერვისების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. სახელმწიფო მხარემ აგრეთვე უნდა უზრუნველყოს ადექვატური კომპენსაცია მომჩივნებისათვის, მათ მიერ ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების დროს და აგრეთვე, წინამდებარე შეტყობინების წარდგენასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად.

2. ზოგადი: სახელმწიფო მხარეს ეკისრება ვალდებულება, მიიღოს ზომები მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად, მათ შორის:

(ა) შექმნას მინიმალური სტანდარტები კერძო ფინანსური ინსტიტუტების მიერ მხედველობისა და სხვა სახის დარღვევის მქონე პირებისათვის საბანკო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. კომიტეტი სახელმწიფო მხარეს მიმართავს რეკომენდაციით, შექმნას საკანონმდებლო ჩარჩო კონკრეტული, აღსრულებადი და მონიტორინგისათვის დროში გაწერილი ინდიკატორებით, ფინანსური ინსტიტუტების მიერ თანდათანობითი ცვლილებებისა და შესწორებების მონიტორინგისა და შეფასებისთვის, იმ საბანკო სერვისების ხელმისაწვდომ სერვისებად გარდაქმნის პროცესში, რომლებიც მანამდე ხელმისაწვდომი არ ყოფილა. სახელმწიფო მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ახლადშემქმნილი ბანკომატი და სხვა საბანკო სერვისი სრულად ხელმისაწვდომია შშმ პირებისათვის;

(ბ) უზრუნველყოს მოსამართლეების, სასამართლოს სხვა თანამშრომლებისა და ციხის თანამშრომლების, განსაკუთრებით კი ციხის სამედიცინო პერსონალის ეფექტური და რეგულარული ტრენინგი კონვენციითა და მისი ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული საკითხების შესახებ.

(გ) უზრუნველყოს, რომ ადგილობრივი კანონმდებლობა და ადგილობრივი სასამართლოების მიერ ამ კანონმდებლობის გამოყენება შეესაბამება სახელმწიფო მხარის ვალდებულებას, უზრუნველყოს, რომ კანონმდებლობას არ აქვს შშმ პირთა მიერ ადამიანის ყველა უფლების და ფუნდამენტური თავისუფლების,

სხვების თანასწორად, ცნობის, რეალიზების ან სარგებლობის ხელის შეშლის ან მათი უარყოფის მიზანი ან შედეგი.

11. ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 75-ე წესის შესაბამისად, სახელმწიფო მხარემ კომიტეტს ექვსი თვის მანძილზე უნდა წარუდგინოს წერილობითი პასუხი, მათ შორის ნებისმიერი ინფორმაცია კომიტეტის წინამდებარე მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი ქმედების შესახებ. სახელმწიფო მხარეს, აგრეთვე, მოეთხოვება კომიტეტის მოსაზრებების გამოქვეყნება, სახელმწიფო მხარის ოფიციალურ ენაზე თარგმნა და ფართოდ გავრცელება ხელმისაწვდომ ფორმატებში, რათა მოსაზრებები მოსახლეობის ყველა სექტორისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

[მოსაზრებები მიღებულია ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ და არაბულ ენებზე, ხოლო ინგლისურენოვანი ტექსტი წარმოადგენს ორიგინალ ვერსიას. შემდგომში აგრეთვე იგეგმება მოსაზრებების რუსულ და ჩინურ ენაზე გამოქვეყნება, იმ ორენოვანი ანგარიშის ფარგლებში, რომელსაც კომიტეტი წელიწადში ორჯერ წარუდგენს გენერალურ ასამბლეას.]



**შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა უფლებების
კონვენცია**

გავრცელება: საყოველთაო
2013 წლის 20 სექტემბერი

ორიგინალი შედგენილია
ინგლისურ ენაზე

წინასწარი შეუსწორებელი ვერსია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

შეტყობინება No. 4/2011

**კომიტეტის მიერ მე-10 სესიაზე მიღებული მოსაზრებები (2013
წლის 2-13 სექტემბერი)**

<i>შეტყობინების წარმდგენი:</i>	ზოლტ ბუჟდოსო და ხუთი სხვა პირი (მომხივნებს წარმოადგენს ადვოკატი იანოშ ფილა "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებების ცენტრიდან")
<i>სავარაუდო დაზარალებულები:</i>	შეტყობინების ავტორები
<i>სახელმწიფო მხარე:</i>	უნგრეთი
<i>შეტყობინების წარდგენის თარიღი:</i>	2011 წლის 14 სექტემბერი (თავდაპირველი წარდგენა)
<i>გამოყენებული დოკუმენტები:</i>	სპეციალური მომხსენებლის მიერ 70-ე წესის თანახმად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მონაწილე მხარეს 2011 წლის 1 ნოემბერს გაეგზავნა (არ გამოცემულა დოკუმენტის სახით)
<i>მოსაზრებების მიღების თარიღი:</i>	2013 წლის 9 სექტემბერი
<i>შეტყობინების თემა:</i>	სახელმწიფო მხარის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის აღკვეთისა და შშმ პირთათვის, სხვა მოქალაქეებთან თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკური უფლებების, მათ შორის საარჩევნო უფლების უზრუნველყოფის ვალდებულებების შეუსრულებლობა.
<i>არსებითი საკითხები:</i>	თანასწორი და ეფექტური სამართლებრივი დაცვა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციისგან, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა.
<i>პროცედურული საკითხები:</i>	--
<i>კონვენციის მუხლები:</i>	12 და 29
<i>ვაკულტატური ოქმის მუხლები:</i>	--

დანართი

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების
კომიტეტის მოსაზრებები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმის მე-5 მუხლის
თანახმად (მე-10 სესია)**

No. 4/2011 · შეტყობინებასთან დაკავშირებით

<i>შეტყობინების წარმდგენი:</i>	ზოლტ ბუჟდოსო და ხუთი სხვა პირი (მომჩივნებს წარმოადგენს ადვოკატი იანოშ ფიალა “შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა უფლებების ცენტრიდან”)
<i>სავარაუდო დაზარალებულები:</i>	შეტყობინების ავტორები
<i>სახელმწიფო მხარე:</i>	უნგრეთი
<i>შეტყობინების წარდგენის თარიღი:</i>	2011 წლის 14 სექტემბერი (თავდაპირველი წარდგენა)

*შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა, რომელიც შექმნილია
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე,*

2013 წლის 9 სექტემბერს გამართულ შეხვედრაზე,

*დაასრულა რა No. 4/2011 შეტყობინების განხილვა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა უფლებების კომიტეტში წარადგინეს ზოლტ ბუჟდასომ და სხვებმა,
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის ფაკულტატიური ოქმის
საფუძველზე,*

*გაითვალისწინა რა შეტყობინების წარმდგენისა და სახელმწიფო მხარის მიერ
წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაცია,*

მიიღო შემდეგი მოსაზრებები:

**ფაკულტატიური ოქმის მე-5 მუხლის საფუძველზე მიღებული
მოსაზრებები**

1. შეტყობინების ავტორები არიან: 1976 წლის 22 ივლისს დაბადებული ზოლტ ბუჟდოსო,
1967 წლის 29 აგვისტოს დაბადებული ჯენსონ ილდიკო მარკუსი, 1982 წლის 20 ოქტომბერს

* წინამდებარე შეტყობინების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომიტეტის შემდეგმა წევრებმა: მოჰამედ ალ-ტარავანი, მუნთიან ბუნტანი, მარია სოლედად სისტერნა რიესი, ტერესა დეგენერი, ჰუანგ შიკ კიმი, ლოფტი ბენ ლალომი, სტივ ლანგვალდი, ედა ვანგეჩი მაინა, რონალდ მაკკალუმი, დაიან მულოგანი, მარტინ ბაბუ მესგია, სადაკ პავი, ანა პელაზ ნავარეზი, სილვია ჯუდიტ ქუან-ჩენგი, კარლოს რიოს ესპინოსა, დამიან ტატიჩი და გერმან ხავიერ ტორეს კორეა. კომიტეტის რეგლამენტის მე-60 წესის თანახმად, კომიტეტის წევრს ლაზლო გაბორ ლოვაზის წინამდებარე მოსაზრებების მიღებაში მონაწილეობა არ მიუღია.

დაბადებული ვიქტორია მარტონი, 1955 წლის 11 იანვარს დაბადებული სანდორ მეზაროსი, 1985 წლის 18 ივნისს დაბადებული გერგელი პოლკი და 1967 წლის 6 დეკემბერს დაბადებული იანოშ ზაბო. ექვსივე მათგანი არის უნგრეთის მოქალაქე. მომჩივნები ამტკიცებენ, რომ უნგრეთის სახელმწიფომ მათ წინააღმდეგ დაარღვია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 29-ე მუხლი (შემდგომში, “კონვენცია”). კონვენციის ფაკულტატური ოქმი სახელმწიფო მხარის მიმართ ძალაში შევიდა 2008 წლის 3 მაისს. მომჩივნებს წარმოადგენს ადვოკატი იანოშ ფიალა “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებების ცენტრიდან”

შეტყობინების ავტორთა მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები

2. ექვსივე მომჩივანი, რომელთაც “აღნიშნება ინტელექტუალური შეზღუდვა”, სასამართლოს გადაწყვეტილებების თანახმად ექვემდებარება ნაწილობრივ ან სრულ მეურვეობას.²⁶ მეურვეობის ქვეშ ყოფნის გამო, მომჩივანთა სახელები საარჩევნო რეესტრიდან ავტომატურად იქნა ამოღებული, სახელმწიფო მხარის კონსტიტუციის 70(5) მუხლის შესაბამისად, რომელიც იმ დროისათვის მოქმედებდა. აღნიშნული მუხლის თანახმად, ყველა პირს, რომელიც არის ნაწილობრივ ან სრულ მეურვეობაში, არ აქვს ხმის მიცემის უფლება. 2010 წლის 11 აპრილს უნგრეთში გაიმართა საპარლამენტო არჩევნები, რომელში მონაწილეობის მიღებაც მომჩივნებმა ვერ შეძლეს, მათ ქმედუნარიანობაზე დაწესებული შეზღუდვის გამო. 2010 წლის 3 ოქტომბერს გაიმართა მუნიციპალური არჩევნები, რომელშიც მომჩივნებმა კვლავ ვერ მიიღეს მონაწილეობა. დღეს-დღეობით მათ კვლავ ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება და არ შეუძლიათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

საჩივარი

3.1 მომჩივნები აცხადებენ, რომ კონსტიტუციის 70(5) მუხლის საფუძველზე, განხორციელდა მათი, როგორც მეურვეობის ქვეშ მყოფი პირების, ავტომატური ამოღება საარჩევნო რეესტრიდან. გადაწყვეტილებები მათი ამგვარი ქმედუნარიანობის შესახებ მიღებულ იქნა მათი ხმის მიცემის უნარის გათვალისწინების გარეშე, რამეთუ კონსტიტუციის შესაბამისი დებულების საფუძველზე მათ საარჩევნო უფლება ჩამოერთვათ ავტომატურად და განურჩევლად, მათი შეზღუდული შესაძლებლობის, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ქმედუნარიანობის შემზღუდავი ღონისძიებების ფარგლების განხილვის გარეშე. მომჩივნები აცხადებენ, რომ მათ

²⁶ ზოლტ ბუქდოსო 2004 წლის ნოემბერში განთავსებული იქნა ნაწილობრივი მეურვეობის ქვეშ, ზოგადი შეზღუდვით, გიულას საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად. 2010 წლის 14 ოქტომბერს მისი ქმედუნარიანობის შეზღუდვის საკითხი განიხილა პესტის ცენტრალურმა საოლქო სასამართლომ, რომელმაც ძალაში დატოვა არსებული გადაწყვეტილება. ჯენსონ ილდიკო მარკუსი 2003 წლის თებერვალში სრული მეურვეობა დაუწესდა ბატონიას საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით; ვიქტორია მარტონს 2008 წლის 11 ოქტომბერს ნაწილობრივი მეურვეობა დაუწესდა, ბუდაპეშტის მეორე და მესამე საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, სოციალური უზრუნველყოფის დახმარების თაობაზე მიმართვასა და ასეთი დახმარების განკარგვასთან, აგრეთვე, დასაქმების შედეგად მიღებული შემოსავლის განკარგვასთან დაკავშირებით; სანდორ მეზაროსს ნაწილობრივი მეურვეობა ზოგადი შეზღუდვებით დაუწესდა 2010 წლის 2 ივნისს, ბუდას ცენტრალური საოლქო სასამართლოს მიერ; გერგელი პოლკს 2004 წლის 14 სექტემბერს დაუწესდა ნაწილობრივი მეურვეობა, ბუდას ცენტრალური საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად; იანოშ ზაბოს ნაწილობრივი მეურვეობა ზოგადი შეზღუდვით დაუწესდა 2003 წლის 7 ოქტომბერს, ბუდაპეშტის მეორე და მესამე საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. 2009 წლის 24 მარტს მისი ქმედუნარიანობის საკითხი განიხილა პესტის ცენტრალურმა სასამართლომ, რომელმაც ძალაში დატოვა არსებული გადაწყვეტილება.

ესმით პოლიტიკა და შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში იმ შემთხვევაში, თუ ამის ნებას დართავენ; მათ მიაჩნიათ, რომ აღნიშნული ავტომატური აკრძალვა გაუმართლებელია და არღვევს კონვენციის 29-ე მუხლს, როგორც ცალკე, ისე მე-12 მუხლთან ერთობლიობაში.

3.2 ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებით, მომჩივნები აცხადებენ, რომ მათ ხელი არ მიუწვდებოდათ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებაზე. მომჩივნების მტკიცებით, მათ შეეძლოთ, რომ სამოქალაქო კოდექსის 21(2) მუხლის თანახმად შეეტანათ განაცხადი მეურვეობის გაუქმებასთან დაკავშირებით, მაგრამ აღნიშნული ღონისძიება მათი საარჩევნო უფლების დარღვევას აღადგენდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა მათი ქმედუნარიანობის მთლიანად აღდგენა, რაც შეუძლებელია და ამასთან, მომჩივნებს [თავიანთი ქმედუნარიანობის მთლიანად აღდგენის] სურვილი არ აქვთ. ისინი აღიარებენ თავიანთ შეზღუდულ ინტელექტუალურ შესაძლებლობას და იმ ფაქტს, რომ მათ ესაჭიროებათ მხარდაჭერა ცხოვრების გარკვეულ სფეროებში თავიანთი საქმეების წარმართვის მიზნით. იმ შშმ პირებისათვის, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ, უნგრეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ ერთადერთ სამართლებრივ ზომას - მეურვეობას (სრულს ან ნაწილობრივს). სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე მეურვეობის გასაჩივრება იყო სამართლებრივი დაცვის ერთადერთი საშუალება, რომელზეც მომჩივნებს ხელი მიუწვდებოდათ, მაგრამ იგი არ წარმოადგენდა სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებას, ვინაიდან სასამართლოებს არ აქვთ უფლებამოსილება, განიხილონ და აღადგინონ პიროვნების ცალკეული საარჩევნო უფლება. მომჩივნები მიუთითებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეში “ალახოს კისი უნგრეთის წინააღმდეგ”, რომელშიც სასამართლო დაეთანხმა აღნიშნულ არგუმენტს იმ მომჩივნებისაგან, რომლებიც, მსგავსად წინამდებარე საქმისა, ასაჩივრებდნენ იურიდიული მეურვეობის გამო მათი საარჩევნო უფლებაზე დაწესებულ შეზღუდვას.²⁷

3.3 მომჩივნები დამატებით აცხადებდნენ, რომ საარჩევნო რეესტრიდან მათი სახელების ამოღებასთან დაკავშირებით მათ არ აღუძრავთ საჩივარი “საარჩევნო პროცედურის” (1997 წ.) #100 კანონის 82-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნულ საჩივარს განიხილავდა ადგილობრივი საარჩევნო კომიტეტი, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში - შესაბამისი საქალაქო სასამართლო, მაშინ როდესაც არც ერთ მათგანს არ გააჩნია უფლებამოსილება, აღადგინოს პირის საარჩევნო უფლება და გასცეს მისი საარჩევნო სიაში აღდგენის მითითება, ვინაიდან საარჩევნო უფლების ჩამორთმევა მოხდა კონსტიტუციის საფუძველზე. მომჩივნები მიუთითებენ პესტის ცენტრალური საოლქო სასამართლოს 2006 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებაზე მსგავს საქმესთან დაკავშირებით; კერძოდ, გადაწყვეტილების თანახმად, უნგრეთის სასამართლოებს არ აქვთ უფლება, გააუქმონ კონსტიტუციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება საარჩევნო სიიდან ამოღების შესახებ.²⁸ შესაბამისად, მომჩივნების განცხადებით, ვინაიდან აღნიშნული პროცედურით საარჩევნო უფლების აღდგენას ვერ შეძლებდნენ, ეს პროცედურა არ წარმოადგენდა ეფექტური დაცვის საშუალებას, რომელიც უნდა ამოეწურათ.

²⁷ განცხადი no. 38832/06, 2010 წლის 20 მაისს მიღებული გადაწყვეტილება, პუნქტი 9. სასამართლომ დაადგინა, რომ უფლების ჩამორთმევის ღონისძიება ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა მაგრამ, ამავდროულად, არღვევდა კონვენციის პირველი ფაკულტატური ოქმის მესამე მუხლს, ვინაიდან აღნიშნული ღონისძიება იყო დისკრიმინაციული და ინდივიდუალურ სამართლებრივი შეფასებას არ ითვალისწინებდა.

²⁸ გადაწყვეტილება no. I.P.50.648/2006/4, რომელიც აგრეთვე მითითებულია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეში “ალახოს კისი უნგრეთის წინააღმდეგ”, იხ. ზემოთ, შენიშვნა 2, პუნქტი 9.

3.4 მომჩივნებმა კომიტეტს მიმართეს თხოვნით, მომხდარიყო მათი კონვენციის 29-ე და მე-12 მუხლების დარღვევის შედეგად დაზარალებულ მხარეებად ცნობა, სახელმწიფო მხარეს დაკისრებოდა ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების ვალდებულება და მომჩივნებს სამართლიანად მინიჭებოდათ კომპენსაცია არა-მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

სახელმწიფო მხარის არგუმენტები შეტყობინების არსებით მხარესთან დაკავშირებით

4.1 2012 წლის 16 იანვარს სახელმწიფო მხარემ კომიტეტს შეატყობინა, რომ მას წინამდებარე შეტყობინების დასაშვებობის წინააღმდეგ არგუმენტები არ აქვს.

4.2 2012 წლის 31 მაისს, სახელმწიფო მხარემ წარადგინა არგუმენტები შეტყობინების არსებით მხარესთან დაკავშირებით. იგი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც მომჩივნებმა შეტყობინება კომიტეტში წარადგინეს, შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. 2012 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა “უნგრეთის ფუნდამენტური კანონმდებლობა”, რითიც გაუქმდა უნგრეთის რესპუბლიკის 1949 წლის კონსტიტუციის მე-20 აქტის 70(5) მუხლი, რომელიც ავტომატურად აუქმებდა მეურვეობის ქვეშ მყოფი პირების საარჩევნო უფლებას და ზღუდავდა ან აუქმებდა მათ შესაძლებლობას, მონაწილეობა მიეღოთ სამოქალაქო კანონმდებლობით გამართულ ნებისმიერ არჩევნებში. წინამორბედი ხისტი დებულებისაგან განსხვავებით, რომელიც ამჟამად გაუქმებულია, ფუნდამენტური კანონმდებლობა მოსამართლეებს ავალდებულებს, საარჩევნო უფლების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღონ თითოეული საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე დაყრდნობით. შესაბამისად, ზრდასრული შშმ პირები ერთნაირ მოპყრობას აღარ ექვემდებარებიან. XXIII მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, პირს, რომელსაც ინტელექტუალური შეზღუდვის გამო სასამართლომ ჩამოართვა საარჩევნო უფლება, საქმეში არსებული ყველა სახის შესაბამისი ინფორმაციის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

4.3 სახელმწიფო მხარე დამატებით აცხადებს, რომ აღნიშნული ახალი დებულება შეესაბამება “ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის” პირველი ფაკულტატური ოქმის მე-3 მუხლით გათვალისწინებული თავისუფალი არჩევნების უფლებას, და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეში “ალახოს კისი უნგრეთის წინააღმდეგ” (განაცხადის No.38832/06, 2010 წლის 20 მაისი). სახელმწიფო მხარის მტკიცებით, საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებით მსგავსი შემზღუდავი წესები მოქმედებს ევროკავშირის რამდენიმე წევრ-სახელმწიფოში. სახელმწიფო მხარე დამატებით აღნიშნავს, რომ პარლამენტმა “ფუნდამენტური კანონმდებლობის” შემადგენელი ნაწილის სახით დაამტკიცა “უნგრეთის ფუნდამენტური კანონმდებლობის გარდამავალი დებულებები”. აღნიშნული სამართლის წყარო ძალაში შევიდა 2012 წლის 1 იანვარს, “ფუნდამენტურ კანონმდებლობასთან” ერთად, და არეგულირებს იმ პირთა სტატუსს, რომლებიც “ფუნდამენტური კანონმდებლობის” ძალაში შესვლის დროს მეურვეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, “პირს, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე და ფუნდამენტური კანონმდებლობის ძალაში შესვლის დროს იმყოფება მეურვეობაში, ხოლო ეს უკანასკნელი ზღუდავს ან გამორიცხავს მის ქმედუნარიანობას, ეკრძალება ხმის მიცემა მეურვეობის შეწყვეტამდე ან სასამართლოს მიერ ამ პირის საარჩევნო უფლების დამდგენი გადაწყვეტილების მიღებამდე.”

[კურსივით გამოყოფა ეკუთვნის სახელმწიფო მხარეს]. შესაბამისად, “გარდამავალი დებულებები” შესაძლებელს ხდის საარჩევნო უფლების განხილვას ცალკე, მეურვეობის საკითხისგან დამოუკიდებლად, რაც მეურვეობასა და საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებული საკითხების განცალკევების საშუალებას იძლევა.

4.4 სახელმწიფო მხარე დამატებით აცხადებს, რომ “ფუნდამენტურ კანონთან დაკავშირებულ ზოგიერთ აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ 2011 წლის აქტი”, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 31 დეკემბერს, მოიცავს მეურვეობის პროცედურის შესახებ დებულებებს სხვა შესაბამის დებულებებთან ერთად.²⁹ ხსენებული ცვლილებების თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებები საარჩევნო უფლების ჩამორთმევის შესახებ მიღებული უნდა იქნას მეურვეობის პროცედურების ფარგლებში. აკრძალულია ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა მხოლოდ მეურვეობის ქვეშ ყოფნის გამო. თუმცა, მეურვეობის ქვეშ მყოფი თითოეული პირის მიმართ მიღებული უნდა იქნას გადაწყვეტილება საარჩევნო უფლების შესახებ. მეურვეობის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების ფარგლებში, რომლებიც ზღუდავს ან აუქმებს პირის უფლებაუნარიანობას, და აგრეთვე, მეურვეობის შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვის ფარგლებში, სასამართლომ უნდა განიხილოს პირისათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევის საკითხი. სასამართლო უფლებამოსილია, საარჩევნო უფლება ჩამოართვას ნებისმიერ ზრდასრულ პირს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირის მიერ საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის საჭირო დისკრეციული უფლებამოსილება (ა) მნიშვნელოვნადაა შეზღუდული, დროებით ან მუდმივად, პირის ფსიქიკური მდგომარეობის, ინტელექტუალური შეზღუდვის ან დამოკიდებულების გამო; ან (ბ) მუდმივად და მთლიანად არ არსებულობს, პირის ფსიქიკური მდგომარეობის ან შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის გამო. საარჩევნო უფლების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოები უნდა დაეყრდნონ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის შედეგებს.

4.5 იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას ზრდასრული პირის საარჩევნო უფლების გაუქმების შესახებ, მეურვეობის ქვეშ მყოფ პირი, “ფუნდამენტური კანონის” XXIII მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ვერ შეძლებს, განახორციელოს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება. ხმის მიცემის აქტიური უფლება გულისხმობს პიროვნების უფლებას, არჩევნებში ხმა მისცეს მისთვის სასურველ საარჩევნო სუბიექტს, ხოლო ხმის მიცემის პასიური უფლება ნიშნავს პირის შესაძლებლობას, არჩეული იქნას ამა თუ იმ თანამდებობაზე. აღნიშნული უფლების გაუქმება და აგრეთვე, ამ უფლების გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელსაც უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი მეურვეობის გაუქმების შესახებ. შესაბამისად, მეურვეობის ქვეშ მყოფ პირს შეუძლია, მოითხოვოს საარჩევნო უფლების აღდგენა მეურვეობით გათვალისწინებული მფარველობის დაკარგვის გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ პირს საარჩევნო უფლების განხორციელების შესაძლებლობა გააჩნია.

4.6 სახელმწიფო მხარე დამატებით აღნიშნავს, რომ საარჩევნო უფლების გაუქმების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება ექვემდებარება გადასინჯვას მეურვეობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების სავალდებულო გადახედვის ნებისმიერი პროცედურის ფარგლებში, რაც უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან არა უმეტეს ხუთი წლის განმავლობაში. ამასთან, “გარდამავალი დებულებების” თანახმად, სიტუაცია ექვემდებარება გადახედვას გამონაკლისი პროცედურის ფარგლებში, იმ ნებისმიერი პირის თხოვნის

²⁹ 1959 წლის “სამოქალაქო კოდექსის” IV აქტი (სექცია 15/ბ); “საარჩევნო პროცედურების შესახებ აქტი C”, 1997 წელი (თავი III/ა) ; და სამოქალაქო პროცედურის შესახებ აქტი III, 1952 წელი (სექციები 311-312).

საფუძველზე, რომელსაც უფლება აქვს, აღძრას სარჩელი მეურვეობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გადახედვის მოთხოვნით (ე.ი. მეურვეობის ქვეშ მყოფი პირი, მისი მეუღლე ან რეგისტრირებული პარტნიორი, ახლო ნათესავი, და ან ძმა, მეურვე, მეურვეობის ორგანო, ან პროკურორი). ამასთან, საარჩევნო უფლების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება შესაძლებელია გადაიხედოს მომდევნო სავალდებულო რევიზიის ფარგლებში.

4.7 სახელმწიფო მხარის განცხადებით, ვინაიდან შესაბამისი კანონმდებლობა ძალაში შევიდა ცოტა ხნის წინ, მას არ შეუძლია კომიტეტს წარუდგინოს ინფორმაცია მისი პრაქტიკაში განხორციელების შესახებ. დასკვნის სახით, სახელმწიფო მხარე აღნიშნავს, რომ მისი მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ცვილებების განხორციელებამ ეროვნული კანონმდებლობა კონვენციის 29-ე მუხლთან შესაბამისობაში მოიყვანა. ამრიგად, სახელმწიფო მხარე კომიტეტს მიმართავს თხოვნით, უარყოს მომჩივნების მოთხოვნა კანონმდებლობაში ცვილებების განხორციელებისა და არა-მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მესამე მხარის ინტერვენცია

5.1 2012 წლის 23 ივნისს “შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ჰარვარდის სამართლის სკოლის პროექტმა” (HPOD) წარადგინა მოსაზრებები მომჩივნის შეტყობინების მხარდასაჭერად. 2012 წლის 19 სექტემბერს გამართული მერვე სესიის ფარგლებში, კომიტეტმა საკუთარი რეგლამენტის 73-ე წესის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვიტა, შეტყობინების ავტორებისათვის ეთხოვა წერილობითი თანხმობა HPOD -ის მიერ მესამე მხარის სახით მოსაზრებების წარდგენასთან დაკავშირებით. 2012 წლის 17 ოქტომბერს შეტყობინების ავტორებმა კომიტეტს წარუდგინეს შესაბამისი ფორმალური თანხმობა.

5.2 ინტერვენციის ფარგლებში, HPOD-მა (მესამე მხარე) აღნიშნა, რომ “უნგრეთის ძირითადი კანონის” XXI მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პირი საარჩევნო უფლებას კარგავს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მას ხმის მიცემის უნარი არ აქვს. აღნიშნული შეფასება შეეხება მხოლოდ მეურვეობის ქვეშ მყოფ პირებს, რომლებიც არიან ფსიქო-სოციალური ან ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირები. ამრიგად, უნგრეთის კანონმდებლობა იძლევა შშმ პირთათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობას იმ რწმენის გამო, რომ მათ, თავიანთი შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე, ხმის მიცემის უნარი არ აქვთ. მესამე მხარის განცხადებით, კონვენციის 29-ე მუხლი განურჩევლად ყველა შშმ პირის უპირობო საარჩევნო უფლებას იცავს და არ ითვალისწინებს რაიმე ფარული შეზღუდვის დაწესების შესაძლებლობას პირის მიერ ხმის მიცემის რეალური ან სავარაუდო უნარის საფუძველზე, როგორც შშმ პირთა ფართო კატეგორიებზე, ისე კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე დაწესებული ზოგადი აკრძალვის სახით, რომელთაც, სავარაუდოდ, გააჩნიათ ხმის მიცემის შეზღუდული უნარი, ან კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ხმის მიცემის უნარის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.³⁰ მესამე მხარის განცხადებით, კონვენციის 29-ე მუხლი ხმის მიცემის

³⁰ მესამე მხარე გულისხმობს ტუნისთან მიმართებით კომიტეტის დასკვნით მოსაზრებებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო მხარე უნდა მიიღოს გადაუდებელი საკანონმდებლო ზომები შშმ პირთა, “მათ შორის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირთა მიერ ხმის მიცემის უფლებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების განხორციელების უზრუნველსაოფად” (CRPD/C/TUN/CO/1, მეხუთე სესია, 11-15 აპრილი, 2011 წელი, პუნქტი 35). მესამე მხარე აგრეთვე მიუთითებს ესპანეთის მიმართ კომიტეტის დასკვნით მოსაზრებებზე, რომელშიც კომიტეტმა გამოხატა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ხმის მიცემის უნარის ეროვნული კანონმდებლობით დაშვებული ინდივიდუალური შეფასება იწვევს შშმ პირებისათვის საარჩევნო უფლების წართმევას. შესაბამისად, კომიტეტმა სახელმწიფო მხარეს მიმართა რეკომენდაციით, მოახდინოს “ყველა შესაბამისი კანონმდებლობის

საყოველთაო უფლებასთან დაკავშირებით არ ითვალისწინებს რაიმე საგამონაკლისო შემთხვევას, პირის შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე; არამედ, კონვენცია კრძალავს ნებისმიერი შშმ პირისათვის, მათ შორის “მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის” მქონე პირისათვის, საარჩევნო უფლების წართმევას შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.

5.3 მესამე მხარის განცხადებით, მსოფლიოს არაერთ სახელმწიფოში არსებული პრაქტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოაღნიშნული სტანდარტისაგან. 2001 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, 60 გამოკვლეული ქვეყნიდან 56 ხმის მიცემის უფლებას ზღუდავს ამა თუ იმ ფორმით, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.³¹ “ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტოს” მიერ გამოცემულ 2010 წლის ანგარიშში იგივე შედეგები ფიქსირდება; კერძოდ, ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნიდან მხოლოდ 7 ქვეყანა არ ზღუდავს საარჩევნო უფლებას შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.³² კიდევ უფრო უარესადაა საქმე ევროკავშირის არა-წევრ სხვა ევროპულ სახელმწიფოებში. ამრიგად, მესამე მხარის განცხადებით, წინამდებარე საქმეში წამოჭრილ საკითხებს სახელმწიფო მხარის გარდა კიდევ არაერთ ქვეყანაზე აქვს გავლენა.

5.4 მესამე მხარე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირდაპირ დისკრიმინაციას წარმოადგენს და ეფუძნება დაუშვებელ და ემპირიული თვალსაზრისით გაუმართლებელ სტერეოტიპს იმის თაობაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირი უუნაროა. აღნიშნული აგრეთვე ეხება შშმ პირთა კონკრეტულ ქვე-ჯგუფებში შემავალ პირთა კლასიფიკაციას - მაგ. მეურვეობის ქვეშ მყოფი პირები. შეზღუდვები პირდაპირ უკავშირდება პირის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსს; შესაბამისად, ეს შეზღუდვები დაუშვებელია, ვინაიდან ეწინააღმდეგება კონვენციის 29-ე მუხლს. ამასთან, ზოგიერთი სახელმწიფო შშმ პირებს ართმევს საარჩევნო უფლებას მათი ხმის მიცემის უფლების ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. ხმის მიცემის უნარის ამგვარი შეფასების ფართოდ გავრცელებულ გამამართლებელ გარემოებას წარმოადგენს დაწესებული შეზღუდვის პროპორციულობა აღნიშნულ ფუნდამენტურ უფლებასთან [ხმის მიცემის უფლება]. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეს არგუმენტი განიხილა და უარყო საქმეში “ალახოს კისი უნგრეთის წინააღმდეგ”, სახელმწიფო მხარის მიერ მეურვეობის საფუძველზე საარჩევნო უფლების გაუქმების შეფასებისას.³³ სახელმწიფო მხარე აცხადებდა, რომ მის მიერ განხორციელებული ზომა ხმის მიცემის უფლებაში პროპორციულ ჩარევას წარმოადგენდა. თუმცა, ევროპულმა სასამართლომ უარყო აღნიშნული არგუმენტი და განაცხადა, რომ საარჩევნო უფლების გაუქმება მეურვეობის საფუძველზე, პიროვნების მიერ ხმის მიცემის უნარის “ინდივიდუალური სამართლებრივი შეფასების გარეშე” წარმოადგენს არაპროპორციულ ჩარევას და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. ამავდროულად, სასამართლოს გადაწყვეტილება მიანიშნებს, რომ ევროპული კონვენციის შესაბამისად, შესაძლოა დასაშვები იყოს საარჩევნო უფლების გაუქმება, ხმის მიცემის უნარის

გადასინჯვა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შშმ პირებს, თავიანთი დარღვევის, სამართლებრივი სტატუსისა თუ საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, ჰქონდეთ ხმის მიცემისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე.”

³¹ André Blais, Louis Massicotte, Antoine Yoshinaka, *Deciding who has the right to vote: a comparative analysis of election laws*, Electoral Studies 20 (2001 წ.), გვ.51.

³² Fundamental Rights Agency, *The right to political participation of persons with mental health problems and persons with intellectual disabilities*, 2010 წლის ოქტომბერი.

³³ იხ. შენიშვნა 2, პუნქტი 44.

ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, ხოლო მსგავსი ღონისძიების ანალოზი და მის შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს პროპორციულობის ჩარჩოში.

5.5 მესამე მხარე კომიტეტს სთავაზობს, წინამდებარე საქმის განხილვისას არ შემოიფარგლოს სახელმწიფო მხარის მიერ, კონვენციის 29-ე მუხლის საწინააღმდეგოდ, მომჩივანთა ადამიანის უფლებების დარღვევის ვიწრო საკითხით და გადაწყვეტილება გამოიტანოს წინამდებარე საქმეში წამოჭრილ სხვა საკითხთან დაკავშირებით - კერძოდ, იმასთან დაკავშირებით, რომ თავად შშმ პირთა ხმის მიცემის უნარის ინდივიდუალური განხილვის პრაქტიკა კონვენციის 29-ე მუხლის დარღვევას წარმოადგენს. მესამე მხარის განცხადებით, ასეთი გადაწყვეტილების მიღება დამაჯერებელ განმარტებასთან ერთად, რომელიც ნათელს მოჰყვანს კონვენციის შესაბამისი დებულებების საფუძველში არსებულ მიზეზებს, იქნებოდა მეტად ეფექტური საშუალება სახელმწიფო მხარეთა დასარწმუნებლად და იმ ნებისმიერი ეჭვების გასაფანტად, რომელიც შესაძლოა ჰქონდეთ ეროვნულ დაინტერესებულ მხარეებს კონვენციის 29-ე მუხლის პრაქტიკაში განხორციელებასთან დაკავშირებით. კომიტეტი გარეთვე ძლიერ გავლენას იქონიებდა ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოსა და სხვა რეგიონული თუ ეროვნული სასამართლოებისა და ტრიბუნალების აღქმაზე, რომლებიც მომავალში დიდი ალბათობით განიხილავენ ამ საკითხთან დაკავშირებულ საქმეებს, რითაც განმტკიცდება შშმ პირთა უფლებების დაცვა მსოფლიო მასშტაბით. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება კონვენციის მიზანს, რომელიც მდგომარეობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ადამიანის ყველა უფლებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სრულყოფილი და თანასწორი სარგებლობის ხელშეწყობაში (მუხლი 1), ვინაიდან ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე საარჩევნო უფლება ჩამორთმეული თითოეული პირი ხმის მიცემის უფლების დარღვევის მსხვერპლია, მაგრამ მხოლოდ მათ მცირე ნაწილს აქვს კომიტეტისათვის სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით მიმართვის საშუალება. კომიტეტი, აგრეთვე, ვერ შეძლებს საარჩევნო უფლების ჩამორთმევის თითოეულ შემთხვევაში აღადგინოს სამართლიანობა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ხდება [საარჩევნო უფლების] დარღვევა, საკმაოდ მაღალია დაზარალებულთა რიცხვი. მესამე მხარის განცხადებით, შშმ პირთა მიერ ხმის მიცემის უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად, კომიტეტმა უნდა განიხილოს იმ [შშმ პირების] მდგომარეობა, რომლებიც კომიტეტის წინაშე არ წარმდგარან, მაგრამ იმავე შეზღუდვებს ექვემდებარებიან.

5.6 რაც შეეხება ჩარევის გამამართლებელ გარემოებას, რომელიც სახელმწიფო მხარის მიერ იქნა წარმოდგენილი, მესამე მხარე აცხადებს, რომ ხმის მიცემის უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და დაუშვებელია [უფლებაში ჩარევის] გამართლება და მისი პროპორციულობის შეფასება, ვინაიდან საარჩევნო უფლების ჩამორთმევა ვერ იქნება პროპორციული ჩარევა შემდეგი სამი ძირითადი მიზეზის გამო: (ა) უნარიანობის შეფასება წარმოადგენს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით; (ბ) მსგავსი შეფასების გარდაუვალი შედეგია უნარიანი პირებისათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევა; (გ) მისი პრაქტიკაში გამოყენება იწვევს დიდი ოდენობით შშმ პირთათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევას.

(ა) უნარიანობის შეფასება, როგორც დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით

5.7 ხმის მიცემის უნარის შეფასება ემყარება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დასაშვებია პოლიტიკური სისტემის მთლიანობის დაცვა იმ პირებისაგან, რომელთაც არ შეუძლიათ გონივრული პოლიტიკური აზრის ფორმულირება. აღნიშნული არგუმენტის თანახმად, პირებს,

რომლებიც ობიექტური შეფასების საფუძველზე ითვლებიან ხმის მიცემის უნარის არმქონედ, ზოგადად, არ შეუძლიათ ხმის კომპეტენტურად მიცემა. თუმცა, მესამე მხარის მტკიცებით, საექვო ასეთი მიზნის ლეგიტიმურობა, ვინაიდან სახელმწიფოს გადასაწყვეტი არ არის ის, თუ ვისი პოლიტიკური აზრია გონივრული. მესამე მხარე აღიარებს, რომ არსებობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომელთაც არ შეუძლიათ რაციონალური პოლიტიკური აზრის ფორმულირება, მაგრამ “კომპეტენტური” ან “რაციონალური” ხმის მიცემის უუნარობა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს არ ახასიათებთ. შესაბამისად, თუ არსებობენ როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ისე არმქონე ადამიანები, რომელთაც არ აქვთ კომპეტენტური ხმის მიცემის უნარი, მიუღებელია იმის მტკიცება, რომ უნარის შეფასებას მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა დაექვემდებარონ. არსებული პრაქტიკა ემყარება ღრმად ფესვადგმული ცრურწმენა და შესაბამისად, კონვენციის გათვალისწინებით, ეს პრაქტიკა უარყოფილი უნდა იქნას.

(ბ) უნარიანი პირებისათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევა

5.8 მესამე მხარის თანახმად, უნარიანობის შეფასება არ წარმოადგენს აღნიშნულ კონტექსტში კომპეტენტურობის შეფასების პროპორციულ საშუალებას, არამედ იგი ეფუძნება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია “უუნარო” ამომრჩევლების ობიექტურად განცალკევება დანარჩენი ამომრჩევლებისაგან. თუმცა, ფსიქიატრების თანახმად, აღნიშნული მოსაზრება დაუსაბუთებელია. არ არსებობს მეცნიერულად განსაზღვრადი კონკრეტული ზღვარი ხმის მიცემის უნარის მქონე და არმქონე პირებს შორის. ამრიგად, უნარის შეფასება ყოველთვის გამოიწვევს უნარის მქონე ზოგიერთი შშმ ამომრჩევლისათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევას.

5.9 მესამე მხარე დამატებით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ამოცანა, დაიცვას საარჩევნო სისტემის მთლიანობა არც დამაჯერებელია (იმის გათვალისწინებით, რომ მის სამიზნეს წარმოადგენს პოტენციურად არაკომპეტენტური ამომრჩევლების მცირე ზომის ჯგუფი, რომელიც აღიარებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჯგუფად) და არც ლეგიტიმური; არამედ, ეს ამოცანა არის დისკრიმინაციული.

(გ) უნარიანობის შეფასება პრაქტიკაში

5.10 დამატებით, მესამე მხარე ხაზგასმით აღნიშნავს: არაერთ ქვეყანაში არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უნარიანობის შეფასების დაშვების შემთხვევაში არაერთი შშმ პირი დაკარგავს საარჩევნო უფლებას მხოლოდ და მხოლოდ მათი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსიდან გამომდინარე. მესამე მხარე მიუთითებს კომიტეტის დასკვნით მოსაზრებებს ესპანეთის შესახებ, რომელშიც კომიტეტი შემოფოტებით აღნიშნავს, რომ “არაერთ შშმ პირს ჩამორთმეული აქვს ხმის მიცემის უფლება”, ხოლო “აღნიშნული უფლების ჩამორთმევა წარმოადგენს წესს და არა გამონაკლის შემთხვევას.”³⁴ მესამე მხარის განცხადებით, სახელმწიფოში არსებული მდგომარეობა თანაბრად არღვევს შშმ პირთა უფლებებს; კერძოდ, 2011 წლის 1 იანვრის მონაცემებით, ხმის მიცემის უფლება ჩამოერთვა 71,862 პირს, რომელიც ქვეყანაში ზრდასრული მოსახლეობის 0.9 პროცენტს შეადგენს.³⁵ ამავედროულად, “მწვავე ან მკვეთრად გამოხატული ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა” კატეგორიაში დარეგისტრირებულია მხოლოდ 1,394 ადამიანი და

³⁴ იხ. შენიშვნა 6, პუნქტი 47.

³⁵ “ეროვნული სამართლებრივი საბჭოს ოფისიდან” (OITH) მიღებული წერილი No. 10586/2011/2. OIT Hiv., (წარმოდგენილი მომჩივნების მიერ).

შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენენ ხმის მიცემის უფლების შემზღვევად პოლიტიკის ძირითად სამიზნესა და გამამართლებელ მიზეზს.³⁶ ამრიგად, სახეზეა მნიშვნელოვანი რაოდენობრივი სხვაობა ხმის მიცემის სავარაუდოდ საექვო კომპეტენციის მქონე ადამიანებსა და იმ ადამიანებს შორის, რომელთაც რეალურად ჩამოერთვათ საარჩევნო უფლება, ხოლო ამ უკანასკნელთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება. სახელმწიფო მხარემ აღნიშნულ შეფასებაში სამომავლოდ რა სახის ცვლილებებიც არ უნდა განახორციელოს, შესაძლებელია ითქვას, რომ საარჩევნო უფლებაჩამორთმეული ადამიანების რაოდენობა იქნება იმ ადამიანების რაოდენობაზე გაცილებით მეტი, რომლებიც შესაძლოა გონივრულობის ფარგლებში მიჩნეულ იქნან “ხმის მიცემის უუნაროდ”, მეცნიერულად დადასტურებული რაიმე ტესტის შესაბამისად.

5.11 მესამე მხარე ხაზგასმით აღნიშნავს ღრმად ფესვგადგმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ აქვთ უნარი, წარმართონ თავიანთი საქმეები, მიიღონ კომპეტენტური გადაწყვეტილებები და მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეებში. მათივე მტკიცებით, აღნიშნულმა ცრურწმენამ სავსებით შესაძლებელია, გავლენა მოახდინოს შეფასების პროცესში მონაწილე პროფესიონალებზე - მაგ. მოსამართლეები, ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, სოც. მუშაკები და სხვები. ამრიგად, სისტემა, რომელიც საარჩევნო უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობას იძლევა, წარმოშობს საარჩევნო უფლებაშეზღუდული შშმ პირების არაპროპორციულ რაოდენობას და სწორედ ამიტომ, ეს სისტემა კონვენციის საფუძველზე უნდა გაუქმდეს.³⁷ კონვენციის 29-ე მუხლის საფუძველზე, სახელმწიფო მხარეებს მოეთხოვებათ ხმის მიცემის პროცედურების ადაპტაცია, შშმ პირების მიერ ხმის მიცემის უფლების განხორციელებისა და მათი ხმის მიცემის კომპეტენტური უნარის ხელშეწყობის მიზნით. შშმ პირთა ხმის მიცემის უნარი არ უნდა იყოს სადაო, ხოლო არავინ არ უნდა დაექვემდებაროს ხმის მიცემის უნარის იძულებით შეფასებას, არჩევნებში მონაწილეობის მიღების წინაპირობის სახით.

სახელმწიფო მხარის მოსაზრებები მესამე მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით

6.1 2013 წლის 30 იანვარს სახელმწიფო მხარემ კომიტეტს წარუდგინა საკუთარი მოსაზრებები. კერძოდ, სახელმწიფო მხარის ცნობით, 2012 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა “უნგრეთის ფუნდამენტური კანონი”, რითაც განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები შშმ პირთა საარჩევნო უფლების მარეგულირებელ კანონმდებლობაში. მანამდე არსებული კონსტიტუცია ითვალისწინებდა საარჩევნო უფლების გაუქმებას მეურვეობის ქვეშ მყოფი ყველა პირისათვის, რის შედეგადაც იზღუდებოდა ან უქმდებოდა მათი სამოქალაქო კანონის თანახმად ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობის უნარი. ახალი “ფუნდამენტური კანონი” კი სასამართლოებს ანიჭებს უფლებამოსილებას, ხმის მიცემის უფლება გააუქმონ მხოლოდ და მხოლოდ ქმედუნარიანობის აბსოლუტური არ არსებობის გამო. ხმის მიცემის უფლების გაუქმება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ პირის მდგომარეობის ინდივიდუალური

³⁶ 2001 წელს ჩატარებული აღწერილს თანახმად, უნგრეთში შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე 38,841 ზრდასრული ადამიანი ცხოვრობს, აღწერის შედეგები იხ. <http://www.nepszamlalas.hu/>. მწვავე ან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შშმ პირთა საერთო რაოდენობის 3.5%-ს შეადგენენ. იხ. Martha A. Field & Valerie A. Sanchez, *Equal Treatment for People with Mental Retardation*, 33 (1999 წ.).

³⁷ მესამე მხარე აღნიშნავს, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში - მაგ. ნიდერლანდები, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, იტალია და, აგრეთვე, კანადის რამოდენიმე პროვინცია და აშშ-ს რამოდენიმე შტატი, - უკვე გაუქმებულია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ხმის მიცემის უფლების რაიმე სახით შეზღუდვა.

შეფასების საფუძველზე და იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული ქმედუნარიანობის გამო აღნიშნულ პირს საარჩევნო უფლების განხორციელების უნარი შესწევს.

6.2 კანონმდებლობაში ცვლილებები განხორციელდა საქმეში “ალახოს კისის უნგრეთის წინააღმდეგ” ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე, უმთავრესად კონვენციის იმპლემენტაციის მიზნით. სახელმწიფო მხარის მოსაზრებით, “ფუნდამენტურ კანონმდებლობაში” არსებული მარეგულირებელი ნორმები ასახავს მნიშვნელოვან ცვლილებას, რომელიც კონვენციის სულისკვეთების თანახმად განხორციელდა და სრულად შეესაბამება ალახოს კისის საქმეში მიღებულ გადაწყვეტილებას.

6.3 არსებული საკანონმდებლო გარემოს გათვალისწინებით, სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ “ჰარვარდის სამართლის სკოლის პროექტის” მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც შეზღუდული შესაძლებლობის გამო საარჩევნო უფლებაწართმეული ადამიანების რაოდენობა საკმაოდ მაღალია, არარელევანტური ინფორმაციაა. აღნიშნული სავარაუდო გათვლები განხორციელდა მანამდე არსებულ მარეგულირებელ ნორმებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებდა მეურვეობის ქვეშ მყოფი ადამიანის საარჩევნო უფლების ავტომატურ გაუქმებას. ეს მონაცემები, როგორც ასეთი, აღნიშნავს მეურვეობის ქვეშ მყოფი ადამიანების რაოდენობას. თუმცა, შეუძლებელია პირდაპირი კავშირის დადგენა [მეურვეობის ქვეშ მყოფი ადამიანების რაოდენობასა და საარჩევნო უფლებაწართმეული ადამიანების რაოდენობას შორის], ვინაიდან სასამართლო საარჩევნო უფლების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს საქმის ინდივიდუალური გარემოებების შესწავლით, ახალი მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად.

6.4 ამრიგად, სახელმწიფო მხარე შეტყობინების არსებით მხარესთან დაკავშირებით ინარჩუნებს იმავე მოსაზრებას, და კომიტეტს მიმართავს თხოვნით, უარყოს მომჩივნების მოთხოვნა კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელებისა და არა-მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მომჩივანთა პოზიცია სახელმწიფო მხარის მოსაზრებებთან დაკავშირებით

7.1 2012 წლის 13 აგვისტოს მომჩივნებმა წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრება სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით. მათი თქმით, სახელმწიფოს სადაოდ არ გაუხდია ის ფაქტი, რომ მათ წინააღმდეგ დარღვეულ იქნა კონვენციის 29-ე მუხლით გათვალისწინებული ხმის მიცემის უფლება, ვინაიდან 2010 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის მოხდა მომჩივანთა საარჩევნო სიიდან ამოღება. სახელმწიფო მხარე საკუთარ არგუმენტებში მიუთითებს კონვენციის 29-ე მუხლთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, თუმცა, მომჩივანთა მტკიცებით, სახელმწიფოს არ წარმოუდგენია რაიმე ახსნა-განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ მიეცათ წინამდებარე შეტყობინების ავტორებს 2010 წლის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება. აღნიშნული საკანონმდებლო ღონისძიებები არანაირ გავლენას არ ახდენს იმ ზიანზე, რომელიც მომჩივნებს 2010 წელს მიადგათ. მომჩივნები დამატებით აღნიშნავენ, რომ მათი დარღვეული უფლებების აღსადგენად არ განხორციელდა რაიმე ღონისძიება, სახელმწიფომ არ აღიარა მათი უფლებების დარღვევა, ხოლო მომჩივნებს არ მიუღიათ რაიმე მორალური კმაყოფილება ან კომპენსაცია. სახელმწიფო მხარის მიერ გადადგმული ნაბიჯები მხოლოდ სამომავლოდ, 2014

წლის მომდევნო საპარლამენტო არჩევნების დროს, მათი უფლებების ხელშეწყობა დარღვევის თავიდან აცილებისკენ იყო მიმართული.

7.2 მეორე, მომჩივნები უარყოფენ სახელმწიფო მხარის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მომჩივანთა მიერ კომიტეტში შეტობინების წარდგენის შემდეგ გადაიდგა საჭირო საკანონმდებლო ნაბიჯები იმ დარღვევის აღმოფხვრის მიზნით, რომელზეც მომჩივნები შეტყობინებაში მიუთითებენ. მომჩივნები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ 2012 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა უნგრეთის ახალი “ფუნდამენტური კანონმდებლობა”, რომელმაც ჩაანაცვლა მანამდე მოქმედი უნგრეთის კონსტიტუცია. “ფუნდამენტური კანონმდებლობის” XXIII მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სასამართლოს უფლება აქვს, შეზღუდოს იმ ადამიანის ხმის მიცემის უფლება, რომელსაც არ გააჩნია ხმის მიცემისათვის საჭირო უნარი. აღნიშნული დებულების აღსრულების მიზნით შესაბამისი ცვლილებები შევიდა “სამოქალაქო კოდექსში”, “სამოქალაქო საპროცესო კოდექსში” და “საარჩევნო პროცედურის შესახებ აქტში.” ცვლილებების შედეგად, სასამართლოებს მიენიჭათ მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის საარჩევნო უფლების გაუქმების საკითხის ცალკე, ქმედუნარიანობის შეზღუდვის ან აღდგენის შესახებ მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში განხილვის უფლებამოსილება. 2010 წელს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა მეურვეობის ქვეშ მყოფი პირების საარჩევნო რეესტრიდან ავტომატურ ამოღებას, ხოლო ამჟამად არსებული კანონმდებლობით, სასამართლოებს შეუძლიათ ხმის მიცემის უფლება განიხილონ ცალკე, პირზე მეურვეობის დაწესების საკითხისაგან დამოუკიდებლად, ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. აღნიშნული ცვლილებების მიუხედავად, მომჩივნები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სასამართლოებს საარჩევნო უფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ მხოლოდ მეურვეობის საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში, ხოლო ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა ცალკე სამართალწარმოების ფარგლებში არ ხდება. მეურვეობის ქვეშ მყოფი ყველა პირი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. მათი საარჩევნო უფლების გაუქმება კი ეფუძნება კონკრეტულად მათ ინტელექტუალურ შეზღუდვას და შესაბამისად, არის დისკრიმინაციული.

7.3 მომჩივნები დამატებით აცხადებენ, რომ ხმის მიცემა სუბიექტური არჩევანია და უკავშირდება პირად პრეფერენციებს. შესაბამისად, შშმ პირები არ წარმოადგენენ ერთადერთ ჯგუფს, რომლებიც სირთულეებს აწყდებიან საარჩევნო უფლების განხორციელების პროცესში. ამისდა მიუხედავად, სახელმწიფო მხოლოდ ამ ჯგუფს ართმევს საარჩევნო უფლებას. მომჩივნები დამატებით ამბობენ, რომ არსებობს სხვადასხვა საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც სახელმწიფო მხარეს შეუძლია, ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მიერ კომპეტენტური არჩევანის გაკეთებას - მაგ. სამოქალაქო განათლების სტანდარტების გაუმჯობესება, საარჩევნო პროცესების შესახებ ცნობიერების ამაღლება და კონკრეტული დახმარების გაწევა მოწყველადი ჯგუფებისათვის, როგორც ამას კონვენციის 29-ე მუხლი ითვალისწინებს.

7.4 მომჩივნები კიდევ ერთხელ აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოში მოქმედი ინდივიდუალური შეფასების სისტემა, რომლის ერთადერთ სამიზნე ჯგუფს შშმ პირების წარმოადგენენ, ვერ იქნება კონვენციის 29-ე მუხლის შესაბამისი, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ ითვალისწინებს რაიმე გამონაკლისს ხმის მიცემის საყოველთაო უფლებასთან დაკავშირებით. საარჩევნო უფლების ჩამორთმევის აღნიშნული სისტემა აგრეთვე წარმოშობს გარკვეულ კითხვებს, ვინაიდან “ფუნდამენტური კანონის გარდამავალი დებულებების თანახმად” ყველა ის პირი, რომელიც ამჟამად იმყოფება მეურვეობის ქვეშ, იქნება საარჩევნო უფლებარსმეული მანამ, სანამ მათ ხმის მიცემის უფლება არ აღუდგებათ. აღნიშნული ეხება მომჩივნებსაც, რომელთაც კვლავ წართმეული აქვთ საარჩევნო უფლება. სახელმწიფო მხარეს არ დაუწყია ან

გამოუცხადებია რაიმე ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც მოხდება შშმ პირთა ხმის მიცემის უფლების ხელახალი შეფასება. არამედ, სასამართლოს შეფასების გზით ხმის მიცემის უფლების აღდგენის შესაძლებლობა ექნებათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სასამართლოს მიმართავენ ინდივიდუალურად. ამასთან, ხსენებული სამართალწარმოების ფარგლებში არ არის გათვალისწინებული რაიმე სამართლებრივი, ფინანსური თუ სხვა სახის დახმარება, რაც მეურვეობის ქვეშ მყოფ პირებს, შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებთან შედარებით, უსამართლო და არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. აღნიშნულის ნაცვლად, მომჩივანთა მტკიცებით, სახელმწიფოს უნდა გამოეცხადებინა, რომ საარჩევნო უფლება აღუდგებოდა ყველა შესაბამის პირს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარჩევნო უფლება გაუქმებულია სასამართლოს გადაწყვეტილების მიერ.

7.5 მომჩივნები მიუთითებენ სახელმწიფო მხარის განცხადებაზე იმის თაობაზე, რომ სასამართლოები საარჩევნო უფლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებებს მიიღებენ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტის მოსაზრებაზე დაყრდნობით. აღნიშნულთან დაკავშირებით, მომჩივნები აცხადებენ, რომ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტების კომპეტენციაში შედის ფსიქიკური დაავადების დიაგნოზი და მკურნალობა და არა ინტელექტის კოეფიციენტის ტესტის ჩატარება სოციალური უნარ-ჩვევების შესაფასებლად, ან შშმ პირთა ინდივიდუალური შესაძლებლობების სხვაგვარად შეფასება. მომჩივნები დამატებით ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოში ამჟამად არ მოქმედებს რაიმე ფსიქიატრიული პროტოკოლი პირის “ხმის მიცემის უნარის” შესაფასებლად. შედეგად, სახელმწიფო მხარის მიერ აღწერილ ფსიქიატრიულ შეფასებას ექნება თვითნებური ხასიათი, მსგავსად მეურვეობის საკითხთან დაკავშირებით აღძრული სამართალწარმოებისა, სადაც ფსიქიატრიული შეფასებისა და შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებაში ერთადერთ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის არსებობა.

7.6 მომჩივნები დამატებით მიუთითებენ სახელმწიფო მხარის განცხადებაზე იმის შესახებ, რომ უნგრეთში არსებული სასამართლო სისტემა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიერ საქმეში “ალახოს კისი უნგრეთის წინააღმდეგ” მიღებულ გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაშია. აღნიშნულთან დაკავშირებით მომჩივნები აცხადებენ, რომ ევროპული სასამართლოს სტანდარტები განსხვავდება კომიტეტის სტანდარტებისაგან, და რომ სახელმწიფო მხარის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების დაცვა კომიტეტისათვის გადამწყვეტ ფაქტორს არ წარმოადგენს. დამატებით, ალახოს კისის საქმეში მიღებულ გადაწყვეტილებაში, ევროპულ სასამართლოს არ დაუდგენია, რომ ინდივიდუალური შეფასება - ისეთი, როგორც ამჟამად სახელმწიფოში მოქმედებს - ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობაშია; არამედ, სასამართლომ დაადგინა, რომ სისტემა, რომელიც ეფუძნება უფლების ავტომატურ ჩამორთმევას, ყოველგვარი ინდივიდუალური შეფასების გარეშე, კონვენციას არ შეესაბამისება. აღნიშნული კი არ პასუხობს კითხვას იმის შესახებ, თუ რამდენად მისაღებია ამჟამად არსებული ინდივიდუალური შეფასების სისტემა.

7.7 და ბოლოს, დასკვნის სახით, მომჩივნები აცხადებენ, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო ისეთი არგუმენტების წარმოდგენა, რომელიც გაამართლებდა შშმ პირთათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევას ან დაადასტურებდა, რომ აღნიშნული სისტემა კონვენციასთან შესაბამისობაშია. ამრიგად, მომჩივნები კომიტეტს განმეორებით სთხოვენ, (i) დაადგინოს, რომ სახელმწიფოში ამჟამად მოქმედი ინდივიდუალური შეფასების სისტემა კონვენციის 29-ე მუხლის დარღვევას წარმოადგენს; (ii) სახელმწიფო მხარეს მოსთხოვოს არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, რათა შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე საარჩევნო უფლების ჩამორთმევა აიკრძალოს, როგორც ავტომატურად, ისე პირის ხმის მიცემის

უნარის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე; (iii) აღიაროს მომჩივანთა წინააღმდეგ კანონმდებლობის დარღვევა და მიყენებული არა-მატერიალური ზარალი კომპენსაციით აუნაზღაუროს.

კომიტეტის მიერ განსახილველი საკითხები და მათი განხილვის პროცედურები

შეტყობინების დასაშვებობის განხილვა

8.1 შეტყობინებაში წარმოდგენილი ნებისმიერი პრეტენზიის განხილვამდე, კომიტეტმა, ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 65-ე წესის შესაბამისად, უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა შეტყობინება კონვენციის ფაკულტატური ოქმის თანახმად დასაშვები.

8.2 კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარეს სადაოდ არ გაუხდია წინამდებარე შეტყობინების დასაშვებობა. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია, რომ კომიტეტმა შეტყობინების დასაშვებობა განიხილოს. ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (გ) პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, კომიტეტმა დაადგინა, რომ წინამდებარე შეტყობინების თემა კომიტეტს აქამდე არ განუხილავს, და რომ ეს თემა არ განხილულა და არ განიხილება სხვა საერთაშორისო საგამომიებო ან დავების მოგვარების პროცედურის ფარგლებში. დამატებით, კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარეს არ წამოუყენებია რაიმე პრეტენზია ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებით. მას აგრეთვე არ დაუსახელებია ის კონკრეტული სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც მომჩივნებისათვის ხელმისაწვდომი იყო. შესაბამისად, კომიტეტი აცხადებს, რომ ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლი არ გამორიცხავს კომიტეტის მიერ წინამდებარე შეტყობინების განხილვას.

8.3 კომიტეტს მიაჩნია, რომ დასაშვებობის მიზნებისთვის, მომჩივნებმა სათანადოდ დაასაბუთეს კონვენციის მე-12 და 29-ე მუხლების საფუძველზე წარმოდგენილი პრეტენზიები. ვინაიდან შეტყობინების დასაშვებობის წინააღმდეგ სხვა არგუმენტი არ არსებობს, კომიტეტი აღნიშნულ პრეტენზიებს დასაშვებად აცხადებს და იწყებს საქმის არსებით განხილვას.

შეტყობინების არსებითი მხარის განხილვა

9.1 კომიტეტმა წინამდებარე საქმე განიხილა მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 73-ე წესის 1 პუნქტის შესაბამისად.

9.2 კომიტეტი მიუთითებს მომჩივნების პრეტენზიას, რომლის თანახმადაც მათი სახელების საარჩევნო რეესტრიდან ავტომატურად ამოღება, კონსტიტუციის 70(5) მუხლის შესაბამისად, რომელიც შეტყობინების წარდგენის დროს იყო ძალაში, წარმოადგენს კონვენციის 29-ე მუხლის დარღვევას, როგორც ცალკე, ისე მე-12 მუხლთან ერთობლიობაში. კერძოდ, მომჩივნებმა განაცხადეს, რომ მათთვის საარჩევნო უფლების ავტომატური ჩამორთმევა, მათი შეზღუდული შესაძლებლობის ბუნებისა და მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე, წარმოადგენს დისკრიმინაციულ და გაუმართლებელ ქმედებას. კომიტეტი აგრეთვე ითვალისწინებს სახელმწიფო მხარის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ “ფუნდამენტური

კანონმდებლობის” მიღების შედეგად გაუქმდა კონსტიტუციის 70(5) მუხლი, ხოლო “ფუნდამენტური კანონმდებლობის გარდამავალი დებულებების” 26-ე მუხლის მე-2 პუნქტმა, რომელიც ქმედუნარიანობის საფუძველზე პიროვნების ხმის მიცემის უფლების ინდივიდუალურ შეფასებას ითვალისწინებს, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა კონვენციის 29-ე მუხლთან შესაბამისობაში მოიყვანა.

9.3 კომიტეტი აცხადებს, რომ სახელმწიფო მხარემ უბრალოდ აღწერა, *in abstracto*, ახალი კანონმდებლობა, რომელიც ვრცელდება მეურვეობის ქვეშ მყოფ პირებზე და აღნიშნა, რომ ახალმა [დებულებამ არსებული კანონმდებლობა] მოიყვანა კონვენციის 29-ე მუხლთან შესაბამისობაში. კომიტეტს არ აღუნიშნავს, თუ კონკრეტულად რა გავლენას ახდენს აღნიშნული რეჟიმი მომჩივნებზე და რამდენად იცავს მათი კონვენციის 29-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებებს. სახელმწიფო მხარეს აგრეთვე არ გაუცია პასუხი მომჩივნების განცხადებაზე, რომლის თანახმადაც მათ 2010 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მიეცათ და მეურვეობის ქვეშ ყოფნის გამო მათ კვლავ ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლებები, მიუხედავად კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა.

9.4 კომიტეტი აცხადებს, რომ კონვენციის 29-ე მუხლი სახელმწიფო მხარეებს ავალდებულებს, უზრუნველყონ შშმ პირთა ეფექტური და სრულფასოვანი მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, მათ შორის მათთვის ხმის მიცემის უფლების უზრუნველყოფით. 29-ე მუხლი არ ითვალისწინებს რაიმე გონივრულ შეზღუდვას ამ გამონაკლისის შშმ პირთა რომელიმე ჯგუფთან დაკავშირებით. შესაბამისად, სავარაუდო ან რეალური ფსიქო-სოციალური თუ ინტელექტუალური შეზღუდვის მიზეზით ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა, მათ შორის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, შეზღუდული ნიშნით დისკრიმინაციას წარმოადგენს, კონვენციის მე-2 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. კომიტეტი მიუთითებს ტუნისთან დაკავშირებით მიღებულ დასკვნით რეკომენდაციებზე³⁸, რომელშიც კომიტეტმა სახელმწიფო მხარეს მისცა რეკომენდაცია, მიეღო გადაუდებელი საკანონმდებლო ზომები შშმ პირთა, მათ შორის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირთა მიერ ხმის მიცემის უფლებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე [კურსივი გამოყენებულია ხაზგასმის მიზნით]. კომიტეტი დამატებით მიუთითებს ესპანეთთან დაკავშირებით³⁹ მიღებულ დასკვნით რეკომენდაციებზე, რომელშიც კომიტეტმა აგრეთვე გამოხატა შემფოთება იმ ფაქტის გამო, რომ შშმ პირთა ხმის მიცემის უფლება ექვემდებარება შეზღუდვას ინტელექტუალური ან ფსიქო-სოციალური შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ პირი ქმედუნარიანად იქნა ცნობილი ან მოთავსებულია შესაბამის დაწესებულებაში. კომიტეტს მიაჩნია, რომ წინამდებარე საქმეზე ვრცელდება იგივე პრინციპი. ამრიგად, კომიტეტი ასკვნის, რომ “ფუნდამენტური კანონმდებლობის” XXIII მუხლის მე-6 პუნქტი, რომელიც სასამართლოს უფლებას აძლევს, ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირს ჩამოართვას როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება, კონვენციის 29-ე მუხლის დარღვევას წარმოადგენს, ისევე, როგორც “ფუნდამენტური კანონმდებლობის გარდამავალი დებულებების” 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

9.5 კომიტეტი დამატებით აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

³⁸ CRPD/C/TUN/CO/1 (2011 წლის 13 მაისი), პუნქტი 35.

³⁹ CRPD/C/ESP/CO/1 (2011 წლის 19 ოქტომბერი), პუნქტი 48.

ქმედუნარიანობას “სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, ცხოვრების ყველა სფეროში”, მათ შორის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც ხმის მიცემის უფლებას მოიცავს. კონვენციის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, მიიღონ სათანადო ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ თავიანთი ქმედუნარიანობის პრაქტიკაში განხორციელების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, კომიტეტი მიაჩნია, რომ მომჩივანთათვის ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევით, მათი სავარაუდო თუ რეალური ინტელექტუალური შეზღუდვის საფუძველზე, სახელმწიფო მხარემ ვერ შეასრულა შესაბამისი მოვალეობები, რომლებსაც ითვალისწინებს კონვენციის 29-ე მუხლი, როგორც ცალკე, ისე მე-12 მუხლთან ერთობლიობაში.

9.6 დაადგინა რა პიროვნების უნარის შეფასების დისკრიმინაციულობა, კომიტეტი აცხადებს, რომ აღნიშნული ღონისძიება ვერ იქნება ვერც ლეგიტიმური და ვერც სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის მთლიანობის შენარჩუნების მიზნის პროპორციული. კომიტეტი მხარეებს შეახსენებს, რომ კონვენციის 29-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო მხარეს მოეთხოვება ხმის მიცემის “სათანადო, მისაწვდომი და ადვილად გასაგები და გამოსაყენებადი” პროცედურების მიღება, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იძლევა შშმ პირთა თხოვნით ხმის მიცემის პროცესში დახმარების გამოყენების შესაძლებლობას. ამ გზით, სახელმწიფო უზრუნველყოფს ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა მიერ კომპეტენტური ხმის მიცემას, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, ხმის მიცემის ფარულობის დაცვით.

9.7 შესაბამისად, კომიტეტი ადგენს რომ სახელმწიფო მხარემ ვერ შეასრულა კონვენციის 29-ე მუხლით, როგორც ცალკე, ისე მე-12 მუხლთან ერთობლიობაში, გათვალისწინებული მოვალეობები.

10. კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კომიტეტი აცხადებს, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა კონვენციის 29-ე მუხლით, როგორც ცალკე, ისე მე-12 მუხლთან ერთობლიობაში, გათვალისწინებული მოვალეობები. შესაბამისად, კომიტეტი სახელმწიფოს მიმართ გასცემს შემდეგ რეკომენდაციებს:

1. მომჩივებთან დაკავშირებით: სახელმწიფო მხარეს ეკისრება ვალდებულება, გამოასწოროს საარჩევნო რეესტრიდან მომჩივანთა ამოღების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის 2010 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად ადექვატური კომპენსაციის გადახდით; აგრეთვე, წინამდებარე კომუნიკაციის წარდგენასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებით.

2. ზოგადად: სახელმწიფო მხარეს ეკისრება ვალდებულება, მიიღოს ღონისძიებები მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად, მათ შორის:

(ა) “ფუნდამენტური კანონმდებლობის” XXIII მუხლის მე-6 პუნქტისა და 2011 წლის 31 დეკემბრის “ფუნდამენტური კანონმდებლობის გარდამავალი დებულებების” 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის გაუქმების შესაძლებლობის განხილვა, ვინაიდან აღნიშნული დებულებები ეწინააღმდეგება კონვენციის მე-12 და 29-ე მუხლებს.

(ბ) ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც აღიარებს განურჩევლად ყველა შშმ პირის ხმის მიცემის უფლებას, “უნარის შეფასების” გარეშე, მათ შორის იმ პირების, რომელთაც უფრო მეტი მხარდაჭერა ესაჭიროებათ, და მათთვის ადექვატური დახმარებისა და გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა, რათა აღნიშნულმა პირებმა თავიანთი პოლიტიკური უფლებების განხორციელება შეძლონ.

(გ) შშმ პირთა ხმის მიცემის უფლების დაცვა და პრაქტიკაში განხორციელების ხელშეწყობა, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, კონვენციის 29-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად; კერძოდ, იმის უზრუნველყოფა, რომ საარჩევნო პროცედურები, მოწყობილობები და მასალები არის სათანადო, მისაწვდომი და ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, [შშმ პირთა] მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია ხმის მიცემის პროცესში მათ მიერვე არჩეული პირის დახმარების გამოყენების უფლება.

11. ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 75-ე წესის შესაბამისად, სახელმწიფო მხარემ კომიტეტს ექვსი თვის მანძილზე უნდა წარუდგინოს წერილობითი პასუხი, მათ შორის ნებისმიერი ინფორმაცია კომიტეტის წინამდებარე მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი ქმედების შესახებ. სახელმწიფო მხარეს, აგრეთვე, მოეთხოვება კომიტეტის მოსაზრებების გამოქვეყნება, სახელმწიფო მხარის ოფიციალურ ენაზე თარგმნა და ფართოდ გავრცელება ხელმისაწვდომ ფორმატებში, რათა მოსაზრებები მოსახლეობის ყველა სექტორისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

[მოსაზრებები მიღებულია არაბულ, ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ხოლო ინგლისურენოვანი ტექსტი წარმოადგენს ორიგინალ ვერსიას. შემდგომში აგრეთვე იგეგმება მოსაზრებების ჩინურ და რუსულ ენაზე გამოქვეყნება, იმ ანგარიშის ფარგლებში, რომელსაც კომიტეტი ყოველწლიურად წარუდგენს გენერალურ ასამბლეას.]



შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა უფლებების
კონვენცია

გავრცელება:
საყოველთაო
2014 წლის 18 ივნისი
ინგლისური ვერსია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

შეტყობინება No. 8/2012

კომიტეტის მიერ მე-11 სესიაზე მიღებული მოსაზრებები (2014 წლის 31 მარტი - 11 აპრილი)

<i>შეტყობინების წარმდგენი:</i>	ბატონი X (წარმოდგენილია ადვოკატის, ვალერია გ. კორბაჩოს მიერ)
<i>სავარაუდო დაზარალებული:</i>	წარმდგენი
<i>სახელმწიფო მხარე:</i>	არგენტინა
<i>წარდგენის თარიღი:</i>	2012 წლის 22 ივნისი (თავდაპირველი წარდგენა)
<i>გამოყენებული დოკუმენტი:</i>	სპეციალური მომხსენებლის 70-ე წესის თანახმად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფო მხარეს გადაეცა 2012 წლის 9 აგვისტოს (არ გამოცემულა დოკუმენტის სახით)
<i>მოსაზრებების მიღების თარიღი:</i>	2014 წლის 11 აპრილი
<i>შეტყობინების თემა:</i>	შინაპატიმრობაზე უარი, პატიმრობის პირობები, სამედიცინო მომსახურებასა და რეაბილიტაციის დროულ და შესაფერის სერვისებზე ხელმისაწვდომობა
<i>არსებითი საკითხები:</i>	დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით; გონივრული მისადაგება; თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა; ხელმისაწვდომობა; სიცოცხლის, ჯანმრთელობის, აბილიტაციისა და რეაბილიტაციის უფლება
<i>პროცედურული საკითხები:</i>	ადგილობრივი დაცვის სამართლებრივი საშუალებების ხელმისაწვდომობა, დაუსაბუთებელი პრეტენზიები
<i>კონვენციის მუხლები:</i>	9; 10; 13; 14, პუნქტი 2; 15, პუნქტი 2; 17; 25; და 26
<i>ფაკულტატიური ოქმის მუხლები:</i>	2 (დ) და (ე)

დანართი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მოსაზრებები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის თანახმად (მე-11 სესია)

No. 8/2012 შეტყობინებასთან დაკავშირებით

<i>შეტყობინების წარმდგენი:</i>	ბატონი X (წარმოდგენილია ადვოკატის, ვალერია გ. კორბაჩოს მიერ)
<i>სავარაუდო დაზარალებული:</i>	წარმდგენი
<i>სახელმწიფო მხარე:</i>	არგენტინა
<i>წარდგენის თარიღი:</i>	2012 წლის 22 ივნისი (თავდაპირველი წარდგენა)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა, რომელიც შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე,

2014 წლის 11 აპრილს გამართულ შეხვედრაზე,

დაასრულა რა No. 8/2012 შეტყობინების განხილვა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტში წარადგინა ბატონმა X-მა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე,

გაითვალისწინა რა შეტყობინების წარმდგენისა და სახელმწიფო მხარის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაცია,

მიიღო შემდეგი მოსაზრებები:

ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის საფუძველზე მიღებული მოსაზრებები

1.1 შეტყობინების ავტორია 1952 წლის 26 ნოემბერს დაბადებული ბატონი X, არგენტინის მოქალაქე. შეტყობინების ავტორის მტკიცებით, არგენტინის სახელმწიფომ მის წინააღმდეგ დაარღვია კონვენციის მუხლები 9, 10, 13, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი, და მუხლები 17, 25 და 26. მომჩივანს წარმოადგენს ადვოკატი ქ-ნი ვალერია გ. კორბაჩო. სახელმწიფო კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიკაცია მოახდინა 2008 წლის 2 ოქტომბერს.

1.2 2013 წლის 4 თებერვალს, ახალი შეტყობინებების საკითხებზე კომიტეტის სპეციალურმა მომხსენებელმა, კომიტეტის რეგლამენტის 64-ე წესის თანახმად სახელმწიფო მხარეს

კომიტეტის სახელით სთხოვა, კომიტეტის მიერ გადწყვეტილების მიღებამდე განეხილა მომჩივნის მიერ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოთხოვნილი მზრუნველობის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა. 2013 წლის 31 ივლისს სახელმწიფო მხარემ კომიტეტს მიაწოდა ინფორმაცია დროებითი ღონისძიებების თაობაზე კომიტეტის რეკომენდაციაზე რეაგირების მიზნით გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

შეტყობინების ავტორის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები

2.1 მომჩივანი, რომლის წინააღმდეგ სან მარტინის ფედერალური სისხლის სამართლის პირველ სასამართლოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, განათავსეს მარკო პაზის მეორე ფედერალურ პენიტენციალურ კომპლექსში. სასამართლოს ნებართვის საფუძველზე, მომჩივანს 2010 წლის 27 ივნისს ჩაუტარდა ხერხემლის ოპერაცია, 1999 წელს ავტოავარიაში მოყოლის შემდეგ ამოღებული ხერხემლის მალთაშუა დისკის მეტალის ფირფიტით ჩასანაცვლებლად. 2010 წლის 28 იანვარს მომჩივანს ინსულტის შედეგად განუვითარდა ცალმხრივი ჰემიპარეზი, სენსორული ბალანსის, კოგნიტიური ფუნქციებისა და ვიზუალურ-სივრცითი ორიენტაციის მოშლა. დამატებით, მომჩივანი აცხადებს, რომ ხერხემლის ოპერაციის დროს მას არასწორად ჩაუდგეს მეტალის ფირფიტა; კერძოდ, არ მოხდა ფირფიტის სათანადოდ დაფიქსირება, რის გამოც იგი საყლაპავს აწვება.

2.2 მოგვიანებით, სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლოს ნებართვით, მომჩივანი გადაიყვანეს ესკობარში მდებარე დაწესებულებაში FLENI Institute, სადაც მისი მდგომარეობა დასტაბილურდა და მომჩივანმა დაიწყო სტაციონალური რეაბილიტაციის პროგრამა.

2.3 2010 წლის 7 აპრილს FLENI Institute-ის მიერ სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლოსათვის მიწოდებული ინფორმაციით, მომჩივნის ჯანმრთელობა საშუალებას იძლეოდა, რომ მას რეაბილიტაციის მკურნალობა დღის სტაციონარში გაეგრძელებინა. იმავე დღეს მომჩივანმა სასამართლოს მიმართა თხოვნით წინასწარი პატიმრობის შინაპატიმრობით შეცვლასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლისა და No. 24.660 აქტის 32 და 33 მუხლების (No. 26.472 აქტით შეტანილი შესწორება) თანახმად. მომჩივანი აცხადებდა, რომ მას ესაჭიროებოდა ყოველდღიური სარეაბილიტაციო მკურნალობა დღის სტაციონარში, მსგავსად მკურნალობისა, რომელსაც ინფარქტის გადატანის შემდგომ პერიოდში გადიოდა, და მის შეზღუდულ შესაძლებლობასთან ადაპტირებული საცხოვრებელი ადგილი. მომჩივანი მოითხოვდა პენიტენციალურ დაწესებულებასა და იმ საავადმყოფოს შორის არსებული მანძილის გათვალისწინებას, სადაც მომჩივანი რეაბილიტაციას გადიოდა. საავადმყოფოსა და იმ პენიტენციალურ დაწესებულებას შორის არსებული მანძილი, რომელშიც მომჩივანი მანამდე იმყოფებოდა, აბრკოლებდა მომჩივნის ხელმისაწვდომობას რეაბილიტაციურ მკურნალობაზე, რითაც ირღვეოდა მისი სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება. შესაბამისად, მომჩივანი აცხადებდა, რომ პატიმრობის ერთადერთი ფორმა, რომელიც მის მკურნალობას ყველაზე მეტად შეესაბამებოდა, იყო შინაპატიმრობა; კერძოდ, შინ იგი ისარგებლებდა სანდო პირის დახმარებით, რომელიც ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში დაეხმარებოდა, შეზღუდულ შესაძლებლობასთან ადაპტირებული დანადგარებითა და FLENI Institute-ზე ადვილი წვდომით, სადაც რეაბილიტაციის კურსს გაივლიდა.

2.4 2010 წლის 9 ივნისს, სისხლის სამართლის სასამართლოს თხოვნით, მომჩივანს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარა უზენაესი სასამართლოს სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტის ორმა ექიმმა. სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტის დასკვნის თანახმად, FLENI Institute-ის მიერ ჩატარებული მკურნალობა იყო პაციენტის მდგომარეობის შესაბამისი; პაციენტი სხვების დახმარებას საჭიროებდა, ხოლო ციხის პირობებში სრულფასოვანი მკურნალობის განხორციელება შეუძლებელი იყო; თუმცა, “ბუენოს აირესის ნევროლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი”, რომელიც კერძო დაწესებულებას წარმოადგენდა, მკურნალობისათვის შესაფერისი ალტერნატივა იყო. ამასთან, ვინაიდან ციხესა და სამედიცინო დაწესებულებას შორის გადაადგილებას, არსებული მანძილის გამო, შესაძლოა პაციენტის ჯანმრთელობაზე უარყოფითად ემოქმედა, პაციენტი საჭიროებდა მობილურ საშუალებებს და/ან სპეციალური სასწრაფო დახმარების მომსახურებას.

2.5 2010 წლის 22 ივლისს “ეროვნული რეაბილიტაციის სერვისის” შეფასების მესამე საბჭოს მიერ, No. 22.431 აქტის საფუძველზე გაცემული შეზღუდული შესაძლებლობის ცნობის თანახმად, მომჩივანს ესაჭიროებოდა სხვების დახმარება.

2.6 2010 წლის 6 აგვისტოს ფედერალურმა სასამართლომ უარი თქვა დაეკმაყოფილებინა მომჩივნის თხოვნა შინაპატიმრობის შესახებ და გასცა მომჩივნის ბუენოს აირესის ფედერალურ პენიტენციალური კომპლექსში მდებარე ციხის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაყვანის მითითება, სადაც შეიქმნებოდა შესაბამისი პირობები იმისათვის, რომ მომჩივანს ექიმის დანიშნული სარეაბილიტაციო თერაპიის კურსი გაეგლო. სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლო აცხადებდა, რომ მომჩივნის წინასწარი პატიმრობა არ აფერხებდა შესაბამისი სარეაბილიტაციო თერაპიის გავლას.

2.7 2010 წლის 14 აგვისტოს, დილით ადრე, მომჩივანი გადაიყვანეს “ველეზ სარსფილდის” საავადმყოფოში და საბოლოოდ, “ანჩორენას” კლინიკაში განათავსეს. მან აგრეთვე აღძრა სარჩელი სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლოს 2010 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით.

2.8 2010 წლის 17 აგვისტოს სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ მიიღო დასკვნა სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტისგან, სადაც მომჩივანს ჩაუტარდა გამოკვლევა ბუენოს აირესის ფედერალურ პენიტენციალურ კომპლექსში ყოფნის დროს. დასკვნის თანახმად, მომჩივანს დაუყოვნებლივ ესაჭიროებოდა კლინიკური ნეიროქირურგიული გამოკვლევა, ხოლო ციხის საავადმყოფოში “არ არსებობს ინფრასტრუქტურა, რომელიც პაციენტს სჭირდება [...და] მიუხედავად იმისა, რომ პაციენტის სიცოცხლეს არ ემოქმედა დაუყოვნებელი საფრთხე, მისი პატიმრობის არსებულ პირობებში დატოვება, სადაც პაციენტი ვერ შეძლებს მისთვის საჭირო შემოწმებისა და მკურნალობის მიღებას (მხარდაჭერა საკვების მიღებაში და ფსიქიატრიული მკურნალობა) მის კლინიკურ მდგომარეობაზე სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს და მის სიცოცხლეს, სავარაუდოდ, საფრთხეს შეუქმნის. მომჩივნის სამედიცინო დაზღვევის პროვაიდერთან (OSDE) ასოცირებული ექიმის მიერ იმავე დღეს გაცემული სამედიცინო ცნობის თანახმად, “ნევროლოგიური შეფასების საფუძველზე შემუშავებული რეაბილიტაციის გეგმა საავადმყოფოში უნდა განხორციელდეს.”

2.9 2010 წლის 23 აგვისტოს, პენიტენციალური სისტემის ომბუდსმენის აპარატმა (*Procuración Penitenciaria de la Nación*) მიმართა სისხლის სამართლის ფედერალურ სასამართლოს, მომჩივნის FLENI Institute-ში განთავსების თაობაზე, დაუყოვნებელი მკურნალობის მიზნით; კერძოდ, საჭირო იყო შესაბამისი ზომების სასწრაფოდ მიღება იმ დაზიანებების პრევენციის მიზნით, რომელიც მომჩივნის არასათანადო საცხოვრებელ

პირობებში ყოფნის შედეგს წარმოადგენდა. 2010 წლის 26 აგვისტოს მომჩივანი გადაყვანილი იქნა ესკობარში მდებარე FLENI Institute-ში.

2.10 2010 წლის 3 ნოემბერს, FLENI Institute-ის ნეიროქირურგმა დაადგინა, რომ მომჩივნის ხერხემლის კისრის ნაწილი იყო არა-სტაბილური და რომ მას შესაძლოა დასჭირვებოდა ქირურგიული ჩარევა; ამასთან, ვინაიდან სასწრაფო დახმარების მანქანით სისტემატური გადაადგილება მის მდგომარეობას ამძიმებდა, აღნიშნულისათვის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მიემართათ. 2010 წლის 17 ნოემბერს FLENI Institute-ის წარმომადგენელმა ერთ-ერთმა ექიმმა სისხლის სამართლის ფედერალურ სასამართლოს შეატყობინა, რომ შეუძლებელი იყო რაიმე კონკრეტული და პრაქტიკული ინსტრუქციების გაცემა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მომჩივნის სასწრაფო დახმარების მანქანის საშუალებით გადაყვანა. მისი მოსაზრებით, ამ მხრივ სისხლის სამართლის ფედერალურ სასამართლოს რჩევის მისაღებად შესაბამისი ექსპერტებისათვის უნდა მიემართა. სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ FLENI Institute-ს სთხოვა ყველაზე თანამედროვე სასწრაფო დახმარების მანქანის უზრუნველყოფა და ექიმის გამოყოფა, რომელიც მომჩივნის კლინიკურ მდგომარეობას თითოეული გადაადგილების წინ შეაფასებდა.

2.11 2011 წლის 7 მაისს ომბუდსმენმა გამოსცა მომჩივნის ბოლო სამედიცინო შემოწმების ანგარიში, რომლის თანახმადაც პაციენტის მდგომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა იგი საჭიროებდა სხვების დახმარებას ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში. ანგარიშში, აგრეთვე, აღნიშნული იყო, რომ ფედერალური პენიტენციური სისტემაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებს არ გააჩნდათ საჭირო ინფრასტრუქტურა და რესურსები მომჩივნის ჯანმრთელობისა და რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად; ამასთან, შეუძლებელი იყო იმის გარანტირება, რომ ციხიდან სარეაბილიტაციო კლინიკაში გადაყვანა განხორციელდებოდა დროულად და შესაფერისად, რაც მომჩივანს მკურნალობის ამბულატორიულ პირობებში გაგრძელების საშუალებას მისცემდა. შესაბამისად, ომბუდსმენის აპარატი პაციენტის FLENI Institute -ში დატოვების რეკომენდაციას იძლეოდა. 2011 წლის 17 მაისს, FLENI Institute-მა განაცხადა, რომ მომჩივანს კვლავ აღენიშნებოდა ნევროლოგიური გვერდითი მოვლენები და ესაჭიროებოდა ფიზიკური, ოკუპაციური, ნევროლოგიური, კოგნიტიური და ვიზუალური რეაბილიტაციის თერაპია. ამასთან, მომჩივანს შეეძლო რეაბილიტაციის პროგრამა გაეგრძელებინა ამბულატორიულად, სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლოსა და სამედიცინო დაზღვევის კომპანიის მიერ ერთობლივად შერჩეულ ადგილას; ზემოაღნიშნული სარეაბილიტაციო მკურნალობა ჩატარდებოდა კვირაში 3-5-ჯერ, ხოლო მომჩივნის ტრანსპორტირება სამკურნალო დაწესებულებამდე ნეიროქირურგის რეკომენდაციების შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო. 2011 წლის 24 ივნისს, სამედიცინო დაზღვევის პროვაიდერმა (OSDE) სისხლის სამართლის ფედერალურ სასამართლოს გადასცა მომჩივნის ციხესთან ახლოს მდებარე დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელთა აღჭურვილობაც მომჩივნის სარეაბილიტაციო საჭიროებებს აკმაყოფილებდა და მომჩივნის სამედიცინო დაზღვევით იყო გათვალისწინებული.

2.12 2011 წლის 26 მაისს მომჩივანი გადაყვანილი იქნა “ესეისას” 1-ლი ფედერალური პენიტენციური კომპლექსის ციხის ცენტრალურ საავადმყოფოში (“ესეისას” ციხე), სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლოს მითითების საფუძველზე. სასამართლოს მითითების თანახმად, “ესეისას” ციხეს OSDE-თან კოორდინაციით უნდა მოეხდინა პაციენტის შეფასება და დროული ხანგრძლივი მკურნალობის უზრუნველყოფა, შესაძლებლობის შემთხვევაში, მომჩივნის ციხესთან ახლოს მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში.

2.13 2011 წლის 27 მაისს, habeas corpus-ის წესით მიმდინარე წარმოების ფარგლებში დაცვის მხარის მიერ შეტანილი საჩივრის შემდეგ, ლომას დე ზამორას პირველი ინსტანციის სისხლის სამართლისა და ნაკლებად მძიმე დანაშაულების No. 1 ან No. 2 ფედერალურმა სასამართლომ, გასცა მომჩივნის FLENI Institute-ში გადაყვანის ნებართვა, მძიმე ფიზიკური და ფსიქიატრიული დეკომპენსაციის გამო. 2011 წლის 29 მაისს, მომჩივანი გადაყვანილი იქნა “ოლივოსის კლინიკაში”. 2011 წლის 30 მაისიდან 3 ივნისამდე პერიოდში, მომჩივანი განთავსებული იყო არგენტინის დიაგნოზისა და მკურნალობის ინსტიტუტში, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ხერხემლის ოპერაციის დროს ჩადგმული ფირფიტის ამოღების თაობაზე. ინსტიტუტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს: “მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საყლაპავის დაზიანების რისკი, აღნიშნული შესაძლებელია მოხდეს იმ შემთხვევაშიც, თუ ფირფიტა ადგილს შეიცვლის. ცალსახად რისკი იზრდება გაუფრთხილებელი მოძრაობის შემთხვევაში, რაც შესაძლოა გამოიწვიოს არასათანადოდ მომზადებულმა ტრანსპორტირებამ ან უეცარმა მოძრაობამ.” 2011 წლის 2 ივნისს, ომბუდსმენმა დაასკვნა, რომ ამბულატორიულ პირობებში ან დღის სტაციონარში მკურნალობის არჩევის შემთხვევაში, მომჩივნის ტრანსპორტირება ფედერალური პენიტენციალური დაწესებულებიდან სავარაუდოდ განაპირობებს მკურნალობის არაეფექტურობას, ვინაიდან ფედერალური პენიტენციალური სისტემა ვერ უზრუნველყოფს ტრანსპორტირების სათანადო სიხშირესა და დროულობას, ხოლო მომჩივნის მკურნალობის პროცესში მიღწეული შედეგები შესაძლოა წყალში ჩაყრილი აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში, FLENI Institute-ის მიერ დაგეგმილი მკურნალობის პროგრამა შეწყდება.

2.14 2010 წლის 3 ივნისს მომჩივანი კიდევ ერთხელ გადაყვანილი იქნა “ესეისას” ციხის საავადმყოფოში.

2.15 2011 წლის 24 ივნისს ლომას დე ზამორას სასამართლომ უარი თქვა მომჩივნის განცხადებაზე habeas corpus პროცედურის გამოყენებასთან დაკავშირებით იმ მოტივით, რომ მოცემული საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს კომპეტენციაში არ შედიოდა. იმავე დღეს მომჩივანმა კიდევ ერთხელ მიმართა სისხლის სამართლის ფედერალურ სასამართლოს, სასამართლოს ზედამხედველობის ქვეშ შინაპატიმრობის მოთხოვნით. მომჩივანი აცხადებდა, რომ “ესეისას” ციხეში არ არსებობდა მძიმე ნევროლოგიური მდგომარეობის იმ პაციენტთა რეაბილიტაციისათვის საჭირო გარემო და პერსონალი, რომელთაც ყოველდღიური ელემენტარული საქმიანობის განსახორციელებლად სხვისი დახმარება ესაჭიროებათ, ხოლო არსებული ინფრასტრუქტურა შშმ პირებისათვის შეუფერებელი იყო. კერძოდ, მომჩივანი საშხაპე ოთახსა და აბაზანაში ვერ შედიოდა იმის გამო, რომ იქ არსებული კიბის დამოუკიდებლად გადალახვა არ შეეძლო; ვინაიდან მომჩივანი მეორე სართულზე განთავსებულ საკანში იმყოფებოდა, პირველ სართულზე ჩასვლა და ეზოთი სარგებლობა არ შეეძლო; პირად ჰიგიენას საკმარისად და შესაბამისად ვერ იცავდა, ხოლო ყველა ძირითადი საქმიანობის განხორციელება საწოლში უწევდა; მომჩივანს გაუჩნდა ნაწოლები; მედდებთან რეგულარულად დაკავშირების საშუალება არ ჰქონდა; ამასთან, სამედიცინო დასკვნის თანახმად, მას ესაჭიროებოდა ხერხემალზე კიდევ ერთი ოპერაციის ჩატარება, თუმცა, აღნიშნული დასკვნა მხედველობაში არ ყოფილა მიღებული.

2.16 2011 წლის 4 ივლისს “ესეისას” ციხეში სისხლის სამართლის ფედერალურ სასამართლოს შეატყობინა, რომ მოტორული ფიზიოთერაპიისა და ოკუპაციური თერაპიის ხელმისაწვდომობის მიუხედავად, მომჩივანი სარეაბილიტაციო მკურნალობაზე უარს აცხადებდა. ამასთან, 2011 წლის 19, 20 და 27 ივნისს, მომჩივანმა უარი თქვა სანტა კატალინას

კლინიკაში გადაყვანაზე, სარეაბილიტაციო თერაპიის გასაველად. მომჩივნის მტკიცებით, კლინიკა საჭირო რეაბილიტაციურ სერვისებს ვერ უზრუნველყოფდა.⁴⁰

2.17 2011 წლის 15 აგვისტოს, სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ მომჩივანს შინაპატიმრობის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის ფიზიკური და სამედიცინო მდგომარეობა მას ხელს არ უშლიდა პატიმრობის პერიოდში გამოჯანმრთელებასა და ციხეში ადექვატური მზრუნველობის მიღებაში, და რომ საჭიროების შემთხვევაში მოხდებოდა მისი გადაყვანა ნებისმიერ ადგილას, თანამედროვე სასწრაფო დახმარების მანქანით, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლო არ იზიარებდა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მომჩივნის სათანადო და ეფექტური მკურნალობა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი სასჯელს შინაპატიმრობით მოიხდიდა.

2.18 მომჩივანმა სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სისხლის სამართლის საკასაციო ფედერალურ პალატაში (ფედერალური პალატა). 2011 წლის 18 ნოემბერს ფედერალურმა პალატამ მომჩივნის სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, საქმე სისხლის სამართლის ფედერალურ სასამართლოს დაუბრუნა და მოითხოვა სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტის განახლებული დასკვნა მომჩივნის ჯანმრთელობისა და პატიმრობის პირობების შესახებ და აგრეთვე, მომჩივნის ჯანმრთელობაზე პატიმრობის ადგილსა და სარეაბილიტაციო დაწესებულებას შორის ტრანსპორტირების შესაძლო გავლენაზე.

2.19 2011 წლის ნოემბრიდან მომჩივანი ციხიდან სან ხუან დე დიოსის საავადმყოფოში რეგულარულად გადაჰყავდათ. თუმცა, 2011 წლის 25 ნოემბერს საავადმყოფოს რეაბილიტაციის განყოფილების ხელმძღვანელმა მოითხოვა მომჩივნის ტრანსპორტირების შეწყვეტა მანამ, სანამ ექსპერტი არ შეისწავლიდა მგზავრობის პოტენციურ გავლენას მომჩივნის ხერხემლის მდგომარეობაზე.

2.20 2011 წლის 2 დეკემბერს “ესეისას” ციხის ოფთალმოლოგმა მოითხოვა მომჩივნის ოფთალმოლოგიური აღდგენითი თერაპიის განახლება, ცალმხრივი ჰემიანოპსიის სამკურნალოდ. თუმცა, მომჩივნის განცხადებით, შეტყობინების წარდგენის დროს აღდგენითი თერაპია დაწყებული არ ყოფილა.

2.21 2011 წლის 7 დეკემბერს სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტმა სისხლის სამართლის ფედერალურ სასამართლოს შეატყობინა, რომ მომჩივნის მდგომარეობა უმჯობესდებოდა; იგი საჭიროებდა ეტლისა და კისრის ფიქსატორისა გამოყენებასა და სხვა ადამიანის დახმარებას. სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტის ინფორმაციით, მომჩივანს ესაჭიროებოდა რენდგენი კისრის მალეების მდგომარეობის გამოსაკვლევეად, ხოლო მისი მკურნალობის საუკეთესო გზას ამბულატორიული რეაბილიტაცია წარმოადგენდა. ამასთან, საავადმყოფოში მისასვლელად გადაადგილება აუცილებელი იყო, მომჩივნის ადგილ-სამყოფელისა და მიუხედავად, ხოლო ამ მიზნით მომჩივნის გადაყვანა ყოველ ჯერზე უნდა მომხდარიყო OSDE-ის სასწრაფო დახმარების მანქანის გამოყენებითა და ფედერალური პენიტენციური სისტემის ბადრაგის თანხლებით.

⁴⁰ სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლოს 2011 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილების თანახმად, OSDE-მა სასამართლოს 2011 წლის 3 აგვისტოს შეატყობინა, რომ მომჩივანსა და მის მეუღლეს მიწოდათ ინფორმაცია OSDE - ის დაზღვევის ფარგლებში გათვალისწინებული ყველა იმ სამედიცინო დაწესებულების შესახებ, რომელიც “ესეისას” ფედერალური პენიტენციური კომპლექსიდან ორჯერ უფრო ახლოს მდებარეობდა, ვიდრე FLENI Institute.

2.22 2011 წლის 29 დეკემბერს სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ მომჩივანს კვლავ უარი უთხრა შინაპატიმრობის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მომჩივანს სარეაბილიტაციო ცენტრში გადაადგილება დასჭირდებოდა ადგილ-სამყოფელისდა მიუხედავად. შესაბამისად, გადაადგილებასთან დაკავშირებული საფრთხეების აღმოფხვრა შინაპატიმრობის დაწესებით არ მოხდებოდა. ამასთან, არ არსებობდა მტკიცებულება იმისა, რომ მომჩივანს შინ სათანადო მკურნალობა ჩაუტარდებოდა ან იმისა, რომ რეაბილიტაციის ცენტრში მისასვლელად საჭირო გადაადგილებასთან დაკავშირებული რისკებს არიდების ერთადერთი გზა შინ მკურნალობა იყო. სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ გაითვალისწინა habeas corpus-ის პროცედურის ფარგლებში ეროვნული ჟანდარმერიის მიერ “ესეისას” ციხეში ჩატარებული ინსპექციის ანგარიში, რომელშიც აღნიშნული იყო დაწესებულების მომჩივნის საჭიროებებთან ადაპტაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, მათ შორის საგანგაშო ღილაკის დამონტაჟება და გამოცდა, და აგრეთვე, მომჩივნის საკანში სააბაზანომდე მისასვლელ ადგილას არსებული საფეხურის მოხსნა. სასამართლომ აგრეთვე გაითვალისწინა საჯარო სამართლებრივი სამსახურის მიერ წარდგენილი ინფორმაცია დაწესებულებაში არსებული მოწყობილობების, სამედიცინო შემოწმებისა და სარეაბილიტაციო ოთახების, 24-საათიანი სამედიცინო დახმარების, არსებული და მუშა მდგომარეობაში მყოფი ლიფტებისა და ეზოში გასასვლელი კარების მომჩივნის საჭიროებებთან ადაპტაციის შესახებ.

2.23 2012 წლის 5 იანვარს მომჩივანმა სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ფედერალურ პალატაში. იმავე დღეს, “ესეისას” ციხის საავადმყოფოს დირექტორის მოადგილემ სისხლის სამართლის ფედერალურ სასამართლოს შეატყობინა, რომ მომჩივანი საკანში გადიოდა ფიზიოთერაპიის კურსს, სან ხუან დე დიოსის საავადმყოფოში რეგულარულ კონსულტაციებს უტარებდნენ, ხოლო ჰიგიენის დაცვასა და სხვა ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას ახდენდა საწოლში, მედდების დახმარებით; თუმცა, თუ მომჩივნის მიზანს ყოველდღიური საჭიროებების დამოუკიდებლად დაკმაყოფილება წარმოადგენდა, ციხის საავადმყოფოში შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არსებობდა.

2.24 2012 წლის 29 ივნისს, ციხის საავადმყოფოს დირექტორმა გამოსცა კიდევ ერთი დასკვნა მომჩივნის აღდგენითი მკურნალობის შესახებ. მომჩივანი აცხადებს, რომ დასკვნაში მოცემული ინფორმაცია იყო არასწორი, ხოლო რეალურად ციხეში ჩატარებული მკურნალობა არაადეკვატური იყო; ამასთან, სან ხუან დე დიოსის საავადმყოფოში სულ ოთხი პროცედურა ჩაუტარდა, ხოლო ვიზუალური რეაბილიტაციის თერაპია არ გაუვლია. მომჩივნისვე ინფორმაციით, მას ასევე არ ჩატარებია ნევრო-კოგნიტიური თერაპია, ხოლო სამედიცინო პერსონალთან გამართული სხვადასხვა შეხვედრების მიზანს ნევრო-ფსიქოლოგიური ანგარიშის მომზადება წარმოადგენდა.

2.25 2012 წლის 13 ივლისს ფედერალურმა პალატამ მომჩივნის სარჩელი უარყო, ხოლო ციხის ხელმძღვანელობას დაავალა მომჩივნის ჯანმრთელობის მონიტორინგი, მზრუნველობა და რეგულარული შეფასება; აგრეთვე, მისი მდგომარეობის შესაბამისი ზომების მიღება, განსაკუთრებით სამედიცინო მკურნალობისა და ძირითად სანიტარულ წერტილებზე წვდომის კუთხით. ფედერალურმა პალატამ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლოს უარი საჩივრის დაკმაყოფილებაზე ეფუძნებოდა მომჩივნის ჯანმრთელობის პრობლემების სათანადოდ შესწავლას; არ არსებობდა მტკიცებულება იმისა, რომ მომჩივნის უსაფრთხოდ ტრანსპორტირება მხოლოდ შინიდან იყო შესაძლებელი, ან რომ ტრანსპორტირების უარყოფითი გავლენის აღმოფხვრა შინაპატიმრობის დაწესებით იქნებოდა შესაძლებელი; მომჩივანს არ ჰქონდა უფლება, ციხეში არსებულ სარეაბილიტაციო სერვისებსა და ფიზიკური გამოკვლევების სრულად ჩატარებაზე უარის თქმის შემდეგ სასამართლოსათვის

შინაპატიმრობის დაწესების თხოვნით მიემართა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის მობილურობის, კომფორტისა და [ციხის] ეზოზე მისაწვდომობის გასაუმჯობესებლად ციხის ინფრასტრუქტურაში გატარდა გარკვეული მაკორექტირებელი ზომები, მათ შორის უზრუნველყოფილ იქნა ფუნქციონირებადი ლიფტები. ამასთან, სასამართლომ გაითვალისწინა ფსიქოთერაპიის ოთახში არსებული მოწყობილობა, სპეციალიზირებული სამედიცინო გამოკვლევების ოთახებში, ტრავმის ოთახებსა და მობილურობის თერაპიის განყოფილებაში არსებული მოწყობილობები და აგრეთვე, დღე-ღამის ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარება.

2.26 2012 წლის 12 ოქტომბერს ციხის საავადმყოფოს ექიმმა განაცხადა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში წოლის გამო მომჩივანს განუვითარდა ქვედა კიდურების ჰიპოტროფია. მომჩივნის ცნობით, მას სტომატოლოგიური დახმარება დროულად არ აღმოუჩინეს და შესაბამის დაწესებულებაში დაგვიანებით, რამდენიმე თვის შემდეგ გადაიყვანეს, რა დროსაც მომჩივანს დასჭირდა ოპერაცია ფისტულას ამოსაშრობად.

2.27 2012 წლის 12 და 20 ნოემბერს და აგრეთვე, 2013 წლის 16 იანვარს მომჩივანმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა წამოყენებული პრეტენზიები და კომიტეტს შეატყობინა, რომ ფედერალური პალატის მითითების მიუხედავად, სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ არ მიიღო საჭირო ზომები მისთვის ჯანდაცვის დაწესებულებაზე დროული და სათანადო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ციხის ხელმძღვანელობის მიერ [ამ კუთხით განხორციელებული ღონისძიებები] შემოიფარგლებოდა ნაწილობრივ ადაპტირებული პლასტმასის სკამის მიწოდებით, რომელსაც უსაფრთხოების ელემენტარული მახასიათებლებიც კი არ ჰქონდა. “ესეისას” ციხის ექიმის ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ პაციენტს გარე ნევროლოგის კონსულტაცია ესაჭიროება, აღნიშნული განხორციელდა მხოლოდ 2012 წლის 31 ოქტომბერს, FLENI Institute-ში, მომჩივნის ახლობლების ძალისხმევით შედეგად. მომჩივანი აგრეთვე აცხადებდა, რომ ციხის იმ ნაწილში, სადაც თავად იყო მოთავსებული, მხოლოდ ერთი მედდა იყო გამოყოფილი, რის გამოც პრაქტიკაში სათანადო და დროულ დახმარებას ვერ იღებდა. FLENI Institute-ის 2012 წლის 14 ნოემბრით დათარიღებული დასკვნის თანახმად, მომჩივანს ესაჭიროებოდა ინტენსიური აღდგენითი თერაპია მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო ცენტრში. მომჩივანმა კიდევ ერთი განცხადება შეიტანა და მოითხოვა FLENI Institute-ში ან შესაბამისი ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსების მქონე სხვა დაწესებულებაში გადაყვანა და განთავსება. მიუხედავად ამისა, 2012 წლის 28 დეკემბერს სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ უარი თქვა მომჩივნის თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

2.28 მომჩივნის განცხადებით, მას არ ამოუწურავს ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები; თუმცა, აღნიშნული საშუალებების გამოყენების შემთხვევაში პროცესი გაუმართლებლად გაჭიანურდებოდა და საკითხის ეფექტურად გადაჭრის შედეგს, სავარაუდოდ, არ გამოიღებდა. მომჩივანი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რეალურად, მას არ უტარდება ექიმის მიერ დანიშნულ სამედიცინო მკურნალობა დროულად და ეფექტურად, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

საჩივარი

3.1 მომჩივანი აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ არგენტინის სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მუხლები 9, 10, 13, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი, და მუხლები 17, 25 და 26.

3.2 მომჩივანი ამტკიცებს, რომ მისი ციხეში (და მათ შორის, ციხის საავადმყოფოში) განთავსების აუცილებლობის განსაზღვრისას, გათვალისწინებული უნდა იქნას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, საჭირო ინფრასტრუქტურის, სამედიცინო სერვისებისა და მზრუნველობის ნაკლებობა და პატიმრობის უარყოფითი გავლენა მის ჯანმრთელობაზე. FLENI Institute-ში სარეაბილიტაციო მკურნალობის შეწყვეტისა და ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების შედეგად მის წინააღმდეგ დაირღვა არა მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის მაქსიმალურად მისაღწევი სტანდარტით დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობის უფლება და აგრეთვე, მაქსიმალური დამოუკიდებლობის მიღწევისა და სრულის პოტენციალის მიღწევის უფლება, არამედ სერიოზული საფრთხე დაემუქრა მის ცხოვრებას, რითაც დაირღვა კონვენციის 25-ე და 26-ე მუხლები. რეალურად, ციხის ხელმძღვანელობის მიერ უზრუნველყოფილი სარეაბილიტაციო სერვისები წარმოადგენდა პალიატიურ მკურნალობას და არასაკმარისი იყო მისი სრული რეაბილიტაციისათვის. მომჩივანს ესაჭიროება სხვების დახმარება ელემენტარული ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში, ხოლო მსგავს მდგომარეობაში არც ერთი სხვა პატიმარი არ იმყოფება. შესაბამისად, მისი ციხეში განთავსება წარმოადგენს კანონის წინაშე თანასწორობის უფლების დარღვევას.

3.3 “ესეისას” ციხის საავადმყოფოში შშმ პირთათვის შეუსაბამო ინფრასტრუქტურის არსებობა და პატიმრობისა თუ ჯანდაცვის სტანდარტული პირობები წარმოადგენს არაჰუმანურ მოპყრობას და შეურაცხყოფს მომჩივნის ღირსებას. იმის გამო, რომ “ესეისას” პენიტენციალურ დაწესებულებაში მომჩივანი მეორე სართულზე მდებარე საკანში განათავსეს, მას ციხეში ყოფნის პირველი რვა თვის მანძილზე ციხის ეზოში გასვლის საშუალება არ ჰქონდა. ამრიგად, მას წართმეული ჰქონდა სუფთა ჰაერსა და დღის შუქზე გასვლის შესაძლებლობა, რაც კონვენციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას წარმოადგენს.

3.4 მომჩივანს აბაზანის ზომის გამო საშხაპესა და ტუალეტზე შეზღუდულად მიუწვდება ხელი, ხოლო აბაზანაში შესასვლელად დამოკიდებულია ციხის ბლოკში მომუშავე ერთადერთი მედდის დახმარებაზე ან სხვა პატიმრებისა თუ უსაფრთხოების თანამშრომლების კეთილ ნებაზე. ციხის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული სამუშაოები და ცვლილებები აბაზანისა და საშხაპის შესასვლელთან არსებული საფეხურის მოსახსნელად არასაკმარისია, ვინაიდან აბაზანის ზომა არ არის ადაპტირებული ეტლით მოსარგებლისათვის; ამრიგად, მომჩივანს არ შეუძლია დამოუკიდებლად მისწვდეს ტუალეტს და საშხაპეს. მისი ამჟამინდელი მდგომარეობისა და დახმარების ნაკლებობის გამო მომჩივანი ვერ ახერხებს ყოველდღიური ჰიგიენური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ნაწილობრივ დამოკიდებულია ჰიგიენურ საფენებზე და ოჯახის მიერ მიწოდებულ ჰიგიენურ საშუალებებზე. მისი პატიმრობის ადგილას განხორციელებული შესწორებები არ არის საკმარისი იმ არსებული პირობების შესაცვლელად, რომელიც მის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას გამოუსწორებელ ზიანს აყენებს, კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევით. მომჩივანი აცხადებს, რომ სახელმწიფო მხარემ უნდა დაიცვას პირის სიცოცხლისა და ხელშეუხებლობის უფლება, და რომ მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფოს ამ მხრივ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება, ვინაიდან პატიმრობაში მყოფი პირები ციხის ხელმძღვანელობის ეფექტური კონტროლის ქვეშ იმყოფებიან.

3.5 მომჩივანს არ აქვს საშუალება, მის ბლოკში მომუშავე მედდას დროულად დაუკავშირდეს. გამოძახების ღილაკის დამონტაჟების მიუხედავად, ხშირად მის ზარებს დროულად არ პასუხობენ ან საერთოდ არ პასუხობენ. ნაწოლების პრევენციისათვის სპეციალური მატრასის არარსებობის გამო, მომჩივანს ტანზე ფუფხით დაფარული ადგილები აღენიშნება; უაღრესად შეზღუდულია მისი მოძრაობის შესაძლებლობა. “ესეისას” ციხეში

განთავსების დღიდან, მას არ გაუვლია რაიმე სახის პოსტურალური ან ვიზუალური აღდგენითი თერაპია - ისეთი, როგორსაც უზრუნველყოფს კლინიკური ნევროლოგების, ფიზიოთერაპევტების, კინეზოლოგებისა და მეტყველების თერაპევტებისაგან შემდგარი სარეაბილიტაციო ჯგუფი. ყველაზე ახლოს მდებარე ჯანდაცვის ცენტრი, სადაც ხელმისაწვდომია შესაფერისი სარეაბილიტაციო მკურნალობა, 32 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. მომჩივანს არ ჩატარებია ვიზუალური სარეაბილიტაციო მკურნალობა, რომელიც ოფთალმოლოგებმა დაუნიშნეს. მომჩივანი საავადმყოფოში გადაიყვანეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც განუვითარდა ინფექცია, რომელიც ქირურგიულ ჩარევას საჭიროებდა. შესაფერისი სარეაბილიტაციო თერაპიის არარსებობა აფერხებს მომჩივნის მიერ საზოგადოებაში, ახლობელთა წრეში და სამუშაო ძალაში ხელახლა ინტეგრაციის შესაძლებლობას, ვინაიდან მას არ შეუძლია იმუშაოს ციხეში, ან საგანმანათლებლო თუ თერაპიული ინსტრუმენტებისა და პრაქტიკის გამოყენებით მიაღწიოს ცხოვრების ისეთი დონეს, რომლითაც სხვა პაციენტები სარგებლობენ. ყოველივე ზემოაღნიშნული კი კონვენციის მე-17 მუხლის დარღვევას წარმოადგენს.

3.6 მომჩივანი აცხადებს, რომ სასამართლომ სათანადოდ არ გაითვალისწინა მისი მდგომარეობა და პატიმრობა მიუსაჯა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, შინაპატიმრობის ან საავადმყოფოში პატიმრობის შეფარდების შესახებ შუამდგომლობის დასაბუთების მიზნით წარდგენილი სამედიცინო ინფორმაციის მიუხედავად. კერძოდ, სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არ გაითვალისწინა მომჩივნის მტკიცება იმის თაობაზე, რომ “ესეისას” ციხიდან საავადმყოფომდე მგზავრობა მის ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა და მისი ხერხემლის არასტაბილურობის გათვალისწინებით სერიოზულ რისკს უქმნიდა [მომჩივნის ჯანმრთელობას]. შინაპატიმრობა მომჩივანს საშუალებას მისცემდა ამბულატორიული მკურნალობა ჩატარებინა FLENI Institute-ში, მკურნალი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ. აღნიშნულ დაწესებულებაში, რომელიც მისი სახლიდან 5 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, ხელმისაწვდომია საჭირო სარეაბილიტაციო სერვისები, ხოლო დაწესებულებამდე მისასვლელი გზა მოწესრიგებულია.

3.7 მომჩივანი დამატებით აცხადებს, რომ მას უწევდა მგზავრობა სასამართლო პროცესის გამართვის ადგილამდე მისასვლელად. ადგილზე მისულს კი სასამართლოს დარბაზში შესვლაზე უარს ეუბნებოდნენ, რის გამოც სასწრაფო დახმარების მანქანაში 6 საათზე მეტი ხნით უწევდა ლოდინი, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ექიმების რეკომენდაციით ეკრძალებოდა. მაგალითად, ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა 2011 წლის 11 აპრილს. აღნიშნული წარმოადგენს ხელისუფლების მიერ მიღებული თვითნებური გადაწყვეტილების მაგალითს იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელთაც, მომჩივნის მსგავსად, კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩადენა ედებათ ბრალად.

3.8 მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით, მომჩივანი ითხოვს შინაპატიმრობაში ყოფნას მანამ, სანამ არ გამოჯანმრთელდება საკმარისად, ხერხემალზე დამატებითი ოპერაციის ჩასატარებლად. მომჩივანი აგრეთვე ითხოვს, მიეცეს საჭირო რეაბილიტაციის დროულად დასრულების შესაძლებლობა, ესკობარში მდებარე FLENI Institute-ის დღის სტაციონარში, იმ უსაფრთხოების ღონისძიებების თანხლებით, რომელსაც სახელმწიფო მხარე საჭიროდ, შესაბამისად და გონივრულად მიიჩნევს.

სახელმწიფო მხარის არგუმენტები შეტყობინების დასაშვებობასთან და არსებით მხარესთან დაკავშირებით

4.1 2013 წლის 12 მარტს სახელმწიფო მხარემ წარადგინა არგუმენტები შეტყობინების დასაშვებობასთან და არსებით მხარესთან დაკავშირებით და მოითხოვა შეტყობინების დაუშვებლად ცნობა ფაკულტატიური ოქმის მე-2 მუხლის (დ) და (ე) პუნქტების თანახმად და შემდეგი არგუმენტების საფუძველზე:

4.2 იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რამაც მომჩივნის დაპატიმრება გამოიწვია, სახელმწიფო მხარე აღნიშნავს, რომ მომჩივანი დიქტატურის დროს, 1976-1983 წლებში, ბუენოს აირესის პროვინციული პოლიციის თანამშრომელი იყო. 2011 წლის 14 აპრილს, სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ მომჩივანს სასჯელის სახით შეუფარდა უვადო პატიმრობა და აბსოლუტური, სამუდამო დისკვალიფიკაცია შემდეგი დანაშაულების გამო: უკანონო შეღწევა; გადაადგილების შეზღუდვა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით; წამება, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში და მკვლელობა, ჩადენილი ორმაგად დამამძიმებელ გარემოებებში. სახელმწიფო მხარის მიერ არგუმენტების წარდგენის დროს სასამართლოს აღნიშნულ განაჩენს განიხილავდა სისხლის სამართლის საკასაციო სასამართლოს ეროვნული პალატა. სახელმწიფო მხარის განცხადებით, მომჩივნის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი განხილული უნდა იქნას ხსოვნის, სიმართლისა და სამართლიანობის აღდგენის კონტექსტში, რომლის მიზანსაც დიქტატურის დროს ჩადენილი მძიმე დანაშაულებების გამოძიება და შესაბამის დამნაშავეთა დასჯა წარმოადგენს.

4.3 კომიტეტში წარდგენილ პრეტენზიებთან დაკავშირებით მომჩივანს არ ამოუწურავს ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება, ვინაიდან მის მიერ არჩეული სამართლებრივი საშუალებები სავარაუდოდ დარღვევების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზანთან შეუსაბამო იყო. ამასთან, მომჩივანი აცხადებს, რომ [სახელმწიფო მხარემ] დაარღვია კონვენციის მუხლები, თუმცა, მას არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ სავარაუდოდ განცდილი ზიანის ანაზღაურების მისაღებად მან ადგილობრივ დონეზე ხელმისაწვდომ რაიმე ადმინისტრაციულ და/ან სამართლებრივ ღონისძიებას მიმართა. მომჩივნის შუამდგომლობა შინაპატიმრობის თაობაზე განიხილა სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ და შემდგომ, ფედერალურმა პალატამ. ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან მომჩივანი ვერ აკმაყოფილებდა შინაპატიმრობისათვის საჭირო სამართლებრივ პირობებს. მომჩივანს შეეძლო სპეციალური ფედერალური საჩივარი შეეტანა უზენაეს სასამართლოში, მაგრამ ამის სანაცვლოდ, მან ამჯობინა, პირდაპირ კომიტეტისათვის მიემართა და თან აღიარა, რომ ადგილობრივ დონეზე ხელმისაწვდომი ყველა სამართლებრივი დაცვის საშუალება არ ამოუწურავს. No. 48 აქტის მე-14 მუხლის თანახმად, სპეციალური სააპელაციო სარჩელის ერთ-ერთი წინაპირობა მდგომარეობს იმაში, რომ საქმე ფედერალური იურისდიქციის ქვეშ უნდა ხვდებოდეს - მაგ. როდესაც საქმე ეხება კონსტიტუციის ან ისეთი ხელშეკრულების დარღვევას, როგორცაა კონვენცია. ამრიგად, ვინაიდან მომჩივანს [უზენაესი სასამართლოსათვის] სპეციალური სააპელაციო სარჩელით არ მიუმართავს, მას არ ამოუწურავს ადგილობრივ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები. უსაფუძვლოა მომჩივნის ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ [სააპელაციო] პროცესი გაუმართლებლად გაჭიანურდებოდა. ფაქტობრივად, მომჩივანს არც უხსენებია შემდგომი სამართალწარმოება, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა მისი შუამდგომლობა შინაპატიმრობასთან დაკავშირებით. ამასთან, მომჩივანს არგენტინის სასამართლოსათვის არ მიუმართავს გაუმართლებლად გაჭიანურებულ პროცესთან

დაკავშირებით. მისი შუამდგომლობა შესაბამისმა სასამართლოებმა განიხილეს სრულად, სათანადო სასამართლო პროცესის ფარგლებში.

4.4 მომჩივნის ბრალდებები არის ზოგადი ხასიათის, არ შეიცავს კონკრეტულ ფაქტებს და დაუსაბუთებელია. სასამართლოებმა არაერთხელ გასცეს პასუხი მომჩივნის მიერ სამედიცინო მკურნალობასთან, პატიმრობასა და საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით წარდგენილ შუამდგომლობებს.

4.5 სახელმწიფო მხარე წარმოადგენს განსახილველი საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და აღნიშნავს, რომ 2012 წლის 13 ივლისს ფედერალურმა პალატამ მომჩივნის საჩივარი არ დააკმაყოფილა. მიუხედავად ამისა, ფედერალური პალატის გადაწყვეტილებაში ნათლად იყო გაწერილი სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლოს მოვალეობები: კერძოდ, ის, რომ სასამართლოს დაუყოვნებლივ უნდა მიეღო შესაბამისი ზომები მომჩივნის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ძირითად სანიტარულ ობიექტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე, 2012 წლის 18 ივლისს, სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ “ესეისას” ციხეს დაავალა არაერთი ღონისძიების განხორციელება, მათ შორის მომჩივნის ჯანმრთელობისა და რეაბილიტაციის შესახებ ყოველთვიური ანგარიშგება და მედდის 24-საათიანი დახმარების უზრუნველყოფა.

4.6 ფედერალურმა პალატამ სისხლის სამართლის ფედერალურ სასამართლოს დაავალა ახალი სამედიცინო შემოწმების ჩატარება, რათა სათანადოდ განხილულიყო მომჩივნის შუამდგომლობა შინაპატიმრობასთან დაკავშირებით. სწორედ სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოკვლევა დაედო საფუძველად სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებას მომჩივნის შუამდგომლობის უარყოფასთან დაკავშირებით. სასამართლოს მომჩივნის მიერ წარმოდგენილი ბრალდებები უპასუხოდ არ დაუტოვებია; პირიქით, ფედერალურმა პალატამ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მომჩივანი ასაჩივრებდა სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლოს მიერ 2011 წლის 15 აგვისტოს მიღებულ გადაწყვეტილებას.

4.7 სახელმწიფო მხარე ყურადღებას ამახვილებს სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტის სამედიცინო დასკვნასა და მომჩივნის მიერ ეროვნულ დონეზე მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში წარდგენილ ცნობებს შორის არსებულ შეუსაბამობებზე და აღნიშნავს, რომ სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ გაცემული სამედიცინო დასკვნის თანახმად, რეკომენდირებულია მომჩივნის პოსტურალური და ვიზუალური რეაბილიტაცია ამბულატორულად, ხოლო რეაბილიტაციის ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს პაციენტის მიერ განხორციელებული პროგრესის შესაბამისად. შინაპატიმრობის შესახებ შუამდგომლობა ეფუძნება არასწორ მსჯელობას, ვინაიდან მომჩივანს ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევს სარეაბილიტაციო ცენტრში მისასვლელად გადაადგილება.

4.8 სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ მოითხოვა ანგარიშები “ესეისას” ციხეში არსებული საპატიმრო პირობების შესახებ. აღნიშნულ ანგარიშებთან ერთად წარმოდგენილი იქნა ეროვნული ჟანდარმერიისა და პროკურატურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია. აღნიშნული უწყების წარმომადგენლებმა მოინახულეს დაწესებულება და თავად შეამოწმეს ციხის საავადმყოფოში არსებული მდგომარეობა, რათა შეეფასებინათ ციხეში არსებული სარეაბილიტაციო პირობები და სამედიცინო მოწყობილობები, მედდის 24-საათიანი მომსახურება, მომჩივნის პირადი აბაზანისა და მუშა მდგომარეობაში მყოფი ლიფტის ხელმისაწვდომობა; აგრეთვე, მოხდა, თუ არა ეზოში გასასვლელი კარების ადაპტირება

მომჩივნის საჭიროებების შესაბამისად. სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ FLENI Institute-ის მიერ გაცემული და მომჩივნის მიერ 2012 წლის 12 და 20 ნოემბერს წარდგენილი სამედიცინო ცნობების მიზანია შინაპატიმრობის შესახებ შუამდგომლობის დასაბუთება. ამ ცნობებში ხაზგასმით იყო აღნიშნული მომჩივნის თანამედროვე სამედიცინო ცენტრში განთავსების საჭიროება.

4.9 მომჩივანს ჩაუტარდა ისეთივე მკურნალობა, რომელიც ჩაუტარდებოდა სხვა, მის მდგომარეობაში მყოფ პირს. შინაპატიმრობა ზოგადი წესის გამოწვევის შემთხვევაში წარმოადგენს. სასამართლოები მსჯავრდებულებს, როგორც წესი, ჩვეულებრივ სასჯელადსრულებით დაწესებულებაში ან ციხის საავადმყოფოში პატიმრობას უფარდებენ და გაუმართლებელ პრივილეგიებს არ ანიჭებენ.

4.10 სახელმწიფო მხარე კომიტეტს მიმართავს თხოვნით, შეტყობინებადაუშვებლად ცნოს იმის გამო, რომ მომჩივანმა არ ამოწურა ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები ან იმის გამო, რომ შეტყობინება აშკარად დაუსაბუთებელია.

მომჩივნის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია

5.1 2013 წლის 15 მარტს, 24 აპრილს, 11 ივნისს, 5 აგვისტოს, 10 ნოემბერს და 17 დეკემბერს და ასევე, 2014 წლის 6 მარტს მომჩივანმა კომიტეტს დამატებითი ინფორმაცია წარუდგინა. კერძოდ, მომჩივნის განცხადებით, 2013 წლის 15 მარტის მდგომარეობით, გონივრულობის ფარგლებში არ განხორციელებულა რაიმე ძალისხმევა “ესეისას” ციხეში მისი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ხოლო თავად მომჩივანს ექიმების მიერ რეკომენდირებული სარეაბილიტაციო მკურნალობა არ ჩატარებია.

5.2 2013 წლის 17 აპრილს “ესეისას” ციხის ექიმმა სისხლის სამართლის ფედერალურ სასამართლოს წარუდგინა სამედიცინო დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ციხის საავადმყოფოს არ გააჩნდა მაღალი დონის სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც ხელმისაწვდომი იქნებოდა FLENI Institute-ში მომჩივნის მკურნალი ექიმების მიერ დანიშნული მკურნალობა. შესაბამისად, რეკომენდირებული იყო მომჩივნის მაღალი დონის სარეაბილიტაციო დაწესებულებაში გადაყვანა.

5.3 სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება FLENI Institute-ში გადაყვანასა და განთავსებაზე უარის შესახებ მომჩივანმა გაასაჩივრა ფედერალურ პალატაში. მომჩივნის მტკიცებით, 2012 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებაში ფედერალური პალატის მიერ მითითებული ზომები არ განხორციელდა, ხოლო მისი ჯანმრთელობა სულ უფრო უარესდებოდა.

5.4 2013 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით ფედერალურმა პალატამ მხარი დაუჭირა მომჩივნის მიერ წარდგენილ სააპელაციო სარჩელს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედება დროებით შეაჩერა და სისხლის სამართლის ფედერალურ სასამართლოს დაავალა ჯანმრთელობის ცენტრში განთავსებასთან დაკავშირებით მომჩივნის სარჩელის ხელახალი განხილვა. ფედერალურმა პალატამ, “ესეისას” ციხის ექიმის მიერ გაცემული 2013 წლის 17 აპრილის სამედიცინო დასკვნისა და დროებით ღონისძიებების შესახებ კომიტეტის 2013 წლის 4 აპრილის რეკომენდაციის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის ფედერალურ სასამართლოს დაავალა ციხის საავადმყოფოში წარმომადგენლის მივლენა, მომჩივნის საპატიმრო პირობების შესწავლის მიზნით.

5.5 მომჩივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, მას ჯერ კიდევ არ მიუღია დამაკმაყოფილებელი მკურნალობა. პრაქტიკაში ფაქტობრივად შეუძლებელია ამბულატორიული მზრუნველობის მიღება, ვინაიდან ციხის ფედერალური სამსახური ვერ ახდენს მომჩივნის გადაადგილების სათანადოდ კოორდინაციასა და მის დროულად მიყვანას მკურნალობისათვის საჭირო ვიზიტებზე, გარე სამედიცინო დაწესებულებებში. მომჩივანი დამატებით აცხადებს, რომ დროული სტომატოლოგიური მომსახურების არარსებობის გამო, 2013 წლის 4 ივნისს, სტომატოლოგმა მას შეატყობინა, რომ იმპლანტების ჩადგმა შეუძლებელი იყო.

5.6 2013 წლის 12 ივნისს, სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ კვლავ უარი თქვა, დაეკმაყოფილებინა მომჩივნის მოთხოვნა FLENI Institute-ში გადაყვანასთან დაკავშირებით. 2013 წლის 1 ივლისს მომჩივანმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა. იგი ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართლის ფედერალურ სასამართლოს არ ჰქონია რაიმე მყარი დოკუმენტური მტკიცებულება იმისა, რომ მომჩივანმა “ესეისას” ციხეში 2012 წლის იანვარ-მარტში “გებენის ალტერნატიული სარეაბილიტაციო ცენტრის” ფიზიოთერაპევტთან სარეაბილიტაციო კურსის გავლაზე უარი განაცხადა. მომჩივანი დამატებით ამტკიცებდა, რომ გებენის ცენტრის ფიზიოთერაპევტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ციხის საავადმყოფოში არსებული სარეაბილიტაციო მოწყობილობა [მომჩივნის სამედიცინო საჭიროებების] შესაფერისი და ადექვატური იყო, ეწინააღმდეგებოდა მომჩივნის ფიზიოთერაპევტისა და ექიმის მოსაზრებას, რომლებიც მას ყოველდღიურად მკურნალობდნენ. მისი მკურნალი ექიმების მოსაზრების მიუხედავად, რომლებიც მომჩივნის საავადმყოფოში განთავსებას უჭერდნენ მხარს, და აგრეთვე, 2012 წლის 7 და 17 დეკემბერს სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ გაცემული ცნობების მიუხედავად, სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ უარი თქვა მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. მომჩივანი დამატებით აღნიშნავს, რომ ორი წლის მანძილზე არ ჩატარებია შეზღუდული შესაძლებლობის შესაბამისი სარეაბილიტაციო მკურნალობა, ხოლო კვირაში ერთხელ, ფიზიოთერაპიის ორი სესიისთვის და ფსიქოლოგთან ვიზიტისათვის სასწრაფო დახმარების მანქანით ათობით კილომეტრის გავლა უწევს. აღნიშნული უარყოფით გავლენას ახდენს მის ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანს ხერხემლის კისრის ნაწილი სუსტი აქვს.

5.7 მომჩივანი კომიტეტს ატყობინებს, რომ სახელმწიფო მხარე მას მხოლოდ ნაწილობრივ აღდგენით მკურნალობას სთავაზობს, ხოლო აღნიშნული მკურნალობა მხოლოდ 2013 წლის ივლისის შუა რიცხვებში დაიწყო. ამასთან, 2013 წლის სექტემბერში მკურნალობა შეწყდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო; კერძოდ, სასწრაფო დახმარების მანქანა, რომელსაც მომჩივანი სამკურნალო დაწესებულებაში გადაჰყავდა, ავარიაში მოყვა. შედეგად, მომჩივანს დაეწყო კისრისა და მენჯის მწვავე ტკივილები, რის გამოც სამედიცინო შემოწმება გაიარა, ხოლო მისი ვიზიტები სან ხუან დე დიოსის საავადმყოფოში შეწყდა.

5.8 2013 წლის 10 ნოემბერს მომჩივანმა კომიტეტს შეატყობინა, რომ სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტის თანახმად, ბოლო სამედიცინო შემოწმებაზე დაყრდნობით, მისი ჯანმრთელობა არ გაუმჯობესებულა. 2013 წლის 17 დეკემბერს მომჩივანმა განაცხადა: ის ფაქტი, რომ სასწრაფო დახმარების მანქანა ავარიაში მოყვა, ადასტურებს, რომ ციხიდან საავადმყოფომდე მომჩივნის ხშირი გადაყვანა მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიდა. ტრანსპორტირება მომჩივანს განაცდევინებს დიდი ოდენობით შფოთვისა და ტკივილს, რაც მკურნალობის ეფექტურობას ამცირებს; ამასთან, აღნიშნული ხელს უშლის ოჯახის წევრებისა და მეგობრების ნახვაში, ვინაიდან ზოგჯერ მისი საავადმყოფოში გადაყვანის

დრო ემთხვევა ციხის ხელმძღვანელობის მიერ პატიმართა მონახულებისათვის დაწესებულ საათებს.

5.9 2014 წლის 6 მარტს მომჩივანმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით დააფიქსირა საკუთარი პრეტენზიები სტაბილური და დროული სარეაბილიტაციო მკურნალობის არარსებობასა და ხერხემლის მდგომარეობაზე ხშირი ტრანსპორტირების უარყოფით გავლენასთან დაკავშირებით. მომჩივნის მტკიცებით, საჭიროა მისი განთავსება სპეციალიზირებული ჯანდაცვის ცენტრში ან შინაპატიმრობის ქვეშ. მომჩივანი აგრეთვე აღნიშნავდა, რომ მისი მკურნალი ექიმის ბოლო დასკვნის თანახმად, მზრუნველობა, რომელსაც პაციენტი იღებდა, არასაკმარისი და არაეფექტური იყო, რის გამოც მას ესაჭიროებოდა ყოველდღიური ოთხსაათიანი აღდგენითი თერაპია.

სახელმწიფო მხარის დამატებითი მოსაზრებები

6.1 2013 წლის 31 ივლისს სახელმწიფო მხარემ კომიტეტს მიაწოდა ინფორმაცია დროებითი ღონისძიებების შესახებ კომიტეტის 2013 წლის 4 თებერვლის რეკომენდაციაზე რეაგირების მიზნით განხორციელებული ქმედებების შესახებ. 2013 წლის 12 ივნისს, ფედერალური პალატის მითითების საფუძველზე, სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ ხელახლა განიხილა მომჩივნის შუამდგომლობა FLENI Institute-ში განთავსებასთან დაკავშირებით და კვლავ უარი თქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. მანამდე, სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ მომჩივანთან მიავლინა წარმომადგენლები, რომლებმაც დაათვალიერეს ციხის საავადმყოფოში მომჩივნის საცხოვრებელი პირობები, მათ შორის აბაჯანა და ფიზიოთერაპიისთვის განკუთვნილი ადგილი, და დაადგინეს, რომ მომჩივანი სუფთა და მოწესრიგებულ ადგილას იყო განთავსებული.

6.2 სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ გაითვალისწინა სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ წარდგენილი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც დამატებითი ღონისძიებების განხორციელება საჭიროებას არ წარმოადგენდა, ხოლო მომჩივანს ამბულატორიული სარეაბილიტაციო მკურნალობა უნდა გაეგრძელებინა, რაც დეპარტამენტის დასკვნებში მანამდეც იქნა აღნიშნული.

6.3 რაც შეეხება “ესეისას” ციხის ექიმის 2013 წლის 17 აპრილით დათარიღებულ დასკვნას, სახელმწიფო მხარე აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის ფედერალურ სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოების ფარგლებში აღნიშნულ ექიმს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება. მან დაადასტურა, რომ მისი მოსაზრება თავიდან ბოლომდე ეყრდნობოდა FLENI Institute-ში მომჩივნის ექიმების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. დამატებით, სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის FLENI Institute-დან გაწერის დროს შედგენილ სამედიცინო დასკვნაში მითითებული იყო, რომ პაციენტი იყო საკმარისად ჯანმრთელი, რათა მკურნალობა ამბულატორიულ პირობებში გაეგრძელებინა, ხოლო აღნიშნულ დასკვნის საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუთქვამთ არც მომჩივნის მკურნალ ექიმებს FLENI Institute-ში და არც ოფიციალურად მოწვეულ ექსპერტებს.

6.4 OSDE-დან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ დაადასტურა, რომ მომჩივანმა უარი თქვა “გებენის ცენტრის” მიერ 2012 წლის ივნისში ციხის პირობებში შეთავაზებულ რეაბილიტაციის კურსზე და კატეგორიულად მოითხოვა FLENI Institute-ის სარეაბილიტაციო პროგრამის ბაზაზე მკურნალობა, აღნიშნული დაწესებულებაში. სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ გაითვალისწინა ციხეში

მომჩივნის მკურნალი ფიზიოთერაპევტის დასკვნა, რომლის თანახმადაც სარეაბილიტაციო მოწყობილობას ჰქონდა გარკვეული შეზღუდვები; თუმცა, აღნიშნულ განცხადებას არ დაეთანხმა OSDE; კერძოდ, OSDE-ის ინფორმაციით, “გებენის ცენტრის” წარმომადგენელმა ექიმის ვიზიტის შემდგომ განაცხადა, რომ ფიზიოთერაპიის ჩატარება შესაძლებელი იყო ადგილზე, ვინაიდან კერძო ექიმებს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მუშაობის უფლება ჰქონდათ. ამასთან, მთავარი პროკურორის ადამიანის უფლებათა განყოფილების სპეციალურმა წარმომადგენელმა, რომელმაც ციხის საავადმყოფო 2013 წლის 8 მაისს მოინახულა და მომჩივანს გაესაუბრა, საავადმყოფოში თანამედროვე მოწყობილობის ხელმისაწვდომობა დაადასტურა. შესაბამისად, სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ადგილზე ხელმისაწვდომია ფიზიოთერაპიისათვის საჭირო ადეკვატური (სულ მცირე, ელემენტარული) კარგ მდგომარეობაში მყოფი და ფუნქციონირებადი მოწყობილობა.

6.5 შესაბამისად, სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ დაასკვნა, რომ “ესეისას” ციხის ექიმის მოსაზრების გამოკლებით არ არსებობდა რაიმე სამედიცინო საფუძველი ან ახალი მტკიცებულება, რომელიც მომჩივნის შუამდგომლობას გაამყარებდა. დროებითი ღონისძიებების შესახებ კომიტეტის 2013 წლის 4 თებერვლის რეკომენდაციის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტს დაავალა სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მისი აღდგენითი მკურნალობის შესაფასებლად და იმის დადგენის მიზნით, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო მომჩივნის ციხის საავადმყოფოში დატოვება. სასამართლომ აგრეთვე გასცა OSDE-ის სარეაბილიტაციო სერვისების გაგრძელების მითითება. იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი უარს განაცხადებდა აღნიშნული სერვისებით სარგებლობაზე, [ციხის ხელმძღვანელობას] მისი უარი ფორმალურად უნდა დაეფიქსირებინა და გადაედგა საჭირო ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მომჩივნის უარი თავისუფალ და ინფორმირებულ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა. ამასთან, სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტს უნდა მოემზადებინა ზოგადი ყოველთვიური ანგარიში მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და განხორციელებული პროგრესის შესახებ.

6.6 2013 წლის 20 სექტემბერს სახელმწიფო მხარემ კომიტეტს შეატყობინა, რომ სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ მოითხოვა ინფორმაცია სან ხუან დე დიოსის რეაბილიტაციის ცენტრიდან, ხოლო ცენტრმა დაადასტურა, რომ მომჩივანი გადიოდა აღდგენით ფიზიოთერაპიასა და ფსიქოთერაპიას.

6.7 2013 წლის 15 ნოემბერს და 19 დეკემბერს სახელმწიფო მხარემ კომიტეტს შეატყობინა, რომ სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლოს თხოვნის საფუძველზე, 2013 წლის 9 ოქტომბერს სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტმა და მხარეების მიერ მოწვეულმა სამმა სამედიცინო ექსპერტმა მომჩივანს ჩაუტარა სამედიცინო გამოკვლევა. გამოკვლევის ანგარიშში აღინიშნა, რომ მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. 2014 წლის 3 სექტემბერს სასწრაფო დახმარების მანქანის ავარიაში მოხვედრის შემდეგ, მომჩივანს ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად და კერძოდ, იმის დასადგენად, მიადგა თუ არა მომჩივანს ხერხემლის ან ტვინის რაიმე დაზიანება. შემოწმებას არ გამოუვლენია რაიმე ცვლილება, მანამდე ჩატარებული კვლევის შედეგებთან შედარებით. დასკვნის თანახმად, ციხეში ხელმისაწვდომია კუნთ-სახსროვანი სისტემის რეაბილიტაციისათვის საჭირო მოწყობილობა, თუმცა არ არსებობს დისბაზიის, ბალანსის დარღვევისა და ვიზუალური რეაბილიტაციისათვის საჭირო დანადგარები. შესაბამისად, რეკომენდირებულია მომჩივნის “ესეისას” ციხეში დატოვება, ხოლო აღდგენითი მკურნალობის ნაწილის ჩატარება ციხის გარეთ მდებარე საავადმყოფოში. თუმცა,

მხარეების მიერ მოწვეული ერთ-ერთი სამედიცინო ექსპერტის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ციხის სარეაბილიტაციო პუნქტი საუკეთესო გარემო და ჰიგიენური პირობებით გამოირჩევა, მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობის კომპლექსური გართულებებიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია მისი ნევროლოგიურ რეაბილიტაციის სპეციალიზირებულ ცენტრში განთავსება.

6.8 2014 წლის 2 აპრილს სახელმწიფო მხარემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ შეტყობინება დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფო მხარის მიერ კომიტეტის წინაშე წარმოდგენილი არგუმენტების გათვალისწინებით, ხოლო მომჩივნისთვის სასჯელის სახით შეფარდებული პატიმრობა წარმოადგენს ხსოვნის, სიმართლისა და სამართლიანობის აღდგენისკენ მიმართულ ძალისხმევას. მომჩივნის მიერ კომიტეტში წარდგენილი შეტყობინების ერთადერთ მიზანს კი სასჯელის ციხის პირობებში მოხდისათვის თავის არიდება წარმოადგენს.

კომიტეტის წინაშე დასმული საკითხები და მათი განხილვის პროცედურა

წინამდებარე შეტყობინების დასაშვებობის განხილვა

7.1 შეტყობინებაში წარმოდგენილი ნებისმიერი პრეტენზიის განხილვამდე, კომიტეტმა, ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 65-ე წესის შესაბამისად, უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა შეტყობინება კონვენციის ფაკულტატური ოქმის თანახმად დასაშვები.

7.2 ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (გ) პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, კომიტეტმა დაადგინა, რომ წინამდებარე შეტყობინების თემა კომიტეტს აქამდე არ განუხილავს, და რომ ეს თემა არ განხილულა და არ განიხილება სხვა საერთაშორისო საგამომიებო ან დავების მოგვარების პროცედურის ფარგლებში.

7.3 კომიტეტი აღნიშნავს, რომ მომჩივანი მიუთითებს კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევაზე და აცხადებს, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ექიმების რეკომენდაციების მიუხედავად, მას აიძულეს სასამართლომდე გადაადგილება, სადაც იმართებოდა მისი საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო სასამართლოში მისულს დარბაზში შესვლაზე უარი უთხრეს. აღნიშნულის გამო მომჩივანი იძულებული გახდა დარჩენილიყო სასწრაფო დახმარების მანქანაში ან გარეთ, საკაცზე. თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, კომიტეტს არ შეუძლია დაასკვნას, რომ მომჩივანმა ამოწურა ადგილობრივ დონეზე ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით. ამრიგად, ფაკულტატური ოქმის მე-2(დ) მუხლის საფუძველზე, წინამდებარე შეტყობინება დაუშვებელია შესაბამის ნაწილში.

7.4 კომიტეტი ითვალისწინებს სახელმწიფო მხარის არუგმენტს იმის თაობაზე, რომ მომჩივანს არ ამოუწურავს ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები; არამედ, მან სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით დაცვის შეუსაბამო საშუალებები აირჩია და ფედერალური სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების წინააღმდეგ უზენაეს სასამართლოში სპეციალური ფედერალური საკასაციო სარჩელი არ წარადგინა. კომიტეტი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მომჩივანმა შინაპატიმრობის ან ჯანდაცვის ცენტრში გადაყვანისა და განთავსების მოთხოვნით სასამართლოებს არაერთხელ მიმართა. კერძოდ, მან სისხლის სამართლის საკასაციო სასამართლოს ფედერალურ პალატას მიმართა სამჯერ (ბოლო მიმართვა თარიღდება 2013 წლის 29 მაისით). კომიტეტს მიაჩნია, რომ სახელმწიფო მხარემ სათანადოდ

ვერ განმარტა მისი არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მომჩივანმა არასწორი სამართლებრივი დაცვის საშუალება გამოიყენა. სახელმწიფო მხარეს ასევე არ განუმარტავს, თუ რამდენად ეფექტური ან საკმარისი იქნებოდა სპეციალური ფედერალური სარჩელის აღძვრა, ან რა სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებები იყო ხელმისაწვდომი მომჩივნის მიერ წამოჭრილ ბრალდებებთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ბრალდებები დადასტურდებოდა. განსახილველი საკითხის ბუნებიდან გამომდინარე, კომიტეტს მიაჩნია, რომ მომჩივანმა გამოიჩინა სათანადო ძალისხმევა საკუთარი საჩივრების ეროვნული სასამართლოების წინაშე წარდგენის მიზნით. ამასთან, სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საგანგებო საშუალებების გამოყენების შემთხვევაში სარჩელის განხილვა შესაძლოა გაუმართლებლად გაჭიანურებულიყო. აღნიშნული კი მოსარჩელეს ფიზიკურ მთლიანობას საფრთხის ქვეშ დააყენებდა. შესაბამისად, კომიტეტი ასკვნის, რომ ფაკულტატური ოქმის მე-2(დ) მუხლი შეტყობინების დასაშვებობას არ აბრკოლებს.

7.5 კომიტეტი ითვალისწინებს სახელმწიფო მხარის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ კომუნიკაცია ფაკულტატური ოქმის მე-2(ე) მუხლის საფუძველზე დაუშვებელია იმის გამო, რომ მომჩივნის ბრალდებები არის ზოგადი ხასიათის, არ შეიცავს კონკრეტულ ფაქტებს და დაუსაბუთებელია. კომიტეტს მიაჩნია, რომ მომჩივნის პრეტენზიები და წარმოდგენილი ინფორმაცია წარმოშობს საკითხებს, რომლებიც საჭიროებს კონვენციის მე-9, მე-10, მე-13 მუხლების, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-17, 25-ე და 26-ე მუხლების ჭრილში განხილვას, ხოლო აღნიშნული პრეტენზიები საკმარისადაა დასაბუთებული საიმისოდ, რომ დასაშვებად იქნას ცნობილი. ამრიგად, ვინაიდან შეტყობინების დასაშვებობის წინააღმდეგ სხვა არგუმენტი არ არსებობს, კომიტეტი აღნიშნულ პრეტენზიებს დასაშვებად აცხადებს და იწყებს საქმის არსებით განხილვას.

არსებითი მხარის განხილვა

8.1 კომიტეტმა წინამდებარე საქმე განიხილა მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ფაკულტატური ოქმის მე-5 (1) მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 73-ე წესის 1-ლი პუნქტის თანახმად.

8.2 კომიტეტი ითვალისწინებს მომჩივნის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ მის წინააღმდეგ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდა დისკრიმინაცია, ვინაიდან ამ უკანასკნელმა მომჩივნის “ესეისას” ფედერალურ პენიტენციურ კომპლექსში განთავსებისას არ გაითვალისწინა მისი შეზღუდული შესაძლებლობა და ჯანმრთელობის მდგომარეობა, და არ შეასრულა მომჩივნის პირადი უსაფრთხოებისათვის საჭირო გონივრული მისადაგების ზომების განხორციელების მოვალეობა. აღნიშნულმა გამიწვია მომჩივნის მკურნალი ექიმების მიერ დანიშნული რეაბილიტაციის შეწყვეტა და დაირღვა მომჩივნის მიერ ჯანმრთელობის დაცვის მაქსიმალურად მისაღწევი სტანდარტით დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობის უფლება, ისევე როგორც მომჩივნის მაქსიმალური დამოუკიდებლობისა და სრული შესაძლებლობის მიღწევის უფლება. ამასთან, მომჩივანი აცხადებს, რომ სახელმწიფო მხარემ თვითნებურად უარყო მომჩივნის განცხადება “ესეისას” ციხესა და საავადმყოფოს შორის გადაადგილების შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობის საფრთხეების შესახებ; იმის შესახებ, რომ ციხეში არსებული ინფრასტრუქტურა შესაბამის სტანდარტებს არ აკმაყოფილებს და შშმ პირებისათვის შეუფერებელია; ხოლო ციხის ხელმძღვანელობის მიერ პატიმრობის ადგილზე განხორციელებული ცვილებები არასაკმარისია

მომჩივნის ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის განგრძობითი და გამოუსწორებელი დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

8.3 კომიტეტის წინაშე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მომჩივანს ჩაუტარდა ხერხემლის ოპერაცია, ხოლო ოპერაციის დროს მოხდა დისკის არასწორად განთავსება კისრის დონეზე. ამასთან, მომჩივანს დაემართა ინსულტი, რომელმაც სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და რომლის შედეგადაც მომჩივანს განუვითარდა ცალმხრივი ჰემიპარეზი, სენსორული ბალანსის, კოგნიტიური ფუნქციებისა და ვიზუალურ-სივრცითი ორიენტაციის მოშლა. აღნიშნულის გამო, მომჩივანს ესაჭიროება მკურნალობა ფიზიკური, ნევროლოგიური, კოგნიტიური, ვიზუალური და ოკუპაციური თერაპიის სახით. 2010 წლის 7 აპრილს FLENI Institute-ის მიერ სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლოსათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მომჩივნის ჯანმრთელობა საშუალებას იძლეოდა, რომ მას რეაბილიტაციის მკურნალობა დღის სტაციონარში გაეგრძელებინა; 2010 წლის 6 აგვისტოს ფედერალურმა სასამართლომ მომჩივნს ციხეში პატიმრობა მიუსაჯა - თავდაპირველად, ბუენოს აირესის ფედერალურ პენიტენციალური კომპლექსში, ხოლო შემდეგ, “ესეისას” ციხეში, სადაც მომჩივანი 2011 წლის 26 მაისიდან დღემდე იმყოფება.

პატიმრობის ადგილას არსებული პირობები

8.4 ერთის მხრივ, კომიტეტი ითვალისწინებს მომჩივნის პრეტენზიებს იმის თაობაზე, რომ “ესეისას” ციხის საკანი შშმ პირისათვის შეუფერებელია. ციხის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული მისადაგების ღონისძიებები არასაკმარისია, ვინაიდან აბაზანა პატარაა და ეტლით შესვლის საშუალებას არ იძლევა; აბაზანაში არსებული ნაწილობრივად ადაპტირებული პლასტმასის სკამი არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ელემენტარულ სტანდარტებს, ხოლო მომჩივანს არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება ტუალეტამდე ან საშხაპემდე, რისთვისაც მედდის ან სხვა პირის დახმარებაზეა დამოკიდებული. დამონტაჟებულია გამოძახების ლილაკი, მაგრამ მომჩივნის ზარებს ხშირად მაშინვე არ პასუხობენ. მომჩივანს რამდენჯერმე გაუჩნდა ნაწოლები, სპეციალური მატრასის არარსებობის გამო, ხოლო მისი მოძრაობა უაღრესად შეზღუდულია. მომჩივანს სუდნოს და მსგავსი სხვა მოწყობილობების გამოყენებით მხოლოდ ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლია, ხოლო სხვა ადამიანების დახმარების არარსებობის გამო იგი ყოველდღიურ სისუფთავეს ვერ ინარჩუნებს. შშმ პირებისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურის არარსებობა და პატიმრობის არაადამაყოფილებელი პირობები წარმოადგენს მომჩივნის ღირსების შელახვასა და არაადამიანურ მოპყრობას. მეორეს მხრივ, კომიტეტი ითვალისწინებს სახელმწიფო მხარის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ციხის ხელმძღვანელობამ განახორციელა საჭირო ცვლილებები და სააბაზანომდე და საშხაპემდე მისასვლელ ადგილას არსებული საფეხური მოხსნა. ამასთან, სასამართლომ და ეროვნული ჟანდარმერიისა და საზოგადოებრივი სამართლებრივი სერვისის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს მომჩივნის ადგილ-სამყოფელი და დარწმუნდნენ, რომ ხელმისაწვდომია მუშა მდგომარეობაში მყოფი ლიფტები, მომჩივნის საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებული ეზოში გასასვლელი კარები, ფუნქციონალური ლილაკი, რომლის საშუალებითაც ხდება მედდის გამოძახება და 24 საათის მანძილზე მომუშავე დამხმარე სამედიცინო პერსონალი.

8.5 კომიტეტი მხარეებს შეახსენებს, რომ კონვენციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შშმ პირებს თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში კონვენციის მიზნებისა და

პრინციპების შესაბამისი მოპყრობის უფლება აქვთ, გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ჩათვლით. კომიტეტი დამატებით აცხადებს, რომ კონვენციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, ხელმისაწვდომობა, როგორც ასეთი, აგრეთვე ვრცელდება შშმ პირის თავისუფლების აღკვეთის შემთხვევებზე. სახელმწიფო მხარეს ეკისრება ვალდებულება, ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს ციხეებში, თავისუფლება აღკვეთილი შშმ პირებისათვის. შესაბამისად, სახელმწიფო მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, მათ შორის ბარიერებისა და დაბრკოლებების გამოვლენისა და აღმოფხვრის გზით, რათა თავისუფლება-აღკვეთილმა შშმ პირებმა პატიმრობის ადგილას შეძლონ დამოუკიდებლად ცხოვრება და ყოველდღიური ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვანი მონაწილეობა. აღნიშნულ ზომებში შედის სხვადასხვა ტერიტორიებსა და სერვისებზე - მაგ. აბაზანა, ეზო, ბიბლიოთეკა, სასწავლო კუთხე, სახელოსნო და აგრეთვე, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური და სამართლებრივი სერვისები - ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე. წინამდებარე შემთხვევაში, კომიტეტი დადებითად აღნიშნავს სახელმწიფო მხარის მიერ განხორციელებული მისადაგების ღონისძიებებს იმ ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომელიც აფერხებდა მომჩივნის ხელმისაწვდომობას ციხეში არსებული სხვადასხვა ტერიტორიებზე. ამავდროულად კომიტეტს მიაჩნია, რომ სახელმწიფო მხარემ ვერ შეძლო ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაედასტურებინა, რომ ციხის კომპლექსში განხორციელებული მოსადაგების ღონისძიებები საკმარისი იყო იმისათვის, რომ მომჩივანს დამოუკიდებლად (შესაძლებლობის ფარგლებში) ესარგებლა აბაზანითა და საშხაპით, ეზოთი და სამედიცინო მომსახურებით. ამ მხრივ კომიტეტი აცხადებს, რომ სახელმწიფო მხარეს არ დაუდასტურებია რამე ბარიერების არსებობა, რაც ხელს უშლიდა მომჩივნის მობილურობის ხელშეწყობის მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელებაში. სახელმწიფო მხარემ აგრეთვე არ უარყო მომჩივნის ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ კვლავ არსებობს ხელმისაწვდომობის შემაფერხებელი არქიტექტურული ბარიერები. შესაბამისად, კომიტეტს მიაჩნია, რომ საკმარისი ახსნა-განმარტების არარსებობის პირობებში, სახელმწიფო მხარემ ვერ შეძლო შეესრულებინა კონვენციის მე-9 მუხლის 1(ა) და (ბ) ქვე-პუნქტებითა და მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

8.6 აღნიშნული დასკვნის საფუძველზე და წინამდებარე საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, კომიტეტს მიაჩნია, რომ არასაკმარისია ხელმისაწვდომობა, გონივრული მისადაგების გათვალისწინებით, მომჩივნის პატიმრობის პირობები არადაამაკმაყოფილებელია და არ შეესაბამება კონვენციის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას.

8.7 კომიტეტი მხარეებს შეახსენებს, რომ თავისუფლება-შეზღუდული შშმ პირისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებისა და საკმარისი გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ვალდებულების დარღვევა შესაძლოა წარმოადგენდეს კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას. თუმცა, წინამდებარე საქმეში კომიტეტი არ თვლის, რომ არსებობს საკმარისი მტკიცებულება კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის დასადგენად.

ჯანდაცვა და სარეაბილიტაციო მკურნალობა

8.8 კომიტეტი ითვალისწინებს მომჩივნის ბრალდებას იმის თაობაზე, რომ მას არ ჩაუტარდა შესაბამისი და დროული სარეაბილიტაციო მკურნალობა “ესიასას” ციხეში განთავსების დღიდან, ხოლო კომპლექსში არ არსებობს აღნიშნული მკურნალობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, მოწყობილობა და თანამშრომლები. კომიტეტი დამატებით აღნიშნავს

სახელმწიფო მხარის შემდეგ განცხადებებს: OSDE-თან კოორდინაციის საფუძველზე, შესაძლებელია ამბულატორიულ პრობებში სარეაბილიტაციო მკურნალობის ჩატარება “ესეისას” ციხეში და ციხის ახლოს მდებარე ჯანდაცვის ცენტრში; მომჩივანმა სარეაბილიტაციო თერაპიის ჩატარებაზე არაერთხელ განაცხადა უარი, ხოლო ადგილობრივმა სასამართლოებმა სათანადო წესის დაცვით განიხილეს მისი შუამდგომლობა შინაპატიმრობის ან სასჯელის საავადმყოფოში მოხდის შესახებ. კერძოდ, სისხლის სამართლის ფედერალურმა სასამართლომ მომჩივნის ჯანმრთელობისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის დასაცავად საჭირო ნაბიჯების გადადგმის მითითება გასცა.

8.9 კომიტეტი მხარეებს შეახსენებს, რომ კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად, შშმ პირებს აქვთ უფლება, ისარგებლონ ჯანმრთელობის დაცვის მაქსიმალურად მისაღწევი სტანდარტით, დისკრიმინაციის გარეშე, ხოლო სახელმწიფო მხარემ უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა შშმ პირთა ჯანმრთელობის სერვისებზე, მათ შორის რეაბილიტაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, 26-ე მუხლის თანახმად, წევრი სახელმწიფოები მიმართავენ შესაბამის და ეფექტურ ზომებს, რათა შშმ პირებმა მიაღწიონ და შეინარჩუნონ მაქსიმალური დამოუკიდებლობა, სრულად განახორციელონ თავიანთი ფიზიკური, გონებრივი, სოციალური და პროფესიული პოტენციალი, ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ადაპტაციისა და რეადაპტაციის მომსახურებებისა და პროგრამების გზით. აღნიშნული მომსახურებები და პროგრამები უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად ადრეულ სტადიაზე, და უნდა ეფუძნებოდეს თითოეული შშმ პირის საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების მრავალდარგობრივ შეფასებას. ხსენებული დებულებების გათვალისწინებით, კონვენციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტთან ერთობლიობაში, კომიტეტი მხარეებს შეახსენებს, რომ სახელმწიფო მხარეს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების დასაცავად მაშინ, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე თავისუფლება-წართმეული შშმ პირი მნიშვნელოვანწილად ექვემდებარება ციხის ხელმძღვანელობის კონტროლსა და ძალაუფლებას.

8.10 წინამდებარე საქმეში, აშკარაა, რომ მომჩივანს ესაჭიროება სამედიცინო მომსახურება და რეაბილიტაცია. ამ მხრივ, კომიტეტი აღნიშნავს, რომ 2011 წლის 26 მაისს მომჩივნის “ესეისას” ციხეში განთავსების დღიდან, ციხის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო, მომჩივნისთვის უზრუნველყო რეგულარული სარეაბილიტაციო თერაპია, რომელიც მომჩივანს FLENI Institute-ში დაუნიშნეს მკურნალმა ექიმებმა. ამავდროულად, მომჩივანმა რამდენჯერმე უარი თქვა სარეაბილიტაციო მკურნალობაზე “ესეისას” ციხეში ან მის გარეთ მდებარე საავადმყოფოში, რომელიც ციხის ხელმძღვანელობამ შეარჩია. სისხლის სამართლის საკასაციო სასამართლოს ფედერალური პალატის მიერ მიღებული ზომების შედეგად, მომჩივანს 2013 წლის ივლისიდან უტარდება ფიზიოთერაპიისა და ფსიქოთერაპიის რეგულარული სესიონები სან ხუან დე დიოსის რეაბილიტაციის ცენტრში და ციხის საავადმყოფოში. კომიტეტისათვის ცნობილია, რომ მომჩივნისა და სახელმწიფო მხარის აღნიშნული განცხადებები ციხეში მომჩივნის სარეაბილიტაციო მკურნალობის ხარისხისა და სიხშირის შესახებ ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებს შეიცავს. მიუხედავად ამისა, კომიტეტი ადგენს, რომ ერთის მხრივ, მომჩივნის პრეტენზიები ბოლომდე სარწმუნოდ არ არის დასაბუთებული, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლოებმა არ გადადგეს სათანადო ნაბიჯები მომჩივნის სამედიცინო საჭიროებებზე რეაგირების მიზნით. შედეგად, წინამდებარე საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, კომიტეტის წინაშე არ ყოფილა წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულება კონვენციის 25-ე და 26-ე მუხლების დარღვევის დასადგენად.

საფრთხე, რომელიც მომჩივნის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს უქმნის

8.11 კომიტეტი ითვალისწინებს მომჩივნის პრეტენზიებს მისი ხერხემლის კისრის ნაწილის სუსტ მდგომარეობასთან დაკავშირებით და იმ სერიოზულ რისკებს, რომელიც უკავშირდება ოპერაციის შედეგად ჩადგმული მოძრავი ფირფიტის გადაადგილებას. მომჩივნის თანახმად, სახელმწიფო მხარემ მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა, ვინაიდან იგი ციხეში მოათავსა და აიძულა, დასთანხმდებოდა ამბულატორიულ პირობებში მკურნალობას, რომელიც სასწრაფო დახმარების მანქანით ხშირ გადაადგილებას საჭიროებს. გადაადგილება კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. კომიტეტი დამატებით ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მოთხოვნილ და მომჩივნის მიერ წარდგენილ სამედიცინო ცნობებს. კომიტეტი ითვალისწინებს, რომ 2010 წლის 7 აპრილს FLENI Institute-ში მომჩივნის მკურნალმა ექიმებმა გასცეს რეკომენდაცია ამბულატორიული მკურნალობის შესახებ. ამ დღის შემდეგ მომჩივანი გადაყვანილი იქნა ჯანმრთელობის სხვადასხვა ცენტრში, მათ შორის, ცენტრში, რომელიც მომჩივანმა თავად აირჩია, და ჩაუტარდა სამედიცინო გამოკვლევები და ტესტები. [სასამართლოს აზრით,] მომჩივნის ხერხემლის კისრის ნაწილის მდგომარეობის გამო აღნიშნული გადაადგილების სავარაუდო შედეგების შესახებ სამედიცინო დასკვნები ცალსახა დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა. მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კომიტეტმა შემდეგი დასკვნა გამოიტანა: კომიტეტის წინაშე არსებული მტკიცებულებები არ არის საკმარისი იმის დასადგენად, რომ მომჩივნის ტრანსპორტირება უადრესად თანამედროვე სასწრაფო დახმარების მანქანით და ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, და აგრეთვე, მომჩივნის განთავსება ციხეში კონვენციის მე-10 ან 25-ე მუხლების დარღვევას წარმოადგენს.

9. კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი აცხადებს, რომ სახელმწიფო მხარემ ვერ შეასრულა კონვენციის მე-9 მუხლის 1(ა) და (ბ) ქვე-პუნქტებითა და მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები. შესაბამისად, კომიტეტი სახელმწიფოს მიმართ გასცემს შემდეგ რეკომენდაციებს:

(ა) მომჩივანთან დაკავშირებით: სახელმწიფო მხარეს ეკისრება ვალდებულება, აღადგინოს მომჩივნის კონვენციით გათვალისწინებული დარღვეული უფლებები; კერძოდ, სახელმწიფო მხარემ საპატიმრო დაწესებულებაში უნდა უზრუნველყოს ციხეში არსებულ ობიექტებსა და სერვისებზე მომჩივნის ხელმისაწვდომობა, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე. სახელმწიფო მხარემ აგრეთვე უნდა აუნაზღაუროს მომჩივანს წინამდებარე კომუნიკაციის წარდგენასთან დაკავშირებული ხარჯები. ამასთან, მომჩივნის ჯანმრთელობის სუსტი მდგომარეობის გათვალისწინებით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ პაციენტს უფლება აქვს დაეთანხმოს ან უარი თქვას სამედიცინო მკურნალობაზე, კომიტეტი სახელმწიფო მხარეს მიმართავს რეკომენდაციით, მომჩივანი უზრუნველყოს შესაფერისი და დროული სამედიცინო მზრუნველობით, რომელიც მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობას შეესაბამება და აგრეთვე, შესაფერისი და რეგულარული სარეაბილიტაციო თერაპიით;

(ბ) ზოგადი საკითხები: სახელმწიფო მხარეს ეკისრება ვალდებულება, გადაგას ნაბიჯები მომავალში მსგავსი დარღვევის თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, სახელმწიფო ვალდებულია:

(i) თხოვნის საფუძველზე მიიღოს შესაბამისი ზომები და უზრუნველყოს საკმარისი გონივრული მისადაგება, რათა თავისუფლება ჩამორთმეულ შშმ პირებს საპატიმრო დაწესებულებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვნად მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდეთ;

(ii) თხოვნის საფუძველზე მიიღოს შესაბამისი ზომები და უზრუნველყოს საკმარისი გონივრული მისადაგება, რათა თავისუფლება ჩამორთმეულ შშმ პირებს, თავისუფლება ჩამორთმეულ სხვა ადამიანებთან თანასწორობის საფუძველზე, ხელი მიუწვდებოდეთ საპატიმრო დაწესებულებაში არსებულ ობიექტებსა და შეთავაზებულ სერვისებზე;

(iii) მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა თავისუფლება ჩამორთმეულ შშმ პირებს ხელი მიუწვდებოდეთ სამედიცინო და სარეაბილიტაციო მკურნალობაზე, რათა მათ შეძლონ ჯანმრთელობის დაცვის მაქსიმალურად მისაღწევი სტანდარტით დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობა.

(iv) უზრუნველყოს, რომ არასაკმარისი ხელმისაწვდომობისა თუ გონივრული მისადაგების გამო შშმ პირთა პატიმრობის პირობები არ დამძიმდეს ან უფრო მეტი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა არ გამოიწვიოს იმ სახით, რაც სასტიკ, არაჰუმანურ და დამამცირებელ მოპყრობას უტოლდება, ან მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ხელშეუხებლობას ლახავს;

(v) უზრუნველყოს მოსამართლეების, სასამართლოს სხვა თანამშრომლებისა და ციხის თანამშრომლების, განსაკუთრებით კი ციხის სამედიცინო პერსონალის ეფექტური და რეგულარული ტრენინგი კონვენციითა და მისი ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული საკითხების შესახებ.

10. ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 75-ე წესის შესაბამისად, სახელმწიფო მხარემ კომიტეტს ექვსი თვის მანძილზე უნდა წარუდგინოს წერილობითი პასუხი, მათ შორის ნებისმიერი ინფორმაცია კომიტეტის წინამდებარე მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი ქმედების შესახებ. სახელმწიფო მხარეს, აგრეთვე, მოეთხოვება კომიტეტის მოსაზრებების გამოქვეყნება, სახელმწიფო მხარის ოფიციალურ ენაზე თარგმნა და ფართოდ გავრცელება ხელმისაწვდომ ფორმატებში, რათა მოსაზრებები მოსახლეობის ყველა სექტორისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

[მოსაზრებები მიღებულია არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ხოლო ესპანურენოვანი ტექსტი წარმოადგენს ორიგინალ ვერსიას. შემდგომში აგრეთვე იგეგმება მოსაზრებების რუსულ ენაზე გამოქვეყნება, იმ ორენოვანი ანგარიშის ფარგლებში, რომელსაც კომიტეტი ყოველწლიურად წარუდგენს გენერალურ ასამბლეას.]



**შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა უფლებების
კონვენცია**

გავრცელება: საყოველთაო
2014 წლის 7 ივლისი

ორიგინალი შედგენილია
ინგლისურ ენაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

შეტყობინება No. 2/2010

**კომიტეტის მიერ მე-11 სესიაზე მიღებული მოსაზრებები
(2014 წლის 31 მარტი - 11 აპრილი)**

<i>შეტყობინების წარმდგენი:</i>	ლილიან გრონინგერი (არ არის წარმოდგენილი ადვოკატის მიერ)
<i>სავარაუდო დაზარალებულები:</i>	შეტყობინების წარმდგენი, მისი ვაჟიშვილი, ტომას გრონინგერი და მისი მეუღლე, ერჰარდ გრონინგერი
<i>სახელმწიფო მხარე:</i>	გერმანია
<i>შეტყობინების წარდგენის თარიღი:</i>	2010 წლის 25 ივნისი (თავდაპირველი წარდგენა)
<i>გამოყენებული დოკუმენტები:</i>	სპეციალური მომხსენებლის მიერ 70-ე წესის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოს გადაეგზავნა 2010 წლის 20 სექტემბერს (არ გამოცემულა დოკუმენტის სახით); შეტყობინების დასაშვებობის შესახებ 2012 წლის 18 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილება (CRPD/C/8/D/2/2010)
<i>მოსაზრებების მიღების თარიღი:</i>	2014 წლის 4 აპრილი
<i>შეტყობინების თემა:</i>	მუშაობის უფლების დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობა შშმ პირის შრომის ბაზარზე ინტეგრაციის ხელშეწყობის ვალდებულების შეუსრულებლობით.
<i>პროცედურული საკითხები:</i>	საჩივრის დასაშვებობა
<i>არსებითი საკითხები:</i>	ზოგადი პრინციპები, ზოგადი ვალდებულებები, თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა; ცნობიერების ამაღლება; სამუშაო და დასაქმება.
<i>კონვენციის მუხლები:</i>	3, 4, 5, 8 და 27
<i>ფაკულტატური ოქმის მუხლები:</i>	მე-2 მუხლის (დ) და (ე) პუნქტი

დანართი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მოსაზრებები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის თანახმად (მე-11 სესია)

No. 2/2010 შეტყობინებასთან დაკავშირებით

შეტყობინების წარმდგენი:	ლილიან გრონინგერი (არ არის წარმოდგენილი ადვოკატის მიერ)
სავარაუდო დაზარალებულები:	შეტყობინების ავტორი, მისი ვაჟიშვილი ტომას გრონინგერი და მისი მეუღლე, ერჰარდ გრონინგერი
სახელმწიფო მხარე:	გერმანია
შეტყობინების წარდგენის თარიღი:	2010 წლის 25 ივნისი (თავდაპირველი წარდგენა)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა, რომელიც შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე,

2014 წლის 4 აპრილს გამართულ შეხვედრაზე,

დაასრულა რა No. 2/2010 შეტყობინების განხილვა, რომელიც ლილიან გრონინგერმა წარადგინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე,

გაითვალისწინა რა შეტყობინების წარმდგენისა და სახელმწიფო მხარის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაცია,

მიიღო შემდეგი მოსაზრებები:

ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის საფუძველზე მიღებული მისაზრებები

1.1 შეტყობინების ავტორია ლილიან გრონინგერი, ეროვნებით ფრანგი, რომელმაც შეტყობინება წარადგინა თავისი ვაჟიშვილის, მეუღლისა და საკუთარი თავის სახელით. შეტყობინების ავტორის (მომჩივნის) ვაჟი გერმანიის მოქალაქეა. იგი დაიბადა 1979 წლის 14 მაისს და აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი. მომჩივნის მტკიცებით, გერმანიის სახელმწიფომ მისი ვაჟის წინააღმდეგ დაარღვია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (შემდგომში, “კონვენცია”) მე-3, მე-4 და 27-ე მუხლებით დაცული უფლებები. შეტყობინება აგრეთვე მოიცავს კონვენციის მე-5 მუხლთან დაკავშირებულ

საკითხებს, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი ამ საკითხებზე პირდაპირ არ მიუთითებს. კონვენციის ფაკულტატიური ოქმი გერმანიაში ძალაშია 2009 წლის 26 მარტიდან. მომჩივანი კომიტეტის წინაშე თავად იცავს საკუთარ ინტერესებს.

1.2 2012 წლის 18 სექტემბერს მიმდინარე მერვე სესიაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა, კომიტეტის რეგლამენტის 65-ე და 70-ე წესების შესაბამისად, გადაწყვიტა, ცალ-ცალკე განეხილა შეტყობინების დასაშვებობისა და არსებითი განხილვასთან დაკავშირებული საკითხები⁴¹. კომიტეტმა დასაშვებად მიიჩნია შეტყობინების ის ნაწილი, რომელშიც მომჩივანი ამტკიცებს, რომ შრომის ბაზარზე მისი შვილის ინტეგრაციასთან დაკავშირებით მოქმედი სოციალური კანონმდებლობის გამოყენება წარმოშობს კონვენციის მე-3, მე-4 და 27-ე მუხლებით გათვალისწინებულ საკითხებს. კომიტეტმა აგრეთვე მიიჩნია, რომ შეტყობინება მოიცავს კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს.

1.3 კომიტეტის რეგლამენტის 70-ე წესის მე-10 პუნქტის შესაბამისად, კომიტეტმა მხარეებს სთხოვა დამატებითი წერილობითი განმარტებების წარდგენა შემდეგ საკითხებზე:

(ა) სასამართლომ ან რომელიმე სხვა ორგანომ გამოიძია, თუ არა ბრალდებები მომჩივნის შვილის დისკრიმინაციასთან დაკავშირებით;

(ბ) სასამართლომ ან რომელიმე სხვა სახელმწიფო ორგანომ გამოიძია, თუ არა მომჩივნის ვაჟიშვილის მიერ კიოლნის სოციალურ სასამართლოში წარდგენილი ბრალდებები, რომლებიც შეეხებოდა დასაქმების სააგენტოების მიერ მომჩივნის შვილის საქმის მასალებში მცდარი ინფორმაციის შეტანას;

(გ) რა კონკრეტული ნაბიჯები გადადგეს სახელმწიფო უწყებებმა მომჩივნის შვილის მიერ ზოგად ტექნიკურ და პროფესიულ საორიენტაციო პროგრამებზე, დასაქმების სერვისებსა და პროფესიულ და უწყვეტ განათლებაზე ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

(დ) მიიღებდა, თუ არა მომჩივნის ვაჟი სხვა სახის დახმარებას შრომის ბაზარზე ინტეგრაციასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ იგი ისწავლიდა სპეციალიზირებულ სკოლაში ან გაივლიდა შშმ პირებისთვის განკუთვნილ სასწავლო პროგრამას;

(ე) გარდა მისი საქმის ზოგადი შეფასებისა, მომჩივნის შვილის მდგომარეობის შესაბამისი რა კონკრეტული ნაბიჯები გადადგეს დასაქმების სხვადასხვა სააგენტოებმა, რომლებიც მომჩივნის შვილის საქმეზე მუშაობდნენ 2009 წლიდან, რათა მას დახმარებოდნენ სამუშაო გამოცდილების შექმნასა და შრომის ღია ბაზარზე ინტეგრაციაში;

(ვ) სამუშაო ბაზარზე მომჩივნის შვილის წარმატებული ინტეგრაციის კუთხით რა ძირითად დამაბრკოლებელ გარემოებებს აწყდებოდნენ დასაქმების ფედერალური სააგენტოები, რომლებიც მუშაობდნენ მომჩივნის შვილის საქმეზე.

1.4 მხარეებს, აგრეთვე, ეთხოვათ სასამართლოსათვის შემდეგი ინფორმაციის მიწოდება:

⁴¹ იხ. კომიტეტის გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ (CRPD/C/8/D/2/2010).

(ა) 2009 წლიდან მომჩივნის შვილის მიერ სავარაუდოდ მიღებული დასაქმების შეთავაზებების შესახებ ინფორმაცია;

(ბ) სოციალური სასამართლოს 2011 წლის 17 მაისის წერილის ასლი, რომლითაც სასამართლომ მომჩივანს მისი ვაჟიშვილის საქმის მასალების ნაწილის დაკარგვის თაობაზე შეატყობინა;

(გ) არის, თუ არა “ინტეგრაციის სუბსიდიები” ერთადერთი ეფექტური სამოქმედო ღონისძიება, რომელიც სახელმწიფო მხარემ შემოიღო შშმ პირთა შრომის ბაზარზე ინტეგრაციის მიზნით, ან არსებობს თუ არა სხვა ღონისძიებები, რომელთა გამოყენებაც შეეძლო მომჩივნის ვაჟს. სხვა ღონისძიებების არსებობის შემთხვევაში, მხარეებს ეთხოვათ, წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია: განემარტა, თუ არა მომჩივნის ვაჟს ამ სხვა ღონისძიებების არსებობის შესახებ და რატომ არ მოხდა მის შემთხვევაში სხვა ღონისძიებების გამოყენება.

შეტყობინების ავტორის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები შეტყობინების არსებით მხარესთან დაკავშირებით

2.1 (ა)⁴² პუნქტში დასმულ საკითხთან დაკავშირებით, 2013 წლის 5 თებერვალს მომჩივანმა განაცხადა, რომ არც სასამართლოს და არც რომელიმე სხვა ორგანოს არ გამოუძიებია ბრალდებები მისი შვილის დისკრიმინაციასთან დაკავშირებით.

2.2 მომჩივნის მტკიცებით, 2009 წლის ნოემბერში იგი შეხვდა სპეციალიზირებული ინტეგრაციის სერვისის (Integrationsfachdienst, IFD) ხელმძღვანელსა და კიოლნის ინტეგრაციის ოფისის წარმომადგენელს რინლანდის ადგილობრივი მმართველობიდან. შეხვედრაზე მან აღნიშნულ პირებს მიაწოდა ინფორმაცია “შშმ პირის შრომის ბაზარში ინტეგრაციასთან დაკავშირებული დისკრიმინაციის თაობაზე”. მომჩივნის განცხადებით, “დისკრიმინაცია ცალსახად დადასტურდა”, ხოლო მას განუცხადეს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არ გააჩნდა სამართლებრივი საშუალებები მისი შვილის დასახმარებლად.

2.3 (ბ) პუნქტში დასმულ საკითხთან დაკავშირებით, მომჩივანმა განაცხადა, რომ არც სასამართლომ და არც რომელიმე სხვა სახელმწიფო ორგანომ არ გამოიძია ბრალდებები დასაქმების სააგენტოების მიერ მომჩივნის შვილის საქმის მასალებში მცდარი ინფორმაციის შეტანასთან დაკავშირებით. მომჩივნის მტკიცებით, მისი ვაჟი დასაქმების სააგენტოებში 2002 წლიდან არის დარეგისტრირებული, ხოლო მათ უწევდათ [საქმის მასალებში შეტანილი] “(თითქმის ყოველი) სიტყვის შესწორება ან დავა [თითქმის ყოველ სიტყვასთან] დაკავშირებით.” მომჩივანი აგრეთვე აცხადებს, რომ დასაქმების სააგენტოები ინტეგრაციის ხელის შეშლის მიზნით იყენებენ “სისტემატურ, დახვეწილ და ვერაგ” მეთოდებს, მაგრამ ვინაიდან სოციალური სასამართლო არ არის სისხლის სამართლის სასამართლო, ოფიციალური პირების მიერ გაკეთებულ ცრულ განცხადებებს “არანაირი სამართლებრივი შედეგები არ მოჰყოლია”.

2.4 (გ) პუნქტში დასმულ საკითხთან დაკავშირებით მომჩივანი აცხადებს, რომ მის შვილს არ მიუწვდებოდა ხელი ზოგად ტექნიკურ, უწყვეტ და პროფესიულ საორიენტაციო და საგანმანათლებლო პროგრამებსა თუ დასაქმების სერვისებზე. მომჩივნის განცხადებით, მისი

⁴² წინამდებარე სექციაში მითითებული საკითხების ჩამონათვალი იხ. პუნქტში 1.3.

შვილი დადიოდა ლოგოპედთან და ფსიქოთერაპევტთან; აგრეთვე, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების შენარჩუნების მიზნით ვარჯიშობდა მაგიდის ჩოგბურთის ადგილობრივ კლუბში, ხოლო მის ამ აქტივობებს ოჯახი აფინანსებდა. 2009 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მან გაიარა და წარმატებით დაასრულა მოლარის პროფესიული კურსი, მაგრამ დასაქმების სააგენტომ უარი უთხრა ფინანსურ დახმარებაზე იმ არგუმენტით, რომ აღნიშნული პროფესიული გადამზადება არ იყო რენტაბელური. მომჩივნის განცხადებით, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელს კიოლნის სოციალური სასამართლო სამი წელია განიხილავს. 2010 წლის მარტი-აპრილის პერიოდში და 2011 წლის აპრილ-მაისში, მომჩივნის შვილმა გაიარა საბუღალტრო საქმისა და აღრიცხვის კურსი, რომლის ღირებულებაც კვლავ ოჯახმა დაფარა, ვინაიდან დასაქმების სააგენტო არ უზრუნველყოფდა არც პროფესიულ მომზადებას და არც ფინანსურ დახმარებას. მომჩივნის განცხადებით, დასაქმების სააგენტო მიზნად ისახავს შშმ პირის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას, რათა რამდენიმეწლიანი უმუშევრობის შემდეგ მან შრომის ბაზარს რაიმე ღირებული ველარ შესთავაზოს, რის შედეგადაც მოხდება მისი “მოცილება და შშმ პირთათვის განკუთვნილ სახელოსნოში ადგილის მიჩენა”. დამატებით, მომჩივანი აცხადებს, რომ სამუშაოს ძებნის პროცესში მის შვილს დასაქმების სააგენტოდან არანაირი მხარდაჭერა ან დახმარება არ მიუღია. მან სასამართლოს წარუდგინა იმ 10 ვაკანსიის ჩამონათვალი, რომელზეც მისმა შვილმა განაცხადი გააკეთა და გასაუბრებაზეც გავიდა. მომჩივნის მტკიცებით, პოტენციურმა დამსაქმებლებმა მის შვილს დასაქმებაზე უარი უთხრეს მას შემდეგ, რაც დასაქმების სააგენტოს დაუკავშირდნენ. მომჩივნის თქმით, დასაქმების სააგენტოს დახმარება შემოიფარგლებოდა “შეთავაზებების” გაგზავნით. აღნიშნული შეთავაზებები კი ფაქტობრივად იყო კომპანიების ზოგადი მოთხოვნა განაცხადების წარდგენასთან დაკავშირებით, ხშირად ვადაგასული და მისი საჭიროებებისათვის შეუსაბამო.⁴³

2.5 მომჩივნის განცხადებით, დასაქმების სააგენტოს მიერ მიღებული ნებისმიერი ზომა წარუმატებლობისათვის არის განწირული, ვინაიდან “სოციალური კოდექსის” მე-3 თავის 219-ე მუხლის თანახმად, მის შვილს ინტეგრაციის სუბსიდიის მიღების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი სრული შრომისუნარიანობის აღდგენა შესაძლებელია სამი წლის განმავლობაში. მომჩივნის მტკიცებით, სოციალური კანონმდებლობა შრომის ბაზარზე ინტეგრაციას აბრკოლებს.

2.6 (დ) პუნქტში დასმულ საკითხთან დაკავშირებით მომჩივანი აცხადებს, რომ მისი შვილი დადიოდა ჩვეულებრივ ბაღში და სკოლაში, ხოლო შესაბამისი მომზადების გავლის შემდეგ შვილს დამატებითი თერაპიით თავად უზრუნველყოფდა. მომჩივნის ინფორმაციით, მისმა შვილმა შეძლო ჩვეულებრივი საშუალო სკოლის (*Fachoberschulreife*) დამთავრება, არაერთი დაბრკოლების მიუხედავად. იგი დამატებით აღწერს იმ პრობლემებს, რომლებსაც მისი შვილი აწყდებოდა პროფესიული მომზადების პროცესში და აცხადებს, რომ დასაქმების სააგენტომ იგი ტრენინგის ისეთ პროვაიდერთან გააგზავნა, რომელსაც შშმ პირებთან მუშაობის უფლება არ აქვს, ხოლო მის მიერ სასწავლო კურსის დასრულება არ იქნებოდა აღიარებული იმ შემთხვევაშიც, თუკი ფინანსურ გამოცდას წარმატებით ჩააბარებდა. მომჩივნის შვილმა ტრენინგის პროვაიდერი გამოიცვალა და შეძლო პროფესიული მომზადების დასრულება მიუხედავად იმისა, რომ უარი უთხრეს “სარეაბილიტაციო ღონისძიებებში” ჩართვაზე.

⁴³ მომჩივანმა მაგალითის სახით წარმოადგინა დასაქმების სააგენტოსგან მიღებული წერილი, რომელშიც მოყვანილი იყო [კომპანია] Lidl-ის სამი თვის წინანდელი განცხადება [ვაკანსიის შესახებ].

2.7 (ე) პუნქტში დასმულ საკითხთან დაკავშირებით, მომჩივანი აცხადებს, რომ მის შვილს არ მიუღია რაიმე სახის დახმარება იმ დასაქმების სააგენტოებიდან, სადაც დარეგისტრირებული იყო, არც სამუშაო გამოცდილების მიღების და არც შრომის ბაზარზე ინტეგრაციის მხრივ.

2.8 (ვ) პუნქტში დასმულ საკითხთან დაკავშირებით, მომჩივანი აღნიშნავს, რომ დასაქმების სააგენტოების წინაშე არსებულ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს მოქმედი სოციალური კანონმდებლობა და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილება შშმ პირთა შრომის ბაზარზე ინტეგრაციასთან დაკავშირებით. მომჩივანის ინფორმაციით, მან იურიდიულ კონსულტანტს სთხოვა, მისთვის განემარტა საკანონმდებლო დონეზე არსებული დამაბრკოლებელი და ხელშემწყობი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს დასაქმების სააგენტოების მიერ შშმ პირთა შრომის ბაზარზე ინტეგრაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების წარმატებაზე. კონსულტანტმა განმარტა:

იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული შესაძლებლობა შრომისუნარუანობას მხოლოდ დროებით არ აფერხებს, როგორც წესი, შრომის ბაზარზე ინტეგრაციას “ინტეგრაციის შემწეობა” ვერ უწყობს ხელს, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში, სამართლებრივ დონეზე განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ფულადი დახმარება ძირითადად შეუსაბამოა. მხარდაჭერის სისტემის განხორციელებაში საკანონმდებლო დონეზე არსებულ ამ ხარვეზს უაღრესად დიდი გავლენა აქვს დაინტერესებულ პირებზე, ვინაიდან არ არსებობს დახმარების სხვა სისტემა, რომელიც შრომის ბაზარზე ინტეგრაციას ანალოგიურად შეუწყობდა ხელს. შედეგად, დაინტერესებული პირებისათვის შრომით ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება ფაქტიურად შეუძლებელია.⁴⁴

2.9 დასაქმების შეთავაზებების მიღებასთან დაკავშირებით⁴⁵, მომჩივანმა განაცხადა, რომ მისი შვილისთვის სამუშაოს ძიების პროცესი შემოიფარგლება მაღაზიის მენეჯერისათვის საკუთარი თავის წარდგენითა და განაცხადის ჩაბარებით, რის შემდეგაც მისი ბედი დასაქმების სააგენტოს ხელშია. ვინაიდან სოციალური კანონმდებლობის თანახმად, მის შვილს არ აქვს ინტეგრაციის სუბსიდიის მიღების უფლება, დასაქმების სააგენტოსთან დაკავშირების შემდეგ პოტენციურ დამსაქმებლებს თავიანთი შეთავაზება უკან მიაქვთ. მომჩივანის განცხადებით, სამუშაოს ძიების პროცესში შშმ პირებს არ ეპყრობიან შეზღუდული შესაძლებლობის არ-მქონე პირებთან თანასწორობის საფუძველზე, ხოლო ფედერალური მთავრობა მაღავს იმ ფაქტს, რომ სოციალური კანონმდებლობა ხელს უშლის შშმ პირების ინტეგრაციას შრომის ბაზარზე.

2.10 იმ წერილთან დაკავშირებით, რომლითაც სასამართლომ მომჩივანს მისი შვილის საქმის მასალების ნაწილის დაკარგვის თაობაზე შეატყობინა, მომჩივანმა წარმოადგინა დასაქმების სააგენტოს მიერ სოციალური სასამართლოსათვის გაგზავნილი წერილის ასლი, რომელიც თარიღდება 2011 წლის 12 მაისით და აგრეთვე, სოციალური სასამართლოს წერილის ასლი, რომელიც თარიღდება 2011 წლის 17 მაისით. სოციალური სასამართლოს თანამშრომელთან გამართული სატელეფონო საუბრის თანახმად, სასამართლო აპირებდა დაკარგული დოკუმენტების აღდგენას დასაქმების სააგენტოსთან თანამშრომლობით, იმ ინფორმაციის საფუძველზე, რის გახსენებასაც შეძლებდნენ სააგენტოს თანამშრომლები.

⁴⁴ მომჩივანმა კონსულტაციისთვის მიმართა დოქტორ ფელიქს ბანგს ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტიდან, ხოლო ციტატა, როგორც ჩანს, მისი შეფასებიდან არის მოყვანილი (არაოფიციალური თარგმანი ეკუთვნის მომჩივანს)

⁴⁵ მოთხოვნილი ინფორმაციის ჩამონათვალი იხ. პუნქტში 1.4.

2.11 ინტეგრაციის სუბსიდიების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით მომჩივანი აცხადებს, რომ ინტეგრაციის სუბსიდია ერთადერთი ხელმისაწვდომი ეფექტური სამოქმედო ღონისძიებაა, რომელიც მის შვილს შრომის ბაზარზე ინტეგრაციაში დაეხმარება. იგი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მის შვილს არაერთი კვალიფიკაცია გააჩნია, მაგრამ მისი ინტეგრაცია შრომის ბაზარზე ვერ ხდება სახელმწიფოში მოქმედი სოციალური კანონმდებლობის გამო.

სახელმწიფო მხარის დამატებითი შენიშვნები

3.1 2013 წლის 15 მაისს, სახელმწიფომ კომიტეტს დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების გადახედვის თხოვნით მიმართა.

3.2 ინტეგრაციის სუბსიდიების მინიჭების შესახებ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ უსაფუძვლო პრეტენზიების გამო სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულების დაკისრება არ წარმოადგენს დასჯას ან დაჯარიმებას; აღნიშნული ვალდებულების დაკისრება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი “უსაფუძვლოდ აგრძელებს თავისი უფლებების ძიებას მას შემდეგ, რაც სასამართლომ შესაბამისი მითითება გასცა.” წინამდებარე საქმეში, სასამართლო ხარჯები უტოლდებოდა 375 ევროს და “მომჩივნის შვილის მიერ უფლებების ძიების მნიშვნელოვან შემაფერხებელ ან დამაბრკოლებელ ფაქტორს არ წარმოადგენდა.” კიოლნის სოციალურ სასამართლოში და ზემდგომ ინსტანციაში (რეინ-ვესტფალიის რეგიონულ სოციალურ სასამართლოში) შეტანილი საჩივარი დეკლარატორული გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით იყო “უსაფუძვლო, ვინაიდან მომჩივანს არ გააჩნდა [სასამართლოს მიერ] დადგენილების გამოტანის სამართლებრივი ინტერესი, რამეთუ ინტეგრაციული სუბსიდიების მიღების მოთხოვნის უფლება მხოლოდ დამსაქმებლებს აქვთ.” სახელმწიფო მხარე ამტკიცებს, რომ დასაქმების სააგენტოს არ უთქვამს უარი ინტეგრაციის სუბსიდიის მინიჭებაზე, შესაბამისი სამართლებრივი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

3.3 სახელმწიფო მხარე დამატებით მიუთითებს წამების წინააღმდეგ კომიტეტის გადაწყვეტილებებს, რომლის თანახმადაც კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში არ შედის ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების წარმატების პერსპექტივების შეფასება; არამედ, კომიტეტი უფლებამოსილია, იმსჯელოს მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად ხელმისაწვდომი იყო სამართლებრივი დაცვის საშუალებები სარჩელის განსახილველად.⁴⁶ იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მომჩივნის შვილს არ შეშლია ხელი, მიემართა ფედერალური სასამართლოსთვის ან ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, რომელთაც საქმეში განსახილველ საკითხებზე იურისდიქცია გააჩნიათ. სახელმწიფო მხარე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომლის თანახმადაც ნებისმიერ სამართალწარმოებას თან ახლავს სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულების დაკისრების რისკი იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული.⁴⁷

3.4 სახელმწიფო მხარე ამტკიცებს, რომ მომჩივნის ვაჟმა ვერ შეძლო მისთვის ხელმისაწვდომი დაცვის ყველა ადგილობრივი საშუალების ამოწურვა რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით. პირველი, იმ ტრენინგის საფასურის გადახდის საკითხი, რომელიც მომჩივნის

⁴⁶ წამების წინააღმდეგ კომიტეტი, კომუნიკაციის No. 22/1995, “მ.ა. კანადის წინააღმდეგ”, გადაწყვეტილების მიღების თარიღია 1995 წლის 9 მაისი, პუნქტი 4

⁴⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, “ვიზ უტ-ტაპირი გერმანიის წინააღმდეგ”, განაცხადის No. 31098/08, გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ მიღებულ იქნა 2012 წლის 12 ივნისს, პუნქტები 50-55

ვაჟმა 2009 წლის 5 ოქტომბრიდან 27 ნოემბრამდე პერიოდში გაიარა, კიოლნის სოციალური სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში განიხილება. მეორე, საგრანტო სარგებელის “პირადი ბიუჯეტის” ფორმით მინიჭებაზე უარის თქმა წარმოადგენს კიოლნის სოციალურ სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში განსახილველ საკითხს. აღნიშნულთან დაკავშირებით სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლოში 2012 წლის 24 სექტემბერს იქნა შეტანილი და ამჟამად მიმდინარეობს მისი განხილვა. მესამე, მომჩივნის ვაჟს არ წამოუყენებია ზოგადი პრეტენზიები სასამართლოებში სოციალური კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით და შესაბამისად, მას სასამართლოებისათვის არ მიუცია შესაძლებლობა, განეხილათ და საჭიროების შემთხვევაში, მიეღოთ შესაბამისი ზომები მისი საჩივრის დასაკმაყოფილებლად.

3.5 (ა) პუნქტში დასმულ საკითხთან დაკავშირებით⁴⁸, სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ მომჩივნის შვილს ეროვნულ სასამართლოებში დისკრიმინაციის საკითხი არ წამოუჭრია, მიუხედავად იმისა, რომ მას ამის უფლება ჰქონდა და არსებობდა შესაბამისი პროცედურები. სახელმწიფო მხარე ამტკიცებს, რომ სოციალური სასამართლოები ვალდებულები არიან, აწარმოონ ფაქტების ex officio გამოძიება, როდესაც განმცხადებელს შეაქვს სარჩელი.

3.6 რაც შეეხება იმ სასწავლო კურსის საფასურის გადახდას, რომელშიც მომჩივნის ვაჟი 2009 წლის ნოემბერში მონაწილეობდა, სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ იმ დროისათვის არსებულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, პოტენციურ დასაქმებულს ინტეგრაციისათვის საჭირო მომზადების გასავლელად შესაძლოა აღმოეჩინოს მხარდაჭერა იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო კურსში მონაწილეობამდე შესაბამისი პირი კონსულტაციას გაივლის დასაქმების სააგენტოსთან; სასწავლო დაწესებულებას მსგავსი ტრენინგების ჩატარების უფლებამოსილება გააჩნია, და სასწავლო დაწესებულება სააგენტოს პროგრამის დაწყებამდე წარუდგენს კუპონს. მომჩივნის ვაჟმა სასწავლო კურსში მონაწილეობა მიიღო სააგენტოსთან კონსულტაციის გავლის გარეშე და მხოლოდ ამის შემდეგ მოითხოვა საფასურის ანაზღაურება. მას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან ტრენინგის კუპონის გაცემა რეტროაქტიულად არ ხდება. ამის შემდეგ მომჩივნის შვილმა შეიტანა სარჩელი. სამართალწარმოება 2010 წლის შუა პერიოდიდან 2011 წლის ბოლომდე ძირითადად არა-აქტიური იყო. 2012 წლის 11 სექტემბერს მომჩივნის ვაჟმა წარადგინა “შუამდგომლობა აცილების თაობაზე, მიკერძოებულობის მოტივით”. 2012 წლის 31 დეკემბერს მას აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

3.7 რაც შეეხება სარჩელს მომჩივნის შვილისათვის “პერსონალური ბიუჯეტის” მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო მხარე მტკიცებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ აღნიშნული სარჩელი წარმატებული აღმოჩნდეს, ვინაიდან მომჩივნის ვაჟმა რამდენჯერმე ვერ შეძლო “პირადი ბიუჯეტის” მიღებისათვის საჭირო განცხადებების წარდგენა.

3.8 სახელმწიფო მხარე ამტკიცებს, რომ მომჩივნის ვაჟმა ვერ შეძლო დაცვის სხვა სამართლებრივი საშუალებების გამოყენება - მაგ. მან არ მიმართა შშმ პირების საკითხებზე ფედერალური მთავრობის კომისარს⁴⁹; შშმ პირების საკითხებზე ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის

⁴⁸ წინამდებარე სექციაში მოყვანილი საკითხების ჩამონათვალი იხ. პუნქტში 1.3

⁴⁹ სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ შშმ პირთა დასაქმების თანასწორი შესაძლებლობების შესახებ აქტის მე-15 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, კომისარს ევალება იმის უზრუნველყოფა, რომ ფედერალური მთავრობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არმქონე პირებისათვის სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში თანაბარ პირობებს ქმნის. მის უფლება-მოვალეობებში არ შედის სამართლებრივი კონსულტაციის გაცემა, მიმდინარე სასამართლო ან ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩარევა ან ხელისუფლებისთვის განკუთვნილი ინსტრუქციების შემუშავება. სამაგიეროდ, კომისარს შეუძლია მოითხოვოს კონკრეტული საქმის გარემოებების ხელახალი შესწავლა.

კომისარს; ოსკირხენსა და ზიგბურგში შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ კომისრებსა და კოორდინატორებს; ან ანტი-დისკრიმინაციის ფედერალურ სააგენტოს.

3.9 (ბ) პუნქტში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ სასამართლოებს არ გამოუძიებიათ ბრალდებები დისკრიმინაციის შესახებ, ვინაიდან აღნიშნულის საფუძველი არ არსებობდა. მომჩივნის შვილის მიერ შეტანილი სარჩელის არსი მდგომარეობდა იმაში, თუ რამდენად ჰქონდა მას “უფლება, მოეთხოვა წინასწარი დისკრეციული გადაწყვეტილების მიღება პოტენციური დამსაქმებლისთვის განკუთვნილი ‘ინტეგრაციის სუბსიდიის’ რაოდენობის შესახებ, სააგენტოსთან სავალდებულო შეთანხმების მისაღწევის მიზნით.” შესაბამისად, საქმე შეეხებოდა იმას, თუ რამდენად იძლევა კანონი ასეთი პრეტენზიის წარდგენის უფლებას და რამდენად აკმაყოფილებს განმცხადებლის პიროვნება შესაბამის წინაპირობებს. კიოლნის სოციალურმა სასამართლომ მართებულად შეატყობინა მომჩივნის შვილს, რომ ინტეგრაციის სუბსიდიის მიღების უფლება აქვს პოტენციურ დამსაქმებელს და არა მას. ინტეგრაციის სუბსიდიის რაოდენობა და ხანგრძლივობა დამოკიდებულია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობის კონკრეტულ გარემოებებზე, ხოლო დასაქმების სააგენტოს მიერ “წინასწარი გადაწყვეტილების” მიღება შეუძლებელია და ასეთ გადაწყვეტილებას კანონი არ ცნობს. “[სასამართლოს მიერ] დადგენილების გამოტანის [სამართლებრივი] ინტერესის არარსებობის გამო” აგრეთვე წარუმატებელია მოთხოვნა დეკლარატორული გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ იმის თაობაზე, რომ დამსაქმებელს, რომელიც მზადაა, დაასაქმოს მომჩივნის შვილი, “ფამილარიზაციის გრანტის” მიღების უფლება აქვს. რეგიონულმა სოციალურმა სასამართლომ მართებულად გაიზიარა კიოლნის სოციალური სასამართლოს მოსაზრება. სახელმწიფო მხარე ამტკიცებს, რომ დისკრიმინაციის შესახებ ბრალდებები “სამართლებრივი დავისთვის არსებითად უმნიშვნელოა”, ვინაიდან მომჩივნის შვილს, როგორც დასაქმებულს, არ ჰქონდა უფლება, მოეთხოვა “ინტეგრაციის სუბსიდია”, რომელიც დამსაქმებლისათვის არის განკუთვნილი.

3.10 სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ მომჩივნის შვილის ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ მოქმედმა საკანონმდებლო დებულებებმა იგი დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენა მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო, “არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს სოციალური კოდექსის მე-3 [თავის] 219-ე მუხლის გადასასინჯად [...], რათა დადგინდეს აღნიშნული დებულებების შესაბამისობა “ძირითად კანონთან”. სასამართლოს უფლება აქვს, განიხილოს “იმ დებულების დასაბუთებულობა, რომელსაც [სასამართლოს] გადაწყვეტილების კონსტიტუციურობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს”. აღნიშნული ხორციელდება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, “ძირითადი კანონის” მე-100 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ თავად სასამართლო დარწმუნებულია, რომ დებულება არაკონსტიტუციურია. სასამართლოების მოსაზრებით, არ არსებობდა სოციალური კოდექსის მე-3 თავის 291-ე მუხლის გადასინჯვის საჭიროება, “ძირითადი კანონის” მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც კრძალავს პიროვნების არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას შეზღუდული შესაძლებლობის გამო. სახელმწიფო მხარე ამტკიცებს, რომ “დახმარების რაოდენობისა და ხანგრძლივობის მხრივ, სოციალური კოდექსის მე-3 თავის 219-ე მუხლი (ძველი ვერსია) უფრო დიდი ოდენობის სუბსიდიებს ითვალისწინებს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისათვის, ვიდრე მათთვის, ვინც დასაქმების მხრივ პრობლემებს აწყდება ან აღენიშნება მწვავე ან სხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობა.” “ძირითადი კანონის” მე-3 (3) მუხლის მე-2 წინადადების მნიშვნელობა დისკრიმინაციას არ

გულისხმოს, ხოლო ინტეგრაციის სუბსიდიის განკუთვნილია იმ მწვავე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რომლებიც შრომის ბაზარზე “განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან”.

3.11 რაც შეეხება მომჩივნის შვილის დოსიეში მცდარი ინფორმაციის არსებობას, სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ მომჩივნის შვილს შესაბამისი იურიდიული დაცვის საშუალებებისთვის უნდა მიემართა. იმისათვის, რომ მოსარჩელეებს შესაძლო სამართლებრივი დავისათვის ინფორმირებულად მომზადების საშუალება ჰქონდეთ, შესაბამისმა უწყებამ მათ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული მასალებისა და მარტივი ადმინისტრაციული აქტების (სოციალური კოდექსის მე-10 თავის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის 1-ლი წინადადება) გაცნობის საშუალება უნდა მისცეს. მომჩივნის შვილს კი დასაქმების სააგენტოსათვის არ მიუმართავს მასალების გაცნობის თხოვნით და არც სასამართლოში შეუტანია სარჩელი.

3.12 (გ) პუნქტში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, სახელმწიფო მხარემ განმარტა, რომ მომჩივნის მიერ 2013 წლის 5 თებერვალს გაკეთებული განცხადება არ არის სწორი, და რომ მისმა ვაჟმა 2009 წლის 1 აპრილიდან 2 ივლისამდე პერიოდში ისარგებლა “სამუშაოზე მოწყობის კომპლექსური ღონისძიებებით”, რომელიც უზრუნველყო ბრულის დასაქმების სააგენტომ 6 თვის ვადით. “სოციალური კოდექსის” მე-3 თავის 37-ე მუხლის შესაბამისად, დასაქმების სააგენტოს უფლება აქვს, მესამე მხარეს დაავალოს დასაქმების ღონისძიებების მხარდაჭერა ან განხორციელება. ამ შემთხვევაში, ღონისძიება განახორციელა ორგანიზაციამ Tertia GmbH და მის მიზანს წარმოადგენდა იმ უმუშევარი პირების შრომის ბაზარზე მოწყობა, რომლებიც აქტივაციასა და მხარდაჭერას საჭიროებენ ან სამუშაოს ძიების პროცესში დაბრკოლებებს აწყდებიან. ღონისძიება მოიცავდა რამდენიმეკვირიან სტაჟირებას რომელიმე კომპანიაში, ბენეფიციართა ინტეგრაციისა და მათ მიერ გამოცდილების შექმნის მიზნით. 2009 წლის 12 მაისს გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე მომჩივნის შვილმა ბრულის დასაქმების სააგენტოს ამცნო, რომ იგი კმაყოფილი იყო შემოთავაზებული პროგრამით, მაგრამ მან ღონისძიებაში მონაწილეობა ნაადრევად შეწყვიტა იმის გამო, რომ საცხოვრებლად ეუსკირხენიდან რეინბახში გადავიდა. საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიუხედავად, რის შედეგადაც მომჩივნის შვილმა დადინაცვლა ბონის დასაქმების სააგენტოს იურისდიქციის სფეროში, მომჩივნის შვილს შეეძლო გაეგრძელებინა პროგრამაში მონაწილეობის მიღება. მას აღნიშნულის შესახებ ეუწყა კიდევ.

3.13 საცხოვრებლად რეინბახში გადასვლისთანავე, 2009 წლის 2 ივლისს, მომჩივნის შვილმა მონაწილეობა მიიღო ბონის დასაქმების სააგენტოში გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაში. მას გადაეცა დასაქმების ვაუჩერი, რათა ესარგებლა “სპეციალიზირებული ინტეგრაციის სერვისის” (IDF) საორიენტაციო მომსახურებით. მომჩივნის ვაჟმა IDF-ში ვაუჩერი წარადგინა 2009 წლის 6 ივლისს. უმუშევრობის დახმარების შეწყვეტის გამო, აღნიშნული ვაუჩერი გაუქმდა 2009 წლის 6 აგვისტოს. იმ დროისათვის IDF-ს საორიენტაციო მომსახურების გაწევა შეეძლო დასაქმების მოქმედი ვაუჩერის საფუძველზე. ეს უკანასკნელი კი უმუშევრობის დახმარების მიღებაზე იყო დამოკიდებული. მომჩივნის ვაჟის შემთხვევაში, უმუშევრობის დახმარების მიღების თაობაზე განცხადება განხილულ იქნა მის მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე და მას აღნიშნული დახმარება მიენიჭა მხოლოდ 180 დღის ვადით. 2009 წლის იანვარში სააპელაციო სამართალწარმოების ფარგლებში მომჩივნის შვილმა წარმოადგინა სამუშაოს დამატებითი სერტიფიკატი, რომლის საფუძველზე უმუშევრობის დახმარებას ვადა გაუგრძელდა 2010 წლის 6 თებერვლამდე. მომჩივნის შვილს აღნიშნულის შესახებ აცნობეს 2010 წლის 28 იანვრის, “ცვლილების შესახებ შეტყობინებით.” დასაქმების გაქმებული ვაუჩერის აღდგენა შეუძლებელი იყო, ხოლო ახალი ვაუჩერის გაცემის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს ვადა

მხოლოდ 2010 წლის 28 იანვრიდან 2010 წლის 6 თებერვლამდე ექნებოდა. სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ 2011 წლის დეკემბერში შესაბამის კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილებები და კანონმდებლობა გახდა უფრო მოქნილი იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებზეც აღნიშნული კანონმდებლობა ვრცელდება.

3.14 2009 წლის 14 სექტემბერს [დასაქმების სააგენტოში] გამართულ შეხვედრაზე, მომჩივნის შვილმა მიიღო რეკომენდაცია, მიემართა სააგენტოსათვის, რომელიც სამუშაოს (შრომისუნარიანი) მაძიებლებისათვის საბაზისო დახმარებას უზრუნველყოფს და მოეთხოვა დასაქმების ვაუჩერი IDF-ისაგან საორიენტაციო სერვისის მისაღებად. მომჩივნის შვილს სააგენტოსათვის არ მიუმართავს. ამავე შეხვედრაზე, მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს კომპანიაში ოთხკვირიანი მომზადების პროგრამის შესახებ.

3.15 (დ) პუნქტში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ “სოციალური კოდექსის” მე-3 თავი ითვალისწინებს სხვადასხვა მრავალმხრივ დახმარებას დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. ამავდროულად, არსებითად, უმუშევარ შშმ პირებს იმთავითვე შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე უმუშევარი ადამიანებისაგან განსხვავებულად არ ეპყრობიან. შშმ პირებზე არ ვრცელდება დასაქმების ხელშეწყობის სპეციალური, განცალკევებული პროგრამა. სპეციალიზირებული დახმარების გაწევა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობა წარმოშობს სპეციალური, შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ადამიანებისაგან განსხვავებულ საჭიროებას. კერძოდ, აღნიშნული დახმარება შესაძლოა მიენიჭოს შშმ პირებს მათი შრომით ცხოვრებაში ხელშეწყობის მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის ბუნებისა და სიმძიმის გათვალისწინებით, და მათი შრომისუნარიანობის შენარჩუნების, გაუმჯობესების, შექმნის ან აღდგენის მიზნით (“სოციალური კოდექსის” მე-3 თავი, მუხლი 112, პუნქტი 1).

3.16 სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დახმარება შესაძლოა იყოს ზოგადი ან სპეციალური. ზოგადი დახმარება უფრო პრიორიტეტულია. იგი არ არის მორგებული შშმ პირის სპეციალურ საჭიროებებზე და ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებისთვისაც.⁵⁰ განმცხადებელს აგრეთვე შეუძლია მოითხოვოს სპეციალური დახმარება⁵¹, რომელიც პირადი ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, გაიცემა ზოგადი დახმარების ნაცვლად და ემსახურება საბაზისო და პროფესიული მომზადების ხელშეწყობის კონკრეტულ მიზანს. სპეციალური დახმარების ფარგლებში ხელმისაწვდომია მომზადების ინდივიდუალური პროგრამები. ბენეფიციარის საჭიროებების განხილვა და დადგენა ხდება ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებზე.

3.17 სახელმწიფო მხარე განმარტავს, რომ სპეციალური დახმარება შესაძლოა განახორციელოს ერთმა კომპეტენტურმა დაწესებულებამ ან რამდენიმე დაწესებულებამ ერთობლივად, “პირადი ბიუჯეტის” საშუალებით⁵². “პირადი ბიუჯეტი” ცალკე დახმარებას არ წარმოადგენს, არამედ დახმარების ალტერნატიული ფორმაა. მისი მიზანია ბენეფიციარებს საშუალება მისცეს, თავად გადაწყვიტონ დროის მოცემულ პერიოდში რა სახის დახმარება ესაჭიროებათ, ვინ უნდა უზრუნველყოს საჭირო დახმარება და რა ფორმით. “პირადი ბიუჯეტი”, როგორც წესი, არის ყოველთვიური ფულადი დახმარება, რომელიც “დახმარების პაკეტის” სახით გაიცემა

⁵⁰ სახელმწიფო მხარის მტკიცებით, ზოგადი დახმარების პროგრამებში (რომლებიც გათვალისწინებულია “სოციალური კოდექსის” მე-3 თავის 11-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 115-ე მუხლის თანახმად) შედის აქტივაციისა და პროფესიული ინტეგრაციის, მუშაობისა და პროფესიული ტრენინგისათვის მომზადების ხელშეწყობის, შემდგომი პროფესიული მომზადებისა და თვითდასაქმების წამახალისებელი დახმარებები.

⁵¹ “სოციალური კოდექსის” ნაწილი 3, მუხლი 117, პუნქტი 1

⁵² “სოციალური კოდექსის” ნაწილი 9, მუხლი 17, პუნქტები 2 და 3

სარეაბილიტაციო ინსტიტუტების, გრძელვადიანი დაზღვევის ფონდებისა და IDF-ის მიერ, ბენეფიციარის ინდივიდუალური საჭიროებების საფუძველზე.

3.18 სახელმწიფო მხარის ინფორმაციით, 2012 წლის 11 მაისს მომჩივნის შვილმა წარადგინა განცხადება პირადი ბიუჯეტის მოთხოვნით. ბრულის დასაქმების სააგენტომ 2012 წლის 13 ივნისს იგი საკონსულტაციო შეხვედრაზე მიიწვია, მაგრამ მომჩივნის შვილი აღნიშნულ შეხვედრაზე არ გამოცხადდა. ფაქსის საშუალებით გაგზავნილ წერილში მან განაცხადა, რომ იგი უარს ამბობს შეხვედრაზე მანამ, სანამ მისი მდგომარეობა არ გაირკვევა იურიდიული თვალსაზრისით. მან ვერ შეძლო ოფიციალური ვადების (2012 წლის 20 ივნისი და 30 ივნისი) ამოწურვამდე წარედგინა “პირადი ბიუჯეტის” მოთხოვნის თაობაზე განაცხადი.

3.19 (ე) პუნქტში წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ბრულის დასაქმების სააგენტოს მიერ განხორციელებულ საქმიანობას, სახელმწიფო მხარემ აღნიშნა, რომ 2009 წლის 22 იანვარს გამართულ შეხვედრაზე, მხარეებმა განიხილეს და დაადგინეს ინტეგრაციის სუბსიდიის საჭიროება და მიაღწიეს შესაბამის შეთანხმებას იმ შემთხვევისთვის, თუ მომჩივნის შვილი დაიწყებს მუშაობას. შეხვედრაზე სუბსიდიის რაოდენობა და ხანგრძლივობა არ ყოფილა განსაზღვრული, ვინაიდან აღნიშნული განისაზღვრება მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდება ინტეგრაციის ინდივიდუალური მოთხოვნები კონკრეტულ სამუშაო ადგილთან დაკავშირებით. მომჩივნის შვილს ბრულის დასაქმების სააგენტოსათვის სუბსიდიის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით რაიმე კითხვებით არ მიუმართავს.

3.20 ბონის დასაქმების სააგენტოს მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, სახელმწიფო მხარე კიდევ ერთხელ აღნიშნავს 3.13 პუნქტში მოცემულ ფაქტებს. იგი განმარტავს, რომ დასაქმების ვაუჩერი დამატებითი შეთავაზება იყო დაუსაქმებელი პირის შრომის ბაზარზე ინტეგრაციისათვის.

3.21 2009 წლის 18 ნოემბერს, მომჩივნის შვილმა [სააგენტოს] მისწერა, რომ მომდევნო საკონსულტაციო შეხვედრას ვერ დაესწრებოდა, ვინაიდან იგი დამატებით ტრენინგში იღებდა მონაწილეობას, რაც სააგენტოსთან შეთანხმებული არ ყოფილა. ვინაიდან მომჩივნის შვილმა სააგენტოში შეხვედრა მესამედ გააცდინა, მას შეატყობინეს, რომ შეხვედრების საპატიო მიზეზის გარეშე გაცდენა გამოიწვევდა მის ამოშლას რეესტრიდან, ხოლო ვინაიდან ტრენინგი სააგენტოსთან არ იყო შეთანხმებული, მიჩნეულ იქნა, რომ მას არ ჰქონდა შრომის ბაზრისთვის საჭირო მზაობა; შესაბამისად, იგი 2009 წლის 19 ნოემბერს რეესტრიდან იქნა ამოღებული.

3.22 (ვ) პუნქტში დასმულ საკითხთან დაკავშირებით, სახელმწიფო მხარემ განმარტა, რომ ზოგჯერ მომჩივნის შვილს არ სურდა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა. მისი მტკიცებით, “აღიარებას იმსახურებს [მომჩივნის შვილის] მონდომება პროფესიული წინსვლის კუთხით, მაგრამ სახელმწიფო უწყებების მიმართ მისმა გულგრილმა დამოკიდებულებამ ხელი შეუშალა დასაქმების სააგენტოს მიერ ერთიანი, კომპლექსური დახმარების განხორციელებას.” ეფექტური დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით, “სოციალური კოდექსის” მე-3 თავის 138-ე მუხლის პირველი პუნქტი აწესებს მოთხოვნას იმასთან დაკავშირებით, რომ უმუშევარ პირს სამუშაოზე მოწყობის მზაობა უნდა გააჩნდეს. სამუშაო ასაკის შესაფერისმა პირებმა ნებართვის გარეშე არ უნდა დატოვონ ტერიტორია, სიდანაც მათ სამუშაო შეთავაზებებზე მყისიერი რეაგირების მოხდენა შეუძლიათ. ტერიტორიის დატოვების ნებართვა, ზოგადად, გაიცემა საპატიო მიზეზის საფუძველზე, ხოლო საპატიო მიზეზის არარსებობის შემთხვევაში, ნებართვა გაიცემა ერთი კალენდარული წლის მანძილზე სამი კვირის ვადით. 2009 წლის 30 მარტს, მომჩივნის შვილმა მოითხოვა 2009 წლის 31 მარტიდან 3 აპრილამდე ტერიტორიის დატოვების ნებართვა, მაგრამ მან ტერიტორია საპასუხო გადაწყვეტილების მიღებამდე დატოვა.

3.23 დამატებით, 2009 წლის 19 აპრილს, მომჩივნის ვაჟმა ელ-ფოსტის საშუალებით სააგენტოს შეატყობინა, რომ იგი 2009 წლის 20 აპრილიდან იწყებს მუშაობას კვირაში 15 საათზე ნაკლები დროით, ოთხი კვირის განმავლობაში. სახელმწიფო მხარე აღნიშნავს, რომ მომჩივნის ვაჟის მხრიდან მსგავსი დამოუკიდებელი ქმედება “დასაქმების ღონისძიების წარმატებულ განხორციელებისათვის საზიანო იყო.” ამასთან, იგი არ დასწრებია 2009 წლის 4 ივნისს გამართულ საინფორმაციო ღონისძიებას, ხოლო ღონისძიებაზე გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით ექიმის ცნობა მან მხოლოდ 2009 წლის 15 ივნისს წარმოადგინა. იგი ასევე არ დაესწრო 2009 წლის 10 ივნისს დაგეგმილ შეხვედრას, რომელზეც 2009 წლის 4 ივნისს იქნა მიწვეული. სახელმწიფო მხარე აგრეთვე აცხადებს, რომ მომჩივნის შვილი 2011 და 2012 წლებში არ გამოცხადებულა შეხვედრებზე და არ წარმოუდგენია საჭირო დოკუმენტები.

3.24 დასაქმების შეთავაზებების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით⁵³, სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ 2011 წლის 12 ოქტომბერს მომჩივნის შვილმა ბრულის დასაქმების სააგენტოს მეშვეობით მიიღო დასაქმების შეთავაზება კომპანიისაგან Thomas Philipps Sonderpostenmarkt. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნის შვილმა 2011 წლის 24 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში განაცხადა, რომ ბრულის დასაქმების სააგენტოს მხრიდან დამატებითი ღონისძიებების გატარებას არ საჭიროებდა, მას დამატებით სამი დასაქმების შეთავაზება გაეგზავნა, რომელთაგანაც ორზე განცხადება არ შეუტანია.

3.25 მომჩივნის შვილის საქმის მასალების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით, სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ მასალები არ დაკარგულა, არამედ, “უბრალოდ გაურკვეველია სად იყო საქმის მასალები 2011 წლის მაისის შუა რიცხვებიდან 2011 წლის ივლისის შუა რიცხვებამდე პერიოდში”. 2011 წლის 11 ივლისით დათარიღებულ წერილში, ბრულის დასაქმების სააგენტომ განაცხადა, რომ საქმეში არსებული ოთხი ტომი მათთან ინახებოდა და დოკუმენტები კიოლნის სოციალურ სასამართლოს გადაუგზავნა.

3.26 ინტეგრაციის სუბსიდიების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით, სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ შშმ პირთა ინტეგრაცია შრომის ბაზარზე სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საზრუნავს წარმოადგენს. შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომია დიფერენცირებული სისტემები, რომლებიც დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის სახელმწიფო დახმარებას აერთიანებს, რათა მათ სამუშაო ადგილის მოპოვება შეძლონ. როგორც საჯარო, ისე კერძო დამსაქმებლებს შესაბამისი კანონმდებლობა ავალდებულებს, გაატარონ სხვადასხვა ღონისძიებები შშმ პირთა შრომის ბაზარზე ინტეგრაციის მიზნით. სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ მომჩივნის შვილს სოციალური კოდექსის მე-3 (დასაქმების ხელშეწყობა) და მე-9 (შშმ პირთა რეაბილიტაცია და მონაწილეობა) თავებით გათვალისწინებულ “მისთვის შესაბამის” მექანიზმებზე ხელი მიუწვდებოდა და კვლავ მიუწვდება.

3.27 სახელმწიფო მხარე განმარტავს, რომ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციას ენიჭება დისკრეცია კანონმდებლობის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, ხოლო აღნიშნული დისკრეცია “უნდა შეესაბამებოდეს უფლებრივი გაძლიერების მიზანსა და დისკრეციის ნორმატიულ შეზღუდვებს.” ზემოაღნიშნული წესის დარღვევის მაგალითებია: დისკრეციის გადაჭარბება; “დისკრეციის შესაძლებელზე ნაკლებად გამოყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაცია საკუთარი დისკრეციის ინტერპრეტირებას ახდენს ვიწროდ”; დისკრეციის განუხორციელებლობა; დისკრეციის ბოროტად ან არასათანადოდ გამოყენება “იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება შესაბამისი დისკრეციის განხორციელების კანონმდებლობით განსაზღვრული ასპექტების გათვალისწინება,

⁵³ მოთხოვნილი ინფორმაციის ჩამონათვალი იხ. პუნქტში 1.4

ან არ ხდება ყველა ასპექტის გათვალისწინება ან საკმარისად გათვალისწინება, ან ხდება არასათანადო ან დაუშვებელი ასპექტების გათვალისწინება, ან არ ხდება შესაბამისი ფაქტების სრულად დადგენა.” არსებობს დისკრეციის განხორციელების სავალდებულო სამართლებრივი უფლება (“სოციალური კოდექსი”, ნაწილი 1, მუხლი 39, პუნქტი 1). ადმინისტრაციული დისკრეციული გადაწყვეტილებების კონტროლს ახორციელებს სასამართლო.

3.28 სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ შშმ პირებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია და კონსულტაცია საქმიანობის არჩევის, პროფესიული მომზადების შესაძლებლობებისა და დასაქმების დახმარებებთან დაკავშირებით⁵⁴. ამასთან, შშმ პირებს აქვთ სამუშაო ადგილზე დანიშვნის შემდგომ დახმარების მიღების უფლება, რაც ემსახურება შშმ დასაქმებულებისა და დამსაქმებლების ერთმანეთთან დაკავშირებას და მათ შორის პროფესიულ ტრენინგზე ან დასაქმებაზე დამყარებული ურთიერთობების შექმნას. ამ კუთხით, აბსოლუტური პრიორიტეტი ენიჭებათ სამუშაოს მაძიებლებს, რომელთაც მძიმე შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ⁵⁵. შესაძლო დახმარების სახეობებია: “სამუშაო ადგილზე დანიშვნის ბიუჯეტი”, რომელიც ხელს უწყობს უმუშევარი ბენეფიციარების მიერ დასაქმების ისეთი შესაძლებლობების ინიცირებას ან ისეთი შესაძლებლობებით დაინტერესებას, რომლებიც სავალდებულო დაზღვევას მოითხოვს; ანაზღაურებს განაცხადის შეტანასთან დაკავშირებულ ხარჯებს, გასაუბრებაზე მისასვლელად საჭირო ტრანსპორტირების ხარჯებს, სახლიდან სამსახურამდე გადაადგილების ხარჯებს და დათხოვნის ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებულ ხარჯებს. აღნიშნული დახმარებების გაცემა ხდება დასაქმების სააგენტოს დისკრეციის საფუძველზე. აგრეთვე, შესაძლებელია, დახმარების სახით დამსაქმებლის მიერ გადამზადების პერიოდში შშმ პირისათვის მინიჭებული სტიპენდიის 80%-მდე რაოდენობის დაფარვა. დამსაქმებელი ორგანიზაციები, სადაც პერსონალის რაოდენობა ტოლია ან მეტია ოცისა, უფრო მეტად არიან ვალდებული, რომ ორგანიზაციაში არსებული თანამდებობების სულ მცირე 5%-ზე დაასაქმონ შშმ პირები, ადმინისტრაციას შშმ პირთა დასაქმების შესახებ რეგულარული ანგარიშები წარუდგინონ, ხოლო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გადაიხადონ საკომპენსაციო გადასახადი. განსაზღვრული გამოსაცდელი ვადით დასაქმებისას შშმ პირთა ხელფასი შესაძლოა ანაზღაურდეს სამ თვემდე, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ზრდის შრომით ცხოვრებაში მათი მონაწილეობის შესაძლებლობას.

3.29 სახელმწიფო მხარე დამატებით აღნიშნავს, რომ თუ შშმ პირი ვერ აკმაყოფილებს სამუშაო ადგილის მოთხოვნებს პირადი მდგომარეობის გამო, ხოლო მათი სამუშაოზე დანიშვნა დამატებითი თანხის გადახდის გარეშე შეუძლებელია, დამსაქმებელს ინტეგრაციის სუბსიდია შესაძლოა მიენიჭოს 24 თვემდე წამახალისებელი ვადით, ხელფასის 70%-მდე ოდენობის დასაფარად (სოციალური კოდექსი, ნაწილი 3, მუხლები 88-92). განსაკუთრებით მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის აღნიშნული წამახალისებელი პერიოდი შესაძლოა გაიზარდოს 60 თვემდე ან 96 თვემდე იმ შემთხვევაში, თუ მათი ასაკი 55 ან მეტ წელს შეადგენს.

3.30 სახელმწიფო მხარე აგრეთვე აცხადებს, რომ დამსაქმებელს, რომელსაც შშმ პირი აჰყავს სამუშაოზე, მოეთხოვება უზრუნველყოს დასაქმებულის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა და ყოველგვარი ბარიერისაგან თავისუფალი სამუშაო გარემო, რომელიც გარეშე პირის

⁵⁴ სახელმწიფო მხარე მიუთითებს “სოციალური კოდექსის” მე-3 ნაწილის 29-31 მუხლებზე, მე-9 თავის 104-ე მუხლის პირველ პუნქტთან ერთობლიობაში

⁵⁵ სახელმწიფო მხარე მიუთითებს “სოციალური კოდექსის” მე-3 ნაწილის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაზე, კოდექსის მე-9 თავის 104-ე მუხლის პირველ პუნქტთან და 122-ე მუხლთან ერთობლიობაში

დახმარების გარეშე არის ხელმისაწვდომი და გამოყენებადი⁵⁶. IDF-მა შესაძლოა დამსაქმებელს გადაუხადოს ფულადი თანხა სამუშაო ან სასწავლო ადგილის შესაბამისად აღჭურვის მიზნით. IDF-ი ბენეფიციარებს აგრეთვე ეხმარება ადგილზე არსებული სიტუაციის გაცნობაში და ახორციელებს შშმ დასაქმებულებისა და დამსაქმებლების კონსულტაციასა და მხარდაჭერას დახმარების მიღების საკითხებში. შშმ დასაქმებულებმა შესაძლოა მიიღონ ფულადი თანხა სამუშაო ადგილამდე გადაადგილებაში დასახმარებლად, ან ტექნიკური დამხმარე საშუალებების შესაძენად, შესანახად და მოხმარების შესასწავლად. მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დასაქმებულ პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ იმ დახმარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა, რომელიც მათ მუშაობის პროცესში ესაჭიროებათ (როდესაც შშმ პირი რომელიმე თანამშრომელს რეგულარული დახმარების აღმოჩენას სთხოვს)⁵⁷. თვით-დასაქმების მხარდაჭერა ხორციელდება სესხებისა და ახლადწამოწყებული ბიზნესის სუბსიდიების სახით. იმ შემთხვევაში, თუ დამოუკიდებელი საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ლიცენზია, პრიორიტეტი ენიჭება მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების აღნიშნული ლიცენზიით უზრუნველყოფას. ამასთან, შშმ დასაქმებულების სამსახურიდან დათხოვნა შესაძლებელია მხოლოდ IDF-ის წინასწარი თანხმობის საფუძველზე. დამსაქმებლებისათვის ხელმისაწვდომია ფულადი თანხა [დასაქმებულის] ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შრომითი უუნარობის დაძლევისა და პრევენციისათვის. მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დასაქმებულებს უფლება აქვთ, მოითხოვონ მუშაობის დასრულება კანონით გათვალისწინებული რვასათიანი სამუშაო დღის შემდეგ. მათ აგრეთვე შეუძლიათ მოითხოვონ წელიწადში ხუთი დამატებითი დასვენების დღე.

3.31 სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ მომჩივნის შვილმა მიიღო ინფორმაცია დახმარების ყველა იმ შესაძლებლობის შესახებ, რომელიც შშმ პირთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად არსებობს, მათი სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით და ყოველგვარი ბარიერისაგან თავისუფალი სამუშაო გარემოს შესაქმნელად, რომელიც გარეშე პირის დახმარების გარეშე არის ხელმისაწვდომი და გამოყენებადი⁵⁸. თუმცა, სახელმწიფო მხარე ამტკიცებს, რომ მომჩივნის შვილი არ დასწრებია ბრულის დასაქმების სააგენტოში გამართულ შეხვედრებს. მისივე ინფორმაციით, 2011 წლის 1 თებერვალს გამართულ შეხვედრაზე და 2011 წლის 24 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში მომჩივნის შვილი მიუთითებდა კომიტეტში წარდგენილ შეტყობინებაზე და მოითხოვდა “დასაქმების შესახებ ნებისმიერი შემდგომი შეთანხმების” გადადებას მანამ, სანამ არ გაირკვეოდა მისი სამართლებრივი მდგომარეობა და კომიტეტი არ გამოიტანდა საბოლოო გადაწყვეტილებას.

მომჩივნის დამატებითი არგუმენტები

4.1 2013 წლის 20 ივლისს, მომჩივანმა სახელმწიფო მხარის არგუმენტების საწინააღმდეგოდ განაცხადა, რომ მისმა ვაჟმა რეგიონულ სოციალურ სასამართლოში შეტანილი სარჩელი უკან გამოიხმო, ვინაიდან იგი დაუშვებლად იქნა ცნობილი. მომჩივანმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ

⁵⁶ სახელმწიფო მხარე მიუთითებს “დასაქმების ადგილის შესახებ ბრძანებულების” 3ა მუხლის მე-2 პუნქტზე და აგრეთვე, “სოციალური კოდექსის” 81-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველ წინადადებაზე.

⁵⁷ სახელმწიფო მხარე მიუთითებს “სოციალური კოდექსის” მე-9 ნაწილის 33-ე მუხლის 8-ე პუნქტზე და აგრეთვე, “შშმ პირთა საკომპენსაციო ჯარიმის შესახებ ბრძანებულების” მე-19 მუხლზე.

⁵⁸ სახელმწიფო მხარე მიუთითებს “დასაქმების ადგილის შესახებ ბრძანებულების” 31 მუხლის მე-2 პუნქტზე და “სოციალური კოდექსის” მე-9 თავის 81-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველ წინადადებაზე.

სარჩელის გამოხმობა მოხდა მას შემდეგ, რაც სასამართლო მის ვაჟს უფრო მაღალი ჯარიმის დაკისრებით დაემუქრა იმ შემთხვევაში, თუ სარჩელზე უარს არ იტყოდა.

4.2 მომჩივანი ეწინააღმდეგება სახელმწიფო მხარის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მომჩივნის შვილმა ტრენინგი გაიარა ბონის დასაქმების სააგენტოსთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე (იხ. პუნქტი 3.6) და აცხადებს, რომ 2008 წლის 31 აგვისტოს მისმა შვილმა სააგენტოს მიმართა ოფიციალურად და მოითხოვა შეტყობინება, მაგრამ პასუხი არ მიუღია⁵⁹. მომჩივანი ადასტურებს, რომ 2010 წლის 26 თებერვალს მისმა შვილმა შესაბამის სარჩელით მიმართა კიოლნის სოციალურ სასამართლოს, ხოლო სასამართლო პროცესი 2013 წლის 23 ივლისისთვის იქნა ჩანიშნული (სარჩელის შეტანიდან 3.5 წლის შემდეგ).

4.3 მომჩივანი ეწინააღმდეგება სახელმწიფო მხარის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ მის შვილს უფლება აქვს, მოითხოვოს “პირადი ბიუჯეტი”, და რომ მან “პირადი ბიუჯეტის” მოთხოვნით შესაბამისი განაცხადის წარდგენა ვერ შეძლო. მომჩივანი აღნიშნულის პასუხად აცხადებს, რომ 2012 წლის 24 სექტემბერს, მისმა შვილმა დასაქმების სააგენტოს მიმართა “პირადი ბიუჯეტის” მინიჭების შესახებ თხოვნით. სააგენტომ მას გაუგზავნა მოთხოვნის არასწორი ფორმა (რეაბილიტაციის მოთხოვნის ფორმა), “რათა [შემდგომ] უარი ეთქვა თხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მიზეზით, რომ [მომჩივნის შვილი] თანამშრომლობაზე უარს აცხადებდა.” მომჩივნის შვილმა აღნიშნულის შესახებ სააგენტოს რამდენჯერმე მიმართა წერილობით. მომჩივნის მტკიცებით, დასაქმების სააგენტომ მას მიაწოდა მცდარი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მომჩივნის შვილს შეეძლო სარეაბილიტაციო პროგრამასთან დაკავშირებული ბიუჯეტი მოეთხოვა, ვინაიდან მას 2009 წელს ბონში უარი უთხრეს აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობაზე იმ მიზეზით, რომ მისი რეაბილიტაცია 2007 წელს დასრულდა⁶⁰. მომჩივანი აგრეთვე ამტკიცებს, რომ სახელმწიფო მხარე ცდილობს, გავლენა მოახდინოს სოციალურ სასამართლოში “პირადი ბიუჯეტის” მინიჭებასთან დაკავშირებით შეტანილი სარჩელის შედეგზე (იხ. პუნქტი 3.7).

4.4 მომჩივანი ეწინააღმდეგება სახელმწიფო მხარის განცხადებას, რომლის მიხედვითაც მომჩივნის შვილი უმთავრესად დაინტერესებულია პოტენციური დამსაქმებლისათვის ინტეგრაციის სუბსიდიის მინიჭების საკითხით და აცხადებს, რომ კომუნიკაცია მიზნად ისახავს გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, “იმისათვის, რომ დისკრიმინაციის აკრძალვა გავრცელდეს შშმ პირებზე, სამუშაოს ძიების პროცესში”; რათა დადგინდეს, რომ სამუშაო ცხოვრებაში მონაწილეობისა და შრომის ბაზარზე ინტეგრაციის უფლებით უნდა ისარგებლოს არა მხოლოდ მეწარმემ, არამედ შშმ პირმაც; რათა შრომის ბაზარზე ინტეგრაციის დახმარება არ შემოიფარგლოს მხოლოდ იმ შემთხვევებით, როდესაც დასაქმებული გარკვეული პერიოდის შემდეგ სრული შრომისუნარიანობით შეძლებს მუშაობას, და გერმანიაში ფედერალური სახელმწიფო სისტემის მიერ არათანაბარი მოპყრობის პრევენცია მოხდეს.

4.5 ავტორი აცხადებს, რომ ინფორმაცია იმ პრობლემების შესახებ, რომელსაც მისი შვილი აწყდებოდა სკოლაში სწავლისა და პროფესიული მომზადების პერიოდში წარმოადგინა ინტეგრაციის პროცესში არსებული წინააღმდეგობების საჩვენებლად. მისი მტკიცებით, კანონმდებლობა ინკლუზიის ვალდებულებას ვერ დააწესებს მანამ, სანამ “ისინი, ვინც მართვას ახორციელებენ, ჭეშმარიტად არ იწამებენ რომ [ინკლუზია] შესაძლებელია”, და რომ “დისკრიმინაციას შეხვედრების დანიშვნა ვერ უშველის.”

⁵⁹ მომჩივანმა წარმოადგინა მიმართვის ასლი

⁶⁰ მომჩივანმა მტკიცებულების სახით წარადგინა დასაქმების სააგენტოდან მიღებული 2009 წლის 10 და 12 აგვისტოთი დათარიღებული შეტყობინებები

4.6 მომჩივანი ეწინააღმდეგება სახელმწიფო მხარის განცხადებას “უსაფუძვლო” სარჩელის გამო ხარჯების დაკისრებასთან დაკავშირებით. მისი მტკიცებით, იმის გამო, რომ მის ვაჟს სარჩელის გაგრძელების შემთხვევაში “ჯარიმის” დაკისრებით დაემუქრნენ, მას წაართვეს შრომის ბაზარზე ინტეგრაციასთან დაკავშირებით სამართლებრივი დაცვის საშუალება და დასაჯეს “არსებული მდგომარეობაზე მითითების გამო.”

4.7 სახელმწიფო მხარის იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც მომჩივნის შვილს არ ამოუწურავს სამართლებრივი დაცვის არსებული საშუალებები, მომჩივანი ამტკიცებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სარჩელის შეტანის უფლებას იძლევა იმ შემთხვევაშიც, თუ არ ამოწურულა ადგილობრივ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები.

4.8 მომჩივანი ეწინააღმდეგება სახელმწიფო მხარის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მის შვილს დასაქმების შეთავაზებები არ მიუღია. მომჩივნის განცხადებით, სერვის-პროვაიდერ “ტერცისთან” თანამშრომლობის პერიოდში, მისმა შვილმა მოიძია ნახევარ განაკვეთზე დასაქმების შესაძლებლობა და მას სამუშაო ადგილი შესთავაზეს. მიუხედავად ამისა, მისი მტკიცებით, როდესაც დამსაქმებელი დასაქმების სააგენტოს დაუკავშირდა, მას შეატყობინეს, რომ გადამზადების პერიოდთან დაკავშირებულ ხარჯებს მხოლოდ რამოდენიმე თვით აუნაზღაურებდნენ, ხოლო დამსაქმებელი მომჩივნის შვილის შეზღუდული შრომისუნარიანობის გამო ინტეგრაციის სუბსიდიას არ მიიღებდა. შედეგად, დამსაქმებელმა თავისი შეთავაზება გადათქვა.

4.9 მომჩივანი ეწინააღმდეგება სახელმწიფო მხარის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მან არ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულება მისი შვილის “შეუსაბამო პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით.” მომჩივანი მიუთითებს, რომ მისი შვილი ჩართული იქნა პროგრამაში, რომელსაც ახორციელებდა სერვის-პროვაიდერი “ტერცია” და რომელიც ბონის დასაქმების სააგენტომ გააუქმა იმ მოტივით, რომ აღნიშნული პროგრამა შშმ პირისათვის შეუფერებელი იყო, ხოლო სერვის-პროვაიდერს შშმ პირებთან მუშაობისათვის საჭირო კვალიფიკაცია არ გააჩნდა⁶¹. მომჩივანი ეწინააღმდეგება სახელმწიფო მხარის განცხადებას იმის თაობაზე, რომ პროგრამა მოიცავდა რამდენიმეკვირიან სტაჟირებას კომპანიაში. მომჩივანი აგრეთვე ეწინააღმდეგება სახელმწიფო მხარის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ პროფესიული მომზადების პროგრამა, რომელშიც მისი ვაჟი 2007 წლის ოქტომბრიდან 2009 წლის იანვრამდე იღებდა მონაწილეობას, ხორციელდებოდა დასაქმების სააგენტოს მიერ და ამტკიცებს, რომ 2007 წლის 1 ოქტომბერს მისმა ვაჟმა ხელი მოაწერა კერძო პროფესიული გადამზადების პროგრამის შესახებ კონტრაქტს სუპერმარკეტ “ედეკას” მეპატრონესთან, რის შედეგადაც დასაქმების სააგენტომ მას შეუწყვიტა სარეაბილიტაციო ღონისძიება და უარი განაცხადა მეპატრონისათვის ინტეგრაციის დახმარების მინიჭებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნის ვაჟმა სააგენტოს აღნიშნულის თაობაზე ფორმალური განცხადებით მიმართა⁶². იგი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ 2005 წლის სექტემბრიდან 2007 წლის სექტემბრამდე სახელმწიფო მხარის მიერ უზრუნველყოფილი კომპანიათაშორისი ტრენინგი მისი ვაჟისათვის შეუსაბამო იყო, ვინაიდან იგი იმ ტრენინგის პროვაიდერს ჩააბარეს, რომელსაც შშმ პირებთან მუშაობის უფლება არ ჰქონდა.

⁶¹ მომჩივანმა მტკიცებულების სახით წარმოადგინა ბონის დასაქმების სააგენტოდან მიღებული 2009 წლის 3 ივლისის შეტყობინება, რომლის თანახმადაც “ტერცის” შშმ პირებთან მუშაობის შესაძლებლობა არ აქვს (მომჩივანმა წარმოადგინა შეტყობინების ნაწილობრივი თარგმანი).

⁶² მომჩივანმა მტკიცებულების სახით წარმოადგინა დასაქმების სააგენტოდან მიღებული 2009 წლის 26 იანვრის შეტყობინება.

4.10 მომჩივანი მოხარულია, რომ მისი შვილის საქმის მასალები გამოჩნდა.

4.11 მომჩივანი ეწინააღმდეგება სახელმწიფო მხარის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მომჩივნის შვილს სასამართლოებისათვის არ მიუმართავს დისკრიმინაციასთან დაკავშირებით. მისი მტკიცებით, კიოლნის სოციალურ სასამართლოსა და ესენის რეგიონულ სოციალურ სასამართლოში შეტანილი სარჩელი დეტალურად აღწერდა დისკრიმინაციის ბრალდებებს, მაგრამ ამ ბრალდებებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია არც ერთმა სასამართლომ არ დააფიქსირა. მომჩივნის ინფორმაციით, 2010 წლის 26 თებერვალს კიოლნის სოციალურ სასამართლოში შეტანილი სარჩელი, რომელიც შეეხებოდა უწყვეტი განათლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების საკითხს, ვრცლად მიუთითებდა დასაქმების სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროცედურებსა და დისკრიმინაციაზე. მომჩივნის მტკიცებით, სახელმწიფო მხარემ წარმოადგინა ურთიერთსაპირისპირო ინფორმაცია; კერძოდ, მან თავდაპირველად განაცხადა, რომ მომჩივნის შვილს არ ამოუწურავს ადგილობრივ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, ხოლო შემდგომ აღნიშნა, რომ სოციალურ სასამართლოს არ ჰქონდა მიზეზი, განეხილა შესაძლო დისკრიმინაციის საკითხი (იხ. პუნქტები 3.5, 3.9 და 3.10).

4.12 სახელმწიფო მხარის იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც მომჩივნის შვილს არ მიუმართავს სხვა არსებული ინსტიტუტებისთვის, რომელთაც შეეძლოთ დისკრიმინაციის ბრალდებები განეხილათ, მომჩივანი აცხადებს, რომ 2010 წლის 6 სექტემბერს, მისმა შვილმა ადამიანის უფლებათა ფედერალურ ინსტიტუტს გაუგზავნა წერილობითი მიმართვა, რომელზეც პასუხი არ მოუღია. იგი აცხადებს, რომ არც ფედერალურ ანტი-დისკრიმინაციულ სააგენტოს და არც ადამიანის უფლებების ფედერალურ ინსტიტუტს არ შეუძლია კანონმდებლობის შეცვლა. მომჩივნის მტკიცებით, 2009 წლის 5 ივნისს, მისი მეუღლე დაუკავშირდა შეზღუდული შესაძლებლობის რეგიონულ ოფიცერს, რომელმაც იგი ოისკირხენში IDF-ის წარმომადგენელთან გადაამისამართა. IDF-ის წარმომადგენელთან შეხვედრა გაიმართა 2009 წლის 26 ივნისს. შეხვედრაზე წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი ოისკირხენის დასაქმების სააგენტოსთან კონტრაქტუალური ვალდებულებები აკავშირებს და იმისათვის, რომ მან მომჩივნის შვილის საქმეზე მუშაობა შეძლოს, სააგენტომ შესაბამისი თანხა უნდა გამოყოფს. 2009 წლის 23 ნოემბერს, მომჩივანი და მისი შვილი შეხვდნენ IDF-ის თავმჯდომარეს ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიაში. შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდა IDF-ის ხელმძღვანელი რინლანდიიდან. ხელმძღვანელმა პირებმა განმარტეს, რომ IDF-ი ვერ ჩაერევა დასაქმების სააგენტოს მიერ ინტეგრაციის სუბსიდიის გამოყოფის პროცედურაში (სააგენტო ექვემდებარება შრომისა და დასაქმების სამინისტროს), ხოლო სოციალურ საქმეთა სამინისტროს ქვეშ არსებული სოციალური ინტეგრაციის დეპარტამენტის პროგრამა არ არის განკუთვნილი მისი შვილისთვის, ვინაიდან მისი საქმე შრომისა და დასაქმების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დასაქმების სააგენტოს კომპეტენციის სფეროში ხვდება.

4.13 მომჩივანი ეწინააღმდეგება სახელმწიფო მხარის განცხადებას იმის თაობაზე, რომ “უმუშევარ შშმ პირებს იმთავითვე შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე უმუშევარი ადამიანებისაგან განსხვავებულად არ ეპყრობიან”, ხოლო “ინკლუზიის პრინციპიდან გამომდინარე, უმუშევარი შშმ პირები არ ექვემდებარებიან დასაქმების სპეციალურ, ცალკე არსებულ სისტემას.” მისი მტკიცებით, შშმ პირებსა და შეზღუდული შესაძლებლობის არ-მქონე პირებს შორის დისკრიმინაცია აშკარაა, და რომ მის შვილს “სამუშაო ადგილის თანასწორ პირობებში მოძიების” საშუალება არ აქვს. იგი ამტკიცებს, რომ აშკარა დისკრიმინაცია ხორციელდება იმ შშმ პირთა წინააღმდეგ, რომელთა საქმეც შრომის სამინისტროს კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება, იმ [შშმ პირებთან] შედარებით, რომელთა საქმეც

სოციალური სამინისტროს დაქვემდებარებაშია. იგი აგრეთვე აცხადებს, რომ სახელმწიფო მხარის მიერ აღწერილი არაერთი ღონისძიება (იხ. პუნქტები 3.15-3.18) მის ვაჟზე არ ვრცელდება, ვინაიდან მან დაასრულა პროფესიული მომზადება; ეს ღონისძიებები იმ შშმ პირთათვის არის განკუთვნილი, რომელთა საქმეც სოციალური სამინისტროს კომპეტენციის სფეროში ხვდება.

4.14 მომჩივანი ეწინააღმდეგება სახელმწიფო მხარის მოსაზრებას მისი ვაჟის ქმედებების შესახებ (იხ. პუნქტები 3.22-3.24). იმ “ბრალდებასთან” დაკავშირებით, რომლის თანახმადაც მომჩივნის ვაჟმა არ მოახდინა დასაქმების სააგენტოს ინფორმირება სამსახურის დაწყების თაობაზე, მომჩივანი აცხადებს, რომ მის შვილს საათობრივი სამსახური ჰქონდა, მუშაობდა გამოძახებით და ხშირად წინა საღამოს ატყობინებდნენ იმის შესახებ, რომ მომდევნო დღეს გვიანობამდე მოუწევდა მუშაობა. იგი აგრეთვე აცხადებს, რომ იმ დროისათვის მისი ვაჟი არ იღებდა უმუშევრობის დახმარებას. მომჩივნის მტკიცებით, სახელმწიფო მხარე მისი ვაჟის მიერ ინტეგრაციისთვის გაწეულ ძალისხმევას აღიქვამს, როგორც “დაუმორჩილებლობას, რომელიც დასჯას იმსახურებს.” მომჩივანი აგრეთვე ეწინააღმდეგება სახელმწიფო მხარის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მის ვაჟს სამდღიანი დასვენებისთვის ნებართვა არ მოუთხოვია და აცხადებს, რომ მან დასაქმების სააგენტოს წესისამებრ მიმართა აღნიშნულის თაობაზე. იგი დაისაჯა უმუშევრობის დახმარების გაუქმებით. რაც შეეხება ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მისი ვაჟი 2009 წლის 4 ივნისს გამართულ შეხვედრას არ დაესწრო, მომჩივანი აცხადებს, რომ მან პირადად შეატყობინა დასაქმების სააგენტოს შვილის ავადმყოფობის შესახებ და მოგვიანებით სააგენტოს თანამშრომელს სამედიცინო ცნობაც კი წარუდგინა, მაგრამ თანამშრომელმა ცნობა სააგენტოს შესაბამის სამსახურს არ გადასცა. შედეგად, მისმა ვაჟმა დაკარგა უმუშევრობის დახმარება, რომლის აღდგენაც შეძლო სოციალურ სასამართლოში სარჩელის შეტანის შემდეგ. რაც შეეხება ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მომჩივნის ვაჟი არ ესწრებოდა 2009 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გამართულ შეხვედრებს, მომჩივანი აცხადებს, რომ იმ დროისათვის მისი ვაჟი კარლსრუეში ბუღალტრის კურსებს გადიოდა, რის შესახებაც სააგენტოს წესისამებრ შეატყობინა. მომჩივანი აგრეთვე აცხადებს, რომ მისმა ვაჟმა დასაქმების სააგენტოში შეხვედრის არც ერთი მოწვევა არ დატოვა უპასუხოდ, და რომ დამამცირებელია, როდესაც შშმ პირს და მის ოჯახს ყველა შეხვედრაზე ეუბნებიან, რომ იგი სამუშაოს ვერ იშოვნის და მონაწილეობის უფლება არ აქვს. მომჩივნის მტკიცებით, სააგენტომ მის ვაჟს თანამშრომლობაზე უარის თქმაში დასდო ბრალი, ნაცვლად იმისა, რომ ელიარებინა, სოციალური კოდექსი შშმ პირთა შრომის ბაზარზე ინტეგრაციას უშლის ხელს. მომჩივნის მტკიცებით, სააგენტოს წარმომადგენლებთან დისკუსია რთულდებოდა და ხდებოდა აგრესიული, როგორც კი ის და მისი შვილი შშმ პირთა თანასწორი მოპყრობისა და გადაწყვეტილებების გამჭვირვალობის თემას ეხებოდნენ. მომჩივანი ეწინააღმდეგება სახელმწიფო მხარის განცხადებას იმის შესახებ, რომ მისი შვილი თანამშრომლობაზე უარს ამბობდა და ჰქონდა “გულგრილი” დამოკიდებულება, და აცხადებს, რომ წლების განმავლობაში მან არაერთხელ დაამტკიცა თავისი საიმედოობა და თანამშრომლობისათვის მზაობა. მომჩივნის ინფორმაციით, დასაქმების სააგენტოს მიერ განხორციელებული ფსიქოლოგიური შეფასების თანახმად, მისი ვაჟი ზრდილობიანი და გონებაგახსნილი ადამიანია; მან წარმატებითა და კარგი შედეგებით დაასრულა ერთწლიანი პროფესიული მომზადების პროგრამა დასაქმების სააგენტოში; პროფესიული სკოლის მიერ გაცემულ სერტიფიკატში ჰქონდა საუკეთესო შეფასება საიმედოობის, მოტივაციისა და თანამშრომლობის კუთხით, ხოლო ტრენინგის ბოლოს გაცემულ სარეკომენდაციო წერილი აღნიშნავდა მის კარგ ქცევასა და თანამშრომლობის სურვილს⁶³.

⁶³ მომჩივანმა წარმოადგინა დადებითი სარეკომენდაციო წერილის ასლი, რომელიც მომჩივნის ვაჟმა პროფესიული

4.15 მომჩივანს მიაჩნია, რომ სახელმწიფო არასწორად ხმარობს ტერმინს “სამსახურის შეთავაზება”, ვინაიდან რეალურად საუბარია ზოგად ვაკანსიებზე. იგი აგრეთვე აცხადებს, რომ როდესაც დასაქმების სააგენტო მის შვილს ასეთ ვაკანსიებს უგზავნიდა, მან კარგად იცოდა, რომ მისი განაცხადი იქნებოდა წარუმატებელი, ვინაიდან პოტენციურ დამსაქმებლებს ინტეგრაციის სუბსიდიის მიღებაზე უარს ეტყოდნენ. მისივე ინფორმაციით, მისმა ვაჟმა გადაწყვიტა ვაკანსიებზე განაცხადის შეტანა შეეწყვიტა მანამ, სანამ მისი სიტუაცია იურიდიული თვალსაზრისით არ გაირკვეოდა.

4.16 მომჩივანი უთითებს, რომ სახელმწიფო მხარე შშმ პირთა საკითხებს აღიქვამს როგორც “საზრუნავს” და არა “უფლებას” (იხ. პუნქტი 3.26). მომჩივნის ინფორმაციით, სახელმწიფო მხარე “მალავს იმ ფაქტს”, რომ შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელია ორი სხვადასხვა სამინისტრო, რომელთაც განსხვავებული მოვალეობები და მიზნები აქვთ, რაც ხშირად განაპირობებს შშმ პირების დისკრიმინაციას.

4.17 მომჩივანი ეწინააღმდეგება სახელმწიფო მხარის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მისი შვილისათვის ხელმისაწვდომი იყო “სოციალური კოდექსის” მე-3 და მე-9 თავებით განსაზღვრული ინსტრუმენტები. იგი ამტკიცებს, რომ ასეთი უფლებები განკუთვნილია მხოლოდ მათთვის, ვისაც სამუშაო ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება აქვს და რომელთა საქმეც სოციალური სამინისტროს კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება, მაშინ როდესაც მისი ვაჟის საქმე შრომის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. მომჩივანი მიუთითებს სახელმწიფო მხარის განცხადებაზე, რომლის თანახმადაც დასაქმების სააგენტოებს უფლება აქვთ, კანონის ფარგლებში განახორციელონ დისკრეცია (იხ. პუნქტი 3.17) და აღნიშნავს, რომ ვინაიდან დისკრეცია სამართლებრივ დონეზე არ არის განსაზღვრული, ოფიციალურ პირებს რეალურად ენიჭებათ ფართო უფლებამოსილება, რაც განაპირობებს დისკრიმინაციას. მისივე განცხადებით, მისი ვაჟის საქმეზე “დისკრეციის უფლება არც ვრცელდება, ვინაიდან “სოციალური კოდექსი” ირიბად კრძალავს მონაწილეობას” იმის გამო, რომ დასაქმების სააგენტოს მოეთხოვება, დამსაქმებელს ფინანსური დახმარება მიანიჭოს იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია, რომ სრული შრომისუნარიანობის აღდგენა შესაძლებელია სამი წლის ვადაში.

4.18 მომჩივანი აცხადებს, რომ სახელმწიფო მხარის მიერ სასამართლოს წინაშე აღწერილი დახმარებები (განსაკუთრებით ისინი, რომლებიც აღწერილია პუნქტებში 3.27, 3.28 და 3.30), მის ვაჟზე არ ვრცელდება. კერძოდ, იგი აცხადებს, რომ მის ვაჟს უარი ეთქვა მონაწილეობა მიეღო “განსაზღვრული გამოსაცდელი ვადით დასაქმების” შესაძლებლობაში. იგი ასევე ეწინააღმდეგება სახელმწიფო მხარის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას (იხ. პუნქტი 3.29) და აცხადებს, რომ ინტეგრაციის სუბსიდიის გაცემა არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარის სრული შრომისუნარიანობის აღდგენა სამი წლის ვადაში შეუძლებელია.

4.19 და ბოლოს, მომჩივნის მტკიცებით, თანასწორი მოპყრობის პრინციპი (გერმანიის კონსტიტუციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად) მის შვილს დასაქმების სააგენტოდან ინტეგრაციის დახმარების მიღების უფლებას არ ანიჭებს, ვინაიდან აღნიშნული დახმარება ხორციელდება IDF-ის მიერ. მომჩივანს მიაჩნია, რომ ფედერალურ სახელმწიფოში თანასწორი მოპყრობის პრინციპი მხოლოდ ნაწილობრივ მოქმედებს.

მომზადების დასრულების შემდეგ მიიღო.

კომიტეტის წინაშე დასმული საკითხები და მათი განხილვის პროცედურა

შეტყობინების დასაშვებობის გადასინჯვა

5.1 კომიტეტი არ ეთანხმება სახელმწიფო მხარის არგუმენტს იმის შესახებ, რომ დისკრიმინაციის საკითხი მომჩივნის შვილს ეროვნული სასამართლოების წინაშე არ დაუყენებია. კერძოდ, კომიტეტი აღნიშნავს, რომ 2010 წლის 9 თებერვალს მომჩივნის ვაჟის მიერ კიოლნის სოციალურ სასამართლოში შეტანილი სარჩელი ინტეგრაციის სუბსიდიის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შესახებ სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, და აგრეთვე, მის მიერ რეგიონულ სოციალურ სასამართლოში შეტანილი სააპელაციო სარჩელი სწორედ დისკრიმინაციის საკითხს შეეხებოდა. სასამართლო კიდევ ერთხელ ადასტურებს საკუთარ დასკვნას იმის თაობაზე, რომ კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-2(დ) პუნქტის თანახმად, მას წინამდებარე შეტყობინების განხილვა არ ეკრძალება. კომიტეტი მიუთითებს სახელმწიფო მხარის არგუმენტზე იმის შესახებ, რომ მომჩივანსა და მის ვაჟს შეემლოთ საჩივარი შეეტანათ სხვადასხვა არა-სამართლებრივ ინსტიტუტებში და აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარეს არ განუმარტავს, თუ როგორ უზრუნველყოფდა აღნიშნული პროცედურები სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებებს მომჩივნის შვილის უფლებების სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით. მოცემულ ვითარებაში, კომიტეტი ადგენს, რომ ფაკულტატური ოქმის მე-2(დ) მუხლის თანახმად, კომიტეტს წარმოდგენილი შეტყობინების განხილვა არ ეკრძალება.

5.2 კომიტეტი დამატებით მიუთითებს სახელმწიფო მხარის განცხადებას იმის თაობაზე, რომ კიოლნის სოციალურ სასამართლოს არ დაუსრულებია მომჩივნის შვილის მიერ შეტანილი სარჩელის განხილვა “პირადი ბიუჯეტის” მოთხოვნის უფლების შესახებ და იმ ტრენინგის ხარჯების ანაზღაურების საკითხზე, რომელიც მომჩივნის შვილმა 2009 წელს გაიარა. აღნიშნულთან დაკავშირებით, კომიტეტი მხარეებს შეახსენებს, რომ კომიტეტის მიერ განსახილველი საკითხია ის, თუ რამდენად შეასრულა სახელმწიფო მხარემ შშმ პირის შრომის ბაზარზე ინტეგრაციის ხელშეწყობის ვალდებულება, კონვენციის მე-3, მე-4, მე-5 და 27-ე მუხლების შესაბამისად, რაც კიოლნის სოციალურ სასამართლოში მიმდინარე სასამართლო პროცესის ფარგლებში განსახილველ საკითხს არ წარმოადგენს.

5.3 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომიტეტი შეტყობინების დასაშვებობის შესახებ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის მიზეზს ვერ ხედავს.

არსებითი განხილვა

6.1 შშმ პირთა უფლებების კომიტეტმა წინამდებარე შეტყობინება განიხილა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 73-ე წესის პირველი პუნქტის შესაბამისად.

6.2 კომიტეტი ითვალისწინებს მომჩივნის ბრალდებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ინტეგრაციის სუბსიდიის მარეგულირებელი სოციალური კანონმდებლობა არის დისკრიმინაციული, ვინაიდან იგი ვრცელდება მხოლოდ იმ შშმ პირებზე, რომელთა შრომისუნარიანობის აღდგენა შესაძლებელია 36 თვის ვადაში; რომ აღნიშნული კანონმდებლობა შშმ პირებისთვის უფლებებს არ ანიჭებს, ვინაიდან აღნიშნული სუბსიდიის მოთხოვნის უფლება მხოლოდ და მხოლოდ დამსაქმებელს აქვს; ხოლო ის დისკრეციული უფლება, რომელიც ენიჭება დასაქმების სააგენტოებს ხსენებული დებულებების პრაქტიკაში

განხორციელებისთვის, განაპირობებს კიდევ უფრო მეტ დისკრიმინაციას. კომიტეტი აგრეთვე ითვალისწინებს სახელმწიფო მხარის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ მომჩივნის შვილს ჰქონდა აღნიშნული ინტეგრაციის სუბსიდიის მიღების უფლება იმ შემთხვევაში, თუ დააკმაყოფილებდა შესაბამის სამართლებრივ მოთხოვნებს. სამართლებრივი მოთხოვნები კი, როგორც ჩანს, მდგომარეობს იმაში, რომ დამსაქმებელმა მომჩივნის შვილს უნდა შესთავაზოს სავალდებულო ძალის მქონე წინადადება დასაქმების შესახებ და ინტეგრაციის სუბსიდიის მისაღებად შეიტანოს განაცხადი, რის შემდეგაც დასაქმების სააგენტო შეაფასებს არსებულ სიტუაციას და მიიღებს გადაწყვეტილებას ინტეგრაციის სუბსიდიის ხანგრძლივობისა და რაოდენობის თაობაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფო მხარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სუბსიდიის მაქსიმალური რაოდენობაა ხელფასის სრული ოდენობის 70%, ხოლო მაქსიმალური ხანგრძლივობა - 60 თვე (იხ. პუნქტი 3.29). კომიტეტი აცხადებს, რომ ინტეგრაციის სუბსიდიის ზემოაღნიშნული სქემის მიზანია კერძო დამსაქმებელთა მოტივირება, რათა მათ დაასაქმონ შშმ პირები. მიუხედავად ამისა, კომიტეტი აღნიშნავს, რომ ხსენებული სქემა პრაქტიკაში მოითხოვს დამსაქმებლის მიერ განაცხადის შეტანის დამატებითი პროცედურების გავლას, რომლის ხანგრძლივობაც და შედეგიც არაპროგნოზირებადია, ხოლო შშმ პირს არ აქვს ამ პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. როგორც ჩანს, აღნიშნული პოლიტიკა ეხმიანება შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელს, პოლიტიკის მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობა არის რაღაც გარდამავალი და დროთა განმავლობაში შესაძლებელია მისი საბოლოო ჯამში “დაჯახნა ან განკურნება”. აღნიშნული პოლიტიკა ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლით განსაზღვრულ ზოგად პრინციპებს, კონვენციის პრეამბულის “ი” და “კ” პუნქტებთან ერთობლიობაში. კომიტეტი აგრეთვე აღნიშნავს, რომ წინასწარ განსაზღვრული და სავარაუდოდ დამსაქმებელთათვის ცნობილი ზოგადი სახის დახმარებები არსებობს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ახალი კურსდამთავრებულების დასაქმებას, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობა არ აქვთ (იხ. პუნქტი 3.16). კომიტეტი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მომჩივნის შვილის შემთხვევაში, ზემოაღნიშნულმა სქემამ ხელშეწყობის ნაცვლად ხელი შეუშალა მის დასაქმებას. კომიტეტი აცხადებს, რომ კონვენციის 27-ე მუხლი გულისხმობს სახელმწიფო მხარის ვალდებულებას, შექმნას დასაქმებისათვის ხელსაყრელი და ხელშემწყობი გარემო, მათ შორის კერძო სექტორში. კომიტეტი აგრეთვე აცხადებს, რომ კონვენციის მე-4 მუხლის 1(ა) პუნქტი სახელმწიფო მხარეს აკისრებს ზოგად ვალდებულებას, მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებები დასაქმებასა და მუშაობასთან დაკავშირებით კონვენციით აღიარებული უფლებების განხორციელების უზრუნველსაყოფად. დამატებით, მე-3 მუხლი ადგენს, რომ კანონმდებლობაში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში სახელმწიფო მხარემ უნდა იხელმძღვანელოს ადამიანის თანდაყოლილი ღირსების, ინდივიდუალური ავტონომიის - მათ შორის არჩევანის გაკეთების თავისუფლების, და პიროვნების დამოუკიდებლობის პატივისცემის, არა-დისკრიმინაციის, საზოგადოებაში სრული და ეფექტური მონაწილეობისა და ინკლუზიისა და თანასწორი შესაძლებლობების პრინციპებით. განსახილველ საქმეში, კომიტეტს მიაჩნია, რომ ინტეგრაციის სუბსიდიის უზრუნველყოფის არსებული მოდელი შშმ პირთა დასაქმებას ეფექტურად არ უწყობს ხელს. კერძოდ, კომიტეტი ადგენს, რომ შშმ პირთა დასაქმებისათვის ინტეგრაციის სუბსიდიის მოპოვების პროცესში პოტენციური დამსაქმებლების წინაშე არსებული დაბრკოლებები გავლენას ახდენს ინტეგრაციის სუბსიდიების სქემის ეფექტურობაზე. ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული სირთულეები განმცხადებლებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს და შესაძლოა ირიბი დისკრიმინაცია გამოიწვიოს. შესაბამისად, კომიტეტს მიაჩნია, რომ მომჩივნის შვილის საქმეში გამოყენებული ინტეგრაციის სუბსიდიის სქემა არ შეესაბამება სახელმწიფო მხარის ვალდებულებებს, რომლებსაც

განსაზღვრავს კონვენციის 27-ე მუხლის 1(თ) პუნქტი, მე-3 მუხლის (ა), (ბ) და (ე) ქვეპუნქტებთან, მე-4 მუხლის ა(1) პუნქტთან და მე-5 მუხლის პირველ პუნქტთან ერთობლიობაში.

6.3 კომიტეტი აღნიშნავს მომჩივნის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მისი შვილის შრომის ბაზარზე ინტეგრაციას ხელშეწყობის ერთადერთ ეფექტურ სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს ინტეგრაციის სუბსიდი. კომიტეტი აგრეთვე ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო მხარის განცხადებით, კანონმდებლობა განსაზღვრავს მრავალფეროვან ღონისძიებებს, ხოლო მომჩივნის შვილს სოციალური კოდექსის შესაბამისი თავებით უზრუნველყოფილ ყველა იმ ინსტრუმენტზე მიუწვდება ხელი, რომელიც მიზნად ისახავს შშმ პირთა დასაქმებისა და მონაწილეობის წახალისებას, “მათთვის შესაფერისი ფორმით”. თუმცა, კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარე არ აკონკრეტებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მომჩივნის შვილის საქმეზე ვრცელდება. კომიტეტი აგრეთვე აღნიშნავს, რომ რეალურად, სახელმწიფო მხარემ გამოიყენა შემდეგი ღონისძიებები მომჩივნის შვილის შრომის ბაზარზე ინტეგრაციის მიზნით: უმუშევრობის დახმარების მინიჭება, რომლის ხანგრძლივობაც არ იყო განსაზღვრული; საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა; მომჩივნის შვილის ადგილ-სამყოფელის კონტროლი, რათა მას არ დაეტოვებინა რეგისტრაციის ადგილი, და შეხვედრებზე დასწრების კონტროლი. შესაბამისი ორგანოები მომჩივნის შვილის აგრეთვე უზრუნველდნენ ვაკანსიებს, რომელთა ნაწილი იყო ვადაგასული, ხოლო ბრულის დასაქმების სააგენტომ იგი აგრეთვე ჩართო “სამუშაოზე მოწყობის კომპლექსური ღონისძიებებში”, რომელიც მოგვიანებით ბონის დასაქმების სააგენტომ გააუქმა. კომიტეტი აგრეთვე აცხადებს, რომ სახელმწიფო მხარის პოზიციის თანახმად, მომჩივნის შვილის მიერ შემდგომი განათლების მეშვეობით კვალიფიკაციების გაუმჯობესებისთვის გაწეული ძალისხმევა და ის ფაქტი, რომ იგი გარკვეული პერიოდის მანძილზე ნახევარგანაკვეთურ სამუშაოზე მუშაობდა, ხელს უშლიდა დასაქმების სააგენტოს მიერ მომჩივნის შვილის დასახმარებლად გაწეულ ძალისხმევას. და ბოლოს, კომიტეტი აღნიშნავს, რომ მომჩივნის ვაჟის საქმეში გამოყენებული ღონისძიებების სპექტრი იყო შეზღუდული, სახელმწიფო მხარის მიერ აღწერილი ღონისძიებების ვრცელ ჩამონათვალთან შედარებით. კომიტეტი აღნიშნავს, რომ კონვენციის 27-ე მუხლის 1(დ) და (ე) პუნქტები იცავს პიროვნების უფლებას, ისარგებლოს დასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობის შესაბამისი ღონისძიებებით - ისეთებით, როგორებიცაა დასაქმების ზოგად სერვისებზე ეფექტური ხელმისაწვდომობა და დახმარება დასაქმების მოძიებასა და მოპოვებაში. კომიტეტს მიაჩნია, რომ სახელმწიფო მხარის პასუხისმგებელი უწყებების მიერ განხორციელებული ღონისძიებები მომჩივნის შვილის შრომის ბაზარზე ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით არ აკმაყოფილებდა სახელმწიფო მხარის მიერ კონვენციის 27-ე მუხლის 1(თ) და (ე) პუნქტების თანახმად აღებული ვალდებულებების სტანდარტს, მე-3 მუხლის (ა), (ბ) და (ე) ქვეპუნქტებთან, მე-4 მუხლის ა(1) პუნქტთან და მე-5 მუხლის 1 პუნქტთან ერთობლიობაში.

7. კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის შესაბამისად, და ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კომიტეტს მიაჩნია, რომ სახელმწიფო მხარემ ვერ შეძლო იმ ვალდებულებების შესრულება, რომელიც მას ეკისრება კონვენციის 27-ე მუხლის 1(თ) და (ე) პუნქტების თანახმად, მე-3 მუხლის (ა), (ბ) და (ე) ქვეპუნქტებთან, მე-4 მუხლის ა(1) პუნქტთან და მე-5 მუხლის 1 პუნქტთან ერთობლიობაში. შესაბამისად, კომიტეტი სახელმწიფო მხარეს აძლევს შემდეგ რეკომენდაციებს:

(ა) მომჩივნის ვაჟთან დაკავშირებით: სახელმწიფო ვალდებულია, გამოასწოროს მომჩივნის ვაჟის მიმართ კონვენციის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, მათ შორის მომჩივნის ვაჟის საქმის ხელახლა შეფასებითა და

ადგილობრივი კანონმდებლობის ფარგლებში არსებული ყველა ღონისძიების გამოყენებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უფლებების კონვენციის შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობების ეფექტურად ხელშეწყობის მიზნით. ამასთან, სახელმწიფო მხარემ მომჩივნის შვილს უნდა მიანიჭოს შესაბამისი კომპენსაცია, მათ შორის წინამდებარე შეტყობინების კომიტეტში წარდგენასთან დაკავშირებული ხარჯების საკომპენსაციო თანხა;

(ბ) საზოგადოდ: იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობა კონვენციის რატიფიკაციამდე იქნა მიღებული, სახელმწიფო მხარეს ეკისრება ვალდებულება, გადადგას ნაბიჯები სამომავლოდ მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაციის სუბსიდიებით უზრუნველყოფის სქემის შინაარსისა და პრაქტიკაში გამოყენების გადახედვის გზით, კონვენციის პრინციპებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და იმისათვის, რომ პოტენციურმა დამსაქმებლებმა შესაბამის შემთხვევებში შეძლონ აღნიშნული სქემით ეფექტურად სარგებლობა.

8. კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 75-ე წესის შესაბამისად, სახელმწიფო მხარემ კომიტეტს ექვსი თვის მანძილზე უნდა წარუდგინოს წერილობითი პასუხი, მათ შორის ნებისმიერი ინფორმაცია კომიტეტის წინამდებარე მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი ქმედების შესახებ. სახელმწიფო მხარეს, აგრეთვე, მოეთხოვება კომიტეტის მოსაზრებების გამოქვეყნება, სახელმწიფო მხარის ოფიციალურ ენაზე თარგმნა და ფართოდ გავრცელება ხელმისაწვდომ ფორმატებში, რათა მოსაზრებები მოსახლეობის ყველა სექტორისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

[მოსაზრებები მიღებულია ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, არაბულ და ჩინურ ენებზე, ხოლო ინგლისურენოვანი ტექსტი წარმოადგენს ორიგინალ ვერსიას. შემდგომში აგრეთვე იგეგმება მოსაზრებების რუსულ ენაზე გამოქვეყნება, იმ ანგარიშის ფარგლებში, რომელსაც კომიტეტი ყოველწლიურად წარუდგენს გენერალურ ასამბლეას.]



შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა უფლებების
კონვენცია

გავრცელება: საყოველთაო
2014 წლის 28 ოქტომბერი

ორიგინალი შედგენილია
ინგლისურ ენაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

შეტყობინება No. 10/2013

კომიტეტის მიერ მე-12 სესიაზე მიღებული გადაწყვეტილება (2014 წლის 15 სექტემბერი - 3 ოქტომბერი)

შეტყობინების წარმდგენი:	ს.კ. (არ არის წარმოდგენილი ადვოკატის მიერ)
სავარაუდო დაზარალებული:	ავტორი
სახელმწიფო მხარე:	ბრაზილია
შეტყობინების წარდგენის თარიღი:	2012 წლის 2 ნოემბერი (თავდაპირველი წარდგენა)
გამოყენებული დოკუმენტები:	სპეციალური მომხსენებლის მიერ 70-ე წესის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოს გაეგზავნა 2013 წლის 5 სექტემბერს (არ გამოცემულა დოკუმენტის სახით)
გადაწყვეტილების მიღების თარიღი:	2014 წლის 2 ოქტომბერი
შეტყობინების თემა:	დამსაქმებლის პოლიტიკა, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ხანგრძლივი შვებულებით სარგებლობის შემდეგ თანამშრომლის დაქვეითებას ითვალისწინებს.
არსებითი საკითხები:	შეზღუდული შესაძლებლობის განსაზღვრება
პროცედურული საკითხები:	პრეტენზიების საფუძვლიანობა; ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვა
კონვენციის მუხლები:	მე-3 მუხლის (ბ) და (ე) პუნქტები, 4-ე მუხლის მუხლის 1(ა), (ბ), (დ) და (ე) პუნქტები, მე-5 მუხლის (1) და (2) პუნქტები და 27-ე მუხლის 1(ა) და (ბ) პუნქტები.
ფაკულტატური ოქმის მუხლები:	1-ლი მუხლი; მე-2 მუხლის (დ) და (ე) პუნქტები

დანართი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მოსაზრებები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის თანახმად (მე-12 სესია)

No. 10/2013^{*} შეტყობინებასთან დაკავშირებით

შეტყობინების წარმდგენი:	ს.კ. (არ არის წარმოდგენილი ადვოკატის მიერ)
სავარაუდო დაზარალებული:	ავტორი
სახელმწიფო მხარე:	ბრაზილია
შეტყობინების წარდგენის თარიღი:	2012 წლის 2 ნოემბერი (თავდაპირველი წარდგენა)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა, რომელიც შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე,

2014 წლის 2 ოქტომბერს გამართულ შეხვედრაზე,

დაასრულა რა No. 10/2013 შეტყობინების განხილვა, რომელიც ს.კ.-მ წარადგინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე,

გაითვალისწინა რა შეტყობინების წარმდგენისა და სახელმწიფო მხარის მიერ მოწოდებული წერილობითი ინფორმაცია,

მიიღო შემდეგი მოსაზრებები:

ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება

1.1 შეტყობინება წარადგინა ს.კ.-მ, რომელიც ბრაზილიის მოქალაქეა. ს.კ.-ს მტკიცებით, მის წინააღმდეგ ბრაზილიის სახელმწიფომ დაარღვია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (შემდგომში, კონვენცია) მე-3 მუხლის (ბ) და (ე) პუნქტები, მე-4 მუხლის 1(ა), (ბ), (დ) და (ე) პუნქტები, მე-5 მუხლის 1 და 2 პუნქტები და 27-ე მუხლის 1(ა) და (ბ) პუნქტები. მომჩივანი კომიტეტის წინაშე თავად იცავს საკუთარ ინტერესებს. სახელმწიფო მხარის მიმართ კონვენცია და მისი ფაკულტატური ოქმი ძალაში შევიდა 2008 წლის 1 სექტემბერს.

* წინამდებარე შეტყობინების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომიტეტის შემდეგმა წევრებმა: მოჰამედ ალ-ტარაფანი, მარტი მესიგვა ბაბუ, მუნითიან ბუნტანი, მარია სოლედად სისტერნა რეისი, ტერესა დეგენერი, ჰუანგ შიკ კიმი, ლოფტი ბენ ლალამი, სტივ ლანგვარდი, ედა ვანგეჩი მაინა, რონალდ მაკკალუმი, ანა პელაზ ნავარეზი, სილვია ჯუდიტ ქვან-ჩენგი, კარლოს რიოს ესპინოსა, დამიან ტატიჩი და გერმან ხავიერ ტორეს კორეა.

1.2 2013 წლის 21 აგვისტოს, ფაკულტატური ოქმის ფარგლებში წარდგენილ შეტყობინებებთან დაკავშირებულ საკითხზე კომიტეტის სპეციალურმა მომხსენებელმა, რომელიც კომიტეტის სახელით მოქმედებდა, კომიტეტის რეგლამენტის 70-ე წესის მე-8 პუნქტის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება ცალ-ცალკე განეხილა შეტყობინების დასაშვებობასთან და არსებით მხარესთან დაკავშირებული საკითხები.

შეტყობინების ავტორის მიერ წარმოდგენილი ფაქტები

2.1 შეტყობინების ავტორმა ბანკში, სახელწოდებით “Banco do Estado de Santa Catarina” (BESC) მუშაობა 2004 წლის ივლისში დაიწყო. იგი კამპინასის ფილიალიდან გადაიყვანეს ფლორიანოპოლის ფილიალში, ბანკის მოლარის თანამდებობაზე სამუშაოდ. მომჩივნის მტკიცებით, დამსაქმებელმა აღნიშნულ თანამდებობაზე გეოგრაფიული მდებარეობის შეცვლის საკომპენსაციოდ დანიშნა.

2.2 2006 წლის ივნისში მომჩივანი მოტოციკლით ავტოავარიაში მოყვა, რის შედეგადაც მარცხენა მუხლი დაუზიანდა. აღნიშნულს ადასტურებს 2006 წლის 14 დეკემბრით დათარიღებული სამედიცინო ცნობა⁶⁴. მან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შვებულება აიღო და სამსახურში დაბრუნება ორი თვის შემდეგ შეძლო. 2007 წლის სექტემბერში, მომჩივანი მეორე ავტოავარიაში მოყვა. 2008 წლის ივნისში მას ოპერაცია გაუკეთდა. ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობის თანახმად, მომჩივანს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაენიშნა სამოცდდიანი დასვენება. 2009 წლის იანვარში მომჩივანი მოტოციკლით მესამე ავტოავარიაში მოყვა. 2009 წლის აპრილში კი, სანამ იგი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შვებულებას აიღებდა, BESC-ი შეისყიდა Banco do Brasil-მა, რომელმაც მომჩივანს შეატყობინა, რომ ბანკის შიდა პოლიტიკის თანახმად, იგი ვალდებული იყო, სამსახურში სამი თვის მანძილზე დაბრუნებულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოლარის თანამდებობას დაკარგავდა. ბანკის შიდა პოლიტიკის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შვებულებით ისარგებლებს სამ თვეზე მეტი ხნის ვადით, ბანკს უფლება აქვს, მისი დაბრუნება მოითხოვოს სამი ან ექვსი თვის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს სამსახურში დაბრუნება სამი თვის ვადაში სურდა, მან ეს ვერ შეძლო ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რასაც ადასტურებდა როგორც Banco do Brasil-ის ექიმი, ისე თავად მომჩივნის მკურნალი ექიმი⁶⁵. მან დაბრუნება სცადა ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, რა დროსაც ბანკმა მოლარის თანამდებობიდან ჩამოაქვეითა. მომჩივანი აგრძელებდა Banco do Brasil-ში მუშაობას, თუმცა მას კონკრეტული სამსახურეობრივი როლი არ გააჩნდა.

⁶⁴ მომჩივანმა წარმოადგინა 2006 წლის 14 დეკემბრით დათარიღებული სამედიცინო ცნობის თარგმანი, რომლის თანახმადც 2006 წლის 9 ივნისს მოტოციკლით ავარიის შედეგად მომჩივანმა მიიღო მარცხენა მუხლის ტრავმა მენისკის ჭრილობისა და ქონდრალური დაზიანების სახით; მას აგრეთვე აღნიშნებოდა ბარძაყის კონდულუსისა და მარცხენა დიდი წვივის ძვლის ზედა სახსრის ზედაპირის მოტეხილობა. მოტეხილობის მკურნალობა განხორციელდა ტრადიციული მეთოდით, ხოლო ჭრილობების მკურნალობა კი ქირურგიული ჩარევის გზით. ცნობაში აღნიშნულია პროგნოზი - მუხლის პოსტ-ტრავმული ოსტეოართრიტი.

⁶⁵ მომჩივანი აცხადებს, რომ მას სამედიცინო შემოწმების გავლა მოსთხოვეს Banco do Brasil-ის ექიმთან. აღნიშნულის დასადასტურებლად, მომჩივანმა წარმოადგინა 2009 წლის 21 ივლისით დათარიღებული სამედიცინო ცნობა, რომელიც გაცემულია ოკუპაციური ჯანმრთელობის ექიმის მიერ. ცნობის თანახმად, მომჩივანს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო დაენიშნა ოცდაათდიანი დასვენება. ცნობაში სხვა რაიმე ინფორმაცია არ არის აღნიშნული. მომჩივანმა წარმოადგინა კიდევ ერთი სამედიცინო ცნობა, რომელიც არ არის დათარიღებული და გაცემულია მისი მკურნალი ექიმის მიერ. ცნობის თანახმად, მომჩივანმა თავი უნდა შეიკავოს 2009 წლის 10 აგვისტოდან 2009 წლის 10 ოქტომბრამდე პერიოდში მუშაობისგან (ე.ი. 60 დღე).

2.3 2009 წლის 23 ნოემბრის წერილით, მომჩივანმა მოითხოვა ბანკის კამპინას ფილიალში გადასვლა, რომელიც მის სახლთან უფრო ახლოს იყო. მომჩივანმა აღნიშნული მოთხოვნა შემდეგნაირად დაასაბუთა: 2004 წელს მისი გადაყვანა კამპინასიდან ფლორიანოპოლისში უკავშირდებოდა მის დანიშვნას მოლარის თანამდებობაზე, ხოლო დაქვეითების შემდეგ მომჩივანს მუშაობა სახლთან ახლოს მდებარე ფილიალში ერჩივნა, რაც გადავიღებდა მის ყოველდღიურ მგზავრობას სახლიდან სამსახურამდე. მომჩივანს აღარ სურდა სამსახურამდე მოტოციკლეტით გადაადგილებულიყო და ესაჭიროებოდა ავტობუსით მგზავრობა, რაც მგზავრობის პერიოდს მნიშვნელოვნად ახანგრძლივებდა. თავის წერილში მომჩივანი განმარტავდა, რომ კამპინის ფილიალში გადასვლა მოითხოვა იმის გამო, რომ ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები, გადიოდა მკურნალობის კურსს და სამსახურამდე გადაადგილება უჭირდა. Banco do Brasil-მა მომჩივანს თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა და მიზეზად კამპინასის ფილიალში თანამშრომლების ჭარბი რაოდენობა დაასახელა. ბანკის საპასუხო წერილში აღნიშნული იყო, რომ ფლორიანოპოლისის ადგილობრივი ექიმის მიერ გაცემული რეკომენდაციების თანახმად, მომჩივანს შეეძლო გაეგრძელებინა მუშაობა ისეთ თანამდებობაზე, რომელიც ხუთ კილოგრამზე მეტი მასალების აწევას, კიბეებზე სიარულსა და ხანგრძლივად დგომას ან ჯდომას არ მოითხოვდა. 2010 წელს მომჩივანს დაემართა კუნთების მძიმე სპაზმი, რის გამოც ექიმმა მას მიორელაქსაციური ეფექტის მქონე მედიკამენტი დაუნიშნა⁶⁶. 2010 წლის 8 დეკემბერს ექიმის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, მომჩივანს აღენიშნებოდა ქრონიკული დაავადება, რის გამოც რეკომენდირებული იყო მისი სახლთან ახლოს მუშაობა. მომჩივანმა 2010 წელს მწვავე ტიკვივილების გამო დამატებითი შვებულება აიღო. 2011 წლის თებერვალში ბანკის შენობაში არსებული ლიფტი მწყობრიდან გამოვიდა. ვინაიდან მომჩივანი მეორე სართულზე მუშაობდა და კიბეებზე ასვლა ეკრძალებოდა, იგი პირველ სართულზე გადაიყვანეს, კომპიუტერთან მიუჩინეს ადგილი და ადმინისტრაციული სამუშაო ჩააბარეს. ამავდროულად, ოფისში არსებული ავეჯი მისი მდგომარეობისთვის შეუფერებელი აღმოჩნდა; კერძოდ, მაგიდა მაღალი იყო, ხოლო კლავიატურა კომპიუტერის დონეზე იყო განთავსებული⁶⁷. მომჩივანს მოეთხოვებოდა დილის 10 საათიდან შუადღის 4 საათამდე მუშაობა, რის გამოც მას სახლიდან გამოსვლა დილის 6:30სთ-ზე უწყევდა.

2.4 ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, მომჩივანმა 2011 წლის 21 თებერვალს Banco do Brasil-ის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა ფლორიანოპოლისის შრომის რეგიონულ სასამართლოში (Tribunal Regional do Trabalho). მომჩივანი აცხადებდა, რომ Banco do Brasil-ის შიდა პოლიტიკა, რომელიც სამ თვეზე მეტი ხნის შვებულების შემდეგ თანამშრომელთა დაქვეითების საშუალებას იძლეოდა, იყო არაკონსტიტუციური და დისკრიმინაციული. იგი უარყოფით გავლენას ახდენდა თანამშრომლებზე, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამ თვეზე მეტი ვადით იმყოფებოდნენ შვებულებაში. სასამართლო პროცესზე Banco do Brasil-მა განაცხადა, რომ მომჩივანი ნებაყოფლობით დაეთანხმა ბანკის სავალდებულო პოლიტიკას, ხოლო სამ თვეზე მეტი ხნის ვადით შვებულებაში ყოფნის შემდეგ დაქვეითებას ექვემდებარებოდა ყველა თანამშრომელი, გამონაკლისების გარეშე. ბანკისავე მტკიცებით, მას ჰქონდა დაწინაურებისა და დაქვეითების შესახებ გადაწყვეტილებების საკუთარი შეხედულებისამებრ მიღების უფლება (მოცემულ შემთხვევაში, [დაქვეითება განპირობებული იყო იმით, რომ] ბანკში საჭიროზე მეტი მოლარე მუშაობდა), ხოლო დასაქმებულებს ხელფასის შემცირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ ჰქონდათ. მომჩივანი აცხადებს, რომ 2011 წლის 18 მაისს ფლორიანოპოლისის შრომის რეგიონულმა

⁶⁶ მომჩივანმა წარმოადგინა ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტი მედიკამენტისთვის Miosan®. რეცეპტი დათარიღებულია 2010 წლის 18 ივნისით.

⁶⁷ მომჩივანმა წარმოადგინა სამუშაო გარემოს ფოტო.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი სარჩელი შემდეგი მიზეზების გამო: მომჩივანმა ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ ფლორიანოპოლისში მისი ნების წინააღმდეგ გადაიყვანეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ფლორიანოპოლისში გადაყვანას მომჩივნისთვის რაიმე ზიანი არ მიუყენებია, და რომ იგი ნებაყოფლობით დაეთანხმა ბანკის შიდა პოლიტიკას. აგრეთვე, ის ფაქტი, რომ მომჩივანი უწინდელ თანამდებობას ვერ დაუბრუნდა სამ თვეზე მეტი ხნის ვადით შვებულებით სარგებლობის შემდეგ დასჯას არ წარმოადგენდა, ვინაიდან ბანკს უფლება ჰქონდა ცვლილებები შეეტანა დასაქმებულთა უფლება-მოვალეობებში, არსებული საჭიროებების შესაბამისად. სასამართლოს აზრით, ბანკის პოლიტიკა არ იყო დისკრიმინაციული, რადგან იგი ერთნაირად ვრცელდება ყველა თანამშრომელზე. სასამართლოსავე განცხადებით, მომჩივანს ვერ ექნებოდა პრეტენზია სტაჟის პრემიაზე, ვინაიდან ეს პრემია მხოლოდ იმ თანამშრომლებისთვის არის განკუთვნილი, რომლებსაც მოლარედ მუშაობის ათწლიანი სტაჟი აქვთ. მომჩივანს კი ასეთი სტაჟი არ ჰქონდა.⁶⁸

2.5 2011 წლის 6 ივლისს მომჩივანმა რეგიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა, მაგრამ უშედეგოდ; კერძოდ, 2011 წლის 31 აგვისტოს მას უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე⁶⁹. ვინაიდან შრომის უზენაეს სასამართლოში სააპელაციო საჩივრის შესატანად სავალდებულოა ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა, მომჩივანმა წარადგინა თხოვნა იურიდიული დახმარების შესახებ. სახალხო დამცველის (Defensoria Pública) 2011 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მომჩივანს იურიდიული დახმარების მიღებაზე უარი ეთქვა,⁷⁰ რის შემდეგაც მან კერძო ადვოკატს სთხოვა დახმარება, მაგრამ ადვოკატმა მომჩივნის ინტერესების დაცვაზე უარი განაცხადა. შესაბამისად, მომჩივანმა გადაწყვიტა სასამართლოსთვის წარმომადგენლობის გარეშე მიემართა. 2011 წლის 7 დეკემბერს უზენაესმა სასამართლომ სარჩელი არსებითი განხილვის გარეშე უარყო. მომჩივანმა სააპელაციო სარჩელი საჩივრის ასლთან ერთად წარადგინა ბრაზილიის ადვოკატთა ასოციაციაში. 2012 წლის 17 იანვარს ასოციაციამ უარი განაცხადა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.⁷¹

2.6 მომჩივანმა წარმოადგინა სანტა კატარინაში მდებარე “სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ინსტიტუტის” მიერ გაცემული “ექსპერტის დასკვნა”, რომელიც თარიღდება 2011 წლის 5 აგვისტოთი. დასკვნის თანახმად, პოლიციის ბიუროს წარმომადგენლის თხოვნით

⁶⁸ გადაწყვეტილების არაოფიციალური ფრანგულენოვანი თარგმანის თანახმად, რომელიც მომჩივანმა წარმოადგინა.

⁶⁹ მომჩივანმა წარმოადგინა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების არაოფიციალური ფრანგულენოვანი თარგმანი, რომლის თანახმადაც სასამართლომ უარი განაცხადა სააპელაციო სარჩელის დაკმაყოფილებაზე, შემდეგი მიზეზების გამო: ბანკის შიდა პოლიტიკა დაბალ თანამდებობაზე დანიშვნას ითვალისწინებს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო აღებული შვებულების 91-ე დღეს, რაც არ წარმოადგენს დისკრიმინაციას, რადგან ყველა თანამშრომელი ერთსა და იმავე წესს ექვემდებარება, გამონაკლისების გარეშე; მომჩივანმა სარჩელში აღნიშნულ პოლიტიკაზე არ მიუთითა, მიუხედავად იმისა, რომ მას ეს მოეთხოვებოდა; ბანკის პოლიტიკა არ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას, ვინაიდან იგი თანაბარ სამართლებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის თანაბარ მოპყრობას ითვალისწინებდა; ის ფაქტი, რომ მომჩივნის თანამშრომელი 90 დღიანი დეკრეტული შვებულების შემდეგ არ დაექვემდებარა იგივე წესს, მომჩივნის პრეტენზიებს არ ამყარებს, ვინაიდან აღნიშნული წესი ვრცელდება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო აღებულ შვებულებაზე და არა დეკრეტულ შვებულებაზე; ხოლო გადაწყვეტილება მომჩივნის სხვა ფილიალში გადაყვანასთან დაკავშირებით არ იყო იმის გარანტია, რომ მომჩივანი მუდამ მოლარის თანამდებობაზე დარჩებოდა;

⁷⁰ მომჩივანმა წარმოადგინა უარის თქმის თაობაზე სახალხო დამცველის აპარატიდან მიღებული გადაწყვეტილების არაოფიციალური ფრანგულენოვანი თარგმანი.

⁷¹ მომჩივანმა წარმოადგინა სააპელაციო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების არაოფიციალური ფრანგულენოვანი თარგმანი. თარგმანის თანახმად, პრეცედენტული სამართლის საფუძველზე მხარეებს ეკრძალებათ სასამართლოში საქმის *jus postulandi* წარდგენა (ე.ი. იურიდიული წარმომადგენლობის გარეშე), გარდა გარკვეული გამონაკლისი შემთხვევებისა. წინამდებარე საქმე კი გამონაკლის შემთხვევას არ წარმოადგენს.

მომჩივანი შეამოწმა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა, რათა დაედგინა, მომჩივნის შეზღუდული შესაძლებლობა იყო თუ არა მუდმივი. დასკვნის თანახმად, მომჩივანს მუდმივი შეზღუდული შესაძლებლობა აღენიშნება, რადგან დაზიანებული მარცხენა მუხლის ფუნქცია ზომიერად დაკარგული აქვს და კონკრეტულ თანამდებობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების შესრულებას მუდმივად ვერ შეძლებს; თუმცა, მუშაობის თვალსაზრისით მას რაიმე ზოგადი შეზღუდული შესაძლებლობა არ აქვს.

2.7 მომჩივანი დამატებით აცხადებს, რომ ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის შემდეგ, მისი მდგომარეობა Banco do Brasil-ში, სადაც აგრძელებს მუშაობას, არ გაუმჯობესებულა⁷². მხართან დაკავშირებით სერიოზული ჩივილების გამო, მომჩივანი იძულებული გახდა, 2011 წლის ივლისიდან 2012 წლის აპრილამდე შვებულება აეღო. ბანკმა მხოლოდ ამის შემდეგ შეაკეთა ლიფტი და გამოცვალა ავეჯი. 2012 წლის 29 მარტით დათარიღებული სამედიცინო ცნობის თანახმად, მომჩივანს დაუსვეს მხრის მყესის ნაწილობრივი გაგლეჯის დიაგნოზი, რაც ახასიათებს ფიმრომიალგიას - დაავადებას, რომელიც იწვევს კუნთების სპაზმსა და ანთებას სტრესის ფონზე. ექიმმა მომჩივანს გარკვეული შეზღუდვებით მუშაობის უფლება მისცა; კერძოდ, ყოველი ერთსაათიანი განმეორებადი მუშაობის შემდეგ (მაგ. კომპიუტერთან მუშაობა), მას ათი წუთით უნდა დაესვენა; არ უნდა ყოფილიყო კონდენციონერთან ახლოს და მუშაობის განრიგს ყოველდღური ფიზიკური აქტივობისთვის ხელი არ უნდა შეეშალა.⁷³ მომჩივანს მიაჩნია, რომ დაქვეითებამ მის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა იქონია, ვინაიდან ფირბომიალგია ემოციური დამაბულობის ფონზე ვითარდება. მომჩივანი სამსახურს 2012 წლის აპრილში დაუბრუნდა. სამედიცინო ცნობის წარდგენის მიუხედავად, ს.კ.-ს არქივში მიუჩინეს სამუშაო ადგილი, სადაც მუშაობისას საკმაო ფიზიკური ძალისხმევას გაწევა საჭიროდებოდა - კერძოდ, მას ხშირად უწევდა უჯრების გაღება-დახურვა და ჩამუხლვა, რაც მის მუხლს აზიანებდა. ორი კვირის შემდეგ ბანკმა შესთავაზა ახალი თანამდებობა Banque Postale-ში, რომელიც სხვა შენობაში იყო განთავსებული. ახალი სამუშაო ადგილას მომჩივანი აწარმოებდა ადმინისტრაციულ დოკუმენტებს, ახდენდა სხვადასხვა პრობლემების გადაჭრასა და გუნდის მუშაობის კოორდინაციას. Banque Postale-ში მუშაობისას, მას ორმა თანაშემწემ და ზედამხედველმა უსაფუძვლოდ გამოუცხადეს საყვედური, ხოლო მუშაობის დაწყებიდან 45 დღის შემდეგ ბანკმა მისი ძველ თანამდებობაზე დაბრუნება მოითხოვა და “სხვადასხვა პრობლემების” გადაჭრა დაავალა. ვინაიდან მომჩივნის სამუშაო მაგიდასთან ახლოს ტელემარკეტერები მუშაობდნენ, მას [ხმაურის გამო] ფუნქციების შესრულება უჭირდა. მასზე ზეწოლას ახდენდა ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელმაც გამოაგდო კიდეც სამუშაო ადგილიდან, თუმცა ბანკს ამ თანამშრომლისთვის საყვედური არ გამოუცხადებია⁷⁴. აღნიშნული პერიოდის მანძილზე,

⁷² მომჩივნის განცხადებით, მიუხედავად პრობლემებისა, მას Banco do Brasil -ში მუშაობისთვის თავი არ დაუნებებია, ვინაიდან სამსახური თავის სარჩენად სჭირდებოდა; ამასთან, დამოუკიდებელ (“ფრილენსერ”) ჟურნალისტად მუშაობისას პოლიტიკოსებთან სერიოზული პრობლემები ექმნებოდა, რის გამოც მიაჩნდა, რომ სხვა სააგენტოში ან კერძო ბიზნესში გადასვლას ვერ შეძლებდა, რადგან ეწინააღმდეგებოდა, რომ მასზე დევნას განახორციელებდნენ.

⁷³ მომჩივანმა წარმოადგინა ინგლისურენოვანი სამედიცინო ცნობა.

⁷⁴ მომჩივანმა წარმოადგინა 2012 წლის 27 იანვარს მის მიერ Banco do Brasil-ის მენეჯერისათვის გაგზავნილი იმეილის ფრანგულენოვანი თარგმანი. იმეილში აღნიშნულია, რომ მას შემდეგ, რაც უსამართლოდ დაატოვებინეს სამუშაო მაგიდა, სამუშაო ადგილი აღარ აქვს. იმეილში მითითებული ინფორმაციის თანახმად, მომჩივნის თანამშრომლებმა დაიწყეს იმ კომპიუტერების გამოყენება, რომლებზეც თავად მუშაობდა და არ მისცეს დაბრუნების საშუალება იმ დოკუმენტების დასამთავრებლად, რომლებიც კომპიუტერებში ჰქონდა შენახული. მომჩივანმა აგრეთვე წარმოადგინა 2012 წლის 29 აგვისტოს მის მიერ Banco do Brasil-ის მეორე მენეჯერისათვის გაგზავნილი იმეილის არაოფიციალური თარგმანი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წინა დღეს ერთ-ერთი თანამშრომელი მომჩივანს გაუბრაზდა მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა სთხოვა, ტელეფონის ზარისთვის დაეწია. თანამშრომელმა უპასუხა, რომ იგი “ზევრს ითხოვდა”, რადგან მანამდე მომჩივანმა მას მაგიდაზე თითების ხმაურიანად თამაშის შეწყვეტა

მომჩივანს ოპერაციების კონტროლის კუთხით მუშაობა დაავალეს; კერძოდ, განხორციელებული ტრანზაქციების კანონის შესაბამისობასთან შემოწმების მიზნით იგი ანალიტიკურ სამუშაოს ასრულებდა.

საჩივარი

3.1 მომჩივნის მტკიცებით, სახელმწიფო მხარემ მის წინააღმდეგ დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლის (ბ) და (ე) პუნქტებითა და მე-5 მუხლის 1 და 2 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებები, ვინაიდან დამსაქმებლის (იგულისხმება სახელმწიფოს მიერ მართული Banco do Brasil) მიერ განხორციელებული ღონისძიებები, რომელთაც ეროვნულმა სასამართლოებმაც დაუჭირეს მხარი, დისკრიმინაციულია, ვინაიდან აღნიშნული ღონისძიებები ემსახურება შშმ პირებისათვის შესაძლებლობების შეზღუდვას.

3.2 მომჩივანი აგრეთვე აცხადებს, რომ სახელმწიფო მხარემ მის წინააღმდეგ დაარღვია კონვენციის მე-4 მუხლის (ა), (ბ) და (დ) პუნქტებით დაცული უფლებები; კერძოდ, Banco do Brasil-ის პოლიტიკა ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისებას, ვინაიდან პოლიტიკის თანახმად ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ისარგებლებს შვებულებით სამ თვეზე ან ექვს თვეზე მეტი ხნის ვადით, ექვემდებარება დაქვეითებას⁷⁵. ამგვარად, მომჩივნის მტკიცებით, სახელმწიფო აწესებს ვალდებულებას, რომლის თანახმადაც თანამშრომელს თანამდებობის შესანარჩუნებლად ჯანმრთელობის შენარჩუნება მოეთხოვება.

3.3 მომჩივანი აგრეთვე აცხადებს, რომ სახელმწიფო მხარემ მის წინააღმდეგ დაარღვია კონვენციის 27-ე მუხლის 1(ა) პუნქტით გათვალისწინებული უფლებები, ვინაიდან მითითებული დისკრიმინაცია უკავშირდებოდა სამუშაო ადგილსა და პირობებს. მომჩივანი აგრეთვე მიუთითებს კონვენციის 27-ე მუხლის 1(ბ) პუნქტზე და აცხადებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის გამო, თავის კოლეგებთან შედარებით, თანაბარ სამუშაო პირობებსა და შესაძლებლობებზე არ მიუწვდებოდა ხელი. კერძოდ, მომჩივნის მტკიცებით, ბანკში მოლარეების ჭარბი რაოდენობის გამო მას მოლარედ მუშაობაზე უარი უთხრეს, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში ორ თანამშრომელს, რომელთაგანაც ერთ-ერთი მანამდე დეკრეტულ შვებულებაში იმყოფებოდა, დროდადრო მოლარედ მუშაობის ნება მისცეს.

3.4 მომჩივანი დამატებით აცხადებს, რომ სახელმწიფო მხარემ მის წინააღმდეგ დაარღვია კონვენციის მე-4 მუხლის (ე) პუნქტი, ვინაიდან Banco do Brasil-ი როგორც საჯარო, ისე კერძო საბანკო დაწესებულებას წარმოადგენს.

3.5 სამართლებრივი დაცვის საშუალების სახით, მომჩივანი ითხოვს Banco do Brasil-ის იმ პოლიტიკის გაუქმებას, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამ თვეზე მეტი ხნის ვადით შვებულებით სარგებლობის შემთხვევაში თანამშრომლის დაქვეითების უფლებას იძლევა, ხოლო სახელმწიფოს მიერ იმის აღიარებას, რომ ხსენებული პოლიტიკა კონვენციას ეწინააღმდეგება. მომჩივანი აგრეთვე ითხოვს ბანკის მოლარის თანამდებობაზე აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას 2009 წლის ნოემბრიდან. მომჩივანი აღნიშნავს, რომ ასეთი

სთხოვა. მომჩივანმა იმეილში განაცხადა, რომ ხმაური მას მუშაობაში ხელს უშლიდა.

⁷⁵ მომჩივნის განმარტებით, ბანკის შიდა პოლიტიკის თანახმად, მას შემდეგ რაც თანამშრომელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამთვიანი შვებულებით ისარგებლებს, ბანკს უფლება აქვს გადაწყვიტოს, თანამშრომელს დაბრუნება სამი თვის შემდეგ მოსთხოვოს, თუ ექვსი თვის შემდეგ.

პოლიტიკა დასაქმებულებს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭირო შვებულებით სარგებლობაში უშლის ხელს.

სახელმწიფო მხარის არგუმენტები დასაშვებობასთან დაკავშირებით

4.1 2013 წლის 9 ივლისს წარმოდგენილი კომენტარების თანახმად, სახელმწიფო მხარე მიიჩნევს, რომ შეტყობინება არის *ratione materiae* დაუშვებელი, ვინაიდან მომჩივანს არ ღენიშნება კონვენციით განსზღვრული შეზღუდული შესაძლებლობა. კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობა გულისხმობს [ჯანმრთელობის] ხანგრძლივ დარღვევას, მაშინ როდესაც “სოციალური უსაფრთხოების ეროვნული ინსტიტუტის” (INSS) თანამშრომლებმა მომჩივანს დაუსვეს დროებითი შრომისუუნარობის დიაგნოზი. INSS არის ფედერალური სააგენტო, რომელსაც ევალება პირის შეზღუდული შესაძლებლობის სერტიფიცირება, რის საფუძველზეც შშმ პირებს, რომელთაც დამოუკიდებლად ცხოვრება ან მუშაობა არ შეუძლიათ, ენიჭებათ ფულადი დახმარება. მომჩივნის დიაგნოზის თანახმად, მას უფლება აქვს, მიიღოს ავადმყოფობის დახმარება, უწყვეტად, ხანმოკლე დროის მანძილზე, მაქსიმუმ ოთხი თვის ვადით, 2007 წლიდან 2012 წლამდე პერიოდში, რა დროსაც, მომჩივნის ინფორმაციით, იგი სამ სხვადასხვა ავტოავარიაში მოჰყვა. ექსპერტთა დიაგნოზი დროებითი შრომისუუნარობის შესახებ ნიშნავს იმას, რომ პაციენტი გამოჯანმრთელებას შეძლებს, რის გამოც მას დახმარება მხოლოდ მოკლე პერიოდის მანძილზე ენიჭება. მომჩივნის მიერ საჩივართან ერთად წარმოდგენილი სამედიცინო ცნობები ადასტურებს INSS-ის დიაგნოზს დროებითი შრომისუუნარობასთან დაკავშირებით; კერძოდ, დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ მომჩივანმა პერიოდულად დასვენების შემდეგი ფორმებით უნდა ისარგებლოს: “სამოცდლიანი შვებულება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო”, “სამუშაოს გაცდენა 2009 წლის 28 აპრილიდან 2009 წლის 12 მაისამდე”, “სამუშაოს გაცდენა 2009 წლის 13 მაისიდან 2009 წლის 30 ივნისამდე”, “ოცდაათდღიანი შვებულება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო” და ა.შ. არც ერთი სამედიცინო ცნობა არ ადასტურებს შეზღუდულ შესაძლებლობას, როგორც ეს განმარტებულია ადგილობრივ კანონმდებლობასა⁷⁶ თუ კონვენციაში. ამასთან, ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, ადამიანმა, რომელსაც შშმ პირის სტატუსზე აქვს პრეტენზია, დახმარების მისაღებად უნდა წარმოადგინოს შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი სამედიცინო დოკუმენტი, რომელიც გაცემულია ექიმის მიერ. მომჩივანს ასეთი დოკუმენტი არ წარუდგენია არც ადგილობრივი ორგანოების და არც კომიტეტის წინაშე.

77

4.2 სახელმწიფო მხარე აგრეთვე მიიჩნევს, რომ შეტყობინება დაუშვებელია “მეოთხე ოლქის სასამართლოს ფორმულის” მიხედვით, ვინაიდან ადგილობრივმა სასამართლოებმა უკვე განიხილეს მომჩივნის პრეტენზიები Banco do Brasil-ში სამუშაო ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით. “მეოთხე ოლქის სასამართლოს ფორმულის” თანახმად, საერთაშორისო

⁷⁶ სახელმწიფო მხარე მიუთითებს 1999 წლის 20 დეკემბრით დათარიღებულ ბრაზილიის ფედერალურ განკარგულებაზე #3.298/99, მუხლი 3 (შეზღუდული შესაძლებლობის, მუდმივი შეზღუდული შესაძლებლობისა და უუნარობის განსაზღვრება).

⁷⁷ სახელმწიფო მხარე მიუთითებს 2004 წლის 2 დეკემბრით დათარიღებულ ბრაზილიის ფედერალურ განკარგულებაზე #3.298/99 (მუხლები 3 და 4) და # 5.296/04 (მუხლი 70) (იხ. სქოლიო 25); აგრეთვე, “შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციაზე” #159 (1983) პროფესიული რეაბილიტაციისა და დასაქმების შესახებ (შშმ პირები) (ნაწილი 1, მუხლი 1). კვალიფიციურ სამედიცინო ცნობას გასცემს ოკუპაციური ჯანმრთელობის ექიმი იმ კომპანიიდან, სადაც მომჩივანი მუშაობს, ან სხვა ექიმი. სამედიცინო დოკუმენტში დაკონკრეტებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის სახეობა.

ორგანიზაციები არ არიან კომპეტენტურები, იმსჯელონ ფაქტობრივ და საკანონმდებლო ხარვეზებზე, რომლებიც სავარაუდოდ აღინიშნა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცული ადამიანის უფლებების სტანდარტის უხეშ დარღვევას⁷⁸. 4.3 სახელმწიფო მხარე აგრეთვე მიიჩნევს, რომ შეტყობინება დაუშვებელია იმ მიზეზით, რომ მომჩივანმა ადგილობრივი დაცვის საშუალებების ამოწურვა ვერ შეძლო ⁷⁹. მართალია მომჩივანმა სასამართლოს მიმართა სარჩელით, რომელიც Banco do Brasil-ში თანამდებობის შეცვლის შედეგად ხელფასის შემცირებას შეეხებოდა, მას სარჩელში არ აღუნიშნავს ის, რომ დაქვეითება დისკრიმინაციას უკავშირდებოდა. ადგილობრივ სასამართლოებში წარდგენილ საჩივრებში მომჩივანს კონვენციით დაცული უფლებების სავარაუდო დარღვევის საკითხი არ დაუყენებია.

მომჩივნის კომენტარები სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით

5.1 2013 წლის 15 მაისს წარმოდგენილი დამატებითი არგუმენტების თანახმად, მომჩივანი აცხადებს, რომ კომუნიკაცია *ratione materiae* დასაშვებია, ვინაიდან მას აღენიშნება ჯანმრთელობის დარღვევა, როგორც ეს კონვენციის პირველ მუხლშია განსაზღვრული. იგი აგრეთვე აცხადებს, რომ სანტა კატარინაში მდებარე “სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ინსტიტუტის” მიერ გაცემული “ექსპერტის დასკვნის” თანახმად, მას აღენიშნება მარცხენა მუხლის მუდმივი დარღვევა და გარკვეული დავალებების შესრულების მუდმივი უუნარობა.

5.2 მომჩივანი აგრეთვე აცხადებს, რომ მისი საჩივარი განიხილეს ეროვნულმა სასამართლოებმა, რითაც უხეშად დაირღვა მისი კონვენციით გათვალისწინებული უფლებები.

5.3 მომჩივანი დამატებით აღნიშნავს, რომ კომიტეტის წინაშე წარდგენილი საჩივარი განპირობებულია იმ თანამშრომელთა დისკრიმინაციით, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამ ან ექვს თვეზე მეტი ხნის ვადით შვებულებით სარგებლობის შემთხვევაში კარგავენ თავიანთი თანამდებობის შენარჩუნების უფლებას.⁸⁰

⁷⁸ სახელმწიფო მხარე მიუთითებს ადამიანის უფლებების ამერიკათაშორისი სასამართლოს საქმეზე No. 11.137, *აბელა არგენტინის წინააღმდეგ*, 1997 წლის 18 ნოემბერი; და საქმეზე No. 11.472, *გილბერტ ბერნარდ ლიტლი კოსტა რიკის წინააღმდეგ*, 1998 წლის 28 სექტემბერი.

⁷⁹ სახელმწიფო მხარე მიუთითებს, *inter alia*, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ *Elettronica Sicula S.p.A. (ELSI)*-ს საქმეზე 2989 წლის 20 ივლისს გამოტანილ გადაწყვეტილებაზე (გვ.15); და ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისი სასამართლოს საკონსულტაციო მოსაზრებაზე OC-11/90, 1990 წლის 10 აგვისტო, პუნქტი 41.

⁸⁰ მომჩივანმა წარმოადგინა შრომის რეგიონულ სასამართლოში შეტანილი საჩივრის არაოფიციალური ფრანგულენოვანი თარგმანი, სადაც აღნიშნულია, რომ მან კამპინასის ფილიალში გადაყვანა მოითხოვა იმისათვის, რომ სახლიდან სამსახურამდე ყოველდღიური მგზავრობა შემსუბუქებოდა და ფიზიკური ვარჯიშის დრო ჰქონოდა. 2009 წლის ოქტომბერში მას უარი უთხრეს გადაყვანაზე; მიზეზად დაასახელეს ფილიალში თანამშრომელთა სიჭარბე და ის ფაქტი, რომ სან პედრო დე აკლანტარას მუნიციპალიტეტის მერიასთან გარკვეული საკითხები იყო გადასაჭრელი. 2010 წლის შუა პერიოდში, მომჩივანი მარცხენა მუხლთან დაკავშირებით მწვავე პრობლემებმა შეაწუხა. მას კუნთების ატროფიის დიაგნოზი დაუსვეს. სექტემბერ-ოქტომბერში მომჩივანმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შვებულება აიღო, რათა კუნთების თერაპიული მკურნალობა ჩატარებინა. ვინაიდან ფიზიკური ვარჯიშისთვის დრო არ ჰქონდა, 2010 წელს მას მწვავე ფიზიკური განუვითარდა. სამედიცინო სერტიფიკატების საფუძველზე, მომჩივანმა კვლავ მოითხოვა სახლთან ახლოს ფილიალში გადაყვანა, მაგრამ უარი უთხრეს იმ მიზეზით, რომ ყველა ფილიალში საკმარისზე მეტი თანამშრომელი ჰყავდათ. აღნიშნულის შემდეგ, მომჩივანი დააქვეითეს მოლარის თანამდებობიდან, ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, ვინაიდან მან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამ თვეზე მეტი ხნით აიღო შვებულება 2009 წელს, რათა მკურნალობა ჩატარებინა. ჯანმრთელობის პრობლემების გამო მომჩივანს ესაჭიროებოდა კამპინასის ფილიალში დაბრუნება, რათა ეშუავეა იმ

კომიტეტის წინაშე დასმული საკითხები და მათი განხილვის პროცედურა

შეტყობინების დასაშვებობის განხილვა

6.1 შეტყობინებაში დაყენებული პრეტენზიების განხილვამდე, შშმ პირთა უფლებების კომიტეტმა, ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 65-ე წესის შესაბამისად, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კონვენციის ფაკულტატური ოქმის ფარგლებში შეტყობინების დასაშვებობის შესახებ.

6.2 ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (გ) პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, კომიტეტმა დაადგინა, რომ წინამდებარე შეტყობინების თემა კომიტეტს აქამდე არ განუხილავს, და რომ ეს თემა არ განხილულა და არ განიხილება სხვა საერთაშორისო საგამომიებო ან დავების მოგვარების პროცედურის ფარგლებში.

6.3 კომიტეტი აღნიშნავს, რომ მომჩივანი დაობს მის წინააღმდეგ კონვენციის მე-3 მუხლის (ბ) და (ე) პუნქტების, მე-4 მუხლის (ა), (ბ), (დ) და (ე) პუნქტების, მე-5 მუხლის 1 და 2 პუნქტებისა და 27-ე მუხლის (ა) და (ბ) პუნქტების დარღვევას; კერძოდ, მომჩივნის განცხადებით, Banco do Brasil-ის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლეთა დაქვეითებას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამ თვეზე მეტი ხნით შვებულებით სარგებლობის გამო, წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციას; მისივე მტკიცებით, სწორედ აღნიშნული პოლიტიკის საფუძველზე იგი 2009 წელს თანამდებობიდან დააქვეითეს, ვინაიდან ტრავმის შედეგად მუხლის მუდმივად დაზიანების შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შვებულება სამ თვეზე მეტი ხნით აიღო. კომიტეტი აგრეთვე აღნიშნავს მომჩივნის ბრალდებას იმასთან დაკავშირებით, რომ კონვენციის იგივენაირი დარღვევა მოხდა 2010 წელს, როდესაც Banco do Brasil-მა უარი უთხრა შეზღუდული შესაძლებლობის გამო სახლთან ახლოს მდებარე ფილიალში გადაყვანაზე. კომიტეტი აღნიშნავს სახელმწიფო მხარის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მომჩივნის მუხლის დაზიანება არ წარმოადგენს კონვენციის 1-ლი მუხლით განსაზღვრულ შეზღუდულ შესაძლებლობას, ვინაიდან იმ დროს, როდესაც შეტყობინებაში წარმოდგენილი ფაქტები მოხდა, მომჩივანს დაუსვეს დროებითი შრომისუუნარობის დიაგნოზი. მას არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ხანგრძლივ დარღვევას. შესაბამისად, მისი შეტყობინება კომიტეტის *ratione materiae* კომპეტენციაში არ შედის. კომიტეტი ითვალისწინებს, რომ კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება იმ ადამიანებით, რომელთაც აქვთ ხანგრძლივი ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევები, რომლებმაც სხვადასხვა დაბრკოლებებთან ურთიერთქმედებისას შეიძლება ხელი შეუშალოს მათ სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებაში, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე. წინამდებარე საქმეში, მხარეთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია კომიტეტს ხელს არ უშლის მიიჩნიოს, რომ მომჩივნის ფიზიკურმა დარღვევამ, სხვადასხვა დაბრკოლებებთან ურთიერთქმედებისას, ხელი შეუშალა მის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებაში, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე. კომიტეტი ითვალისწინებს, რომ განსხვავება ავადმყოფობასა და შეზღუდულ შესაძლებლობას შორის მდგომარეობს ხარისხში და არა სახეობაში. ჯანმრთელობის დარღვევა, რომელიც თავდაპირველად დაავადებად აღიქმება, ხანგრძლივობისა და ქრონიკულობის გამო შესაძლოა გადაიზარდოს შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ დარღვევაში. შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანის უფლებაზე დაფუძნებული მოდელი მოითხოვს შშმ პირთა მრავალფეროვნებისა (პრეამბულა, პუნქტი "i") და ჯანმრთელობის დარღვევის მქონე პირებსა და მათ მიმართ დამოკიდებულებისა

თანამდებობაზე, რომელზე დანიშნვის უფლებაც შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შედეგად მოიპოვა.

და გარემოს დაბრკოლებებს შორის ურთიერთქმედების (პრეამბულა, პუნქტი “ე”) აღიარებას. კომიტეტი აგრეთვე აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კონვენცია არ ახდენს გავლენას სახელმწიფო მხარის ვალდებულებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტებით, მათ შორის ამერიკათაშორისი კონვენციით შშმ პირთა წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ამერიკათაშორისი კონვენცია ტერმინ “შეზღუდულ შესაძლებლობას” განმარტავს შემდეგნაირად: ფიზიკური, გონებრივი ან სენსორული დარღვევები, როგორც დროებითი, ისე სამუდამო, რომელიც ზღუდავს ყოველდღიური ცხოვრების ერთი ან მეტი ძირითადი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას, და რომელსაც შესაძლოა განაპირობებდეს ან ამწვავებდეს ეკონომიკური ან სოციალური მდგომარეობა. შესაბამისად, კომიტეტს მიაჩნია, რომ ფაკულტატური ოქმის 1-ლი მუხლი არ უკრძალავს მოცემული შეტყობინების განხილვას.

6.4 კომიტეტი აგრეთვე აღნიშნავს სახელმწიფო მხარის მტკიცებას იმის შესახებ, რომ მომჩივნის თხოვნას [კამპინასის ფილიალში] გადაყვანასთან დაკავშირებით უარი ეთქვა ფილიალში თანამშრომელთა ჭარბი რაოდენობის გამო და არა შეზღუდული შესაძლებლობის მოტივით. შესაბამისად, მისი პრეტენზია დაუსაბუთებელია. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ბანკის პოლიტიკა დაქვეითების შესახებ ვრცელდება ყველა იმ თანამშრომელზე, რომელმაც სამ თვეზე მეტი ხნის ვადით ისარგებლა შვებულებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მიზეზისდა მოუხედავად. კომიტეტი აგრეთვე აღნიშნავს სახელმწიფო მხარის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაყვანაზე უარის თქმისა და დაქვეითების შესახებ ბანკის პოლიტიკის გამოყენების მიზეზი იყო ფილიალებს შორის თანამშრომელთა რაოდენობაში წონასწორობის შენარჩუნება. კომიტეტი ითვალისწინებს, რომ დისკრიმინაცია შესაძლოა განაპირობოს ერთი შეხედვით ნეიტრალურმა წესმა ან ღონისძიებამ, რომელსაც შესაძლოა დისკრიმინაციის განზრახვა არ ედოს საფუძვლად, მაგრამ შშმ პირებზე არაპროპორციულ გავლენას ახდენდეს. შესაბამისად, კომიტეტი ასკვნის, რომ მის მიერ განსახილველი საკითხი მდგომარეობს შემდეგში: მომჩივანზე რამდენად არაპროპორციული გავლენა იქონია ბანკის პოლიტიკამ, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შვებულებით 90 დღეზე მეტი ხნის ვადით სარგებლობის შემთხვევაში თანამშრომლის დათხოვნას ითვალისწინებს. კომიტეტი ასკვნის, რომ ფაკულტატური ოქმის 1-ლი მუხლი მას არ უკრძალავს მოცემული შეტყობინების განხილვას.

6.5 კომიტეტი აღნიშნავს სახელმწიფო მხარის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ მომჩივანმა არ ამოწურა ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები, ვინაიდან მას ეროვნული სასამართლოებისთვის არ მიუმართავს პრეტენზიით, რომ მისი დაქვეითება შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით განხორციელდა. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მომჩივანის მიერ შრომის უზენაეს სასამართლოში შეტანილი სააპელაციო საჩივარი შეიცავდა კონვენციასთან დაკავშირებულ პრეტენზიებს, ხოლო სასამართლომ არსებითი განხილვის გარეშე უარი განაცხადა საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მომჩივანს ადვოკატი არ წარმოადგენდა, როგორც ამას შესაბამისი კანონმდებლობა მოითხოვს. კომიტეტი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველის აპარატმა დაუსაბუთებულობის გამო უარი განაცხადა დაეკმაყოფილებინა მომჩივნის თხოვნა უფასო იურიდიული დახმარების თაობაზე, მომჩივანი ადვოკატს დაუკავშირდა, რომელმაც უარი უთხრა სასამართლოს წინაშე მისი ინტერესების დაცვაზე. ამავდროულად, მომჩივანს არ დაუსაბუთებია ის ფაქტი, რომ იურიდიული წარმომადგენლობის სხვა საშუალებებზე ხელი არ მიუწვდებოდა. აღნიშნული

გარემოებების გათვალისწინებით, კომიტეტი ადგენს, რომ მას ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (დ) პუნქტის საფუძველზე, არ აქვს მოცემული შეტყობინების განხილვის უფლება.

7. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

(ა) შეტყობინება დაუშვებულად იქნას ცნობილი ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (დ) პუნქტის საფუძველზე;

(ბ) გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს სახელმწიფო მხარესა და მომჩივანს.



**შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა უფლებების
კონვენცია**

გავრცელება: საყოველთაო
2014 წლის 14 ნოემბერი

ორიგინალი შედგენილია
ინგლისურ ენაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

შეტყობინება No. 5/2011

კომიტეტის მიერ მე-12 სესიაზე მიღებული მოსაზრებები (2014 წლის 15 სექტემბერი-3 ოქტომბერი)

<i>შეტყობინების წარმდგენი:</i>	მარი-ლუს იუნგელინი (წარმოდგენილია “შვედეთის მხედველობის შეზღუდვის მქონე ახალგაზრდების ასოციაციისა” (US) და “შვედეთის შეზღუდული მხედველობის მქონეთა ასოციაციის” მიერ (SRF))
<i>სავარაუდო დაზარალებული:</i>	შეტყობინების ავტორი
<i>სახელმწიფო მხარე:</i>	შვედეთი
<i>შეტყობინების წარდგენის თარიღი:</i>	2011 წლის 18 თებერვალი (თავდაპირველი წარდგენა)
<i>გამოყენებული დოკუმენტები:</i>	სპეციალური მომხსენებლის მიერ 70-ე წესის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოს გაეგზავნა 2011 წლის 1 დეკემბერს (არ გამოცემულა დოკუმენტის სახით)
<i>გადაწყვეტილების მიღების თარიღი:</i>	2014 წლის 2 ოქტომბერი
<i>შეტყობინების თემა:</i>	სამუშაოზე მიღების პროცესი და შესაბამისი ცვლილებებისა და შესწორებების შეტანა დასაქმების ადგილზე.
<i>არსებითი საკითხები:</i>	თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა; კანონის წინაშე თანასწორობა; შრომა და დასაქმება; ფაქტები და მტკიცებულებები
<i>პროცედურული საკითხები:</i>	<i>ratione temporis</i> დასაშვებობა
<i>კონვენციის მუხლები:</i>	5 და 27
<i>ვაკულტატური ოქმის მუხლი:</i>	2 (ვ)

დანართი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მოსაზრებები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის თანახმად (მე-12 სესია)

No. 5/2011^{*} შეტყობინებასთან დაკავშირებით

შეტყობინების წარმდგენი:	მარი-ლუის იუნგელინი (წარმოდგენილია “შვედეთის მხედველობის შეზღუდვის მქონე ახალგაზრდების ასოციაციისა” (US) და “შვედეთის მხედველობის შეზღუდვის მქონეთა ასოციაციის” მიერ (SRF))
სავარაუდო დაზარალებული:	შეტყობინების ავტორი
სახელმწიფო მხარე:	შვედეთი
შეტყობინების წარდგენის თარიღი:	2011 წლის 18 თებერვალი (თავდაპირველი წარდგენა)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა, რომელიც შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე,

2012 წლის 4 ოქტომბერს გამართულ შეხვედრაზე,

დაასრულა რა No. 5/2011 შეტყობინების განხილვა, რომელიც მარი-ლუის იუნგელინმა წარადგინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე,

გაითვალისწინა რა შეტყობინების წარმდგენისა და სახელმწიფო მხარის მიერ მოწოდებული წერილობითი ინფორმაცია,

მიიღო შემდეგი მოსაზრებები:

ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის საფუძველზე მიღებული მოსაზრებები

1.1 შეტყობინება წარადგინა შვედეთის მოქალაქემ, 1970 წელს დაბადებულმა მარი-ლუის იუნგელინმა. მისი მტკიცებით, შვედეთის სახელმწიფომ მის წინააღმდეგ დაარღვია კონვენციის მე-5 და 27-ე მუხლები. მომჩივნის ინტერესებს კომიტეტის წინაშე წარმოადგენენ “შვედეთის

^{*}წინამდებარე შეტყობინების განხილვაში მონაწილეობდნენ კომიტეტის შემდეგი წევრები: მოჰამედ ალ-ტარავანი, მუნითიან ბუნტანი, მარია სოლედად ცისტერნა რეისი, თერესია დეგენერი, ჰუანგ შიკ კიმი, ლოფტი ბენ ლალამი, სტივ ლანგვარდი, ლაზლო გაბორ ლოვაზკი, ედა ვანგეჩი მაინა, რონალდ მაკკალუმი, მარტინ ბაბუ მესიგვა, ანა პელაზ ნავარეზი, სილვია ჯუდიტ ქუან-ჩენგი, კარლოს რიოს ესპინოსა, დამიან ტატიჩი და გერმან ხავიერ ტორეს კორეა. წინამდებარე მოსაზრებებს თან ერთვის კომიტეტის წევრების ბ-ნ რიოს ესპინოსას, ქ-ნ დეგენერის, ბ-ნ ბუნტანის, ქ-ნ ქუან-ჩენგისა და ქ-ნ ცისტერნას რეისის ერთობლივი (განსხვავებული) მოსაზრება, და კომიტეტის წევრის ბ-ნი ტატიჩის ინდივიდუალური (განსხვავებული) მოსაზრება.

მხედველობის შეზღუდვის მქონე ახალგაზრდების ასოციაცია” (US) და “შვედეთის შეზღუდული მხედველობის მქონეთა ასოციაცია” (SRF). კონვენცია და მისი ფაკულტატური ოქმი შვედეთში ძალაში შევიდა 2009 წლის 14 იანვარს, კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ფაკულტატური ოქმის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

1.2 2013 წლის 16 აპრილს მიმდინარე მე-9 სესიის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა, კომიტეტის რეგლამენტის 65-ე და 70-ე წესების შესაბამისად, გადაწყვიტა, ცალ-ცალკე განეხილა შეტყობინების დასაშვებობასა და არსებით განხილვასთან დაკავშირებული საკითხები.⁸¹ კომიტეტმა დასაშვებად მიიჩნია შეტყობინების ის ნაწილი, რომელიც შეეხება მომჩივნის მიერ კონვენციის მე-5 და 27-ე მუხლის საფუძველზე წამოჭრილ პრეტენზიებს.

შეტყობინების ავტორის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები

2.1 მომჩივანს დაბადებიდან მხედველობის მწვავე დარღვევა აღენიშნება. მან დაამთავრა ჩვეულებრივი სკოლა და ფლობს სტოკჰოლმის უნივერსიტეტის სამართლის ბაკალავრის ხარისხს. მას აგრეთვე აქვს სხვადასხვა სამუშაო ადგილზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, მათ შორის: მომჩივანი მუშაობდა ფარსტის რაიონულ პოლიციაში, სადაც ფირზე ჩაწერილი მასალების ტრანსკრიფციას ახდენდა და Folksam Rättsskydd-ში, სადაც სხვადასხვა საქმის მასალების დამუშავებაზე იყო პასუხისმგებელი. მომჩივანი მიჩვეულია ისეთ კომპიუტერებთან და საქმის მასალების დამუშავების სისტემებთან მუშაობას, რომლებიც მის საჭიროებებზეა მორგებული.

2.2 2006 წლის მაისში მომჩივანმა “სოციალური დაზღვევის სააგენტოში” (Försäkringskassan) ავადმყოფობის დახმარებისა და ავადმყოფობის კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებების გამომძიებელ-შემფასებლის ვაკანსიაზე შეიტანა განაცხადი. ეს იყო მუდმივი თანამდებობა, რომელიც ითვალისწინებდა განცხადებების შესწავლას, განმცხადებელთა მიერ დახმარებისა თუ კომპენსაციის მოთხოვნის საფუძვლიანობის გამოძიებას და იმის დადგენას, თუ რამდენად ეკუთვნოდა განმცხადებელს მოთხოვნილი დახმარება/კომპენსაცია. ხსენებული მოვალეობების განხორციელების პროცესში თანამშრომელს ევალებოდა შემდეგი ფუნქციების შესრულება: სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის “საკითხთა ნავიგაციის სისტემიდან” (ITS), დამხმარე სისტემებიდან და პერსონალის ადმინისტრირების პროგრამიდან ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, აგრეთვე, დოკუმენტების (მათ შორის ხელნაწერი დოკუმენტების) მომზადება ქალაქის ფორმატში.

2.3 2006 წლის 13 ივნისს, მომჩივანი შესარჩევ კონფერენციაზე მიიწვიეს, ხოლო 2006 წლის 21 ივნისს დაუნიშნეს პერსონალური გასაუბრება. გასაუბრებაზე მან განმარტა, რომ მას დაბადებიდან აღენიშნება მხედველობის მწვავე დარღვევა; თუმცა, მომჩივანმა იქვე განმარტა, რომ სინათლესა და სიბნელეს ერთმანეთისაგან არჩევს და აღიქვამს გარკვეულ ფერებს. მან აგრეთვე ისაუბრა არსებული დამხმარე საშუალებების შესახებ და აღნიშნა, რომ სახელმწიფო მხარის “საჯარო დასაქმების სერვისის” რეაბილიტაციის დეპარტამენტი დაჰპირდა, რომ გაარკვევდა “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” ხმარებაში არსებულ კომპიუტერულ პროგრამებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საკითხს.

⁸¹ იხ. კომიტეტის გადაწყვეტილება დასაშვებობის თაობაზე (CRPD/C/9/D/5/2011).

2.4 2006 წლის 25 აგვისტოს მომჩივანს შეატყობინეს შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ იგი აკმაყოფილებდა კომპეტენტურობასთან, გამოცდილებასა და რეკომენდაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, მისი კანდიდატურა ვაკანტური თანამდებობისთვის არ იქნა განხილული, ვინაიდან შეუძლებელი იყო “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” შიდა კომპიუტერული სისტემების ადაპტირება მომჩივნის მხედველობის დარღვევის შესაბამისად. სააგენტოსავე ცნობით, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დასკვნით, სააგენტოში არსებულ კომპიუტერულ აპარატურასა და პროგრამებს არ გააჩნდათ შესაბამისი ინსტრუმენტები კომპიუტერულ სისტემაში არსებული ინფორმაციის ბრაილის შრიფტში გადასაყვანად. ამასთან, სისტემის ნაწილს ვერ გახდიდნენ მომჩივნისათვის ხელმისაწვდომს, სხვადასხვა ტექნიკური დამხმარე საშუალებების გამოყენების შემთხვევაშიც კი.

2.5 მომჩივანმა მომხდარის შესახებ “შვედეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ომბუდსმენს” შეატყობინა.⁸² 2008 წლის მარტში ომბუდსმენმა მომჩივნის სახელით შრომის სასამართლოს მიმართა. სარჩელში აღნიშნული იყო, რომ მომჩივანს გამომძიებელ-შემფასებლად მუშაობისათვის საჭირო კვალიფიკაცია გააჩნდა, ხოლო “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” შეეძლო, უზრუნველყო ტექნიკური დამხმარე საშუალებები და პირადი ასისტენტი. აღნიშნული მომჩივნის მხედველობის დარღვევას შეამსუბუქებდა იმდენად, რომ აღარ იარსებებდა მიზეზი იმისა, რომ მხედველობის დარღვევას თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაზე ემოქმედა. შესაბამისად, “სოციალური დაზღვევის სააგენტომ” მოახდინა მომჩივნის დისკრიმინაცია, ვინაიდან მან არ მიიღო მხარდაჭერისა და ადაპტაციის გონივრული ზომები ისეთი სამუშაო პირობების შესაქმნელად, რომელიც მსგავსი ფუნქციური დარღვევის არმქონე პირის სამუშაო პირობების თანასწორი იქნებოდა და მომჩივანს თანამდებობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების განხორციელების საშუალებას მისცემდა. შედეგად, სააგენტომ მოახდინა მომჩივნის პირდაპირი დისკრიმინაცია და დაარღვია იმ დროისათვის მოქმედი აქტი “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომით ცხოვრებაში დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ” (1999:132). მომჩივანი ზოგადი ზიანის ასანაზღაურებლად კომპენსაციის სახით ითხოვდა 70,000 შვედურ კრონს (SKr), თანხაზე დარიცხულ პროცენტსა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურებას.

2.6 სასამართლო პროცესზე ომბუდსმენი აცხადებდა, რომ “სოციალური დაზღვევის სააგენტომ” სამუშაო პირობებში მომჩივნის საჭიროებების შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობები ჯეროვნად არ გამოიკვლია; მას აგრეთვე არ გამოუკვლევია საჯარო დასაქმების სერვისის რეაბილიტაციის დეპარტამენტიდან ფინანსური მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობა. ომბუდსმენმა სასამართლოს წარუდგინა მხარდაჭერისა და ადაპტაციის ღონისძიებების სამი სხვადასხვა ვარიანტი, რომლებიც, მისი მტკიცებით, “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” შეეძლო გონივრულობის ფარგლებში განეხორციელებინა: (ა) საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის (ITS) ადაპტირება პროგრამების მეშვეობით, რაც მომჩივანს ITS ინფორმაციის პირდაპირ კომპიუტერის მონიტორზე წაკითხვისა და სისტემაში ნავიგაციის საშუალებას მისცემდა. აღნიშნული დაჯდებოდა დაახლოებით 10-დან 15 მილიონ კრონამდე, რაც სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიუჯეტის 2%-ს შეადგენს; (ბ) იმ პროგრამების დანერგვა, რომლებიც ინფორმაციის (დასკანერებული დოკუმენტების) სინთეზირებულ ხმოვან ფორმატში ან ბრაილის შრიფტში გადაყვანის საშუალებას იძლევა; (გ) 2006 წელს კანდიდატთა შერჩევის პერიოდისათვის, საქმის მასალების დამუშავების ოფიცერს ძირითადად ქალაქის დოკუმენტებთან უწევდა მუშაობა, რომელთა გარდაქმნაც სინთეზირებულ ხმოვან ფორმატში ან ბრაილის შრიფტში შესაძლებელი იყო სკანერის

⁸²ამჟამად თანასწორობის ომბუდსმენი.

გამოყენებით. ომბუდსმენის მიერ შეთავაზებული ღონისძიებები მოითხოვდა პირადი ასისტენტის დახმარებას ხელნაწერ დოკუმენტებზე სამუშაოდ, რომლებიც, სავარაუდოდ, მთლიანი დოკუმენტაციის 10%-ს შეადგენდა. დამატებით, ომბუდსმენი აღნიშნავდა, რომ ასისტენტს სხვა დავალებებზე მუშაობაც შეეძლო. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მსგავსი ღონისძიებები სააგენტომ სხვა საქმეებთან დაკავშირებით განახორციელა, და რომ ეს უკანასკნელი, როგორც [შშმ პირის] დამსაქმებელი, სახელმწიფოსაგან ფულად დახმარებას მიიღებდა.

2.7 “სოციალური დაზღვევის სააგენტომ” აღნიშნა, რომ სამუშაოზე მიღების პროცესში მომჩივნის განაცხადი სერიოზულად იქნა განხილული, და რომ სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს ეთხოვა, გაერკვია, შესაძლებელი იყო, თუ არა ITS-ისა და დამხმარე საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების ადაპტირება მომჩივნის საჭიროებების შესაბამისად. გამოკვლევამ, რომლის ფარგლებშიც დამოუკიდებელმა კომპანიამ შემოწმება ჩაატარა, დაადასტურა, რომ ტექნიკური დამხმარე საშუალებების გამოყენების შემთხვევაშიც კი, მომჩივანი ვერ შეძლებდა ITS-ში და სხვა კომპიუტერულ სისტემებში დაცული ყველა სახის ინფორმაციის წაკითხვასა და სისტემებში ნავიგაციას. ამასთან, არ არსებობდა ტექნიკური საშუალება, რომელიც ხელნაწერი ტექსტის (მაგ. განცხადებებისა და სამედიცინო ცნობების) შესაბამის ფორმატში გადაყვანას უზრუნველყოფდა. შესაბამისად, მთლიანი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის ადაპტირება, მასში ცვლილებების შეტანა და/ან სხვა ღონისძიებების გატარება არ იყო მიზანშეწონილი. წარმოდგენილი წინადადებების განხორციელებას დასჭირდებოდა დიდი დრო და უაღრესად დიდი ოდენობით ფინანსური ინვესტიციები. სააგენტო აგრეთვე აღნიშნავდა, რომ მომჩივანისათვის პირადი თანაშემწის აყვანის შემთხვევაში, განცხადებელთა კომპენსაციის უფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, მომჩივანს მხოლოდ მემორანდუმების მომზადებაზე უნდა ემუშავა, მაშინ, როდესაც მასზე დაკისრებული სამუშაოს 80%-ის შესრულება ასისტენტს მოუწევდა. აღნიშნული პრაქტიკაში ნიშნავდა იმას, რომ “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” მოუწევდა ორი ადამიანის აყვანა იმ ფუნქციების შესასრულებლად, რომელიც ერთმა ადამიანმა უნდა შეასრულოს. და ბოლოს, სააგენტომ აღნიშნა, რომ იმ დროისათვის გამომძიებელ-შემფასებლის მიერ დასამუშავებელი განცხადებების 95% შეიცავდა ხელნაწერ დოკუმენტებს. შესაბამისად, ყველა სახის მხარდაჭერისა და ადაპტაციის ღონისძიებები, რომელთა გატარებასაც მოითხოვდა მომჩივნისათვის თანამდებობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სააგენტოსათვის არა-გონივრული ტვირთი იქნებოდა.

2.8 2010 წლის 17 თებერვალს შრომის სასამართლომ ომბუდსმენის პრეტენზიები არ დააკმაყოფილა. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის კვალიფიკაციები უნდა განხილულიყო თანამდებობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით; კერძოდ, მომჩივანს უნდა შესძლებოდა ITS-ში მუშაობა ავადმყოფობის დახმარებისა და ავადმყოფობის კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებების შესაფასებლად/გამოსადიებლად და აგრეთვე, ITS-ისა და დამხმარე სისტემების მოხმარება კომპიუტერზე დაფუძნებულ სისტემებში არსებული ინფორმაციის მოძიებისა და წაკითხვის, პროგრამებს შორის ნავიგაციისა და სამუშაო ინსტრუმენტების სახით მათი აქტიური გამოყენების მიზნით. აღნიშნულ უფლება-მოვალეობებში აგრეთვე შედიოდა ხელნაწერი დოკუმენტების დამუშავება, რაც, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დოკუმენტების რაოდენობა შემცირებულია, ვერ ჩაითვლება გამომძიებლის სამუშაოს პერიფერიულ ნაწილად. სასამართლომ შეაფასა ომბუდსმენის მიერ შეთავაზებული მხარდაჭერისა და ადაპტაციის სხვადასხვა ღონისძიებები და ორივე მხარის მიერ წარდგენილი მოწმეებისა და ექსპერტების

მოსაზრებაზე დაყრდნობით დაასკვნა შემდეგი: სასამართლოს აზრით, ნათელი იყო, რომ მხარდაჭერის და ადაპტაციის ზომები, რომლებიც “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” უნდა მიეღო იმისათვის, რომ მომჩივანი ჩაეყენებინა თანაბარ მდგომარეობაში, ვიზუალური დარღვევის არ მქონე პირებთან შედარებით, არაგონივრული იყო. შესაბამისად, მომჩივანს არ გააჩნდა გამომძიებელ-შემფასებლის თანამდებობის შესაბამისი კვალიფიკაციები. დამატებით, სასამართლომ ომბუდსმენს მოსთხოვა, “სოციალური დაზღვევის სააგენტოსათვის” სამართალწარმოების ხარჯები აენაზღაურებინა.

2.9 მომჩივნის თანახმად, შრომის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება, რის გამოც ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებაზე მას ხელი არ მიუწვდებოდა.

საჩივარი

3.1 მომჩივნის მტკიცებით, ის ფაქტი, რომ “სოციალური დაზღვევის სააგენტომ” მისი განაცხადი გამომძიებელ-შემფასებლის ვაკანსიასთან დაკავშირებით უარყო, წარმოადგენს კონვენციის მე-5 და 27-ე მუხლების დარღვევას.

3.2 მომჩივანი აცხადებს, რომ სააგენტომ სამუშაოზე მიღების პროცესში მის წინააღმდეგ დისკრიმინაცია განახორციელა; კერძოდ, ნაცვლად იმისა, რომ განეხილა მხარდაჭერისა და ადაპტაციის გარკვეული ზომების გატარების შესაძლებლობა, მან პირდაპირ უარყო მომჩივნის განცხადება. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო კომპიუტერულ სისტემაში შეიტანდა ცვლილებებს იმ მომხმარებლების სასარგებლოდ, რომლებიც საჭიროებენ ეკრანის წამკითხველებსა და ბრაილის ტერმინალს, მომჩივანი შეძლებდა ვაკანტურ ადგილთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების უმრავლესობის შესრულებას. ამასთან, ვინაიდან “სოციალური დაზღვევის სააგენტო” იყო ის ძირითადი სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელსაც შშმ პირთა უფლებების შესახებ ეროვნული პოლიტიკის განხორციელება ევალებოდა, მოსალოდნელი იყო რომ იგი კონვენციით გათვალისწინებული მოვალეობების შესაბამისად გაატარებდა საჭირო ზომებს.

3.3 შვედეთის შრომის სასამართლომ მიიჩნია, რომ ომბუდსმენის მიერ შეთავაზებული ღონისძიებები “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” კომპიუტერულ სისტემებში შესწორებების განხორციელებასა და სხვა დამხმარე საშუალებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით არ იყო გონივრული და პროპორციული. შესაბამისად, სასამართლომ გამოიტანა დისკრიმინაციული გადაწყვეტილება და დაარღვია მომჩივნის უფლება, დაცული იყოს და ისარგებლოს კანონით, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე. შეფასების დროს სასამართლომ სათანადოდ არ გაითვალისწინა ექსპერტებისა და მოწმეების მოსაზრებები, უარყო ომბუდსმენის წინადადებები და უგულებელყო დამსაქმებლის ვალდებულება, განახორციელოს საჭირო და შესაბამისი შესწორებები დასაქმების ადგილის შშმ დასაქმებულთა საჭიროებებზე მისადაგების მიზნით. ამასთან, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” კომპიუტერულ პროგრამებში შეტანილი შესწორება სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ მომჩივანს, არამედ მხედველობის დარღვევის მქონე სხვა მომავალ თანამშრომლებს. და ბოლოს, მომჩივნის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ შრომის სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე განხორციელებული ტექნიკური გამოკვლევის შედეგები მომჩივნის ბრალდებებს არ ეწინააღმდეგებოდა, დამსაქმებელს მტკიცების ტვირთი არ დაკისრებია. შესაბამისად, თავად სასამართლოს გადაწყვეტილება კონვენციის დარღვევით იქნა მიღებული.

3.4 მომჩივანი დამატებით აცხადებს, რომ სახელმწიფო მხარეს არ განუხორციელებია კონვენციით დაცული უფლებების შესაბამისი ყველა საჭირო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიება; რომ კანონმდებლობა სრულფასოვნად არ აღიარებს შშმ პირთა შრომის უფლებას, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე; ხოლო სახელმწიფო მხარეს არ გადაუდგამს შესაბამისი ნაბიჯები შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვისთვის, იმ ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება დასაქმების ყველა ფორმას, მათ შორის სამუშაოზე მიღებისა და დაქირავების პირობებს, და შშმ პირთათვის გონივრული მისადაგების უზრუნველყოფას.

სახელმწიფო მხარის არგუმენტები შეტყობინების დასაშვებობასთან დაკავშირებით

4.1 2012 წლის 29 თებერვალს, სახელმწიფო მხარემ წარადგინა არგუმენტები შეტყობინების დასაშვებობასთან დაკავშირებით და კომიტეტს მიმართა თხოვნით, ცალ-ცალკე განეხილა შეტყობინების დასაშვებობა და არსებითი მხარე. სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ კომუნიკაცია დაუშვებელია, ვინაიდან კომიტეტის წინაშე წარმოდგენილი ფაქტები კონვენციისა და ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლამდე მოხდა.

4.2 სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ შეტყობინება ბუნდოვანია. კერძოდ, მართალია, შეტყობინება გარკვეული დოზით მომჩივნის ინდივიდუალურ შემთხვევას ეხება, იგი ძირითად ყურადღებას ამახვილებს დისკრიმინაციის შესახებ კანონმდებლობაზე - “დისკრიმინაციის აქტზე” (2008:567) და მის კონვენციასთან შესაბამისობაზე. სახელმწიფო მხარე კომიტეტს შეახსენებს, რომ დაუშვებელია კომიტეტის მიერ ეროვნული კანონმდებლობის *actio popularis* მიმოხილვა ინდივიდუალური შეტყობინების პროცედურის მეშვეობით.

4.3 რაც შეეხება მომჩივნის კონკრეტულ შემთხვევას, სახელმწიფო მხარე აღნიშნავს, რომ *ratione temporis* პრინციპით შეტყობინება არის დაუშვებელი, ვინაიდან მასში აღნიშნული მოვლენები მოხდა 2006 წელს, 2009 წლის 14 იანვარს კონვენციისა და ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლამდე. საერთაშორისო კანონმდებლობის ძირითადი პრინციპია ხელშეკრულებების არა-რეტროაქტიულობის წესი, რაც გათვალისწინებულია “სახელშეკრულებო სამართლის შესახებ” ვენის კონვენციის (1969) 28-ე მუხლით და აგრეთვე, ასახულია ფაკულტატური ოქმის მე-2(ვ) მუხლში. ვინაიდან კომიტეტს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ მიუღია, სახელმწიფო მხარე მიუთითებს სხვა შესაბამის საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაზე - კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეში “ბლეჩიჩი ხორვატიის წინააღმდეგ”. გადაწყვეტილების 79-ე პუნქტში სასამართლო აცხადებს:

...იმ საქმეებში, სადაც ჩარევა წინ უსწრებს რატიფიცირებას, ხოლო უარი მის გამოსწორებაზე რატიფიცირების შემდეგ ხდება, ამ უკანასკნელი ქმედების თარიღზე დაყრდნობა დროში სასამართლოს იურისდიქციის განსაზღვრისთვის, გამოიწვევს იმას, რომ კონვენცია მბოჭავი იქნება სახელმწიფოსათვის იმ ფაქტთან მიმართებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა მანამ, სანამ კონვენცია ძალაში შევიდოდა ამ სახელმწიფოს მიმართ. თუმცა, აღნიშნული წინააღმდეგობაში მოვიდოდა საერთაშორისო სამართლის ზოგად

პრინციპთან, რომლის თანხმაც, ხელშეკრულებებს უკუძალა არ აქვთ.

4.4 *ratione temporis* დასაშვებობის შეფასებისას, მნიშვნელოვანია “კრიტიკული თარიღის” განსაზღვრა, ე.ი. თარიღისა, როდესაც შესაბამისმა საერთაშორისო ინსტრუმენტმა სახელმწიფო მხარის მიმართ სავალდებულო ძალა შეიძინა; აგრეთვე, იმის დადგენა, თუ როდის მოხდა სავარაუდო დარღვევა - აღნიშნულ თარიღამდე, თუ თარიღის შემდგომ პერიოდში. განსახილველ შემთხვევაში სავარაუდო დარღვევა მოხდა 2006 წლის აგვისტოში, ხოლო საბოლოო სახე მიიღო 2007 წლის 30 აგვისტოს, როდესაც მთავრობამ უარი განაცხადა მომჩივნის სააპელაციო სარჩელის დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, აშკარაა, რომ ფაქტებს არ ჰქონიათ განგრძობითი ხასიათი. შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ომბუდსმენმა “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” წინააღმდეგ შრომის სასამართლოს მიმართა. ომბუდსმენი მოითხოვდა, სახელმწიფო მხარეს დაკისრებოდა მომჩივნის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მის წინააღმდეგ განხორციელებული დისკრიმინაციის გამო.

4.5 ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილება მომჩივნის წინააღმდეგ სავარაუდოდ განხორციელებულ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით შრომის სასამართლომ 2010 წლის 17 თებერვალს მიიღო, არ ნიშნავს იმას, რომ კომიტეტს გააჩნია *ratione temporis* კომპეტენცია წინამდებარე შეტყობინების განსახილველად. შრომის სასამართლოს გადაწყვეტილება მომჩივნის სასარგებლოდ რომც მიეღო, იგი შეძლებდა სახელმწიფოსათვის დაეკისრებინა ფინანსური კომპენსაციის გადახდის ვალდებულება, მაგრამ არ ექნებოდა “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების უფლებამოსილება. საქმის განხილვისას, შრომის სასამართლომ იხელმძღვანელა “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომით ცხოვრებაში დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ” (1999:132) აქტით, რომელიც ძალაში იყო იმ დროს, როცა შესაბამისი მოვლენები განვითარდა, და არა “დისკრიმინაციის აქტით” (2008:567), რომლის ძალაში შესვლითაც (2009 წლის 1 იანვარი) გაუქმდა ზემოაღნიშნული აქტი. დამატებით, კონვენცია არ ითვალისწინებს კომპენსაციის ავტომატურ უფლებას.⁸³ შესაბამისად, სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ კომიტეტი არ არის კომპეტენტური, წინამდებარე შეტყობინება განიხილოს ფაკულტატური ოქმის მე-2(ვ) მუხლის შესაბამისად; შეტყობინების განხილვით კონვენციისათვის მოხდება რეტროაქტიული ძალის მინიჭება, რაც, აგრეთვე, ძირს გამოუთხრის უფლებების დარღვევასა და ზიანის ანაზღაურებას შორის არსებულ ფუნდამენტურ განსხვავებას, რომელიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის საფუძველია.

მომჩივნის კომენტარები სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით

5.1 2012 წლის 31 მაისს, მომჩივანმა კომიტეტს წარუდგინა კომენტარები სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნავდა, რომ სავარაუდო დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ფაქტები სახელმწიფო მხარის მიმართ კონვენციისა და ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლამდე მოხდა. მიუხედავად ამისა, წინამდებარე შეტყობინებაში “წარმოდგენილი ძირითადი ფაქტები” გრძელდებოდა შესაბამისი ხელშეკრულებების ძალაში შესვლის თარიღის

⁸³ სახელმწიფო მხარე მიუთითებს ადამიანის უფლებათა კომიტეტის სასამართლო პრაქტიკაზე, შეტყობინებაში No. 520/1992, “ე და ა.კ. უნგრეთის წინააღმდეგ”, 1994 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება; და ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტის სასამართლო პრაქტიკაზე, შეტყობინებაში No. 7/2005, “მუნიოზ ვარგასი და სენზ დე ვიკუნია ესპანეთის წინააღმდეგ”, 2007 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება.

შემდეგაც; უფრო მეტიც, შრომის სასამართლომ გადაწყვეტილება აღნიშნული თარიღის შემდგომ პერიოდში მიიღო.

5.2 მომჩივანი აცხადებს, რომ წინამდებარე შეტყობინებაში წარმოდგენილი ძირითადი საკითხი უკავშირდება არა “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” მიერ დისკრიმინაციული მოტივით სამსახურში აყვანაზე უარის თქმას, არამედ შრომის სასამართლოს მიერ კონვენციის შეუსაბამო გადაწყვეტილების მიღებას, კონვენციის ძალაში შესვლის შემდგომ. სასამართლო გამოძიების პროცესში ომბუდსმენმა და ტექნიკურმა ექსპერტებმა წარადგინეს მკაფიო წინადადებები “სოციალური დაზღვევის” სააგენტოს სისტემის ადაპტაციის შესაძლებელ და გონივრულ გზებთან დაკავშირებით, ხოლო თავად სასამართლოს განცხადებით, შესაძლებელია ყოფილიყო მოლოდინი იმისა, რომ სააგენტო თავის კომპიუტერულ სისტემებს გახდიდა შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომს. მიუხედავად იმისა, რომ შრომის სასამართლომ სრულად განიხილა საჩივარი, შეაფასა მტკიცებულება და ტექნიკური ანგარიშები, იგი წინ არ აღუდგა ამკარა დისკრიმინაციას საჯარო უწყების - “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” მხრიდან. შესაბამისად, შრომის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც იმ დროისათვის უკვე ძალაში იყო შესული, კონვენციის დარღვევით იქნა მიღებული.

5.3 მომჩივანმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სახელმწიფო მხარემ არ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების საკუთარ კანონმდებლობაში ასახვა, და არ მიუღია რაიმე ზომები მომავალში მსგავსი სახის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად.

სახელმწიფო მხარის დამატებითი არგუმენტები

6.1 2012 წლის 2 ივლისს, სახელმწიფო მხარემ კომიტეტს წარუდგინა დამატებითი არგუმენტები შეტყობინების დასაშვებობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ შეტყობინებაში დასმულ ძირითად საკითხს არ წარმოადგენდა მომჩივნის კონკრეტული შემთხვევა, არამედ ზოგადად, შშმ პირების შესახებ კანონმდებლობა. სახელმწიფო მხარის კანონმდებლობის ამგვარი ზოგადი განხილვა შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ კონვენციის 36-ე მუხლის საფუძველზე, კომიტეტის მიერ წევრი სახელმწიფოების მოხსენების განხილვის ფარგლებში.

6.2 ვინაიდან მოვლენები, რომლებიც საფუძველად უდევს მომჩივნის პრეტენზიებს, 2006 წელს მოხდა, შრომის სასამართლოს უნდა განეხილა იყო, თუ არა “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” მიერ მომჩივნის დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ 2006 წლის აგვისტოში მიღებული გადაწყვეტილება დისკრიმინაციული. შესაბამისად, კონვენციას სასამართლო განხილვის მიმდინარეობაზე გავლენა არ უნდა მოეხდინა, ვინაიდან იმ დროს, როდესაც სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტი მოხდა, კონვენცია სახელმწიფოს მიმართ ძალაში არ იყო შესული. სახელმწიფო მხარე დამატებით აღნიშნავს, რომ მხარეები სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას კონვენციაზე არ მიუთითებდნენ.

კომიტეტის გადაწყვეტილება შეტყობინების დასაშვებობის შესახებ

7.1 2013 წლის 19 აპრილს გამართულ მე-9 სესიაზე, კომიტეტმა განიხილა შეტყობინების დასაშვებობის საკითხი.

7.2 ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (გ) პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, კომიტეტმა დაადგინა, რომ წინამდებარე შეტყობინების თემა კომიტეტს აქამდე

არ განუხილავს, და რომ ეს თემა არ განხილულა და არ განიხილება სხვა საერთაშორისო საგამომიებო ან დავების მოგვარების პროცედურის ფარგლებში.

7.3 რაც შეეხება *ratione temporis* დასაშვებობის საკითხს, კომიტეტმა აღნიშნა სახელმწიფო მხარის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ შეტყობინებაში მოყვანილი მოვლენები მოხდა 2006 და 2007 წლის აგვისტოს თვეში, კონვენციისა და ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლამდე (2009 წლის 14 იანვარს). სახელმწიფო მხარის მტკიცებით, კომიტეტმა საქმე დაუშვებლად უნდა მიიჩნიოს, რათა არ მოხდეს კონვენციის რეტროაქტიულად გამოყენება. აღნიშნულის საპირისპიროდ, იმის გათვალისწინებით, რომ შრომის სასამართლომ გადაწყვეტილება 2010 წლის 17 თებერვალს მიიღო, კომიტეტმა დაასკვნა, რომ მას აქვს *ratione temporis* კომპეტენცია წინამდებარე შეტყობინების განსახილველად.

7.4 კომიტეტმა აგრეთვე გაითვალისწინა მომჩივნის განცხადება იმის თაობაზე, რომ შეტყობინებაში მოყვანილი ფაქტები გრძელდებოდა კონვენციისა და ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, და რომ შრომის სასამართლოს 2010 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება, რომელმაც დისკრიმინაციის საჩივარი სრულად განიხილა, კონვენციის დარღვევით იქნა მიღებული, ვინაიდან სასამართლომ არასათანადოდ შეაფასა ის ფაქტი, რომ ომბუდსმენისა და ტექნიკური ექსპერტების მიერ წარმოდგენილი წინადადებები ცვლილებებისა და შესწორებების შესახებ “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” არაპროპორციულ ან გაუმართლებელ ტვირთს არ აკისრებდა.

7.5 კომიტეტმა მხარეებს შეახსენა, რომ საერთაშორისო კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების თანახმად, ხელშეკრულებებს არ ენიჭება რეტროაქტიული ძალა, რომელიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობას დააკისრებს იმ ქმედებასა თუ მოვლენასთან დაკავშირებით, რომელიც მოხდა, ან იმ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელმაც არსებობა შეწყვიტა შესაბამისი სახელმწიფო მხარის მიმართ კონვენციის ძალაში შესვლამდე, თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი ხელშეკრულების მიერ.

7.6 კომიტეტმა აღნიშნა, რომ “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” გადაწყვეტილება, რომლითაც სააგენტომ მომჩივანს უარი განუცხადა ავადმყოფობის დახმარებისა და ავადმყოფობის კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებების შემფასებელ-გამომძიებლის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით. მომჩივანს შეატყობინეს 2006 წლის 25 აგვისტოს. აღნიშნული გადაწყვეტილება კი მთავრობამ 2007 წლის აგვისტოში დაადასტურა, სახელმწიფო მხარის მიმართ კონვენციისა და ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლამდე (2009 წლის 14 იანვარს). მიუხედავად ამისა, 2010 წლის 17 თებერვალს, შრომის სასამართლომ სრულად განიხილა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ომბუდსმენის მიერ მომჩივნის სახელით წარდგენილი განაცხადი, მათ შორის მოწმეთა და ექსპერტთა მოსაზრებები, და მიიღო პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მომჩივნის პრეტენზიის თაობაზე, “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” მიერ სავარაუდო დისკრიმინაციასთან დაკავშირებით. კომიტეტი ითვალისწინებს, რომ ვინაიდან სასამართლო ერთადერთი სასამართლო ინსტანციაა, რომელიც დისკრიმინაციის შესახებ პრეტენზიებს განიხილავს, მის გადაწყვეტილებას მომჩივნის პრეტენზიების განხილვის მიზნისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კომიტეტი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია შრომის სასამართლოს გადაწყვეტილების ცალკე, ადმინისტრაციული ორგანოების იმ ორი გადაწყვეტილებისაგან იზოლირებულად განხილვა, რომლითაც მომჩივანს უარი ეთქვა სამსახურში აყვანაზე. ზემოაღნიშნული სამი გადაწყვეტილება კი წარმოადგენს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა განხილვაც ეთხოვა კომიტეტს; ხოლო შრომის სასამართლოში მიმდინარე პროცესს ყველაზე მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა შეტყობინების დასაშვებობასთან დაკავშირებით სახელმწიფო მხარის პროტესტის განსახილველად, რომელიც ეყრდნობოდა

ratione temporis არგუმენტს. კომიტეტმა აღნიშნა, რომ შრომის სასამართლო არ შემოიფარგლა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების ფორმალური ასპექტებისა თუ საკანონმდებლო ხარვეზების განხილვით; არამედ, სასამართლომ აგრეთვე განიხილა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ომბუდსმენის მიერ წარდგენილი სარჩელის არსებითი მხარე.⁸⁴ აღნიშნულ ვითარებაში, კომიტეტმა შეტყობინება დასაშვებად მიიჩნია, ვინაიდან 2010 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება შრომის სასამართლომ გამოიტანა იმ პერიოდში, როდესაც სახელმწიფო მხარის მიმართ კონვენცია ძალაში შესული იყო და შესაბამისად, ვერ დაექვემდებარებოდა შემდგომ გასაჩივრებას. აღნიშნულის საფუძველზე, კომიტეტმა მიიჩნია, რომ მას *ratione temporis* პრინციპზე დაყრდნობით წინამდებარე შეტყობინების განხილვა არ ეკრძალება; კერძოდ, კომიტეტის წინაშე წარდგენილი ფაქტების ნაწილსა და ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვას ადგილი ჰქონდა სახელმწიფო მხარის მიმართ კონვენციისა და ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლის შემდგომ პერიოდში.

7.7 ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებით, კომიტეტმა აღნიშნა მომჩივნის განცხადება იმის თაობაზე, რომ შრომის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება, და რომ მას დაცვის სხვა საშუალებაზე არ მოუწევდებოდა ხელი. შესაბამისად, კომიტეტმა მიიჩნია, რომ ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები ამოწურულია. ვინაიდან შეტყობინების დასაშვებობის წინააღმდეგ სხვა არგუმენტი არ არსებობს, კომიტეტმა კომუნიკაცია დასაშვებად გამოაცხადა.

სახელმწიფო მხარის არგუმენტები შეტყობინების არსებით მხარესთან დაკავშირებით

8.1 2013 წლის 20 ნოემბრის ზეპირ შეტყობინებაში სახელმწიფო მხარემ კომიტეტს წარუდგინა არგუმენტები შეტყობინების არსებით მხარესთან დაკავშირებით.

8.2 სახელმწიფო მხარე სასამართლოს შეახსენებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებების კონვენცია შვედეთის მიმართ 2009 წლის 14 იანვარს შევიდა ძალაში. იმ დროისათვის არსებულმა მთავრობამ მიიჩნია, რომ მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება არ იყო საჭირო. ამ კუთხით, სახელმწიფო მხარე მიუთითებს კონსტიტუციის 1-ლი თავის მე-2 მუხლზე, რომელიც შეეხება თანასწორობასა და დისკრიმინაციის აკრძალვას. აღნიშნული მუხლის თანახმად, საჯარო ხელისუფლება ვალდებულია, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში თანასწორობისა და მონაწილეობის საყოველთაო შესაძლებლობას, ხოლო საჯარო ინსტიტუტები ვალდებული არიან, ებრძოლონ ადამიანთა დისკრიმინაციას, მათ შორის, ფუნქციონალური დარღვევის ნიშნით.

8.3 სახელმწიფო მხარე დამატებით მიუთითებს “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომით ცხოვრებაში დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ” 1999 წლის აქტზე (1999:132), რომელიც 2009 წლის 1 იანვარს გაუქმდა, “დისკრიმინაციის აქტის” (2008:567) ძალაში შესვლის

⁸⁴ წინამდებარე შეტყობინებაში წარმოდგენილი ფაქტები კონვენციისა და ფაკულტატური ოქმის შვედეთის მიმართ ძალაში შესვლის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილების რელევანტურობასთან დაკავშირებით განსხვავდება შეტყობინებაში No. 6/2011 (“მაკალპინი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება”) წარმოდგენილი ფაქტებისაგან. კერძოდ, ხსენებულ საქმეში გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლომ გაერთიანებული სამეფოს მიმართ ორივე ინსტრუმენტის ძალაში შესვლის შემდეგ მიიღო, შეეხებოდა კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს; სასამართლოს არ განუხილავს დისკრიმინაციის შესახებ პრეტენზია, როგორც ასეთი.

შედეგად; თუმცა, იმ დროს, როდესაც მომჩივანმა შვედეთის “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” წინააღმდეგ შრომის სასამართლოს მიმართა, 1999 წლის ზემოაღნიშნული აქტი ძალაში იყო. აქტის მე-3 მუხლის თანახმად, დამსაქმებელს ეკრძალება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სამუშაოს მაძიებლის (განმცხადებლის) ან თანამშრომლის დისკრიმინაცია, მსგავს სიტუაციაში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე პირებთან შედარებით უთანასწოროდ მოპყრობის გზით. 1999 წლის აქტის მე-5 მუხლის საფუძველზე, დისკრიმინაციის აკრძალვა ვრცელდება შრომითი ცხოვრების შემადგენელ სხვადასხვა სიტუაციაზე, მათ შორის დამსაქმებლის მიერ სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაზე, განმცხადებელთა გასაუბრებისათვის გადარჩევაზე ან სამუშაოს მიღების პროცესში სხვა რაიმე ქმედების განხორციელებაზე.

8.4 რათა დადგინდეს, დაირღვა თუ არა 1999 წლის აქტის ზემოაღნიშნული მოთხოვნები კონკრეტულ პირთან მიმართებაში, საჭიროა, დამსაქმებლის ან განმცხადებლის შედარება არსებულ ან ჰიპოთეტურ პიროვნებასთან, რომელიც მსგავს მდგომარეობაში იმყოფება. შშმ პირისათვის სხვებთან შედარებით თანასწორი პიროვნების შესაქმნელად, 1999 წლის აქტის მე-6 მუხლის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია, განახორციელოს მხარდაჭერისა და ადაპტაციის გონივრული ღონისძიებები. დამატებით, სახელმწიფო მხარე კომიტეტს ატყობინებს, რომ 1999 წლის აქტის მოსამზადებელი მასალების თანახმად⁸⁵, მხარდაჭერა და ადაპტაცია, რომლის განხორციელებაც დამსაქმებელს მოეთხოვება გულისხმობს შემდეგ: დამსაქმებელს არ აქვს უფლება, პიროვნების შეზღუდულ შესაძლებლობას მიანიჭოს რაიმე მნიშვნელობა, იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი და გონივრულია მხარდაჭერისა და ადაპტაციების ზომების მეშვეობით პირის შრომისუნარიანობაზე დარღვევის გავლენის აღმოფხვრა ან შემცირება იმ დოზით, რაც აღნიშნულ პირს ძირითადი ფუნქციების შესრულების შესაძლებლობას მისცემს. დამსაქმებელი, რომელიც პირს დასაქმებაზე უარს ეუბნება იმ შეზღუდული შესაძლებლობის გამო, რომლის საკმარისი დოზით აღმოფხვრა ან მათი შემცირებაა შესაძლებელი გონივრული მხარდაჭერისა და ადაპტაციის ღონისძიებების საშუალებით, ახდენს პირდაპირ დისკრიმინაციას. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ [ჯანმრთელობის] დარღვევა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დასაქმების მოსურნე პირის შრომისუნარიანობაზე, გონივრული მხარდაჭერისა და ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაშიც კი, ითვლება, რომ აღნიშნულ პირს სამუშაოსათვის შესაბამისი ობიექტური შესაძლებლობები არ გააჩნია. შესაბამისად, მას არ აქვს უფლება, ამტკიცოს, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლია.

8.5 1999 წლის აქტის თანახმად, [მხარდაჭერისა და ადაპტაციის] შესაძლო ზომებია: ოკუპაციური დამხმარე ხელსაწყოების შეძენა ან დასაქმების ადგილზე შესწორებების შეტანა; აგრეთვე, შესასრულებელი სამუშაოს ორგანიზებაში ცვლილებების განხორციელება, სამუშაო საათებისა თუ ფუნქციების კუთხით. დამსაქმებელს ევალება მხოლოდ ისეთი მხარდაჭერისა და ადაპტაციის ზომების მიღება, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს გონივრულად, თითოეული კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით. შეფასებისას განიხილება შემდეგი ფაქტორები: “(i) საჭირო ზომებთან დაკავშირებული ხარჯები, დამსაქმებლის მიერ ამ ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობასთან მიმართებით; (ii) ზომების განხორციელების რეალურად არსებული შესაძლებლობები და მათი სავარაუდო გავლენა კონკრეტულ შშმ პირზე; (iii) დასაქმების ადგილზე [შესაბამისი] ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა; (iv)

⁸⁵ 1999 წლის აქტის მოსამზადებელი მასალები, მთავრობის კანონპროექტი 1997/98: გვ.179 f. და 85 f.

განხორციელებული ღონისძიებების გავლენა შშმ პირის შესაძლებლობაზე, შეასრულოს კონკრეტულ თანამდებობასთან დაკავშირებული ფუნქციები; (v) დასაქმების ხანგრძლივობა.”⁸⁶

8.6 სახელმწიფო მხარის ინფორმაციით, ეროვნული კანონმდებლობა, მათ შორის 1999 წლის აქტი ეფუძნება ევროპის საბჭოს სხვადასხვა დირექტივებს დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე, მათ შორის 2000 წლის 27 ნოემბრის დირექტივას #2000/78/EC, რომელიც ქმნის ზოგად ჩარჩოს დასაქმებისა და ოკუპაციის სფეროში. აღნიშნული დირექტივის იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში ხორციელდება, მათ შორის, 1999 წლის აქტისა და “დისკრიმინაციის აქტის” საშუალებით.

8.7 სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ეროვნული პოლიტიკის მიზანია მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნა, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ნებისმიერი ასაკის ადამიანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობის შესაძლებლობა ექნება და შშმ გოგონები, ბიჭები, ქალები და კაცები ისარგებლებენ სხვებთან თანასწორი საცხოვრებელი პირობებით. აღნიშნული მიზნების მისაღწევად ხორციელდება იმ ბარიერთა გამოვლენა და აღმოფხვრა, რომლებიც ხელს უშლის შშმ პირების სრულყოფილ მონაწილეობას საზოგადოებაში; დისკრიმინაციის პრევენცია და მასთან ბრძოლა; აგრეთვე, შშმ ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოზარდების უზრუნველყოფა შესაძლებლობებით, რათა მათ მიაღწიონ დამოუკიდებლობასა და თვით-გამორკვევას. შეზღუდული შესაძლებლობის პოლიტიკის ამოცანები უნდა განხორციელდეს საზოგადოების ყველა სფეროში. 2001 წელს გამოიცა ცალკე ბრძანებულება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო უწყებებმა თავიანთი საქმიანობების შედგენასა და განხორციელებაში უნდა გაითვალისწინონ შეზღუდული შესაძლებლობის პოლიტიკის ამოცანები და თავიანთი ქმედებებით უზრუნველყონ შშმ პირების მიერ საზოგადოებაში სრულფასოვანი მონაწილეობა და მათ მიერ თანაბარი საცხოვრებელი პირობებით სარგებლობა. 2006 წლის 1 იანვარს, სახელმწიფო მხარემ შექმნა “შეზღუდული შესაძლებლობის პოლიტიკის საკოორდინაციო სააგენტო” (Handisam), რომელიც ხელს უწყობს მთავრობის შეზღუდული შესაძლებლობის პოლიტიკის განხორციელებას.

8.8 სახელმწიფო მხარე მიიჩნევს, რომ მომჩივნის საჩივართან დაკავშირებული ძირითადი საკითხი მდგომარეობს შემდეგში: იქნებოდა, თუ არა გონივული “სოციალური დაზღვევის სააგენტოზე” მოცემულ შემთხვევაში მხარდაჭერისა და ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელების ვალდებულების დაკისრება, სააგენტოს მიერ მომჩივანის დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. სახელმწიფო მხარემ კიდევ ერთხელ იმეორებს 2012 წლის 24 თებერვალს წარმოდგენილ კომენტარებს და აცხადებს, რომ კომიტეტს არ აქვს უფლება იმსჯელოს წინამდებარე შეტყობინების არსებით მხარეზე, ვინაიდან შეტყობინების ავტორი ითხოვს ზოგად განხილვას იმისა, თუ რამდენად შეესაბამება დისკრიმინაციის შესახებ ეროვნული კანონმდებლობა კონვენციას.

8.9 დამატებით, სახელმწიფო მხარის მტკიცებით, აშკარაა, რომ 1999 წლის აქტი შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს გონივრულ მისადაგებასთან დაკავშირებით, აქტის მე-3 და მე-6 მუხლების საფუძველზე, დამსაქმებელს მოეთხოვება მხარდაჭერისა და ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელება, რათა, დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად, შშმ პირს ჰქონდეს მსგავს თანამდებობაზე დასაქმების შესაძლებლობა, შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირთან თანასწორობის საფუძველზე. აღნიშნული მოვალეობა გულისხმობს მხოლოდ იმ ღონისძიებებს, რომლებიც შესაძლოა მიჩნეული იქნას “გონივრულად”. სახელმწიფო მხარეს

⁸⁶ 1999 წლის აქტის მოსამზადებელი მასალები, მთავრობის კანონპროექტი, ციტ. გვ.53 f. და 85 f.

მიაჩნია, რომ ამგვარი შეზღუდვა და ზოგადად, 1999 წლის აქტი, კონვენციის მე-5 და 27-ე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია, რის გამოც წინამდებარე საქმე არ წარმოადგენს კონვენციის დარღვევას, ეროვნულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

8.10 რაც შეეხება წინამდებარე საქმეში, კონვენციის შესაბამისად, რელევანტური ეროვნული კანონმდებლობის გამოყენების საკითხს, სახელმწიფო მხარე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც სახელმწიფო მხარეს უფლება აქვს, ევროპული ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ, განახორციელოს გარკვეული დისკრეცია საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ან სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კონვენციით დაცული უფლებების სფეროში. სასამართლოს სიტყვებით რომ ვთქვათ, “თავიანთი ქვეყნის რეალიტთან თავიანთი პირდაპირი და უწყვეტი კონტაქტის წყალობით სახელმწიფოს ხელისუფლება, პრინციპულად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, გამოთქვას აზრი [შესაბამის] მოთხოვნებთან დაკავშირებით”.⁸⁷ სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ ევროპული სასამართლოს მიერ გამოყენებული თავისუფალი შეფასების ფარგლების დოქტრინა ასახავს “ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ ევროპული კონვენციის” (“ადამიანის უფლებების შესახებ ევროპული კონვენცია”) მეორეხარისხოვან როლს იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი პასუხისმგებლობა ხელისშემკვრელ მხარეებს ეკისრებათ. ასეთ დროს სასამართლოს როლი შემოიფარგლება სახელმწიფო მხარეთა ქმედებების მონიტორინგით. იგი არ წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს, სადაც ხდება ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებით ადგილობრივი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება.

8.11 სახელმწიფო მხარე აგრეთვე მიუთითებს ადამიანის უფლებათა კომიტეტის სასამართლო პრაქტიკაზე და აღნიშნავს, რომ კომიტეტი სახელმწიფოებს თავისუფალი შეფასების ფარგლებს ხშირად ანიჭებს⁸⁸. როდესაც საქმე ეხება ეკონომიკურ საკითხებს, თავისუფალი შეფასების ფარგლები განსაკუთრებით ფართოა.⁸⁹ სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებების კომიტეტმა წინამდებარე საქმის განხილვის პროცესში მსგავსი მიდგომა უნდა გამოიჩინოს; შესაბამისად, მის მიერ საქმის განხილვის საწყის წერტილს ეროვნულ დონეზე წარმოებული სასამართლო პროცესი და ეროვნული ორგანოების (განსაკუთრებით კი, შრომის სასამართლოს) შეფასებები უნდა წარმოადგენდეს.

8.12 სახელმწიფო მხარე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შრომის სასამართლოში მიმდინარე პროცესის ფარგლებში არა მხოლოდ განხილულ იქნა “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” და “თანასწორობის ომბუდსმენის” წერილობითი მოსაზრებები, არამედ სასამართლოს წინაშე ზეპირი მოსმენაც გაიმართა. აღნიშნული ორივე მხარეს საშუალებას აძლევდა, წარედგინათ თავიანთი წერილობითი და ზეპირი მტკიცებულებები. [სასამართლოზე] ფიცის ქვეშ ჩვენება მისცეს მხარეების მიერ მიწვეულმა მოწმეებმა, მათ შორის მომჩივანმაც. სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით, შრომის სასამართლოს ჰქონდა საკმარისი საფუძველი მოცემული საქმის შესაფასებლად. დამატებით, მომჩივნის თხოვნის საფუძველზე,

⁸⁷ ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1976 წლის 7 დეკემბერი, სერია A No. 24, პუნქტი 48.

⁸⁸ შეტყობინება No. 61/1979, “ჰერცბერგი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ”, 1982 წლის 2 აპრილის მოსაზრებები, პუნქტი 10.3; შეტყობინება No. 1621/2007, რეიმენი ლატვიის წინააღმდეგ, 2010 წლის 28 ოქტომბრის მოსაზრებები, პუნქტი 8.3; კომუნიკაცია No. 1136/2002, “ვაჩესლავ ბოზროვი ესტონეთის წინააღმდეგ”, 2004 წლის 26 ივლისის მოსაზრებები, პუნქტი 7.3

⁸⁹ სახელმწიფო მხარე მიუთითებს შეტყობინებაზე No. 197/1985, კიტოკი შვედეთის წინააღმდეგ, 1988 წლის 17 ივლისის მიღებული მოსაზრებები, პუნქტი 9.2, რომელშიც კომიტეტმა დაადგინა, რომ “ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება, როგორც წესი, მხოლოდ სახელმწიფოს საქმეა.”

საქმეში მოსარჩელეს “თანასწორობის ომბუდსმენი” წარმოადგენდა. შესაბამისად, მომჩივნის საქმეზე მუშაობდა საჯარო ანტი-დისკრიმინაციული ორგანო, რაც უზრუნველყოფდა მისი მოსაზრებებისა და ინტერესების ეფექტურად წარმოჩენას. და ბოლოს, შრომის სასამართლო სპეციალიზირებული სასამართლოა, რომელიც დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს. მოსმენასა და განხილვებში მონაწილეობა მიიღო შრომის სასამართლოს შვიდმა წევრმა, რომლებმაც მიაღწიეს ერთსულოვან გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ “თანასწორობის ომბუდსმენს” პრეტენზიების დაკმაყოფილებაზე უარი უნდა ეთქვას.

8.13 რაც შეეხება შრომის სასამართლოს განხილვასა და შეფასებას, სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ ზოგად მოკვლევას არ გამოუვლენია რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ საქმის მართვის სისტემის რეპროგრამირება მომჩივნის ინტერესების გათვალისწინებით, ამ უკანასკნელს სისტემაში თავისუფლად ნავიგაციის შესაძლებლობას მისცემდა. შემოთავაზებული პროცედურა ყველა საჭირო მონაცემის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ბევრ დროსა და ძალისხმევას მოითხოვდა. სახელმწიფო მხარის მტკიცებით, აშკარა იყო, რომ სადაზღვევო სააგენტოს მიერ მხარდაჭერისა და ადაპტაციის ღონისძიებების მიღება იმისათვის, რომ მომჩივანი შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებთან შედარებით თანასწორ მდგომარეობაში ჩაეყენებინა, არ იქნებოდა გონივრული.

8.14 სახელმწიფო მხარის მტკიცებით, გადაწყვეტილება უდაოდ ადასტურებს, რომ შრომის სასამართლომ თანასწორობის ომბუდსმენის მიერ წარდგენილი საჩივარი მთლიანად და სრულყოფილად განიხილა; გადაწყვეტილება კარგად იყო დასაბუთებული და ამასთან, შრომის სასამართლომ გამოიჩინა სათანადო მზრუნველობა და დასკვნის გამოტანამდე განსხვავებული პრეტენზიები განიხილა.

8.15 რაც შეეხება მომჩივნის პრეტენზიას, რომლის თანახმადაც შრომის სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” კომპიუტერულ პროგრამებში შეტანილი შესწორება სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ მომჩივანს, არამედ მხედველობის დარღვევის მქონე სხვა მომავალ თანამშრომლებს, სახელმწიფო მხარე აცხადებს შემდეგს: 1999 წლის აქტისა და “დისკრიმინაციის აქტის” დებულებები მხარდაჭერისა და ადაპტაციის გონივრულ ღონისძიებებთან დაკავშირებით პიროვნებებს ინდივიდუალურ შემთხვევებში დისკრიმინაციული ზომებისაგან იცავს და ზოგადი ხელმისაწვდომობის შექმნას არ ისახავს მიზნად.

8.16 მომჩივნის არგუმენტთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც შრომის სასამართლოში გამართულ პროცესზე დამსაქმებელს მტკიცების ტვირთი არ დაეკისრა, სახელმწიფო მხარე განმარტავს, რომ 1999 წლის აქტის 24(ა) მუხლით გათვალისწინებულია შემდეგი: პირმა, რომელიც ამტკიცებს, რომ იგი დისკრიმინაციის მხვერპლია, უნდა წარმოადგინოს იმ გარემოებების დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც დისკრიმინაციის ბრალდებების საფუძველს იძლევა. მეორე მხარემ კი უნდა დაამტკიცოს, რომ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია.

8.17 სახელმწიფო მხარე დამატებით აცხადებს, რომ შრომის სასამართლოს შეფასებისას გამოყენებული იქნა იგივე “გონივრულობის ტესტი”, რომელსაც კომიტეტი გამოიყენებდა საქმის კონვენციის მე-2, მე-5 და 27-ე მუხლების საფუძველზე შეფასებისას. აღნიშნული ითვალისწინებს ეკონომიკური ფაქტორების გამოკვლევასა და საქმეში არსებული განსხვავებული ინტერესების დაბალანსებას.

8.18 სახელმწიფო მხარის თანახმად, შრომის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მომჩივნის წინააღმდეგ გამოტანა გავლენას არ ახდენს იმ ფაქტზე, რომ ეროვნულ დონეზე საქმის წარმოება და შეფასება მაღალი სტანდარტის შესაბამისად განხორციელდა; აღნიშნული

პროცესების თვითნებურობასა თუ ხარვეზიანობაზე არანაირი მტკიცებულება არ მიუთითებს. სახელმწიფო მხარის განცხადებით, კომიტეტი უნდა დაეთანხმოს შრომის სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სოციალური დაზღვევის სააგენტოსათვის არაგონივრული იქნებოდა მხარდაჭერისა და ადაპტაციის იმ ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც მომჩივანს, მსგავსი ფუნქციონალური შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე პირებთან შედარებით, თანასწორ მდგომარეობაში ჩააყენებდა. შესაბამისად, სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ წინამდებარე საქმეში კონვენცია არ დარღვეულა.

მომჩივნის კომენტარები სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით

9. 2014 წლის 11 მარტს მომჩივანმა წარმოადგინა პასუხი სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნული იყო, რომ მას დამატებითი კომენტარები არ აქვს და რომ თავდაპირველ შეტყობინებაში წარდგენილ არგუმენტებს კიდევ ერთხელ ადასტურებს.

არსებითი მხარის განხილვა

10.1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა წინამდებარე შეტყობინება განიხილა მიღებული ინფორმაციის, ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 73-ე წესის 1 პუნქტის შესაბამისად.

10.2 კომიტეტი აღნიშნავს სახელმწიფო მხარის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ კომიტეტს არ აქვს უფლება, განიხილოს შეტყობინება, ვინაიდან შეტყობინების ავტორი ითხოვს ზოგად განხილვას იმისა, თუ რამდენად შეესაბამება დისკრიმინაციის შესახებ ეროვნული კანონმდებლობა კონვენციას. კომიტეტი მხარეებს შეახსენებს: იმისათვის, რომ მომჩივანი დაზარალებულად იქნას ცნობილი, საკმარისი არ არის მომჩივნის მიერ იმის მტკიცება, რომ არსებული კანონმდებლობა მის უფლებებს არღვევს.⁹⁰ წინამდებარე საქმეში, მომჩივანი მიიჩნევს, რომ 1999 წლის აქტის გამოყენებამ იგი უთანასწორო მდგომარეობაში ჩააყენა. შესაბამისად, კომიტეტმა წინამდებარე საქმეში განსახილველია არა ზოგადად 1999 წლის აქტი, არამედ მისი გამოყენება შრომის სასამართლოს მიერ, მომჩივნის საქმესთან დაკავშირებით.

10.3 წინამდებარე საქმეში განსახილველი საკითხი მდგომარეობს შემდეგში: დაირღვა, თუ არა კონვენციის მე-5 და 27-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები შრომის სასამართლოს მიერ 2010 წელს მიღებული გადაწყვეტილებით. ამ კუთხით, კომიტეტი აღნიშნავს მომჩივნის ბრალდებებს იმასთან დაკავშირებით, რომ შრომის სასამართლოს გადაწყვეტილება იყო დისკრიმინაციული, ვინაიდან მან ადექვატურად არ შეაფასა “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” მიერ მხარდაჭერისა და ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა, სააგენტოს შიდა კომპიუტერული სისტემების მომჩივნის მხედველობის დარღვევასთან ადაპტირების მიზნით, რითაც მომჩივანს საშუალება ექნებოდა შეესრულებინა შემფასებელ-გამომძიებლის თანამდებობასთან დაკავშირებული პროფესიული მოვალეობები; მომჩივნისვე მტკიცებით, სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია ის ფაქტი, რომ “სოციალური

⁹⁰ იხ. შეტყობინება No. 318/1988, “*ე.პ. და სხვები კოლუმბიის წინააღმდეგ*”, 1990 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება დასაშვებობასთან დაკავშირებით, პუნქტი 8.2; *ავრეთვე, შეტყობინება No. 35/1978, “ომირული-ჩიფრა და 19 სხვა მავრიტანელი მავრიკის წინააღმდეგ*”, 1981 წლის 9 აპრილს მიღებული მოსაზრებები, პუნქტი 9.2

დაზღვევის სააგენტოს” მიერ კომპიუტერულ პროგრამაში შესწორებების განხორციელება სარგებელს მოუტანდა მხედველობის დარღვევის მქონე სხვა მომავალ თანამშრომლებსაც.

10.4 კომიტეტი მხარეებს შეახსენებს, რომ კონვენციის 27-ე მუხლის (ა), (ე), (ზ) და (ი) პუნქტების თანახმად, სახელმწიფო მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, აკრძალონ დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე, ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება დასაქმების ყველა ფორმას, მათ შორის სამუშაოზე მიღების, დაქირავებისა და დასაქმების, დასაქმების ხანგრძლივობის, სამსახურებრივი წინსვლის პირობებსა და შრომის უსაფრთხო და ჯანსაღ პირობებს; ხელი შეუწყონ შრომის ბაზარზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების შესაძლებლობებს და სამსახურებრივ წინსვლას, ასევე, მათ დახმარებას სამუშაოს ძებნაში, მიღებაში, შენარჩუნებასა და დაბრუნებაში; დაასაქმონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საჯარო სექტორში; და უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამუშაო ადგილების შესაფერისი გონივრული მისადაგება; კომიტეტი მხარეებს დამატებით შეახსენებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, “გონივრული მისადაგება” გულისხმობს საჭირო და შესაბამისი ცვლილებების და შესწორებების შეტანას, მოცემული გარემოების საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც არ იქცევიან დისპროპორციულ ან არააუცილებელ ტვირთად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ სხვებთან თანასწორად ადამიანის ყველა უფლებით და ფუნდამენტური თავისუფლებით სარგებლობის ან მათი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით. კომიტეტი დამატებით აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის 1 და 2 პუნქტები სახელმწიფო მხარეს აკისრებენ შემდეგ ზოგად ვალდებულებებს: აღიარონ, რომ კანონის წინაშე და მის თანახმად ყველა ადამიანი თანასწორია და ყველას ერთნაირად, დისკრიმინაციის გარეშე, აქვს უფლება, დაცული იყოს და ისარგებლოს კანონით; აკრძალონ შეზღუდულ შესაძლებლობაზე დაფუძნებული ყველანაირი დისკრიმინაცია და ამ უკანასკნელის საფუძვლის მიუხედავად, უზრუნველყონ შშმ პირები სხვების თანაბრად, მისგან ეფექტური იურიდიული დაცვით.

10.5 კომიტეტი მიიჩნევს, რომ მისადაგების ღონისძიებების გონივრულობის შეფასებისას, სახელმწიფო მხარეებს ენიჭებათ თავისუფალი შეფასების გარკვეული ფარგლები. კომიტეტი დამატებით აცხადებს, რომ ზოგადად კონკრეტულ საქმეში ფაქტებისა და მტკიცებულებების შეფასება კონვენციის ხელისმომწერი სახელმწიფოების სასამართლოების მოვალეობას წარმოადგენს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დადგინდა, რომ შეფასება აშკარად იყო თვითნებური ან მართლმსაჯულების აღსრულებაზე უარის თქმას წარმოადგენდა.⁹¹

10.6 წინამდებარე საქმეში, კომიტეტი მიიჩნევს რომ შრომის სასამართლომ სრულად და ობიექტურად შეაფასა მომჩივნისა და “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” მიერ წარდგენილი [საქმის] ელემენტები, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ომბუდსმენის მიერ რეკომენდირებული მხარდაჭერისა და ადაპტაციის ღონისძიებები “სოციალური დაზღვევის სააგენტოსათვის” უსამართლო ტვირთი იქნებოდა. კომიტეტი დამატებით მიიჩნევს, რომ მომჩივანს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რის საფუძველზეც კომიტეტი დაასკვნია, რომ შეფასება იყო აშკარად თვითნებური ან მართლმსაჯულების აღსრულებაზე უარის თქმას წარმოადგენდა. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კომიტეტი ვერ დაასკვნის, რომ მიღებული გადაწყვეტილება, შრომის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს ობიექტურ და გონივრულ მოსაზრებებს არ ეფუძნებოდა. შესაბამისად, კომიტეტს

⁹¹ მაგ. იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტი, შეტყობინება No. 1329/2004 და შეტყობინება No. 1330/2004, “პერეზ მუნუერა და ჰერნანდეზ მატეო ესპანეთის წინააღმდეგ”, 2005 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, პუნქტი 6.4; შეტყობინება 1540/2007, “მალმონდ ვალიდ ნაკრამი და ლიუ ქიფენი შვედეთის წინააღმდეგ”, 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, პუნქტი 7.3.

მიაჩნია, რომ წინამდებარე საქმეში კონვენციის მე-5 და 27-ე მუხლების დარღვევის დადგენა შეუძლებელია.

11. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმის მე-5 მუხლის შესაბამისად, მიიჩნევს, რომ კომიტეტის წინაშე წარმოდგენილი ფაქტები კონვენციის მე-5 და 27-ე მუხლების დარღვევას არ წარმოადგენს.

დანართი

კომიტეტის წევრების კარლოს რიოს ესპინოსას, თერესია დეგენერის, მუნთიან ბუნტანის, სილვია ჯუდიტ ქუან-ჩენგისა და მარია სოლედად ცისტერნას რეისის ერთობლივი (განსხვავებული) მოსაზრება

1. ჩვენ არ ვეთანხმებით კომიტეტის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ წინამდებარე საქმეში განსახილველ საკითხია: არის თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება დისკრიმინაციული იმ საფუძველით, რომ სასამართლომ ადეკვატურად არ შეაფასა “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” მიერ მხარდაჭერისა და ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელება, რათა მომხდარიყო სააგენტოს შიდა კომპიუტერული სისტემების ადაპტირება მომჩივნის მხედველობის დარღვევასთან (იხ. პუნქტი 10.3). ჩვენი მოსაზრებით, განსახილველი საკითხი იყო უფრო ფართო, ვინაიდან შვედეთის ომბუდსმენმა წარმოადგინა სხვადასხვა ალტერნატიული გზები იმისათვის, რომ “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” მომჩივნისათვის შემფასებელ-გამომძიებლის თანამდებობასთან დაკავშირებული პროფესიული მოვალეობების შესრულების საშუალება მიეცა. უნდა მომხდარიყო წარმოდგენილი ალტერნატივების ანალიზი კონვენციის მე-5 მუხლში მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე, კონკრეტულ საქმეში გონივრული მისადაგების გამოყენებასთან დაკავშირებით.

2. კომიტეტს მართლაც არ გააჩნია უფლებამოსილება ინდივიდუალური შეტყობინებების განხილვის პროცესში იმოქმედოს, როგორც მესამე ინსტანციამ. ამასთან, სახელმწიფო მხარეებს მართლაც ენიჭებათ გარკვეული თავისუფალი შეფასების ფარგლები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა კონკრეტულ საქმეში მისადაგების ღონისძიებების გონივრულობისა და უსამართლო ტვირთის საკითხის შეფასება. მიუხედავად ამისა, კომიტეტს უნდა განეხილა სახელმწიფოს მიერ მოცემულ საქმეში გამოყენებული კრიტერიუმები, რათა დაედგინა, დაირღვა, თუ არა კონვენციის მე-5 და 27-ე მუხლები. შრომის სასამართლოს მიერ 2010 წელს გადაწყვეტილების მიღების დროისათვის კონვენცია სახელმწიფო მხარის მიმართ ძალაში იყო შესული, როგორც ეს აღინიშნა კომიტეტის გადაწყვეტილებაში შეტყობინების დასაშვებობის შესახებ. შესაბამისად, შრომის სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა არა მხოლოდ 1999 წლის აქტი “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომით ცხოვრებაში დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ” (1999:132), არამედ კონვენციის მე-5 მუხლში გათვალისწინებული “გონივრული მისადაგების” ფარგლები. აღნიშნული მსჯელობა კომიტეტისაგან არ საჭიროებს კანონმდებლობის აბსტრაქციულ ანალიზს კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობის დასადგენად; არამედ, იგი გულისხმობს იმ კრიტერიუმების განხილვას, რომელიც კონკრეტულ საქმეში იქნა გამოყენებული იმის დასადგენად, თუ რამდენად გონივრული იყო შვედეთის თანასწორობის ომბუდსმენის მიერ რეკომენდირებული ზომების მიღება.

3. წინამდებარე საქმეში შრომის სასამართლოს მიერ ჩატარებული ანალიზი ეყრდნობოდა ხუთ კრიტერიუმს; ხუთივე მათგანი მომდინარეობდა “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომით ცხოვრებაში დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ” 1999 წლის აქტიდან: (i) საჭირო ზომებთან დაკავშირებული ხარჯები, დამსაქმებლის მიერ ამ ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობასთან მიმართებით; (ii) ზომების განხორციელების რეალურად არსებული შესაძლებლობები და მათი სავარაუდო გავლენა კონკრეტულ შშმ პირზე; (iii) დასაქმების ადგილზე [შესაბამისი] ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა; (iv) განხორციელებული ღონისძიებების გავლენა შშმ პირის შესაძლებლობაზე, შეასრულოს კონკრეტულ თანამდებობასთან დაკავშირებული ფუნქციები; (v) დასაქმების ხანგრძლივობა. წინამდებარე საქმის ზემოაღნიშნულ

საკანონმდებლო ჩარჩოში განხილვის შემდეგ, შრომის სასამართლომ დაასკვნა, რომ შესწორებები ბევრ დროსა და ძალისხმევას მოითხოვდა.

4. “გონივრული მისადაგების” ანალიზი უნდა განხორციელდეს თითოეული შემთხვევის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ხოლო შემოთავაზებული მისადაგების ზომების პროპორციულობა უნდა შეფასდეს იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც აღნიშნული ზომები მოითხოვს. წინამდებარე საქმეში, მისადაგების ზომები მოთხოვნილ იქნა პროფესიულ კონტექსტში. შესაბამისად, გონივრულობისა და პროპორციულობის ტესტმა უნდა დაადასტუროს, მათ შორის, ის, რომ (i) მისადაგების ზომები იმ შშმ პირის დასაქმების ხელშეწყობისთვის იქნა მოთხოვნილი, რომელსაც გააჩნია პროფესიული შესაძლებლობა და გამოცდილება შესაბამის თანამდებობასთან დაკავშირებული ფუნქციების შესასრულებლად; და (ii) გონივრულობის ფარგლებში შესაძლოა არსებობდეს იმ საჯარო თუ კერძო კომპანიის ან დაწესებულების მიერ, რომელსაც კანდიდატმა განცხადებით მიმართა, მისადაგების ზომების მიღებისა და განხორციელების მოლოდინი. კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა ის საკითხი, თუ რამდენად აქვს მომჩივანს შესაბამის თანამდებობასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო პროფესიული შესაძლებლობა და სამუშაო გამოცდილება. “გონივრული მისადაგების” ერთ-ერთი კონკრეტული მიზანია ფაქტობრივი შეზღუდვების კომპენსაცია, შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით; შესაბამისად, ხსენებული ფუნქციების შესასრულებლად ფაქტობრივი შესაძლებლობის ნაკლებობა არ უნდა იქნას მიჩნეული პირის დასაქმების ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორად.

5. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მისადაგების მოთხოვნილი ზომების შეფასებისას, დამატებითი პოზიტიური კრიტერიუმის სახით არ განხილულა ომბუდსმენის მიერ შეთავაზებული ზომების პოტენციური გავლენა მომავალში მხედველობის დარღვევის მქონე სხვა პირების დასაქმებაზე. გონივრული მისადაგება არსებითად ინდივიდუალური ზომას წარმოადგენს⁹², მაგრამ კონვენციის მე-5, მე-9 და 27-ე მუხლების შესაბამისად, [ზომების] გონივრულობისა და პროპორციულობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ის სარგებელი, რასაც სხვა შშმ დასაქმებულები მიიღებენ. შრომის სასამართლოს უფრო გულდასმით უნდა განეხილა “სოციალური დაზღვევის სააგენტოს” პროფილი, მათ შორის მისი როლი და ფუნქციები იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტო სახელმწიფო მხარის ერთ-ერთი მთავარი საჯარო ინსტიტუტია, რომლის მოვალეობებშიც შედის შშმ პირთა ეროვნული პოლიტიკის განხორციელება (იხ. პუნქტი 3.2). და ბოლოს, შრომის სასამართლომ არ გაითვალისწინა ის სახელფასო სუბსიდია და შემწეობა, რომელის მიღებაც შეეძლოთ კანდიდატსა და პოტენციურ დამსაქმებელს, კანდიდატის დასაქმების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ სუბსიდიასა და შემწეობაზე ომბუდსმენმა სასამართლოს წინაშე წარდგენილ ვარიანტებში მკაფიოდ მიუთითა.

6. ზემოაღნიშნულის საფუძველზე და მხარეთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, მიგვაჩნია: კომიტეტს უნდა დაედგინა, რომ შრომის სასამართლოს გადაწყვეტილება ასახავს “უსამართლო ტვირთის” ცნების ფართო ინტერპრეტაციას, რაც მკაცრად ზღუდავს შშმ პირთა შესაძლებლობას, დასაქმდნენ ისეთ თანამდებობაზე, რომელიც საჭიროებს სამუშაო გარემოს ადაპტაციას ხსენებულ პირთა საჭიროებების შესაბამისად. მიგვაჩნია, რომ შრომის სასამართლომ, მხარდაჭერისა და ადაპტაციის

⁹² იხ. ზოგადი კომენტარი No. 2 (2014) მუხლი 9: ხელმისაწვდომობა, პუნქტი. 25.

მოთხოვნილი ზომების 1999 წლის აქტის საფუძველზე შეფასებით, გონივრული მისადაგებაზე უარს დაუჭირა მხარი. აღნიშნულმა გამოიწვია მომჩივნის *de facto* დისკრიმინაციული გამორიცხვა იმ თანამდებობაზე დასაქმებიდან, რომელზეც მომჩივანმა განაცხადი გააკეთა. კომიტეტს უნდა დაედგინა, რომ ხსენებული შეფასება კონვენციის პრეამბულის (ი) და (კ) პუნქტებით გათვალისწინებულ პრინციპებთან წინააღმდეგობაშია და შესაბამისად, კონვენციის მე-5 და 27-ე მუხლების დარღვევას წარმოადგენს.

დამიან ტატიჩის ინდივიდუალური (განსხვავებული)

მე ვეთანხმები ერთობლივ ინდივიდუალურ მოსაზრებას მთლიანად, გარდა იმ ნაწილისა, რომლის თანახმადაც კომიტეტს უნდა გაეთვალისწინებინა მოცემული გონივრული მისადაგების პოტენციური შედეგები შვედეთის სააგენტოში სამომავლოდ შშმ პირთა დასაქმებაზე, როგორც ეს აღნიშნულია მე-5 პუნქტის პირველ და მეორე წინადადებაში.



შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა უფლებების
კონვენცია

გავრცელება: საყოველთაო
2015 წლის 19 მაისი

ორიგინალი შედგენილია
ინგლისურ ენაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

შეტყობინება No. 9/2012

კომიტეტის მიერ მე-13 სესიაზე მიღებული მოსაზრებები (2015
წლის 25 მარტი - 17 აპრილი)

წარმდგენი:	ა.ფ. (წარმოდგენილია ადვოკატის, ჯუზეპე ლუპინოს მიერ)
სავარაუდო დაზარალებული:	მომჩივანი
სახელმწიფო მხარე:	იტალია
წარდგენის თარიღი:	2011 წლის 4 ივნისი (თავდაპირველი წარდგენა)
გამოყენებული დოკუმენტები:	სპეციალური მომხსენებლის მიერ 70-ე წესის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოს გაეგზავნა 2010 წლის 20 სექტემბერს (არ გამოცემულა დოკუმენტის სახით)
გადაწყვეტილების მიღების თარიღი:	2015 წლის 27 მარტი
შეტყობინების თემა:	სამუშაოზე მიღების პროცესი; შშმ პირთა დასაქმების უფლების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის დისკრიმინაციული გამოყენება; ფაქტები და მტკიცებულებები.
პროცედურული საკითხები:	პრეტენზიების <i>ratione temporis</i> დასაშვებობა; ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვა
არსებითი საკითხები:	შრომა და დასაქმება
კონვენციის მუხლები:	მუხლი 27
ფაკულტატური ოქმის მუხლები:	მუხლი 2 (დ), (ე) და (ვ) პუნქტები

დანართი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მოსაზრებები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის თანახმად (მე-13 სესია)

No. 9/2012^{*} შეტყობინებასთან დაკავშირებით

წარმდგენი:	ა.ფ. (წარმოდგენილია ადვოკატის, ჯუზეპე ლუპინოს მიერ)
სავარაუდო დაზარალებული:	მომჩივანი
სახელმწიფო მხარე:	იტალია
წარდგენის თარიღი:	2011 წლის 4 ივნისი (თავდაპირველი წარდგენა)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა, რომელიც შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე,

2015 წლის 27 მარტის სხდომაზე,

დაასრულა რა No. 9/2012 შეტყობინების განხილვა, რომელიც ა.ფ.-მ წარადგინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე,

გაითვალისწინა რა შეტყობინების წარმდგენისა და სახელმწიფო მხარის მიერ მოწოდებული წერილობითი ინფორმაცია,

მიიღო შემდეგი მოსაზრებები:

კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის საფუძველზე მიღებული მოსაზრებები

1. შეტყობინების ავტორია 1966 წლის 9 იანვარს დაბადებული ა.ფ., ეროვნებით იტალიელი, რომლის მტკიცებითაც იტალიის სახელმწიფომ მის წინააღმდეგ დაარღვია კონვენციის 27-ე მუხლი. მომჩივნის ინტერესებს კომიტეტის წინაშე იცავს ადვოკატი ჯუზეპე ლუპინო. კონვენცია და მისი ფაკულტატური ოქმი სახელმწიფო მხარის მიმართ ძალაში შევიდა 2009 წლის 15 ივნისს.

^{*} წინამდებარე შეტყობინების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომიტეტის შემდეგმა წევრებმა: მოჰამედ ალ-ტარავანი, მარტი მესიგვა ბაბუ, დანლამი უმარუ ბაშარუ, მუნითიან ბუნტანი, მარია სოლედად სისტერნა რეისი, ტერესა დეგენერი, ჰუანგ შიკ კიმი, დაიან კინგსტონი, სტივ ლანგვარდი, ლაზლო გაბორ ლოვაზი, კარლოს ალბერტო პარა დუსანი, საფაკ პავი, ანა პელაზ ნავარეზი, კომარაველ პიანიდი, სილვია ჯულიო ქვან-ჩენგი, ჯონას რუსკუსი, დამიან ტატიჩი და ლიანგ იუ.

შეტყობინების ავტორის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები

2.1 მომჩივანს ბავშვობიდან აქვს ე.წ. გომეს დაავადება და აღნიშნება ფიზიკური შესაძლებლობის 50%-ის მუდმივი შეზღუდვა, რის გამოც გადის მუდმივ მკურნალობას. 2005 წლის დეკემბერში, მომჩივანი, რომელიც იმ დროისათვის უმუშევარი იყო, მოდენას პროვინციის დასაქმების სამსახურში დარეგისტრირდა. “შეზღუდული შესაძლებლობის პირთა დასაქმების უფლების მარეგულირებელი წესების შესახებ” 1999 წლის 12 მარტის No. 68/1999 კანონის შესაბამისად, მომჩივანი აღრიცხეს დაუსაქმებელ შპს პირთა სიაში. აღნიშნული კანონი ითვალისწინებს სოციალური უზრუნველყოფის გადასახადთან დაკავშირებულ შეღავათებსა და დაფინანსებას სამუშაო პირობებისა და შენობის შპს პირთა საჭიროებების მიხედვით ადაპტაციისთვის. კანონის მე-3(ა) მუხლის თანახმად, იმ საჯარო დაწესებულებაში, სადაც 50-ზე მეტი პირია დასაქმებული, სამუშაოზე მიღებულთა 7%-ს შპს პირები უნდა წარმოადგენდნენ.⁹³ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებებმა იმ თანამდებობების დაახლოებით ნახევარი, რომელთა შევსებაც ხდება კონკურსის საფუძველზე, შპს პირებისათვის უნდა გამოყონ.⁹⁴

2.2 2006 წელს მომჩივანი “მოდენასა და რეჯიო ემილიას უნივერსიტეტის” ტექნიკურ დეპარტამენტში სტაჟიორად მუშაობდა. 2006 წლის 2 მაისს უნივერსიტეტმა გამოაცხადა “C” კატეგორიის საკონკურსო გამოცდა, საინჟინრო დეპარტამენტში სამეცნიერო ტექნიკური ექსპერტის თანამდებობის დასაკავებლად. ვინაიდან ვაკანტური თანამდებობა შეესაბამებოდა მომჩივნის აკადემიურ მონაცემებსა და სამუშაო გამოცდილებას, მან კონკურსში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა. უნივერსიტეტის საკონკურსო გამოცდების [მარეგულირებელი წესების] პრემბულა შეიცავს მითითებას No. 68/1999 კანონზე. მომჩივნის მტკიცებით, აღნიშნული კანონის თანახმად, თუ კანდიდატები საკონკურსო გამოცდაზე თანაბარ შედეგებს მოიპოვებენ, უპირატესობა შპს პირებს უნდა მიენიჭოთ. გამოცდის შედეგები ოფიციალურად გამოქვეყნდა 2006 წლის 22 სექტემბერს, 595-ე განკარგულების საფუძველზე. შედეგების თანახმად, მომჩივანმა 60 მაქსიმალური ქულიდან 50.5 ქულით მესამე ადგილი მოიპოვა.⁹⁵ ვინაიდან ვაკანტური იყო მხოლოდ ერთი თანამდებობა, მომჩივანს სამსახურში აყვანაზე უარი უთხრეს. 2008 წლის 17 აპრილს, უნივერსიტეტმა სამეცნიერო ტექნიკური ექსპერტის კიდევ ერთ თანამდებობაზე “C”

⁹³ No. 68/1999 კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს, რომ დამსაქმებელმა თავის დაწესებულებაში შპს პირებისათვის კვოტა უნდა შემოიღოს. კვოტის ზომა თანამშრომელთა რაოდენობაზე დამოკიდებულია; კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელთა რაოდენობა 50-ს აღემატება, დასაქმებულთა 7%-ს შპს პირები უნდა შეადგენდნენ; 36-დან 50-მდე თანამშრომლის შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია, დასაქმოს 2 შპს პირი; ხოლო 15-დან 25-მდე თანამშრომლის შემთხვევაში, დასაქმებული შპს პირის რაოდენობა უნდა იყოს 1 (არაოფიციალურ თარგმანზე დაყრდნობით).

⁹⁴ No. 68/1999 კანონის მე-7 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, დამსაქმებელს უფლება აქვს, შპს პირი [კონკურსის საფუძველზე] შეარჩიოს ან დანიშნოს პირდაპირი წესით, გამოცდის ჩატარების გარეშე, იმის გამო, რომ აღნიშნული შპს პირი შესაფერის კანდიდატთა სიაშია აღრიცხული. პირდაპირი წესით დანიშვნა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში: (ა) როდესაც საწარმოს 15-დან 35-მდე თანამშრომელი ჰყავს; (ბ) დაქირავებულთა 50%-ის პროპორციულად, იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს 35-დან 50-მდე თანამშრომელი ჰყავს (დარჩენილი 50%-ის შერჩევა მოხდება გამოცდების შედეგების მიხედვით); (გ) დაქირავებულთა 60%-ის პროპორციულად, იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს 50-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონკურსო გამოცდების შემთხვევაში, შპს პირებს უფლება აქვთ, მათი სამსახურში აყვანა მოხდეს პირველი პუნქტით განსაზღვრული კვოტის საფუძველზე და “კონკურსის გათვალისწინებული თანამდებობების მაქსიმუმ 50%-ის დასაკავებლად” (არაოფიციალურ თარგმანზე დაყრდნობით).

⁹⁵ პირველ ადგილზე გასულმა კანდიდატმა მიიღო 52.5/60 ქულა, მეორე ადგილზე გასულმა კი 51/60 (იხ. დადგენილება No. 595, 2006 წლის 22 სექტემბერი).

კატეგორიის საჯარო კონკურსი კვლავ გამოაცხადა. ვინაიდან თანამდებობა ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის იყო განკუთვნილი, მომჩივანმა კონკურსში მონაწილეობა ვერ შეძლო.

2.3 მომჩივნის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა საჯარო საკონკურსო გამოცდაში მაღალი ქულა მიიღო, მან ვერც ერთ კონკურსში ვერ გაიმარჯვა, ვინაიდან საჯარო დაწესებულებები არ ასრულებენ No. 68/1999 კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას 50%-იანი კვოტის თაობაზე. 2007 წლის 17 თებერვალს, მომჩივანმა ბოლონის რეგიონულ ადმინისტრაციულ სასამართლოს საჩივრით მიმართა, რომელშიც მოითხოვა საჯარო გამოცდის შედეგების გაუქმება, No. 68/1999 კანონის მე-7 მუხლის მე-2 დარღვევის გამო. მომჩივანი აგრეთვე ითხოვდა შემდეგს: იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მხარს დაუჭერდა საკონკურსო გამოცდის შედეგებს, მომჩივანი ითხოვდა ეკვივალენტურ თანამდებობაზე დანიშვნას იმის გამო, რომ ამ თანამდებობისთვის შესაფერის კანდიდატად იყო მიჩნეული, ხოლო სამსახურში აყვანაზე უარი კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაციის გამო ეთქვა. 2007 წლის 7 მაისს ადმინისტრაციულმა სასამართლომ უარი განაცხადა საჩივრის დაკმაყოფილებაზე და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს უფლება ჰქონდა, ემოქმედა მოდენას პროვინციის დასაქმების სამსახურთან 2005 წლის 20 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, 7%-იანი კვოტის შესავსებად; თუმცა, ამავდროულად, შეთანხმება უნივერსიტეტის მიერ მომჩივნის სამუშაოზე მიღებისა და დანიშვნის გარანტიას არ იძლეოდა. 2008 წლის 4 ივნისს, მომჩივანმა ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სახელმწიფო საბჭოში, რომელიც უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოს წარმოადგენს. სახელმწიფო საბჭომ 2009 წლის 4 დეკემბერს მომჩივანს სააპელაციო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა იმ მოტივით, რომ შშმ პირთათვის განკუთვნილი 50%-იანი კვოტა ყველა საჯარო საკონკურსო გამოცდაზე არ ვრცელდებოდა; არამედ, იგი წარმოადგენდა ზოგად კვოტას საჯარო დაწესებულებებში შშმ პირთა დასაქმებასთან დაკავშირებით და კონკრეტული თანამდებობებს არ უკავშირდებოდა. სახელმწიფო საბჭომ აგრეთვე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს 50%-იანი კვოტის შესახებ მოთხოვნა არ დაურღვევია, ვინაიდან “ერთი თანამდებობის 50% ტოლია ნულისა.”⁹⁶

საჩივარი

3.1 შეტყობინების ავტორი აცხადებდა, რომ 2006 წელს “მოდენასა და რეჯიო ემილიას უნივერსიტეტის” მიერ გამოცხადებული კონკურსის დროს დაირღვა No. 68/1999 კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა შშმ პირთა 50%-იანი კვოტის შესახებ, რითაც დაირღვა კონვენციის 27-ე მუხლი. შეტყობინების ავტორი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის მიერ კანონის იმგვარი ინტერპრეტაცია, რომლის თანახმადაც ერთი თანამდებობის 50% უდრის 0.5 თანამდებობას, უნივერსიტეტს კვოტირების შესახებ ვალდებულების გვერდის ავლის საშუალებას აძლევს. მომჩივნის განცხადებით, “კვოტის შესახებ მოთხოვნის პრაქტიკაში სწორად განხორციელების შემთხვევაში, მოხდებოდა [მისი] სამსახურში აყვანა - ვინაიდან, იგი კონკურსში მონაწილე ერთადერთი შშმ პირი იყო - ან ორივე პირის, როგორც [მისი], ისე პირველ ადგილზე გასული კანდიდატის დასაქმება.” მომჩივანი აცხადებდა, რომ პრეზიდენტის No.487/1994 განკარგულების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,

⁹⁶ No. 68/1999 კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გამოთვლების დროს, 0.5-ზე მაღალი მაჩვენებელი მრგვალდება 1-მდე (არაოფიციალურ თარგმანზე დაყრდნობით)

რომელზეც აგრეთვე მიუთითებს საკონკურსო გამოცდების [მარეგულირებელი წესების] პრეამბულა, “მოდენისა და რეჯიო ემილიის უნივერსიტეტს” იგი სამსახურში უნდა აყვანა.⁹⁷ ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მომჩივანი მიიჩნევს, რომ 2006 წლის 22 სექტემბრის განკარგულება, რომლითაც “მოდენისა და რეჯიო ემილიის უნივერსიტეტის” ადმინისტრაციულმა დირექტორმა 2006 წელს მომჩივნის მონაწილეობით გამართული საჯარო კონკურსის შედეგები დაამტკიცა, არ აღიარებდა No. 68/1999 კანონის მე-7(2) მუხლის შესაბამისად მომჩივნის სამუშაოზე აყვანის უფლებას, რაც კონვენციის 27-ე მუხლის დარღვევას წარმოადგენდა.

3.2 მომჩივანი აგრეთვე აცხადებდა, რომ 2008 წლის აპრილში უნივერსიტეტის მიერ ტექნიკური ექსპერტის კიდევ ერთ თანამდებობაზე “C” კატეგორიის ახალი საჯარო კონკურსის გამოცხადება, რომელიც მხოლოდ ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის იყო განკუთვნილი და მიზნად ისახავდა იმავე პროფილის თანამშრომლის შერჩევას, რომელიც 2006 წელს გამოცხადებული გამოცდის შედეგად შეირჩა, No. 68/1999 კანონის და შესაბამისად, კონვენციის 27-ე მუხლის კიდევ ერთ დარღვევას წარმოადგენდა. ამ მხრივ, მომჩივანი მიიჩნევს, რომ წინა საჯარო კონკურსის შედეგები მეორე კონკურსის გამოცხადების დროს კვლავ ძალაში იყო და შესაბამისად, No. 68/1999 კანონის მე-7 მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე, უნივერსიტეტს თანამდებობაზე სწორედ ის უნდა დაენიშნა. მომჩივნის მტკიცებით, ის ფაქტი, რომ მეორე კონკურსში მონაწილეობის მიღება მხოლოდ სამხედრო პერსონალს შეეძლო, მის წინააღმდეგ დისკრიმინაციას წარმოადგენდა, ხოლო სახელმწიფო ორგანოების მიერ შესაბამისი კანონმდებლობის არასწორმა ინტერპრეტაციამ მის მიერ სამსახურის შოვნა შეუძლებელი გახადა.

3.3 მომჩივანს მიაჩნია, რომ 2005 წელს უნივერსიტეტსა და მოდენას პროვინციას შორის შშმ პირთა სამსახურში აყვანის შესახებ გაფორმებული შეთანხმება დე-ფაქტოდ აუქმებს კონვენციის 27-ე მუხლს, კონსტიტუციასა და სხვა შესაბამის ადგილობრივ კანონმდებლობას დისკრიმინაციის წინააღმდეგ.⁹⁸ მომჩივანი აცხადებს, რომ საჯარო კონკურსების გამოცხადება ერთი თანამდებობის დასაკავებლად უნივერსიტეტში გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს თავი აარიდოს No. 68/1999 კანონით გათვალისწინებული 50%-იანი კვოტის შესრულებას. მისივე თქმით, საჯარო კონკურსების უმრავლესობა, რომელშიც შშმ პირებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, ძირითადად ცხადდება ადმინისტრაციული და არა ტექნიკური თანამდებობების დასაკავებლად, რაც შშმ პირებს არ აძლევს საშუალებას, ესწრაფვოდნენ მათი პროფილისა და განათლების შესაბამის თანამდებობებს. მომჩივანი თვლის, რომ

⁹⁷ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი რაიმე დამატებითი ინფორმაცია ან შესაბამისი დებულების თარგმანი. პრეზიდენტის No. 487/1994 ბრძანებულების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია: “პრეფერენციული სტატუსის წარდგენა და რეზერვში ყოფნის უფლება: კანდიდატები, რომლებიც No. 482/1968 კანონით განსაზღვრულ კატეგორიას განეკუთვნებიან და [კონკრეტული თანამდებობისათვის] შესაფერისად იქნენ გამოცხადებულნი, შეყვანილნი იქნებიან შერჩეულ პირთა სიაში, იმ შემთხვევაში, თუ No. 482/1994 პრეზიდენტის განკარგულების მე-19 მუხლის შესაბამისად, ისინი აღრიცხვები არიან პროვინციის დასაქმების სამსახურში და გამოცდაზე [რეგისტრაციის] ბოლო დღეს ან მუშაობის დაწყების თარიღისათვის უმუშევრები არიან”. კანონი No. 482/1968 განსაზღვრავს იმ პირთა კატეგორიებს, რომელთაც საჯარო გამოცდის კონტექსტში შესაძლოა უპირატესობა მიენიჭოთ. აღნიშნული კანონი გაუქმდა No. 68/1999 კანონის მიღების შედეგად.

⁹⁸ მომჩივანი მიუთითებს კონსტიტუციის მე-3 მუხლზე, No. 68/1999 კანონზე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 111-ე კონვენციაზე (1958), რომელიც შეეხება შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციას, და ევროსაბჭოს 2000 წლის 27 ნოემბრის დირექტივაზე, რომელიც დასაქმებისა და შრომის სფეროში თანასწორი მოპყრობის ზოგად ჩარჩოს ადგენს.

სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც 50%-იანი კვოტა “წარმოადგენს ზოგად რაოდენობრივ ღონისძიებას საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული შშმ პირების რაოდენობასთან დაკავშირებით და არ ითვალისწინებს კონკრეტულ თანამდებობებს”, აღნიშნულ პრაქტიკას განამტკიცებს და ამავდროულად არღვევს კონვენციის 27-ე მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის პრინციპებს.

3.4 მომჩივანი კომიტეტს მიმართავს თხოვნით, დაადგინოს, რომ სახელმწიფო მხარის ქმედება, მათ შორის ადმინისტრაციული ტრიბუნალების გადაწყვეტილებები, არღვევს კონვენციის 27-ე მუხლს, ხოლო “მოდენასა და რეჯიო ემილიას უნივერსიტეტს” მოსთხოვოს, 2006 წელს ტექნიკური ექსპერტის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული “C” კატეგორიის კონკურსის გამარჯვებულად აღიაროს მომჩივანი, ან შესაძლებლობისთანავე მსგავს პოზიციაზე დაასაქმოს იგი; აგრეთვე, მომჩივანს აუნაზღაუროს სასამართლო და ადმინისტრაციული წესით საქმის წარმოებასთან და წინამდებარე შეტყობინების წარდგენასთან დაკავშირებული ხარჯები და გადასახადები.

სახელმწიფო მხარის არგუმენტები

4.1 2013 წლის 12 აგვისტოს, სახელმწიფო მხარემ წარადგინა არგუმენტები წინამდებარე შეტყობინების დასაშვებობის წინააღმდეგ. სახელმწიფო მხარის მტკიცებით, მომჩივნის მიერ მითითებული მოვლენების უმრავლესობა განვითარდა 2009 წლის 15 ივნისს იტალიის მიმართ კონვენციისა და ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლამდე. ამ კუთხით, სახელმწიფო მიუთითებს, რომ “მოდენასა და რეჯიო ემილიას უნივერსიტეტის” მიერ გამოცხადებული საჯარო კონკურსების შედეგები გამოქვეყნდა 2006 წლის 22 სექტემბერს, 595-ე განკარგულების საფუძველზე; მომჩივანმა ბოლონის რეგიონული ადმინისტრაციის სასამართლოში 2007 წლის აპრილში შეიტანა სარჩელი, ხოლო სასამართლომ 2007 წლის მაისში მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ.

4.2 სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება, მომჩივნის სააპელაციო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დისკრიმინაციული არ ყოფილა და იგი No. 68/1999 კანონის შესაბამისად იქნა მიღებული. კერძოდ, კანონში მითითებული “შშმ პირთათვის განკუთვნილი” ადგილები აღნიშნავს დასაქმებულ შშმ პირთა ხვედრით წილს დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში. სახელმწიფო საბჭოს განცხადებით, No. 68/1999 კანონი არ ახდენს გავლენას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის სავალდებულო პროფილსა და კვალიფიკაციებზე, და რომ მომჩივნის შემთხვევაში დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია. სახელმწიფო მხარე მიიჩნევს, რომ კონსტიტუციის 97-ე მუხლი მხარს უჭერს მის პოზიციას საჯარო სექტორში ვაკანტურ თანამდებობებთან დაკავშირებით, ვინაიდან მასში აღნიშნულია: “საჯარო დაწესებულებები ორგანიზებულია კანონის დებულებების შესაბამისად, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ადმინისტრაციის... ეფექტური ფუნქციონირება.”

4.3 სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ “დისკრიმინაციის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის ღონისძიებების შესახებ კანონი No. 67/2006” არის სამართლებრივი დაცვის მექანიზმი, რომლის გამოყენებაც ხდება იმ შშმ პირთა

სასარგებლოდ, რომლებიც პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაციის მსხვერპლები არიან. მომჩივანს აღნიშნული სამართლებრივი დაცვის საშუალებისათვის არ მიუძღრათავს. შესაბამისად, სახელმწიფო მხარს მიაჩნია, რომ წინამდებარე შეტყობინება დაუშვებელია, ვინაიდან მომჩივანს ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება არ ამოუწურავს.

მომჩივნის კომენტარები სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით

5.1 2013 წლის 30 სექტემბერს, 7 ოქტომბერს და 26 ნოემბერს მომჩივანმა კომიტეტს წარუდგინა საკუთარი კომენტარები სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით. მომჩივანს მიაჩნია, რომ კანონი No. 67/2006, რომელზეც სახელმწიფო მხარე მიუთითებს, არ წარმოადგენს ერთადერთ კანონმდებლობას, რომელიც წინამდებარე საქმის კონტექსტში უნდა იქნას გათვალისწინებული, ვინაიდან დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკითხებს ძირითადად არეგულირებს კანონი No. 216/2003, რომელიც ითვალისწინებს სახელმძღვანელო წესებს დასაქმებასა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებით. დასაქმებასთან დაკავშირებული დავების განხილვა საოლქო სასამართლოების სპეციალიზებულ განყოფილებებს ევალებათ. თუმცა, ვინაიდან წინამდებარე საქმეში მოაწინააღმდეგე მხარეს საჯარო დაწესებულება (უნივერსიტეტი) წარმოადგენს, საქმე ექვემდებარება მხოლოდ ადმინისტრაციული სასამართლოების იურისდიქციას.

5.2 ამ მხრივ, მომჩივანი მიუთითებს მოდენას საოლქო სასამართლოში 2009 წლის 23 ივნისს შეტანილ სარჩელზე, რითაც დისკრიმინაციის გამო კომპენსაცია მოითხოვა. 2013 წლის 9 ივლისს საოლქო სასამართლომ უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ მიზეზით, რომ იტალიის უზენაესი სასამართლოებისა და ტრიბუნალების სასამართლო პრაქტიკის თანახმად და კონსტიტუციის 103-ე მუხლის შესაბამისად, მომჩივნის საქმე ექვემდებარებოდა მხოლოდ ადმინისტრაციული სასამართლოების იურისდიქციას. შესაბამისად, მომჩივნის განცხადებით, აშკარაა, რომ წინამდებარე საქმეზე იურისდიქცია მხოლოდ ადმინისტრაციულ სასამართლოებს აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივ დონეზე არსებული ყველა სამართლებრივი დაცვის საშუალებები ამოწურულია.

5.3 მომჩივანი აცხადებს, რომ საოლქო სასამართლოში ან სხვა სასამართლო ორგანოში დამატებითი განცხადების წარდგენა, როგორც ამას სახელმწიფო მხარე მიუთითებდა, *ne bis in idem* პრინციპისა და ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღების თავიდან აცილების პრინციპის დარღვევა იქნებოდა.

5.4 მომჩივანი კიდევ ერთხელ იმეორებს მის თავდაპირველ საჩივარში წარმოდგენილ არგუმენტებს - კერძოდ, დამატებით ინფორმაციას იმ საკანონმდებლო ნორმების შესახებ, რომელიც მისი მოსაზრებით, ეროვნულ სასამართლოებს უნდა გაეთვალისწინებინათ; “მოდენასა და რეჯიო ემილიას უნივერსიტეტის” სტრუქტურას; და იმ ვაკანტური ადგილების ტიპსა და რაოდენობას, რომლებთან დაკავშირებითაც, მომჩივნის მტკიცებით, ავტომატურად უნდა განხილულიყო მისი კანდიდატურა, 2006 წელს გამართულ საჯარო კონკურსზე მიღებული შედეგების საფუძველზე.

სახელმწიფო მხარის მიერ წარმოდგენილი დამატებითი არგუმენტები

6.1 2014 წლის 29 სექტემბერს, სახელმწიფო მხარემ წარადგინა კომენტარები შეტყობინების არსებით მხარესთან დაკავშირებით. სახელმწიფო მხარე კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მომჩივნის მიერ მითითებული სამართლებრივი დებულებები, კონსტიტუციის 97-ე მუხლთან ერთობლიობაში, მოითხოვს კანდიდატის ფსიქო-სოციალური კომპეტენციების სრულ შესაბამისობას იმ თანამდებობის ფუნქციებთან, რომელზეც კანდიდატმა განაცხადი შეიტანა.

6.2 სახელმწიფო მხარის მტკიცებით, ეროვნულმა სასამართლოებმა მართებულად დაასკვნეს, რომ “მოდენასა და რეჯიო ემილიას უნივერსიტეტს” მომჩივნის მიმართ დისკრიმინაციული გადაწყვეტილება არ მიუღია და არ დაურღვევია კონვენციის 27-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები, ვინაიდან მომჩივანმა შეძლო კონკურსში მონაწილეობის მიღება, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე. მიზეზი, რის გამოც მომჩივნის შერჩევა არ მომხდარა იყო ის, რომ ორმა კანდიდატმა გამოცდაზე მასზე უკეთესი ქულები მიიღო.

კომიტეტის წინაშე დასმული საკითხები და მათი განხილვის პროცედურა

შეტყობინების დასაშვებობის განხილვა

7.1 შეტყობინებაში წარმოდგენილი ნებისმიერი პრეტენზიის განხილვამდე, კომიტეტმა, ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 65-ე წესის შესაბამისად, უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა შეტყობინება კონვენციის ფაკულტატური ოქმის თანახმად დასაშვები.

7.2 ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (გ) პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, კომიტეტმა დაადგინა, რომ წინამდებარე შეტყობინების თემა კომიტეტს აქამდე არ განუხილავს, და რომ ეს თემა არ განხილულა და არ განხილება სხვა საერთაშორისო საგამომიებო ან დავების მოგვარების პროცედურის ფარგლებში.

7.3 კომიტეტი აღნიშნავს სახელმწიფო მხარის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ მომჩივნის მიერ წარმოდგენილი ფაქტები 2006 წლის სექტემბერში და 2007 წლის აპრილ-მაისში მოხდა, იტალიის მიმართ 2009 წლის 15 ივნისის კონვენციისა და ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლამდე, რის გამოც, სახელმწიფო მხარის მტკიცებით, *ratione temporis* პრინციპის თანახმად კომიტეტს არ აქვს უფლება, განიხილოს წინამდებარე შეტყობინება.

7.4 კომიტეტი მხარეებს შეახსენებს, რომ საერთაშორისო კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების თანახმად, ხელშეკრულებებს არ ენიჭება რეტროაქტიული ძალა, რომელიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობას დააკისრებს იმ ქმედებასა თუ მოვლენასთან დაკავშირებით, რომელიც მოხდა, ან იმ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელმაც არსებობა შეწყვიტა შესაბამისი სახელმწიფო მხარის მიმართ კონვენციის ძალაში შესვლამდე, თუ ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის დადგენილი.⁹⁹

⁹⁹ იხ. შეტყობინება No. 5/2011, “*იუნგელინი შვედეთის წინააღმდეგ*”, პუნქტი. 7.5.

7.5 კომიტეტი აცხადებს, რომ 2006 წლის სექტემბერში და 2007 წლის აპრილ-მაისში გადაწყვეტილებების მიღება მოხდა კონვენციისა და ფაკულტატიური ოქმის სახელმწიფო მხარის მიმართ ძალაში შესვლამდე, რის გამოც *ratione temporis* პრინციპის შესაბამისად, შეტყობინება კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებს სცდება. თუმცა, 2009 წლის 4 დეკემბერს, სახელმწიფო საბჭომ სრულად განიხილა მომჩივნის მიერ წარდგენილი განცხადება და გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება “მოდენასა და რეჯიო ემილიას უნივერსიტეტის მიერ” მომჩივნის დისკრიმინაციის ბრალდებასთან დაკავშირებით. კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო საბჭო არ შემოიფარგლა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების ფორმალური ასპექტებისა თუ საკანონმდებლო ხარვეზების განხილვით; არამედ, საბჭომ აგრეთვე განიხილა მომჩივნის მიერ დისკრიმინაციის შესახებ წარდგენილი სარჩელის არსებითი მხარე. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ვინაიდან სახელმწიფო საბჭო იყო ის უზენაესი სასამართლო ინსტანცია, რომელსაც დისკრიმინაციის შესახებ მომჩივნის მიერ შეტანილი სარჩელის განხილვის კომპეტენცია გააჩნდა,¹⁰⁰ მის გადაწყვეტილებას მომჩივნის პრეტენზიის განხილვის მიზნისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კომიტეტი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილების ცალკე, ადმინისტრაციული ორგანოების იმ ორი გადაწყვეტილებისაგან იზოლირებულად განხილვა, რომლითაც მომჩივანს უარი ეთქვა სამსახურში აყვანაზე. სწორედ აღნიშნული დასკვნები წარმოადგენს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა განხილვაც ეთხოვა კომიტეტს. აღნიშნულის საფუძველზე, კომიტეტმა მიიჩნია, რომ მას *ratione temporis* პრინციპზე დაყრდნობით წინამდებარე შეტყობინების განხილვა არ ეკრძალება, ვინაიდან მომჩივნის მიერ ინიცირებულ გარკვეულ სამართლებრივ და ადმინისტრაციული პროცედურებს ადგილი ჰქონდა სახელმწიფო მხარის მიმართ კონვენციისა და ფაკულტატიური ოქმის ძალაში შესვლის შემდგომ პერიოდში.¹⁰¹

7.6 კომიტეტი ითვალისწინებს სახელმწიფო მხარის არგუმენტს იმის შესახებ, რომ კანონი No. 67/2006 უზრუნველყოფს სამართლებრივი დაცვის მექანიზმს შშმ პირებისათვის, დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომლისთვისაც მომჩივანს არ მიუმართავს. შესაბამისად, სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ მომჩივანს მისთვის ხელმისაწვდომი ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები არ ამოუწურავს.

7.7 კომიტეტი აღნიშნავს, რომ მომჩივანმა მოდენას საოლქო სასამართლოს საჩივრით 2009 წლის 23 ივნისს მიმართა და მოითხოვა კომპენსაციის მიღება დისკრიმინაციის გამო. 2013 წლის 9 ივლისს სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ იმ მოტივით, რომ საქმეზე იურისდიქცია მხოლოდ ადმინისტრაციულ სასამართლოებს ჰქონდათ. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულმა სასამართლო ორგანოებმა, მათ შორის სახელმწიფო საბჭომ დაასკვნა, რომ მომჩივანს არ განუცდია დისკრიმინაციის რაიმე ფორმა. კომიტეტი აგრეთვე აღნიშნავს, რომ სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება საკასაციო სასამართლოში შესაძლებელია (ა) სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადაჭარბების; (ბ) კომპეტენციის გადაჭარბების; (გ) არასაკმარისი იურისდიქციისა; და (დ) იურისდიქციაზე უარის თქმის შემთხვევებში. კომიტეტის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, წინამდებარე საქმე არც ერთ ზემოაღნიშნულ კატეგორიაში არ ხვდებოდა. კომიტეტი აგრეთვე აღნიშნავს: იმისათვის, რომ საჩივარი დასაშვებად იქნას მიჩნეული No.

¹⁰⁰ იხ. მოდენას საოლქო სასამართლოს 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება (იხ. პუნქტი 5.2)

¹⁰¹ იხ. “იუნგელინი შედეგის წინააღმდეგ” (იხ. შენიშვნა 7), პუნქტი 7.6.

67/2006 კანონის თანახმად, მომჩივანმა უნდა შეძლოს იმის დემონსტრირება, რომ იგი პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაციის მსხვერპლია. მომჩივნის საქმეში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, კომიტეტი აღნიშნავს შემდეგს: სახელმწიფო მხარემ არ წარმოადგინა რაიმე არგუმენტი, რომლის საფუძველზეც კომიტეტი გონივრულობის ფარგლებში დაასკვნოდა, რომ No. 67/2006 კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალება მომჩივნისათვის ეფექტურად იყო ხელმისაწვდომი. შესაბამისად, კომიტეტი მიიჩნევს, რომ მომჩივანმა ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები ამოწურა.

7.8 ვინაიდან შეტყობინების დასაშვებობის წინააღმდეგ სხვა არგუმენტი არ არსებობს, კომიტეტმა კომუნიკაცია დასაშვებად გამოაცხადა.

საქმის არსებითი განხილვა

8.1 კომიტეტმა წინამდებარე შეტყობინება განიხილა მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით და ფაქულტატური ოქმის მე-5 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 73-ე წესის 1 პუნქტის შესაბამისად.

8.2 წინამდებარე საქმეში განსახილველი საკითხი მდგომარეობს შემდეგში: წარმოადგენს, თუ არა სახელმწიფო საბჭოს მიერ 2009 წელს მიღებული გადაწყვეტილება მომჩივნის წინააღმდეგ კონვენციის 27-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების დარღვევას. კომიტეტი აღნიშნავს მომჩივნის ბრალდებებს იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება იყო დისკრიმინაციული, ვინაიდან საბჭომ უარი განაცხადა, დაეკმაყოფილებინა მომჩივნის პრეტენზია 2006 წელს გამართული იმ საჯარო საკონკურსო გამოცდის შეწყვეტისა და გაუქმების შესახებ, რომელშიც მომჩივანი იღებდა მონაწილეობას. მომჩივნის მტკიცებით, აღნიშნული წარმოადგენს მისი, როგორც შშმ პირის No. 68/1999 კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების დარღვევას.

8.3 კომიტეტი მხარეებს შეახსენებს, რომ კონვენციის 27-ე მუხლის (ა), (ე), (ზ) და (ი) პუნქტების თანახმად, სახელმწიფო მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, აკრძალონ დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე, ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება დასაქმების ყველა ფორმას, მათ შორის სამუშაოზე მიღების, დაქირავებისა და დასაქმების, დასაქმების ხანგრძლივობის, სამსახურებრივი წინსვლის პირობებსა და შრომის უსაფრთხო და ჯანსაღ პირობებს; ხელი შეუწყონ შრომის ბაზარზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების შესაძლებლობებს და სამსახურებრივ წინსვლას, ასევე, მათ დახმარებას სამუშაოს ძებნაში, მიღებაში, შენარჩუნებასა და დაბრუნებაში; დაასაქმონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საჯარო სექტორში; და უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამუშაო ადგილების შესაფერისი გონივრული მისადაგება.

8.4 კომიტეტი მხარეებს აგრეთვე შეახსენებს, რომ საზოგადოდ, კონკრეტულ საქმეში ფაქტებისა და მტკიცებულებების შეფასება კონვენციის ხელისმომწერი სახელმწიფოების სასამართლოების მოვალეობას წარმოადგენს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ დადგინდება,

რომ შეფასება აშკარად იყო თვითნებური ან მართლმსაჯულების აღსრულებაზე უარის თქმას წარმოადგენდა.¹⁰²

8.5 წინამდებარე საქმეში, კომიტეტი მიიჩნევს, რომ მომჩივანს არ წარმოუდგენია რაიმე ელემენტი, რის საფუძველზეც კომიტეტი დაასკვნოდა, რომ ეროვნული კანონმდებლობის დებულებებმა და პრაქტიკაში გამოყენებამ მომჩივნის კონვენციით გათვალისწინებული ინდივიდუალური უფლებების დარღვევა გამოიწვია. კომიტეტი აგრეთვე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო საბჭომ სრულად და ობიექტურად შეაფასა მომჩივნისა და “მოდენასა და რეჯიო ემილიას უნივერსიტეტის” მიერ წარდგენილი [საქმის] ელემენტები, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მომჩივნის კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასაქმების შესახებ უარი დისკრიმინაციული არ ყოფილა. კომიტეტი მიიჩნევს, რომ მომჩივანს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რის საფუძველზეც კომიტეტი დაადგენდა, რომ სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება იყო აშკარად თვითნებური და მართლმსაჯულების აღსრულებაზე უარის თქმას წარმოადგენდა. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კომიტეტი ასკვნის, რომ მიღებული გადაწყვეტილება ობიექტურ და გონივრულ მოსაზრებებს ეფუძნებოდა. შესაბამისად, კომიტეტს მიაჩნია, რომ წინამდებარე საქმეში კონვენციის 27-ე მუხლის დარღვევა არ დგინდება.

9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის შესაბამისად, მიიჩნევს, რომ კომიტეტის წინაშე წარმოდგენილი ფაქტები კონვენციის მე-5 და 27-ე მუხლების დარღვევას არ წარმოადგენს.

¹⁰² იხ. “იუნგელინი შვედეთის წინააღმდეგ” (შენიშვნა 7) პუნქტი 10.5.



**შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა უფლებების
კონვენცია**

გავრცელება: საყოველთაო
2015 წლის 29 მაისი

ორიგინალი შედგენილია
ინგლისურ ენაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

შეტყობინება No. 12/2013

**კომიტეტის მიერ მე-13 სესიაზე მიღებული გადაწყვეტილება
(2015 წლის 25 მარტი - 17 აპრილი)**

წარმდგენი:	ა.მ. (წარმოდგენილია “ავსტრალიის შეზღუდული შესაძლებლობის კანონის ცენტრის” მიერ)
სავარაუდო დაზარალებული:	წარმდგენი
სახელმწიფო მხარე:	ავსტრალია
წარდგენის თარიღი:	2013 წლის 18 აპრილი (თავდაპირველი წარდგენა)
გამოყენებული დოკუმენტები:	სპეციალური მომხსენებლის მიერ 70-ე წესის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოს გაეგზავნა 2013 წლის 7 ივნისს (არ გამოცემულა დოკუმენტის სახით)
გადაწყვეტილების მიღების თარიღი:	2015 წლის 27 მარტი
პროცედურული საკითხები:	დაზარალებულის სტატუსი
შეტყობინების თემა:	კანონის წინაშე თანასწორობა; მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა; გამოხატვისა და აზრის თავისუფლება; ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.
არსებითი საკითხები:	თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა; კანონის წინაშე თანასწორობა; გამოხატვის თავისუფლება; საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.
კონვენციის მუხლები:	12, 13, 21 და 29.
ვაკულატატური ოქმის მუხლები:	1 (1) და 2 (დ).

დანართი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის გადაწყვეტილება (მე-13 სესია)

No. 12/2013¹⁰³ შეტყობინებასთან დაკავშირებით

წარმდგენი:	ა.მ. (წარმოდგენილია “ავსტრალიის შეზღუდული შესაძლებლობის კანონის ცენტრის” მიერ)
სავარაუდო დაზარალებული:	ავტორი
სახელმწიფო მხარე:	ავსტრალია
წარდგენის თარიღი:	2013 წლის 18 აპრილი (თავდაპირველი წარდგენა)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა, რომელიც შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე,

2015 წლის 27 მარტის სხდომაზე,

დაასრულა რა No. 12/2013 შეტყობინების განხილვა, რომელიც ა.მ.-ს სახელით წარადგინეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე,

გაითვალისწინა რა შეტყობინების წარმდგენისა და სახელმწიფო მხარის მიერ მოწოდებული წერილობითი ინფორმაცია,

მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება

1.1 შეტყობინების ავტორია 1970 წელს დაბადებული ა.მ., ავსტრალიის მოქალაქე, რომელიც ამტკიცებს, რომ ავსტრალიის სახელმწიფომ მის წინააღმდეგ დაარღვია კონვენციის მე-12, მე-13, 21-ე და 29-ე მუხლები. მომჩივნის ინტერესებს წარმოადგენს “ავსტრალიის შეზღუდული შესაძლებლობის კანონის ცენტრი”. კონვენცია და

¹⁰³ წინამდებარე შეტყობინების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომიტეტის შემდეგმა წევრებმა: მოჰამედ ალ-ტარავანი, დანლაში უმარუ ბაშარუ, მუნითიან ბუნტანი, მარია სოლედად სისტერნა რეისი, ტერესა დეგენერი, ჰუანგ შიკ კიმი, სტივ ლანგვარდი, ლაზლო გაბორ ლოვაზი, დაიან კინგსტონი, მარტინ მესიგვა ბაბუ, კარლოს ალბერტო პარა დუსანი, საფაკ პავი, ანა პელაზ ნავარეზი, კომარაველ პიანიდი, სილვია ჯუდიტ ქვან-ჩენგი, ჯონას რუსკუსი, დამიან ტატიჩი და ლიანგ იუ.

ფაკულტატური ოქმი საახელმწიფო მხარის მიმართ ძალაში შევიდა, ამავე თანმიმდევრობით, 2009 წლის 17 აგვისტოს და 2009 წლის 19 სექტემბერს.

1.2 2014 წლის 11 თებერვალს, კომიტეტის რეგლამენტის 70-ე წესის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ახალი შეტყობინებებისა და უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ კომიტეტის სპეციალურმა მომხსენებელმა, რომელიც კომიტეტის სახელით მოქმედებდა, მიიღო გადაწყვეტილება შეტყობინების დასაშვებობასთან და არსებით მხარესთან დაკავშირებული საკითხების ცალ-ცალკე განხილვის შესახებ.

შეტყობინების ავტორის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები

2.1 შეტყობინების ავტორი (მომჩივანი) არის სმენის არმქონე და სხვებთან საკომუნიკაციოდ საჭიროებს ავსტრალიური ჟესტების ენის (აუსლანის) თარჯიმნის დახმარებას. დაახლოებით 2002 წლიდან, მომჩივანი, როგორც სმენის არმქონე ადამიანების თემის აქტივისტი, ცდილობს, დაარწმუნოს შერიფი და ახალი სამხრეთ უელსის მთავრობა, გადახედონ მთავრობის პოზიციას ავსტრალიის ჟესტების ენით (აუსლანით) მოსარგებლე ადამიანების მიმართ, რომლის თანახმადაც, ამ ადამიანებს არ აქვთ უფლება, განახორციელონ ნაფიცი მსაჯულის ფუნქციები. მომჩივანი აღნიშნულ საქმიანობას ეწევა საკუთარი თავის, რამოდენიმე ორგანიზაციისა და საკონსულტაციო კომიტეტის სახელით.

2.2 “ახალი სამხრეთ უელსის 1912 წლის საპარლამენტო ელექტორატისა და საარჩევნო აქტის” თანახმად, მომჩივანი აღრიცხულია ახალი სამხრეთ უელსის საკანონმდებლო ასამბლეის ამომრჩეველთა სიაში. შესაბამისად, “ახალი სამხრეთ უელსის 1977 წლის ნაფიც მსაჯულთა აქტის” (შემდგომში, “ნაფიც მსაჯულთა აქტი”) მე-5 პუნქტის თანახმად, მომჩივანს უფლება აქვს და ვალდებულია, შეასრულოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა ახალ სამხრეთ უელსში, სადაც ნაფიც მსაჯულთა შერჩევა და შესაბამის სიაში შეყვანა ხდება შერიფის მიერ. შერიფი ახალი სამხრეთ უელსის გენერალური პროკურორისა და იუსტიციის დეპარტამენტის სამართალდამცავი ოფიცერია.¹⁰⁴

2.3 “ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში ცვილებების შეტანის შესახებ 2010 წლის აქტის” მე-14 (დ) მუხლის თანახმად, “შერიფი ვალდებულია, დამხმარე სიაში ან ნაფიც მსაჯულთა სიაში შეიტანოს ცვილებები პირის სახელისა და პირადი მონაცემების ამოღებით იმ შემთხვევაში, თუ ... აღნიშნულმა პირმა წინამდებარე აქტის თანახმად მოითხოვა ნაფიცი მსაჯულის მოვალეობისაგან განთავისუფლება და მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა.” მომჩივნის მტკიცებით, ახალი სამხრეთ უელსის შერიფი რეგულარულად მიიჩნევს, რომ სმენის არმქონე ადამიანს, რომელსაც სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას და ნაფიც მსაჯულთა განხილვის დროს ესაჭიროება აუსლანის თარჯიმნის დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობის გამო აქვს “საკატიო მიზეზი”, განთავისუფლდეს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობისგან იმ შემთხვევაშიც კი,

¹⁰⁴ 1977 წლის “ნაფიც მსაჯულთა აქტისა” და 2010 წლის “ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში ცვილებების შეტანის შესახებ 2010 წლის აქტის” თანახმად, შერიფი ვალდებულია, ნაფიცი მსაჯულებისათვის ადმინისტრაციული და მენეჯერული სერვისები უზრუნველყოს.

თუ თავად აღნიშნული მოვალეობისგან განთავისუფლებას არ ითხოვს.¹⁰⁵ “ნაფიც მსაჯულთა აქტის” მე-14A (ბ) მუხლის თანახმად, პირს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობისგან განთავისუფლების “საპატიო მიზეზი” გააჩნია იმ შემთხვევაში, თუ “მას რაიმე შეზღუდული შესაძლებლობა, გონივრული მისადაგების გარეშე, ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესრულებისათვის შეუფერებელს ან ქმედუუნაროს ხდის.”

2.4 მართალია მომჩივანი პირადად არასოდეს შეურჩევიათ ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესასრულებლად, მაგრამ მას მიაჩნია, რომ შერიფის მიერ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებიდან სმენის არმქონე ადამიანების გამორიცხვა არის დისკრიმინაციული ხასიათის, და რომ აღნიშნული პრაქტიკა მომჩივანზე გავლენას მოახდენს მაშინ, თუ შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე მოხდება მისი შერჩევა ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესასრულებლად. 2012 წლის 18 აპრილს, მომჩივანმა საკუთარი თავისა და სმენის არმქონე ადამიანების სახელით საჩივრით მიმართა ავსტრალიის ადამიანის უფლებების კომიტეტს. საჩივარში იგი მიუთითებდა, რომ ახალი სამხრეთ უელსის შტატი, “შეზღუდული შესაძლებლობის დისკრიმინაციის აქტის” (1992) დარღვევით, მომჩივნისა და იმ სხვა პირების წინააღმდეგ, რომლებიც აუსლანის ენაზე მეტყველებენ, ახორციელებდა უკანონო დისკრიმინაციას, მათი ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებიდან გამორიცხვით.

2.5 2012 წლის 22 ივნისს, ავსტრალიის ადამიანის უფლებათა კომისიამ საჩივართან დაკავშირებით მიმართა ახალი სამხრეთ უელსის გენერალური პროკურორისა და იუსტიციის დეპარტამენტს (კერძოდ, გენერალურ დირექტორს) - უწყებას, რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფება შერიფი. 2012 წლის 3 აგვისტოს, გენერალურმა დირექტორმა კომისიას შეატყობინა: იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რამდენად შეუძლიათ სმენის სრულად არმქონე ადამიანებს ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესრულება, საჭიროებს კომპლექსური საკითხების დაბალანსებას; კერძოდ, შშმ პირის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სასაჯელაღსრულების სისტემაში განხილული უნდა იქნას ისეთ მნიშვნელოვან უფლებებთან შედარებით, როგორცაა სამართლიანი სასამართლოს უფლება და ნაფიც მსაჯულთა სისტემის ეფექტურობისა და ეფექტიანობის შენარჩუნების საჭიროება.” შესაბამისად, პიროვნების უფლება, განახორციელოს ნაფიცი მსაჯულის ფუნქციები, განხილული უნდა იქნას თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო პროცესის კონკრეტული გარემოებების, მათ შორის წარმოსადგენი მტკიცებულების ბუნებისა და წარმოქმნილი სენსორული პრობლემის გათვალისწინებით.

2.6 გენერალურმა დირექტორმა დამატებით განმარტა, რომ საარჩევნო სიიდან შემთხვევითი პრინციპით შერჩეული პირები იღებენ შეტყობინებას იმის თაობაზე, რომ ისინი ნაფიც მსაჯულთა სიაში მოხვდნენ. შეტყობინების მიღების შემდეგ, პირს უფლება აქვს, დაუკავშირდეს შერიფის ოფისს და სიიდან ამოღება მოითხოვოს. იმ შემთხვევაში, თუ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესასრულებლად დაბარებულ პირს აღნიშნება გარკვეული შეზღუდული შესაძლებლობა, რაც კონკრეტულ მისადაგებას საჭიროებს, რეკომენდებულია, რომ იგი შერიფის ოფისს დაუკავშირდეს. შერიფის ოფისი შეაფასებს, თუ რამდენად შესაძლებელია სასამართლო შენობაში მისადაგების საჭირო ზომების განხორციელება. გენერალურმა დირექტორმა აგრეთვე აღნიშნა, რომ თავად მომჩივანი

¹⁰⁵ 1977 წლის “ნაფიც მსაჯულთა აქტის” 2 (12) მუხლის თანახმად, უფლების არ მქონე პირი ნიშნავს “პირს, რომელსაც ავადმყოფობის, სისუსტის ან შეზღუდული შესაძლებლობის გამო, არ შეუძლია ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის განხორციელება.”

არასდროს ყოფილა შემთხვევითი პრინციპით შერჩეული და შესაბამისად, მის წინააღმდეგ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

2.7 გენერალური დირექტორი აგრეთვე მიუთითებდა, რომ “ნაფიც მსაჯულთა აქტის” 48-ე მუხლის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა ოთახში მიმდინარე განხილვების დროს აკრძალულია რეალურ დროში სტენოგრაფირება, ვინაიდან აღნიშნული საჭიროებს ისეთი პირის მონაწილეობას, რომელიც არ წარმოადგენს შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ და გამოძახებულ ნაფიც მსაჯულს.¹⁰⁶ გენერალური დირექტორი დამატებით აცხადებს, რომ რეალურ დროში სტენოგრაფირების ტექნოლოგია დიდი რაოდენობით რესურსებს მოითხოვს, ხოლო სასამართლოს არსებული რესურსების გათვალისწინებით, შესაბამისი ტექნოლოგიით ერთზე მეტი სასამართლო პროცესის უზრუნველყოფა შეუძლებელია. ამრიგად, საჭირო მისადაგება შესაძლებელია განხორციელდეს ხმის გამაძლიერებელი “სმენის ინფრაწითელი სისტემების” გამოყენებით, სმენის აპარატით აღჭურვილი ადამიანებისათვის. “სმენის ინფრაწითელი სისტემა” ხელმისაწვდომია შტატის ყველა სასამართლოში; კერძოდ, სისტემა მუდმივად ხელმისაწვდომია ცენტრალურ სასამართლოებში, ხოლო უფრო მცირე ზომის, რეგიონულ სასამართლოებში შესაძლებელია გადასატანი მოწყობილობების გამოყენება. თუ პირს არ აქვს სმენის აპარატი ან არ შეუძლია საკუთარი აპარატის გამოყენება, მოთხოვნის შემთხვევაში, მოხდება აღნიშნული პირის უზრუნველყოფა სმენის აპარატით.

2.8 მომჩივანი აცხადებს, რომ გენერალური დირექტორის მოსაზრებები აუსლანის ენით მოსარგებლე სმენის არმქონე ადამიანების მიერ ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესრულების შესაძლებლობასთან დაკავშირებით სავარაუდოდ ეფუძნება იმ მიზეზებს, რომლის საფუძველზეც ახალი სამხრეთ უელსის მთავრობამ უარყო საკანონმდებლო რეფორმის კომისიის 1(ე) რეკომენდაცია სასამართლოში და ნაფიც მსაჯულთა განხილვის დროს სმენის არმქონე ნაფიცი მსაჯულების დასახმარებლად ჟესტების ენის თარჯიმნებისა და სტენოგრაფების უზრუნველყოფის შესახებ.¹⁰⁷

2.9 2012 წლის 23 თებერვალს მომჩივანსა და გენერალურ დირექტორს შორის მორიგების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ავსტრალიის ადამიანის უფლებათა კომისიამ 2012 წლის 27 ნოემბერს უარი განცხადა საჩივრის დაკმაყოფილებაზე, გონივრულობის ფარგლებში მხარეთა მორიგების პერსპექტივების არ არსებობის გამო. კომისიამ მომჩივანს შეატყობინა, რომ მას უფლება აქვს, მიმართოს ავსტრალიის ფედერალურ სასამართლოს ან მაგისტრატების ფედერალურ სასამართლოს, ახალი სამხრეთ უელსის გენერალური პროკურორისა და იუსტიციის დეპარტამენტის მიერ სავარაუდოდ განხორციელებულ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით.

2.10 მომჩივანს მიაჩნია, რომ ავსტრალიის ადამიანის უფლებათა კომისიაში საჩივრის წარდგენით მან ამოწურა გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება. პირველ რიგში, იგი აცხადებს, რომ 1992 წლის “შეზღუდული შესაძლებლობის დისკრიმინაციის აქტი” კრძალავს შეზღუდული

¹⁰⁶ სისხლის სამართლის საქმეებში ნაფიცი მსაჯულების შესარჩევ პროცედურულ მოთხოვნებს განსაზღვრავს 1977 წლის “ნაფიც მსაჯულთა აქტი”, რომლის თანახმადაც, შერჩევისა და ფიცის დადების შემდეგ შესაბამისი პირი ხდება სასამართლო პროცესის ნაფიცი მსაჯული. აღნიშნული აქტი მიუთითებს 55G სექციაზე, რომლის თანახმადაც, ვერდიქტის გამოტანა ხდება 12 ნაფიცი მსაჯულის მიერ.

¹⁰⁷ ახალი სამხრეთ უელსის კანონმდებლობის რეფორმის კომისია, “Report 114: Blind or Deaf Jurors”, 2006 წლის სექტემბერი.

შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციას თანამეგობრობის კანონებისა და პროგრამების განხორციელების პროცესში, მაგრამ 1977 წლის “ნაფიც მსაჯულთა აქტი”, რომლის საფუძველზეც შერიფი ახორციელებს თავის ფუნქციებს, ახალი სამხრეთ უელსის კანონმდებლობაა. დამატებით, “შეზღუდული შესაძლებლობის დისკრიმინაციის აქტი” და ახალი სამხრეთ უელსის 1977 წლის “ანტი-დისკრიმინაციული აქტი” არ ადგენს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას შტატის კანონებისა და პროგრამების ადმინისტრაციის პროცესში.¹⁰⁸ მომჩივანმა ფედერალურ სასამართლოში ან მაგისტრთა ფედერალურ სასამართლოში სარჩელის შეტანა რომ მოისურვოს, მან ნაფიცი მსაჯულების წინაშე უნდა დაამტკიცოს, რომ შერიფის ოფისის შესაბამისი ფუნქციების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს “სერვისებისა და საშუალებების უზრუნველყოფის” სახით, რათა აღნიშნული ფუნქციები “შეზღუდული შესაძლებლობის დისკრიმინაციის აქტის”¹⁰⁹ ან ახალი სამხრეთ უელსის “ანტი-დისკრიმინაციული აქტის”¹¹⁰ ფარგლებში იქნას განხილული. მომჩივანი დამატებით აღნიშნავს, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო მხარეს პრეცედენტული სამართალი არ გააჩნია.

2.11 დამატებით, მომჩივნის მტკიცებით, “სავსებით შესაძლებელია” სასამართლომ მიიჩნიოს, რომ მისი საქმე არ ხვდება “შეზღუდული შესაძლებლობის დისკრიმინაციის აქტის” ან ახალი სამხრეთ უელსის “ანტი-დისკრიმინაციული აქტის” მოქმედების სფეროში. იგი აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის ამკრძალავი თანამეგობრობის კანონმდებლობა ავსტრალიაში, ხოლო 1977 წლის “ანტი-დისკრიმინაციული აქტი” ახალ სამხრეთ უელსში ადგენს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვებს საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ სფეროებში, გამონაკლისებთან ერთად. ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების ვალდებულება კი წარმოადგენს საზოგადოებრივ მოვალეობას ან ვალდებულებას, ხოლო საზოგადოებრივი მოვალეობები და ვალდებულებები “შეზღუდული შესაძლებლობის დისკრიმინაციის აქტისა” და ახალი სამხრეთ უელსის “ანტი-დისკრიმინაციის აქტის” თანახმად, საზოგადოებრივი ცხოვრების დაცულ სფეროებს არ განეკუთვნება.

2.12 მესამე, მომჩივნის მტკიცებით, არსებობს რისკი იმისა, რომ სასამართლო მის საჩივარს დაუსაბუთებლად მიიჩნევს და დაადგენს, რომ სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების ფარგლებში მომჩივანი “დაზარალებულ პირს” არ

¹⁰⁸ 1992 წლის “შეზღუდული შესაძლებლობის დისკრიმინაციის აქტის” თანახმად (მუხ. 23-29), დისკრიმინაციის აკრძალვა ვრცელდება დასაქმებაზე, განათლებაზე, შენობის ხელმისაწვდომობაზე, საქონლის, სერვისებისა და საშუალებების მიწოდებაზე, განთავსებაზე, მიწაზე, კლუბებსა და ასოციაციებზე, და თანამეგობრობის კანონებისა და პროგრამების განხორციელებაზე. 1977 წლის “ახალი სამხრეთ უელსის ანტი-დისკრიმინაციის აქტის” თანახმად (მუხ. 49D-49O), დისკრიმინაციის აკრძალვა ვრცელდება დასაქმებაზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, განთავსებაზე და რეგისტრირებულ კლუბებზე.

¹⁰⁹ 1992 წლის “შეზღუდული შესაძლებლობის დისკრიმინაციის აქტის” 24-ე მუხლში აღნიშნულია: “პირს, რომელიც ახორციელებს უფასო ან ფასიანი საქონლისა თუ სერვისების მიწოდებას, საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ეკრძალება პირის შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია.”

¹¹⁰ 1977 წლის “ახალი სამხრეთ უელსის ანტი-დისკრიმინაციის აქტის” თანახმად (მუხლი 49M), “პირს, რომელიც ახორციელებს უფასო ან ფასიანი საქონლისა თუ სერვისების მიწოდებას, ეკრძალება პირის შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია... [გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც] [შემ პირებისათვის] საქონლისა და სერვისების მიწოდება გაუმართლებელ ტვირთს დააკისრებს პირს, რომელიც აღნიშნული საქონლისა და სერვისების მიწოდებას ახორციელებს.

წარმოადგენს. მომჩივანი აცხადებს, რომ ტერმინ “დაზარალებულ პირს” “შეზღუდული შესაძლებლობის დისკრიმინაციის აქტის” ფარგლებში წარმოებულ პრეცედენტულ სამართალში ენიჭება ვიწრო ინტერპრეტაცია.¹¹¹ და ბოლოს, მომჩივნის მტკიცებით, სასამართლოში მისი სარჩელის წარუმატებლობის შემთხვევაში, მას საპასუხო მხარის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულება დაეკისრება. მომჩივანს მიაჩნია, რომ აღნიშნული ფინანსური რისკი საკმაოდ მაღალია და შესაბამისად თვლის, რომ მას ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებებზე გონივრულობის ფარგლებში ხელი არ მიუწვდება.

საჩივარი

3.1 მომჩივნის მტკიცებით, სახელმწიფო მხარემ მის წინააღმდეგ დაარღვია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-12, მე-13, 21-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები.

3.2 მომჩივნის მტკიცებით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა უარი სასამართლო დარბაზში პროცესის მიმდინარეობისას და ნაფიც მსაჯულთა განხილვების დროს აუსლანის თარგმნის უზრუნველყოფაზე, რაც შერჩევის შემთხვევაში მას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მონაწილეობის საშუალებას მისცემდა, წარმოადგენს მის წინააღმდეგ კონვენციის მე-12 (2) მუხლით დაცული უფლების - სხვებთან თანასწორობის საფუძველზე ქმედუნარიანობით სარგებლობის - დარღვევას. მომჩივანს მიაჩნია, რომ ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესრულება ზრდასრული მოქალაქეების ქმედუნარიანობის ფუნდამენტური ასპექტია. მომჩივნის მტკიცებით, გენერალური დირექტორის განცხადება პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ სმენის არმქონე ადამიანებს ბუნებით არ გააჩნიათ სასამართლო პროცესის საკმარისად აღქმის უნარი, ხოლო მათი მონაწილეობა არღვევს ბრალდებულთა სამართლიანი სასამართლოს უფლებას. მომჩივანი აცხადებს, რომ აღნიშნული პოზიცია წარმოადგენს მისი უფლების დარღვევას, ისარგებლოს ქმედუნარიანობით, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, ცხოვრების ყველა სფეროში. დამატებით, მომჩივანი თვლის, რომ გენერალური დირექტორისა და შერიფის მიერ სასამართლო დარბაზში პროცესის მიმდინარეობისას და ნაფიც მსაჯულთა განხილვების დროს აუსლანის ენის თარგმნის უზრუნველყოფაზე უარი, რაც მას, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას მისცემდა, არღვევს მის უფლებას (ა) ხელი მიუწვდებოდეს დახმარებაზე, რომელიც ესაჭიროება საკუთარი ქმედუნარიანობის განსახორციელებლად, კონვენციის 12 (3) მუხლის თანახმად; (ბ) ისარგებლოს ქმედუნარიანობით დისკრიმინაციის გარეშე, კონვენციის მე-5 და მე-12 მუხლების შესაბამისად; და (გ) მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე და თავისი შეხედულებისამებრ შერჩეული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით, კონვენციის 21-ე მუხლის შესაბამისად.

¹¹¹ კერძოდ, საქმეში Access for All Alliance (ჰერვი ბეი) Inc. ჰერვი ბეის ქალაქის საბჭოს წინააღმდეგ [2007] FCA 615 მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ტერმინი “დაზარალებული პირი” არ მოიცავს კოლექტიურ სარჩელს.

3.3 რაც შეეხება კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევას, მომჩივანი აცხადებს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა უარი, სასამართლო დარბაზში პროცესის მიმდინარეობისას და ნაფიც მსაჯულთა განხილვების დროს აუსლანის ენის თარგმნის უზრუნველყოფაზე, რაც მას შერჩევის შემთხვევაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მონაწილეობის საშუალებას მისცემდა, წარმოადგენს მის წინააღმდეგ მართლმსაჯულებაზე ეფექტური ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევას. მას მიაჩნია, რომ სასამართლო სისტემაში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა აღქმული უნდა იქნას სხვებთან თანასწორობის საფუძველზე მართლმსაჯულებაზე ეფექტური ხელმისაწვდომობის უფლების კომპონენტის სახით.

3.4 მომჩივანი აგრეთვე მიიჩნევს, რომ აუსლანის თარგმნა აღქმული უნდა იქნას პირის მიერ თავისი შეხედულებისამებრ შერჩეული „კომუნიკაციის საშუალებად“, კონვენციის 21-ე მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. 2012 წლის 3 აგვისტოს წერილში, რომელიც გენერალურმა დირექტორმა ავსტრალიის ადამიანის უფლებათა კომისიას გაუგზავნა, აღნიშნულია, რომ სმენის დარღვევის მქონე ადამიანებისათვის ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების საშუალების მისაცემად შესაძლებელი იყო “კომუნიკაციის” ერთადერთი ფორმის - სმენის გამამლიერებლის უზრუნველყოფა. მომჩივანი აცხადებს, რომ აღნიშნული საშუალება მისთვის გამოუსადეგარია, ვინაიდან იგი სმენის არმქონეა და სმენის გამამლიერებლის საშუალებით საუბრის გაგება არ შეუძლია. ვინაიდან ნაფიცი მსაჯულის ფუნქცია წარმოადგენს სავალდებულო ვალდებულებას, რომელსაც მოქალაქეები მართლმსაჯულების პოცესში სახელმწიფოს სახელით ახორციელებენ, მომჩივანს მიაჩნია, რომ სახელმწიფო მხარის უარი, სასამართლო პროცესისა და ნაფიც მსაჯულთა განხილვების მიმდინარეობისას უზრუნველყოს აუსლანის თარგმნა ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების განხორციელების უფლების მქონე სმენის არმქონე პირებისათვის, რომელთაც აუსლანის თარგმნა ესაჭიროებათ, კონვენციის 21-ე მუხლის დარღვევას წარმოადგენს.

3.5 და ბოლოს, მომჩივანის განცხადებით, მის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის 29-ე მუხლი. მას მიაჩნია, რომ გენერალური დირექტორისა და შერიფის მიერ სასამართლო პროცესისა და ნაფიც მსაჯულთა განხილვების მიმდინარეობისას აუსლანის ენის თარგმნის უზრუნველყოფაზე უარი არღვევს მის უფლებას (ა) განახორციელოს პოლიტიკური უფლებები, ე.ი. მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ საქმეთა წარმართვაში, და ხელი მიუწვდებოდეს საჯარო მომსახურებაზე, ხვებთან თანასწორობის საფუძველზე; და (ბ) ისარგებლოს პოლიტიკური უფლებებით, დისკრიმინაციის გარეშე - ე.ი., მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ საქმეთა წარმართვაში და ხელი მიუწვდებოდეს საჯარო მომსახურებაზე.

სახელმწიფო მხარის არგუმენტები შეტყობინების დასაშვებობასთან დაკავშირებით

4.1 2013 წლის 11 ოქტომბერს სახელმწიფო მხარემ კომიტეტს მიმართა თხოვნით, ცალ-ცალკე განეხილა შეტყობინების დასაშვებობასა და არსებით მხარესთან დაკავშირებული საკითხები, კომიტეტის რეგლამენტის 70-ე წესის მე-5 პუნქტის თანახმად.

4.2 სახელმწიფო მხარე აღნიშნავს, რომ 1977 წლის “ნაფიც მსაჯულთა აქტი” არეგულირებს ახალ სამხრეთ უელსში ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესს, ხოლო

აქტის მე-5 მუხლში აღნიშნულია: “წინამდებარე აქტის შესაბამისად, ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ახალი სამხრეთ უელსის საკანონმდებლო ასამბლეის ამომრჩეველად არის რეგისტრირებული, 1912 წლის “საპარლამენტო ელექტორატისა და არჩვნების” აქტის შესაბამისად, უფლება აქვს და ვალდებულია, განახორციელოს ნაფიცი მსაჯულის ფუნქცია.” სახელმწიფო მხარე სასამართლოს შეახსენებს, რომ მომჩივანმა ავსტრალიის ადამიანის უფლებათა კომისიას მიმართა საჩივრით, მისი და აუსლანით მოსარგებლე სხვა სმენის არმქონე ადამიანების წინააღმდეგ განხორციელებული დისკრიმინაციის თაობაზე და მათი სამართლებრივი ინტერესების დასაცავად ზოგადი ღონისძიებების გატარება მოითხოვა.¹¹² საჩივართან დაკავშირებით, ახალი სამხრეთ უელსის გენერალური პროკურორისა და იუსტიციის დეპარტამენტმა განაცხადა, რომ მომჩივანი “არ ყოფილა შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული [ნაფიც მსაჯულთა სიაში შესაყვანად]; შესაბამისად, მისი პრეტენზია დისკრიმინაციასთან დაკავშირებით არის უარყოფილი.”¹¹³

4.3 სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ მომჩივნის მიერ წარმოდგენილი ბრალდებები არ ადგენს მის წინააღმდეგ კონვენციის დებულებების დარღვევის ფაქტს. სახელმწიფო მხარის მტკიცებით, ფაკულტატური ოქმის 1 (1) მუხლი მოითხოვს, რომ პიროვნება ფაქტობრივად იყოს დარღვევის მხვერპლი; და რომ რაიმე ღონისძიების შედეგად პიროვნების თეორიული ან ჰიპოთეტური დაზარალება საკმარისი არ არის; ხოლო *actio popularis* არ ხვდება ფაკულტატური ოქმის 1 (ა) მუხლის მოქმედების სფეროში. სახელმწიფო მხარე მიუთითებს ადამიანის უფლებათა კომიტეტის სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც ფაკულტატურ ოქმში მითითებული მოთხოვნები მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით ვრცელდება არა მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც პიროვნება დაზარალდა გარკვეული ქმედების ან უმოქმედობის გამო და ადგილი ჰქონდა კანონის დარღვევას, არამედ იმ შემთხვევებზეც, როდესაც არსებობს დარღვევის ჩადენის გარდაუვალი პერსპექტივა ან რეალური საფრთხე.¹¹⁴ ამის მიუხედავად, სახელმწიფოს მიაჩნია, რომ აღნიშნული სასამართლო პრაქტიკა არ ვრცელდება იმ მოვლენებზე, რომლებიც მხოლოდ ჰიპოთეტური მოვლენებია.

4.4 სახელმწიფო მხარე დამატებით აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ზოგ შემთხვევაში დაადგინა, რომ არსებული კანონმდებლობა, რომელიც კონკრეტული პირის წინააღმდეგ პრაქტიკაში ჯერ არ განხორციელებულა, შეესაბამება ფაკულტატურ ოქმში მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით არსებულ მოთხოვნებს. აღნიშნული შემთხვევები შეეხება ისეთ კანონმდებლობას, რომელსაც გამოყენების შემთხვევაში ექნებოდა სადამსჯელო ან შემზღვევითი შედეგი. წინამდებარე შეტყობინებაში, მომჩივანი ამტკიცებს, რომ იგი ავსტრალიის სახელმწიფოს მიერ კონვენციის გარკვეული დებულებების დარღვევის მსხვერპლია, ვინაიდან “მას აქვს

¹¹² მომჩივანმა მოითხოვა შემდეგი ღონისძიებების გატარება: “პოლიტიკასა და კანონმდებლობაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, რის შედეგადაც ყრუ ადამიანებს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების შესაძლებლობა ექნებათ, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე” და “ახალი სამხრეთ უელსის შერიფს დაეკისროს თანამშრომელთა და წარმომადგენელთა მოზადების ვალდებულება შშმ პირების მიმართ თანასწორობის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.”

¹¹³ სახელმწიფო მხარე მიუთითებს ახალი სამხრეთ უელსის გენერალური პროკურორისა და იუსტიციის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის 2012 წლის 3 აგვისტოს წერილზე.

¹¹⁴ სახელმწიფო მხარე მიუთითებს ადამიანის უფლებათა კომიტეტში წარდგენილ შეტყობინებაზე No. 429/1990, “ე.ვ. და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ”, დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილება, 1993 წლის 8 აპრილი, პუნქტი 6.4; და შეტყობინებაზე No. 645/1995, “ზორდეს და ტემპარო საფრანგეთის წინააღმდეგ”, დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილება, 1996 წლის 22 ივლისი, პუნქტი 5.4.

უფლება და ვალდებულება, შეასრულოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა”, სმენის დარღვევის გათვალისწინების გარეშე. სახელმწიფო მხარე სადაოს არ ხდის მომჩივნის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ “ახალი სამხრეთ უელსის 1912 წლის საპარლამენტო ელექტორატისა და საარჩევნო აქტის” თანახმად, მომჩივანი აღრიცხულია ახალი სამხრეთ უელსის საკანონმდებლო ასამბლეის ამომრჩეველთა სიაში, რის გამოც მას აქვს უფლება და ვალდებულება, განახორციელოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა, “ნაფიც მსაჯულთა აქტის” მე-5 მუხლის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ აღნიშნული თავისთავად არ ადგენს პიროვნების დაზარალებულის სტატუსს, ვინაიდან მომჩივანს მონაწილეობა არ მიუღია ნაფიც მსაჯულთა შერჩევის რომელიმე ეტაპში; ამასთან, არსებული ფაქტობრივი გარემოებები არ ადასტურებს გარდაუვალ პერსპექტივას იმისა, რომ მომჩივანი დაზარალებულია ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებიდან მისი სურვილის წინააღმდეგ გამორიცხვით ან “ნაფიც მსაჯულთა შესახებ” აქტის დებულებების თანახმად მოხდება მომჩივნის გამოძახება ან ჩართვა [ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის განხორციელების პროცესში]. შანსი იმისა, რომ მოხდება მომჩივნის ნაფიც მსაჯულად გამოძახება არ აღემატება ნებისმიერი სხვა პირის ნაფიც მსაჯულად გამოძახების შანსს; ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომჩივანი გამოძახებული იქნას ნაფიც მსაჯულად; ხოლო სახელმწიფო მხარეს არ მოუხდენია მომჩივნის გამორიცხვა ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებიდან, “ნაფიც მსაჯულთა აქტისა” და “საპარლამენტო ელექტორატისა და საარჩევნო აქტის” შესაბამისად. სახელმწიფო მხარე მიიჩნევს, რომ წინამდებარე შეტყობინებაში წარმოდგენილი ფაქტები არ ადასტურებს სახელმწიფო მხარის მიერ [მომჩივნის ბრალდებებით გათვალისწინებული] ქმედებების ჩადენას, 2009 წლის 19 სექტემბერს ავსტრალიის მიმართ კონვენციის ძალაში შესვლის შემდგომ პერიოდში. შესაბამისად, სახელმწიფო მხარე მიიჩნევს, რომ შეტყობინება შეეხება მხოლოდ ჰიპოთეტურ მოვლენებს, ხოლო მომჩივანი ვერ ჩაითვლება დაზარალებულად იმ რომელიმე კანონმდებლობის თანახმად, რომელზეც თავად მიუთითებს შეტყობინებაში.

4.5 სახელმწიფო მხარე დამატებით მიუთითებს მომჩივნის არგუმენტზე, რომლის თანახმადაც მომჩივნის, როგორც დაზარალებულის სტატუსს ამყარებს ის ფაქტი, რომ იგი აქტიურად მონაწილეობდა საკანონმდებლო რეფორმის პროცესში, რათა საჭირო შესწორებების შეტანის შედეგად სმენის არმქონე პირებს ჰქონდეთ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების საშუალება. სახელმწიფო მხარეს არ მიაჩნია, რომ მომჩივნის ზემოაღნიშნულ პროცესებში მონაწილეობა წარმოშობს მისი, როგორც რაიმე კონკრეტული დარღვევის შედეგად დაზარალებული პირის სტატუსს.

4.6 სახელმწიფო მხარეს აგრეთვე მიაჩნია, რომ მომჩივნის მიერ ავსტრალიის ადამიანის უფლებათა კომიტეტში შეტანილი საჩივარი, შერიფის მიერ ნაფიცი მსაჯულის ფუნქციის შესრულებიდან სმენის არმქონე ადამიანების გამორიცხვასთან დაკავშირებით, რომლებიც აუსლანის თარჯიმნის დახმარებას საჭიროებენ, მომჩივანს არ ანიჭებს დაზარალებულის სტატუსს, ვინაიდან ის საჩივარიც ჰიპოტეტური იყო. და ბოლოს, სახელმწიფო მხარე აღიარებს, რომ მომჩივანი ტერმინ “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის” განსაზღვრების ფარგლებში ხვდება, მაგრამ მიაჩნია, რომ აღნიშნული არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომჩივანს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭოს.

4.7 სახელმწიფო დამატებით აღნიშნავს, რომ შეტყობინება დაუშვებულად უნდა იქნას მიჩნეული იმ მოტივით, რომ მომჩივანს არ ამოუწურავს ადგილობრივი

სამართლებრივი დაცვის საშუალებები; კერძოდ, ავსტრალიის ადამიანის უფლებების კომისიაში საჩივრის წარდგენის შემდეგ, მან არ მოახდინა შემდგომი სამართალწარმოების ინიცირება, მხარეთა მორიგების პროცესში ჩართვის მიზნით. კომისიის მიერ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმამ მომჩივანს სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებებისკენ გაუხსნა გზა, ვინაიდან მას უფლება ჰქონდა 60 დღის ვადაში მიემართა ფედერალური სასამართლოსთვის ან ფედერალურ საოლქო სასამართლოსთვის.¹¹⁵ მომჩივანს აღნიშნული გზისთვის ან ფედერალურ სასამართლოებში რაიმე სამართლებრივი დაცვის საშუალებისთვის არ მიუმართავს, ხოლო კომიტეტში წარდგენილი შეტყობინების არც ერთ ნაწილში არ განიხილება მომჩივნისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებების დროულობისა თუ ეფექტურობის საკითხი. სახელმწიფო მხარე დამატებით მიუთითებს ადამიანის უფლებათა კომიტეტის სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც ფინანსური სახსრების უკმარისობა მომჩივანს არ ათავისუფლებს ეროვნულ დონეზე ხელმისაწვდომი ყველა სამართლებრივი დაცვის საშუალების ამოწურვის ვალდებულებისაგან, ფაკულტატური ოქმის 2 (დ) მუხლის თანახმად.¹¹⁶ მომჩივანს საჩივრით ავსტრალიის არც ერთი სასამართლოსათვის არ მიუმართავს, ხოლო მისი მატერიალური მდგომარეობა და მის მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანასთან დაკავშირებული შესაძლო ხარჯები არ აკმაყოფილებს ფაკულტატური ოქმის მე-2 (დ) მუხლის მოთხოვნებს.

4.8 სახელმწიფო მხარეს, შესაბამისად მიაჩნია, რომ მომჩივნის შეტყობინება დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი, ფაკულტატური ოქმის 1 (1) და 2 (დ) მუხლების საფუძველზე.

მომჩივნის კომენტარები სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით

5.1 2014 წლის 24 იანვარს, მომჩივანმა კომიტეტს წარუდგინა კომენტარები დასაშვებობასთან დაკავშირებით. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა თავდაპირველ შეტყობინებაში წარმოდგენილი არგუმენტები და განაცხადა, რომ სახელმწიფო მხარის პრეტენზიები შეტყობინების დასაშვებობასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა. მომჩივნის მტკიცებით, მას, როგორც ავსტრალიის მოქალაქეს, რომელიც “ახალი სამხრეთ უელსის 1912 წლის საპარლამენტო ელექტორატისა და საარჩევნო აქტის” თანახმად აღრიცხულია ახალი სამხრეთ უელსის საკანონმდებლო ასამბლეის ამომრჩეველთა სიაში, გააჩნია როგორც ვალდებულება, ისე უფლებამოსილება, შეასრულოს ნაფიცი მსაჯულის ფუნქცია, “ნაფიცი მსაჯულთა აქტის” მე-5 მუხლის თანახმად. შესაბამისად, გამოძახების შემთხვევაში, იგი ექვემდებარება ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების სამართლებრივ ვალდებულებას.

5.2 ახალი სამხრეთ უელსის შტატი, შერიფის საშუალებით, ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების უფლებას არ აძლევს სმენის არმქონე ადამიანებს, რომლებიც აუსლანის თარჯიმნის დახმარებას საჭიროებენ და გააჩნიათ უფლება და ვალდებულება, შეასრულონ ნაფიცი მსაჯულის ფუნქცია. მომჩივანი სასამართლოს შეახსენებს გენერალური დირექტორის მიერ 2012 წლის 3 აგვისტოს ავსტრალიის

¹¹⁵ იხ. ავსტრალიის ადამიანის უფლებათა კომისიის 1986 წლის აქტი, მუხლი 46 PO (2).

¹¹⁶ იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტში წარდგენილი შეტყობინება, No. 397/1990, “*ვ.ს. დანის წინააღმდეგ*”, გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, 1992 წლის 22 ივლისი, პუნქტი 5.4.

ადამიანის უფლებათა კომიტეტისათვის გაგზავნილი წერილის შინაარსს¹¹⁷ და აცხადებს, რომ 2013 წლის დეკემბერში ახალი სამხრეთ უელსის შტატმა ახალი სამხრეთ უელსის საკანონმდებლო რეფორმის კომისიას წერილის პასუხზე დამატებით აცნობა, რომ 2010 წლის ივნისში მის მიერ გაცხადებული პოზიცია არ შეცვლილა; კერძოდ, კომისია სმენის არმქონე ადამიანებს, რომლებიც სინქრონულ დახმარებას საჭიროებენ, კვლავ უარს ეუბნება სასამართლო პროცესში და ნაფიც მსაჯულთა განხილვებში მონაწილეობის მიღებაზე. მომჩივანი დამატებით აცხადებს, რომ აღნიშნული ფაქტები სახეზე იყო მის მიერ კომიტეტში შეტყობინების წარდგენის დღეს და აგრეთვე, ავსტრალიის მიმართ კონვენციის ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლის თარიღის შემდგომ პერიოდში.

5.3 მომჩივნის განცხადებით, ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა წარმოადგენს მოქალაქის მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას, რათა მან მონაწილეობა მიიღოს მართლმსაჯულების განხორციელებაში, და რომ აღნიშნული პასუხისმგებლობიდან სმენის არმქონე ადამიანების გამორიცხვა, რომლებიც სხვებთან აუსლანის გამოყენებით ურთიერთობენ, წარმოადგენს მათი მოქალაქეობის სტატუსზე და სხვებთან თანასწორობის უფლებაზე თავდასხმას.

5.4 მომჩივანი კომიტეტს დამატებით ატყობინებს, რომ “ახალი სამხრეთ უელსის საკანონმდებლო რეფორმის კომისიის” მიერ სმენის არმქონე ან უსინათლო ნაფიცი მსაჯულების თემაზე ჩატარებული მოკვლევის ფარგლებში, სმენის არმქონე ადამიანების მიერ ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობა “ყველა შესაბამისი დაწესებულების მასშტაბით იქნა გამოკვლეული”. აღნიშნულის მსგავსად, ახალი სამხრეთ უელსის მთავრობის მიერ “საკანონმდებლო რეფორმის კომისიის” ანგარიშზე გაცემული პასუხი, რომლის თანახმადაც მთავრობამ უარი განაცხადა აუსლანით მოსარგებლე სმენის არმქონე ადამიანებისათვის ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების უფლების მიცემის შესახებ რეკომენდაციის მიღებაზე იმ მიზეზით, რომ სმენის არმქონე ადამიანებს არ გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია და შესაძლებლობა, აგრეთვე ეცნობა ყველა შესაბამისი დაწესებულებას, მათ შორის სასამართლო სისტემაში არსებულ დაინტერესებულ ჯგუფებს. მომჩივანი აცხადებს, რომ აღნიშნულმა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონია სმენის არმქონე ადამიანების კომპეტენციისა და შესაძლებლობის აღქმაზე.

5.5 მომჩივნის მტკიცებით, ის ფაქტი, რომ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესასრულებლად მისი გამოძახება ჯერ არ მომხდარა, გავლენას არ ახდენს მისი, როგორც დაზარალებულის სტატუსზე; კერძოდ, იგი ექვემდებარება ნაფიცი მსაჯულობის განგრძობად დისკვალიფიკაციას იმის გამო, რომ მას აღნიშნება შეზღუდული შესაძლებლობა და საჭიროებს გონივრული შესწორებების შეტანას - ე.ი. აუსლანის თარჯიმნის დახმარებას. ის ფაქტი, რომ ხსენებული დისკვალიფიკაცია აგრეთვე ვრცელდება სხვა სმენის არმქონე ადამიანებზე, რომლებიც სხვებთან საურთიერთოდ აუსლანის ენას იყენებენ, არ ამცირებს მოცემული კანონდარღვევის მომჩივანზე გავლენის მასშტაბებს, ვინაიდან, მოქმედი კანონის თანახმად, იგი ექვემდებარება ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების არსებულ სამართლებრივ ვალდებულებას. გამოძახების შემთხვევაში, მას უარს ეტყვიან აუსლანის თარჯიმნის დახმარებაზე და მოახდენენ მის იძულებით დისკვალიფიკაციას ნაფიცი

¹¹⁷ იქვე, პუნქტები 2.4 და 3.4.

მსაჯულობიდან. აღნიშნული შესაძლოა განხორციელდეს ნებისმიერ დროს, ადამიანთა იმ ჯგუფის ნებისმიერი წევრის წინააღმდეგ, რომელსაც მომჩივანი განეკუთვნება. მომჩივნის მტკიცებით, მის მიერ წამოყენებული ბრალდებები ააშკარავებს აწმყო დროში მის ღირსებასა და ადამიანის უფლებებზე რეალურად განხორციელებულ შეტევას (ე.ი. მომჩივანს გაუმართლებლად მიაწერენ არაკომპეტენტურობასა და უუნარობას, და აკნინებენ მისი, როგორც მოქალაქის სტატუსს). იგი აგრეთვე აცხადებს, რომ აღნიშნულმა განგრძობადმა პოლიტიკამ, და საზოგადოებრივმა აზრმა პირადად მასზე მოახდინა და კვლავ ახდენს ნეგატიურ გავლენას. ამრიგად, მომჩივანს მიაჩნია, რომ მისი შეტყობინება სასამართლომ დასაშვებად უნდა ცნოს იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც [ადამიანის უფლებათა კომიტეტმა] დაადგინა საქმეებში “ე.ვ. და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ” და “ტემეჰარო საფრანგეთის წინააღმდეგ”.¹¹⁸

5.6 მომჩივანი დამატებით აცხადებს, რომ არც 1993 წლის “შეზღუდული შესაძლებლობის დისკრიმინაციის აქტი” და არც 1977 წლის “ანტი-დისკრიმინაციული აქტი” არ კრძალავს დისკრიმინაციას ისეთი საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, როგორცაა ნაფიცი მსაჯულის ფუნქცია. შესაბამისად, მომჩივანს მიაჩნია, რომ არც ერთი ზემოხსენებული კანონი არ ითვალისწინებს სარჩელის აღძვრის შესაბამის საფუძვლებს ან სამართლებრივი დაცვის საშუალებებს. ამგვარად, მომჩივნის მტკიცებით, მან ამოწურა ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება.

5.7 მომჩივანი კომიტეტს დამატებით აცნობებს, რომ იურიდიულმა წარმომადგენელმა ურჩია, ავსტრალიის ადამიანის უფლებათა კომისიაში შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით არ მიემართა ფედერალური სასამართლოსათვის, ვინაიდან ფედერალური სასამართლო მისი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარს განაცხადებდა სარჩელის დაუსაბუთებლობის მიზეზით ან იმ მოტივით, რომ ბრალდებები არ შეეხებოდა ცხოვრების იმ სფეროს, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია აკრძალულია. მომჩივნის მტკიცებით, ზემოაღნიშნულ დასკვნას ეჭვქვეშ არ აყენებს სახელმწიფო მხარე და ადასტურებს ქვინსლენდის სამოქალაქო და ადმინისტრაციული ტრიბუნალის სასამართლო პრაქტიკა.¹¹⁹ კერძოდ, საქმეში “ლაიონსი ქვინსლენდის შტატის წინააღმდეგ”, მომჩივანი აცხადებდა, რომ აუსლანით მოსარგებლე სმენის არმქონე ადამიანის ნაფიცი მსაჯულის ფუნქციის შესრულებიდან გამორიცხვით მის წინააღმდეგ განხორციელდა პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია. მომჩივნის აღნიშნული პრეტენზია უკავშირდებოდა “სახელმწიფო კანონებისა და პროგრამების ადმინისტრირებას”, რომელიც წარმოადგენს ცხოვრების იმ სფეროს, სადაც “ქვინსლენდის ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობით (მაგრამ არა 1993 წლის “შეზღუდული შესაძლებლობის აქტით” ან “ახალი სამხრეთ უელსის ანტი-დისკრიმინაციული აქტით”) აკრძალულია დისკრიმინაცია ჯანმრთელობის დარღვევის საფუძველზე. საქმეში [“ლაიონსი ქვინსლენდის შტატის წინააღმდეგ”] მომჩივანი აგრეთვე ამტკიცებდა, რომ კანდიდატთა შერჩევისა და მათი ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობაში შეყვანის პროცესში შერიფი ახორციელებდა “სერვისებისა და საშუალებების” უზრუნველყოფას. ტრიბუნალმა სახელმწიფო კანონებისა და

¹¹⁸ იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტში წარდგენილი შეტყობინება, No. 429/1990, “ე.ვ. და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ”, დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილება, 1993 წლის 8 აპრილი, პუნქტი 6.4. აგრეთვე, შეტყობინება No. 645/1995, “ზორდეს და ტემეჰარო საფრანგეთის წინააღმდეგ”, დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილება, 1996 წლის 22 ივლისი, პუნქტები 5.4–5.5.

¹¹⁹ იხ. “ლაიონსი ქვინსლენდის სახელმწიფოს წინააღმდეგ” (No 2) [2013], QCAT 731, 2013 წლის 11 დეკემბერი

პროგრამების ადმინისტრირების სფეროში პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის შესახებ სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ მომჩივნის, როგორც სმენის არმქონე ადამიანის დაცულ სტატუსსა და ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებიდან გამორიცხვას შორის კავშირი არ არსებობდა. ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ მომჩივანს არ განუცდია მსგავს მდგომარეობაში მყოფი სხვა ადამიანებისაგან განსხვავებული მოპყრობა. რაც შეეხება ირიბი დისკრიმინაციის შესახებ პრეტენზიას, ტრიბუნალმა დაადგინა, რომ მომჩივანს არ მოეთხოვებოდა იმ მოთხოვნებისა თუ პირობების შესრულება, რომელსაც ვერ აკმაყოფილებდა ჯანმრთელობის დარღვევის გამო, და რომელიც სხვებისგან განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებდა მას.

5.8 მომჩივანი აღნიშნავს, რომ ტრიბუნალს საჭიროდ არ ჩაუთვლია იმის დადგენა, თუ რამდენად ახორციელებდა შერიფი “სერვისებისა და საშუალებების” უზრუნველყოფას კანდიდატთა შერჩევისა და მათი ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობაში შეყვანის პროცესში. მას მიაჩნია, რომ შედეგი იგივე იქნებოდა იმ შემთხვევაშიც თუ დადგინდებოდა, რომ საქმე ცხოვრების აღნიშნულ სფეროს შეეხებოდა. ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, იმ ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაშიც კი, თუ ფედერალური სასამართლო დაადგენდა, რომ შერიფის საქმიანობა კანდიდატების შერჩევისა და მათი ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობაში შეყვანის პროცესში “შეზღუდული შესაძლებლობის დისკრიმინაციის აქტის” ფარგლებში დაცული “სერვისებისა და საშუალებების” უზრუნველყოფის სფეროში ხვდებოდა, მისი საჩივარი მაინც წარუმატებელი იქნებოდა ერთის მხრივ, ირიბი დისკრიმინაციის შესახებ პრეტენზიასა და მეორეს მხრივ, ირიბი დისკრიმინაციის პრაქტიკაში გამოვლენილ უკანონო მოთხოვნასა თუ პირობას შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირის არ არსებობის გამო. მომჩივანი დამატებით აცხადებს, რომ ავსტრალიაში მოქმედ იურისტებს, 2014 წლის “იურიდიული პროფესიის შესახებ აქტის” 345-ე მუხლის თანახმად ეკისრებათ ვალდებულება, არ აღძრან / გააგრძელონ სამოქალაქო საქმის წარმოება იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს წარმატების მიღწევის გონივრული პერსპექტივა.¹²⁰ იურისტის მიერ ასეთი საქმის აღძვრის ან გაგრძელების შემთხვევაში, მას დაეკისრება მოწინააღმდეგე მხარისათვის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება და არადააკმაყოფილებელ პროფესიულ ქცევასა და პროფესიულ გადაცდომაში დამნაშავედ იქნება ცნობილი, რა შემთხვევაშიც აღნიშნულ იურისტს დროებით ან სამუდამოდ გაუქმდება იურიდიული პრაქტიკის გაგრძელების უფლება.¹²¹ შესაბამისად, მომჩივანი მიიჩნევს, რომ კომიტეტმა უნდა უარყოს სახელმწიფო მხარის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მომჩივანმა უნდა გააგრძელოს სამართალწარმოება, რომელსაც წარმატების არანაირი პერსპექტივა არ აქვს, და რომლის შედეგადაც მომჩივანსა და მის იურიდიულ წარმომადგენელს შესაძლოა დაეკისროთ მოწინააღმდეგე მხარისათვის სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, ხოლო მომჩივნის ადვოკატს პროფესიულ გადაცდომაში დაედოს ბრალი. მომჩივანს მიაჩნია, რომ ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის “დ” პუნქტში მითითებული მოთხოვნა, რომლის თანახმადაც მომჩივანმა

¹²⁰ იხ. “იურიდიული პროფესიის შესახებ აქტი”, 2004 წ., სექცია 345: “(1) იურიდიულ ფირმას ეკრძალება იურიდიული მომსახურების უზრუნველყოფა საჩივართან დაკავშირებით, ან მიყენებული ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის დაცვა, თუ იურიდიული მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელ იურისტს გონივრულობის ფარგლებში არ მიაჩნია, რომ დადგენადი ფაქტებისა და კანონის საკმარისად დასაბუთებული ინტერპრეტაციის საფუძველზე, აღნიშნულ საჩივარს თუ კომპენსაციის მოთხოვნას წარმატების გონივრული პერსპექტივა აქვს.”

¹²¹ იხ. “იურიდიული პროფესიის შესახებ აქტის” სექცია 348, თავი 4

ადგილობრივ დონეზე ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება უნდა ამოწუროს, უნდა გავრცელდეს მხოლოდ იმ სარჩელზე, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს წარმატების გონივრული პერსპექტივა.

სახელმწიფო მხარის დამატებითი არგუმენტები

6.1 2014 წლის 1 მაისს, სახელმწიფო მხარემ კომიტეტს წარუდგინა დამატებითი არგუმენტები შეტყობინების დასაშვებობასთან დაკავშირებით. სახელმწიფო მხარე აღნიშნავს, რომ მისი არგუმენტები არის არასრული და რომ მომჩივნის მიერ წარდგენილი ნებისმიერი კომენტარი, რომელზეც სახელმწიფო მხარემ ყურადღება არ გაამახვილა, სახელმწიფო მხარისათვის მისაღებ პოზიციად არ უნდა ჩაითვალოს.

6.2 სახელმწიფო მხარე კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ წინამდებარე შეტყობინება ფაკულტატური ოქმის 1 (1) მუხლის თანახმად დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი, ვინაიდან მომჩივანმა ვერ დაადასტურა, რომ იგი კონვენციის რაიმე სახის დარღვევის შედეგად დაზარალდა. სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ მომჩივანი მიუთითებს მის ღირსებასა და ადამიანის უფლებაზე “რეალურად განხორციელებულ თავდასხმაზე”, ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების მოსურნე სმენის არმქონე ადამიანების მიმართ ახალი სამხრეთ უელსის პოლიტიკისა და ქმედებების შედეგად.

6.3 სახელმწიფო მხარე ეწინააღმდეგება მომჩივნის მიერ შერიფისა და ახალი სამხრეთ უელსის მთავრობის ქმედებების აღწერას, მაგრამ მიაჩნია, რომ ეს საკითხი შეტყობინების დასაშვებობის ეტაპზე განსახილველი საკითხი არ არის. სახელმწიფო მხარე კიდევ ერთხელ ადასტურებს: იმისათვის, რომ პირს მიენიჭოს დაზარალებულის სტატუსი, იგი შესაბამისი საკანონმდებლო დებულების ან ქმედების შედეგად ფაქტობრივ დაზარალებულს უნდა წარმოადგენდეს. სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ მომჩივანმა ვერ დაადასტურა ერთის მხრივ, კონკრეტულ ქმედებასა თუ უმოქმედობას და, მეორეს მხრივ, მის წინააღმდეგ კონვენციის მე-12, მე-13, 21-ე და 29-ე მუხლებით დაცული უფლებების დარღვევას შორის არსებული კავშირი. კერძოდ, სხვების მიერ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის კუთხით (და ზოგადად,) პირის შესაძლო არაკომპეტენტურობის ან ქმედუუნარობის აღქმა არ ხვდება ხსენებული მუხლებით დაცულ სფეროში და მომჩივნის დაზარალებულის სტატუსს არ ანიჭებს. ამასთან, [შეტყობინებაში წარმოდგენილი] სავარაუდო ქმედებები გავლენას არ ახდენს მომჩივნის, როგორც ავსტრალიის მოქალაქის სტატუსზე და სხვებთან თანასწორობაზე. მართალია, ნაფიცი მსაჯულის მოვალეობას მოქალაქეები ასრულებენ, ხოლო ნაფიცი მსაჯულები საზოგადოების წარმომადგენლებად ითვლებიან, თუმცა ახალ სამხრეთ უელსში ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნები არანაირ გავლენას არ ახდენს დაინტერესებული პირების მოქალაქეობაზე ან მათ უფლებაზე, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

6.4 სახელმწიფო მხარე დამატებით აღნიშნავს მომჩივნის პრეტენზიას, რომლის თანახმადაც იგი, როგორც აუსლანის ენით მოსარგებლე პიროვნებების ჯგუფის წარმომადგენელი გარდაუვალი საფრთხის წინაშეა, ვინაიდან 1977 წლის “ნაფიც მსაჯულთა აქტის” (ახალი სამხრეთ უელსი) თანახმად, მას ნებისმიერ დროს შეიძლება დაეკისროს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების ვალდებულება, ხოლო ახალი

სამხრეთ უელსის შტატის პოლიტიკა მას ავტომატურად გამორიცხავს აღნიშნული “არსებული სამართლებრივი ვალდებულების” შესრულებიდან. სახელმწიფო მხარე კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ კანონდარღვევის შედეგად დაზარალებულის სტატუსის შესახებ ტესტის დასაკმაყოფილებლად, სულ მცირე, უნდა არსებობდეს კანონდარღვევის გარდაუვალი პერსპექტივა ან რეალური საფრთხე კონკრეტული პირის მიმართ. სახელმწიფო მხარე დამატებით მიუთითებს ადამიანის უფლებათა კომიტეტის სასამართლო პრაქტიკაზე და მიიჩნევს, რომ კომიტეტის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, აღნიშნული სტანდარტის დაკმაყოფილება არც თუ ისე ადვილია.¹²²

6.5 ამასთან, სახელმწიფო მხარის მტკიცებით, “ვალდებულების ქონისა” და “ვალდებულების” კონცეფცია შესაძლოა მიუთითებდეს ამჟამინდელ ან მომავალ სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, მოვალეობაზე ან ვალდებულებაზე. “ნაფიც მსაჯულთა აქტისა” და ნაფიც მსაჯულთა მოვალეობის შესასრულებლად კანდიდატთა შერჩევის აქტით გათვალისწინებული პროცესის კონტექსტში, აშკარაა, რომ აქტის მე-5 მუხლში მოცემული ვალდებულება ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიუთითებს მომავალზე და არა ამჟამინდელ სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, ვალდებულებასა თუ მოვალეობაზე. ამრიგად, “ნაფიც მსაჯულთა აქტის” ჩვეულებრივი გამოყენება, რომლის დებულებები კონკრეტულად მომჩივნის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული, არ აკმაყოფილებს გარდაუვალი პერსპექტივისა თუ რეალური საფრთხის კრიტერიუმებს.

6.6 სახელმწიფო მხარე აგრეთვე აცხადებს, რომ მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებული კრიტერიუმების დაკმაყოფილება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კანონი ადგენს პიროვნების მიერ განხორციელებული საქმიანობის უკანონობას ან საქმე ეხება ისეთ კანონმდებლობას, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას პიროვნების წინააღმდეგ. სისხლის სამართლებრივი, მარეგულირებელი ან აღსრულების ძალის არ მქონე კანონმდებლობა, მათ შორის “ნაფიც მსაჯულთა აქტი” აღნიშნულ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს.

მომჩივნის დამატებითი კომენტარები

7.1 2014 წლის 17 ივნისს, მომჩივანმა წარადგინა დამატებითი კომენტარები სახელმწიფო მხარის არგუმენტების წინააღმდეგ.

7.2 მომჩივნის მტკიცებით, სახელმწიფო მხარეს სადაოდ არ გაუხდია ის ფაქტი, რომ მომჩივანს აქვს უფლება და ვალდებულება, შეასრულოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა. მომჩივანი აცხადებს, რომ იგი ექვემდებარება განგრძობად სამართლებრივ მოვალეობას, რომლის შესრულებაც შესაძლოა ეთხოვოს ნებისმიერ დროს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოვალეობა, გონივრულობის ფარგლებში, წარმოადგენს პირობით ან სავარაუდო მოვალეობას მომავალში, თავად ეს მოვალეობა დროის ნებისმიერ მონაკვეთში არსებობს.

7.3 გამომახების შემთხვევაში ავტორს ეკისრება ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების სამართლებრივი ვალდებულება, ხოლო შერიფისა და ახალი სამხრეთ უელსის პოლიტიკა ხელს უშლის სმენის არმქონე ადამიანების, მათ შორის მომჩივნის

¹²² იხ. შეტყობინება No.645/1995, “ზორდესი და ტემეჰარო საფრანგეთის წინააღმდეგ” (იხ. შენიშვნა 13), პუნქტები 5.4-5.6; და No. 429/1990, “ე.ვ. ნიდერლანდების წინააღმდეგ” (იხ. შენიშვნა 19), პუნქტი 6.4.

მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულებას იმის გამო, რომ ეს ადამიანები საჭიროებენ აუსლანის თარჯიმნის დახმარებას სასამართლო პროცესზე და ნაფიც მსაჯულთა განხილვების მიმდინარეობისას. შესაბამისად, აშკარაა რომ “ნაფიც მსაჯულთა აქტის” დებულებები და სმენის არმქონე ადამიანებისა და ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის მიმართ შერიფის პოლიტიკა პირდაპირ და პირადად მომჩივანზე ახდენს გავლენას.

7.4 მომჩივანი დამატებით მიუთითებს სახელმწიფო მხარის არგუმენტზე იმის თაობაზე, რომ “ნაფიც მსაჯულთა აქტი” არ წარმოადგენს “კრიმინალური, მარეგულირებელი ან აღსრულების ეფექტის” მქონე კანონმდებლობას, რის გამოც [წინამდებარე საქმეში] არ სრულდება დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებულ კრიტერიუმები. მომჩივანი მიუთითებს “ნაფიც მსაჯულთა აქტის” მე-9 ნაწილზე, სადაც მითითებულია პიროვნებებსა და კორპორაციებზე აქტის თანახმად დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სამართალდარღვევები. მომჩივანი აღნიშნავს, რომ როგორც ნაფიცი მსაჯულის ფუნქციის შესრულების უფლებისა და ვალდებულების მქონე პირი, იგი შერიფის მხრიდან შესაძლოა დაექვემდებაროს აღსრულების ღონისძიებას აღნიშნულ არაერთ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით.

7.5 მომჩივანი აცხადებს, რომ “ნაფიც მსაჯულთა აქტის” 61-ე და 66-ე მუხლების თანახმად, მას პოტენციურად ემუქრება ჯარიმა ხუთი ქულის ოდენობით (550 ავსტრიული დოლარი) იმ შემთხვევაში, თუ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატისათვის განკუთვნილ კითხვარს არ შეავსებს და არ დააბრუნებს შესაბამის ვადებში, ან კითხვარს დააბრუნებს გამოტოვებული პასუხებით. თუ მომჩივანი კითხვარში არ მიუთითებს, რომ სმენის არქონის გამო მას სავარაუდოდ არ აქვს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების უფლება, ხოლო სასამართლო დარბაზში პროცესის მიმდინარეობისას და ნაფიც მსაჯულთა განხილვების დროს აუსლანის თარგმნა ესაჭიროება, აღნიშნული სამხრეთ უელსის შერიფის მიერ შესაძლოა “გამოტოვებულ პასუხად” იქნას აღქმული. ვინაიდან მომჩივანს არ მიაჩნია, რომ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების უფლება არ აქვს, ხსენებული სიტუაცია შესაძებელია, რომ რეალურად წარმოიშვას.

7.6 დამატებით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოში ან სასამართლო ექსპერტიზაზე გამოცხადებამდე ერთი დღით ადრე მომჩივანი შერიფს არ შეატყობინებს, რომ სმენის არქონის გამო სავარაუდოდ არ აქვს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების უფლება, ხოლო სასამართლო დარბაზში პროცესის მიმდინარეობისას და ნაფიც მსაჯულთა განხილვების დროს ესაჭიროება აუსლანის თარგმნა, “ნაფიც მსაჯულთა აქტის” 62A მუხლის თანახმად, მას შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა 10 ქულის ოდენობით (1,100 ავსტრიული დოლარი). ზემოთ მითითებული შემთხვევის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც შესაძლოა აღნიშნული სიტუაცია მართლაც წარმოიშვას, ვინაიდან მომჩივანი არ თვლის, რომ მას არ აქვს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების უფლება.

7.7 და ბოლოს, “ნაფიც მსაჯულთა აქტის” 63-ე, 64-ე და 66-ე მუხლების თანახმად, მომჩივანს პოტენციურად ემუქრება ჯარიმა 20 ქულის ოდენობით (2,200 ავსტრალიური დოლარი) იმ შემთხვევაში, თუ არ უპასუხებს სასამართლო უწყებას ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების შესახებ. აღნიშნული სიტუაცია შესაძლოა მართლაც წარმოიშვას, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანმა მოითხოვა, მაგრამ უარი ეთქვა აუსლანის თარჯიმნის უზრუნველყოფაზე, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, და იმ შემთხვევაში, თუ იგი სასამართლოში აღნიშნული მიზეზით არ გამოცხადდება. ახალ სამხრეთ უელში დაფიქსირდა რამოდენიმე შემთხვევა,

როდესაც ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესასრულებლად გამოიძახეს სმენის არმქონე ადამიანები. მას შემდეგ, რაც შერიფის ოფისის თანამშრომლებმა უარი განაცხადეს მათი შეზღუდული შესაძლებლობის შესაბამისი შესწორებების განხორციელებაზე, ამ ადამიანებს დაეკისრათ ჯარიმა უწყების პასუხად სასამართლოში გამოუცხადებლობის გამო, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში გამოცხადების შემთხვევაში ისინი სხვებთან კომუნიკაციას ვერ შეძლებდნენ.

7.8 მომჩივანი დამატებით აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარემ სადაო გახადა შეტყობინების არსებით მხარესთან დაკავშირებით გარკვეული საკითხები. კერძოდ, სახელმწიფო მხარის არგუმენტები უკავშირდება კონვენციის მე-12, მე-13, 21-ე და 29-ე მუხლების მოქმედების ფარგლებსა და შინაარსს, და აღნიშნული დებულებების ფარგლებში მომჩივნის პრეტენზიების დამაჯერებლობას. მომჩივანს მიაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხებზე კომიტეტმა შეტყობინების არსებითი მხარის განხილვისას უნდა იმსჯელოს.

7.9 საკუთარი არგუმენტის გასამყარებლად იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილობრივ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები ამოწურულია, მომჩივანი მიუთითებს ქვინსლენდის უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებაზე. აღნიშნულ საქმეში, ქვინსლენდის უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ანონიმურ სმენის არმქონე ადამიანს არ მისცა ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის განხორციელების უფლება იმის გამო, რომ ნაფიცი მსაჯულთა განხილვის პროცესში იგი აუსლანის თარჯიმნის დახმარებას საჭიროებდა. სასამართლომ განაცხადა, რომ ქვინსლენდის “ნაფიც მსაჯულთა აქტის” თანახმად, დაუშვებელია ნაფიც მსაჯულთა ოთახში აუსლანის თარჯიმნის ყოფნა, ხოლო აუსლანის თარჯიმნის გარეშე ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი “ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების ეფექტურად განხორციელებას ვერ შეძლებს, რის გამოც მას არ აქვს უფლება, შეასრულოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა.”

7.10 მომჩივანი მიიჩნევს, რომ ახალი სამხრეთ უელსის “ნაფიც მსაჯულთა აქტის” მსგავსი დებულებების ინტერპრეტაცია მოხდებოდა ქვინსლენდის უზენაესი სასამართლოს მსჯელობის *mutatis mutandis* გამოყენებით. შესაბამისად, მომჩივნის ნებისმიერი მცდელობა, გაესაჩივრებინა ახალი სამხრეთ უელსის შერიფის გადაწყვეტილება ან პოლიტიკა სმენის არმქონე ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესასრულებლად აუსლანის თარჯიმნის დახმარებას საჭიროებენ, წარუმატებელი იქნებოდა.

კომიტეტის მიერ განსახილველი საკითხები და მათი განხილვის პროცედურები

შეტყობინების დასაშვებობის განხილვა

8.1 შეტყობინებაში წარმოდგენილი ნებისმიერი პრეტენზიის განხილვამდე, კომიტეტმა, ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 65-ე წესის შესაბამისად, უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა შეტყობინება კონვენციის ფაკულტატური ოქმის თანახმად დასაშვები.

8.2 ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (გ) პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, კომიტეტმა დაადგინა, რომ წინამდებარე შეტყობინების

თემა კომიტეტს აქამდე არ განუხილავს, და რომ ეს თემა არ განხილულა და არ განიხილება სხვა საერთაშორისო საგამომიებო ან დავების მოგვარების პროცედურის ფარგლებში.

8.3 კომიტეტი აღნიშნავს, რომ მომჩივანი დაობს კონვენციის მე-12, მე-13, 21-ე და 29-ე მუხლების დარღვევას იმ ფაქტის გამო რომ მას, როგორც აუსლანით მოსარგებლე სმენის არმქონე ადამიანს, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მისი შერჩევა შემთხვევითობის პრინციპით, უარს ეტყვიან ახალ სამხრეთ უელსში ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე. კომიტეტი აღნიშნავს სახელმწიფო მხარის არგუმენტს, იმის თაობაზე, რომ ვინაიდან მომჩივანი არასოდეს დაუბარებიათ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესასრულებლად, იგი არ აკმაყოფილებს პირისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებს, კონვენციის ფაკულტატური ოქმის 1 (1) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, რომლის თანახმადაც შესაბამისი პირი კონვენციის დებულებების დარღვევის შედეგად დაზარალებული უნდა იყოს. კომიტეტი აგრეთვე აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარეს სადაოდ არ გაუხდია ის ფაქტი, რომ მოჩივანს აქვს უფლება და ვალდებულება, შეასრულოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა, “ნაფიც მსაჯულთა აქტის” მე-5 მუხლის შესაბამისად, და მიაჩნია, რომ აღნიშნული თავისთავად არ ანიჭებს მომჩივანს დაზარალებულის სტატუსს, ვინაიდან მას ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესის არც ერთ ეტაპში არ მიუღია მონაწილეობა და შესაბამისად, არ მომხდარა მისი გამორიცხვა ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესრულებიდან.

8.4 კომიტეტი დამატებით მიუთითებს მომჩივნის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე იმის შესახებ, რომ 2012 წლის 3 აგვისტოს გენერალური დირექტორის მიერ ავსტრალიის ადამიანის უფლებათა კომისიისთვის გაგზავნილი წერილის თანახმად, სმენის დარღვევის მქონე პირს ნაფიც მსაჯულთა პროცესში მონაწილეობის მისაღებად შეუძლია გამოიყენოს ინფრაწითელი სასმენი სისტემა. მომჩივნის მტკიცებით, აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესასრულებლად გამოძახების შემთხვევაში მას ნებისმიერი ფორმის ცოცხალ დახმარებაზე, მათ შორის აუსლანის თარგმნაზე უარს ეტყვიან. ეს კი ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს და გამოიწვევს მომჩივნისათვის ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების უფლების ჩამორთმევას.

8.5 მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტების გათვალისწინებით, კომიტეტს მიაჩნია: პიროვნებამ, რომელიც ამტკიცებს, რომ კონვენციით დაცული უფლების დარღვევის მსხვერპლია, უნდა შეძლოს იმის დემონსტრირება, რომ შესაბამისი სახელმწიფოს ქმედებამ ან უმოქმედებამ მის მიერ ამ უფლებით სარგებლობაზე უარყოფითი გავლენა იქონია, ან რომ აღნიშნული უარყოფითი გავლენა გარდაუვალია - მაგ. არსებული კანონმდებლობის საფუძველზე და/ან სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ან პრაქტიკის გამო.

8.6 კომიტეტი აღნიშნავს, რომ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით კანდიდატების შერჩევა ხორციელდება შემთხვევითობის პრინციპით, რამდენიმე ეტაპიანი პროცესის საშუალებით, ხოლო მომჩივნის შერჩევა ჯერ არ მომხდარა. შესაბამისად, კომიტეტს მიაჩნია, რომ მომჩივნის მიერ მისი უფლებების განხორციელებაზე [სახელმწიფოს ქმედებას ან უმოქმედობას] გავლენა ჯერ არ მოუხდენია. შესაბამისად, წინამდებარე საქმეში განსახილველი საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად ემუქრება მომჩივნის მიერ კონვენციით დაცული უფლებებით სარგებლობას გარდაუვალი საფრთხე. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ახალი სამხრეთ უელსის ნაფიც მსაჯულთა აქტის შესაბამისად, ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობაში შედიან ახალი სამხრეთ უელსის მოქალაქეები, რომელთა შერჩევაც მოხდა ამომრჩეველთა სიიდან,

შემთხვევითობის პრინციპით, და რომლებმაც მიიღეს ნაფიც მსაჯულთა სიაში აღრიცხვის შესახებ შეტყობინება. როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც საჭიროებს გარკვეულ მისადაგებას, იღებს სასამართლო უწყებას ნაფიცი მსაჯულის მოვალეობასთან დაკავშირებით, მას სთხოვენ, დაუკავშირდეს შერიფის ოფისს, რის შემდეგაც შერიფის ოფისი განსაზღვრავს, თუ რამდენად შესაძლებელია სასამართლო დარბაზში მოთხოვნილი მისადაგების უზრუნველყოფა. და ბოლოს, კომიტეტი აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების უფლება განხილული უნდა იქნას თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული სასამართლო პროცესის თავისებურებების გათვალისწინებით.

8.7 შესაბამისად, კომიტეტის აზრით, მომჩივნის არგუმენტები იმის თაობაზე, რომ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესასრულებლად მისი საარჩევნო სიიდან არჩევა გარდაუვალია, რაც შესაბამისად გამოიწვევს მომჩივნის მიერ აღნიშნული მოვალეობის შესასრულებლად საჭირო შესაძლებლობის შეფასებას, და აგრეთვე, ამ შეფასების შედეგები არის ჰიპოთეტური და არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომჩივანმა ფაკულტატური ოქმის 1 (1) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში მოითხოვოს დაზარალებულად ცნობა.

8.8 ამრიგად, კომიტეტი, მის ხელთ არსებული არგუმენტებისა და მასალების საფუძველიანი შესწავლის შემდეგ, ადგენს, რომ მომჩივანს არ აქვს უფლება, მოითხოვოს დაზარალებულის სტატუსი, ფაკულტატური ოქმის 1 (1) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. აღნიშნული დასკვნის გათვალისწინებით, კომიტეტი თვლის, რომ [შეტყობინების] დასაშვებობის წინააღმდეგ სახელმწიფო მხარის მიერ წამოდგენილი სხვა არგუმენტების განხილვის საჭიროება აღარ არსებობს.

9. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კომიტეტმა გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

- (ა) შეტყობინება დაუშვებელია ფაკულტატური ოქმის 1 (1) მუხლის საფუძველზე;
- (ბ) გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს სახელმწიფო მხარესა და მომჩივანს.



**შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა უფლებების
კონვენცია**

გავრცელება: საყოველთაო
2015 წლის 21 სექტემბერი

ორიგინალი შედგენილია
ინგლისურ ენაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

შეტყობინება No. 21/2014

კომიტეტის მიერ მე-14 სესიაზე მიღებული მოსაზრებები (2015 წლის 17 აგვისტო-4 სექტემბერი)

წარმდგენი:	“ფ” (წარმოდგენილია ვოლკერ ფრეის მიერ)
სავარაუდო დაზარალებული:	წარმდგენი
სახელმწიფო მხარე:	ავსტრია
წარდგენის თარიღი:	2014 წლის 24 მარტი (თავდაპირველი წარდგენა)
გამოყენებული დოკუმენტები:	სპეციალური მომხსენებლის მიერ 70-ე წესის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოს გაეგზავნა 2013 წლის 7 ივნისს (არ გამოცემულა დოკუმენტის სახით)
გადაწყვეტილების მიღების თარიღი:	2015 წლის 21 აგვისტო
პროცედურული საკითხები:	პრეტენზიების დასაშვებობა
შეტყობინების თემა:	საზოგადოებრივ ტრანსპორტში რეალურ დროში განახლებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე
არსებითი საკითხები:	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა; საჯარო ობიექტებსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობა, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე; ინდივიდუალური მობილურობისა და დამოუკიდებლად ცხოვრების უფლება
კონვენციის მუხლები:	2, 5, 9, 19 და 20
ფაკულტატური ოქმის მუხლები:	2 (დ)

დანართი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მოსაზრებები (მე-14 სესია)*

No. 21/2014 შეტყობინებასთან დაკავშირებით

წარმდგენი:	“ფ” (წარმოდგენილია ვოლკერ ფრეის მიერ)
სავარაუდო დაზარალებული:	ავტორი
სახელმწიფო მხარე:	ავსტრია
წარდგენის თარიღი:	2014 წლის 24 მარტი (თავდაპირველი წარდგენა)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა, რომელიც შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე,

2015 წლის 21 აგვისტოს სხდომაზე,

დაასრულა რა No. 21/2014 შეტყობინების განხილვა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტში “ფ”-ს სახელით წარდგენილ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე,

გაითვალისწინა რა შეტყობინების წარმდგენისა და სახელმწიფო მხარის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაცია,

მიიღო შემდეგი მოსაზრებები:

ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე მიღებული მოსაზრებები

1. შეტყობინების ავტორია ავსტრიის მოქალაქე, 1955 წლის 13 აგვისტოს დაბადებული “ფ”. შეტყობინების ავტორის მტკიცებით, ავსტრიის სახელმწიფომ მის წინააღმდეგ დაარღვია კონვენციის მე-2, მე-5 (2), მე-9, მე-19 და მე-20 მუხლები. მომჩივანის ინტერესებს კომიტეტის წინაშე იცავს ვოლკერ ფრეი.¹²³ სახელმწიფო მხარის მიმართ კონვენცია და კონვენციის ფაკულტატური ოქმი ძალაში შევიდა 2008 წლის 25 ოქტომბერს.

¹²³ მომჩივანმა შეტყობინების დანართის სახით წარმოადგინა ხელმოწერილი რწმუნებულება.

შეტყობინების ავტორის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები

2.1. მომჩივანი ცხოვრობს ავსტრიის ცხრა ფედერალური პროვინციიდან ერთ-ერთი პროვინციის, ზემო ავსტრიის დედაქალაქ ლინცში. მომჩივანი არის უსინათლო და ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორც პირადი, ისე საქმიანი მიზნებისთვის, საზოგადოებრივ ტრანსპორტზეა დამოკიდებული. კერძოდ, იგი ქ.ლინცის მესამე ხაზზე მომუშავე ტრამვაით სარგებლობს. აღნიშნული ტრამვაის ხაზის ექსპლუატაციას ახორციელებს ქალაქის მფლობელობაში არსებული კომპანია Linz Linien GmbH, რომელიც ქალაქის მასშტაბით საზოგადოებრივი ტრანსპორტის მთლიან სისტემას მართავს.

2.2 2004 წლის მარტში, კომპანია Linz Linien GmbH-მ დაიწყო ქალაქში მდებარე ტრამვაის გაჩერებების აღჭურვა ციფრული აუდიო სისტემებით, რომელიც ხელის პორტატული გადამცემის დილაკზე თითის დაჭერით ახდენს ციფრულ საინფორმაციო ეკრანებზე განთავსებული წერილობითი ტექსტის რეპროდუქციას. შედეგად, აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს რეალურ დროში განახლებული ინფორმაციის მიწოდებას ტრამვაის მიმართულელების, მათი მოსვლისა და გასვლის დროებთან და სერვისის შეფერხებებთან დაკავშირებით. კომპანიამ 2009 წლის ივნისამდე დაამონტაჟა 40-ზე მეტი აუდიო სისტემა, რათა მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანებისათვის მიეცა ტრამვაით დამოუკიდებლად მგზავრობის საშუალება, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე. მომჩივანი განმარტავს, რომ აუდიო სისტემა მას და მხედველობის შეზღუდვის მქონე სხვა პირებს ატყობინებს, იმყოფებიან თუ არა ისინი გაჩერებაზე ან იმ შემთხვევაში, თუ გარეთ იმყოფებიან, რომელ მხარეს არის გაჩერება. სისტემა აღნიშნულ ადამიანებს საშუალებას აძლევს, მიიღონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც ვიზუალური ფორმით არის ხელმისაწვდომი - მაგ. ინფორმაცია სერვისის შეყოვნების, შეფერხების ან მომდევნო ტრამვაის მოსვლამდე დარჩენილი დროის შესახებ.

2.3 2011 წლის აგვისტოში Linz Linien GmbH-მა გააფართოვა ტრამვაის მესამე ხაზის სარკინიგზო ქსელი, თუმცა, ახალ ქსელში მდებარე არც ერთი გაჩერება არ აღჭურვა ციფრული აუდიო სისტემით. ახალ გაჩერებებზე მგზავრებისათვის განკუთვნილი ინფორმაცია მხოლოდ ვიზუალური ფორმით არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, მომჩივანი იძულებულია, სასურველი ინფორმაციის მისაღებად დახმარება გამვლელებს სთხოვოს, რაც ართულებს მისთვის გაჩერებების მოძებნას და არ აძლევს საშუალებას, ამ გაჩერებებით ისარგებლოს სხვებთან თანასწორობის საფუძველზე.

2.4 მომჩივანი აცხადებს, რომ ტრამვაის მესამე ხაზზე განლაგებული შვიდი ახალი გაჩერების სათანადოდ აღჭურვას სჭირდება თოთხმეტი აუდიო სისტემა. მისივე ინფორმაციით, მესამე ხაზზე ახალი სარკინიგზო ქსელის დამატებისათვის გათვალისწინებული იყო ბიუჯეტი 150 მილიონი ევროს ოდენობით, ხოლო რეალურად დაიხარჯა 140 მილიონი ევრო. აღნიშნული ხარჯების 80% დაფარა ზემო ავსტრიის შტატმა, ხოლო 20% კი ქ.ლინცის მახლობლად მდებარე ქ. ლეონდინგინის მოსახლეობამ. Linz Linien GmbH-ის მონაცემებით, ერთი აუდიო მოწყობილობის აპარატურის ღირებულებაა 1962 ევრო; შესაბამისად, 14 მოწყობილობა დაჯდება 24,468 ევრო. მომჩივანი აცხადებს, რომ აღნიშნული თანხის გამოყოფა შესაძლებელი იყო არსებული ბიუჯეტიდან, Linz Linien GmbH-ის მიერ ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე. ხოლო, აღნიშნული გაჩერებების აუდიო სისტემით აღჭურვა, ეკონომიკური თვალსაზრისით, იქნებოდა გონივრული.

2.5 “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის შესახებ ფედერალური აქტის” თანახმად, სასამართლოში სარჩელის შეტანამდე მხარეებმა მორიგების პროცედურას უნდა მიმართონ.¹²⁴ 2012 წლის 4 ივნისს, მომჩივანმა Linz Linien GmbH-ის წინააღმდეგ მორიგების პროცესი დაიწყო. იგი აცხადებდა, რომ კომპანია ახორციელებდა მის დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ვინაიდან მას, როგორც უსინათლო მომხმარებელს, ტრამვაის მესამე ხაზის გაჩერებებზე საჭირო ინფორმაციის მოძიება არ შეეძლო. მხარეები ვერ შეთანხმდნენ, ხოლო მორიგების პროცესი 2012 წლის 18 ივლისს დასრულდა და მორიგების საბჭომ დაადასტურა, რომ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

2.6 მომჩივანმა ლინცის საოლქო სასამართლოს მიმართა სარჩელით, რომელშიც აცხადებდა, რომ იგი დაექვემდებარა ირიბ დისკრიმინაციას, “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის შესახებ ფედერალური აქტის” მე-4 (1), მე-5 (2) და მე-9 (1) მუხლების დარღვევის საფუძველზე. ხსენებული აქტის თანახმად, დისკრიმინაცია “ხდება მაშინ როდესაც ერთი შეხედვით ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა, აგრეთვე ცხოვრების გარკვეული სფეროების მახასიათებლები, კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გარკვეულ არა-თანაბარ პირობებში აყენებს, სხვა ადამიანებთან შედარებით, ... გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული გამართლებულია ლეგიტიმური მიზნით, ხოლო მიზნის მიღწევის საშუალება არის შესაფერისი და აუცილებელი.”¹²⁵

2.7 2013 წლის 2 მაისს, საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ ციფრული აუდიო სისტემის არარსებობა არ უქმნიდა ბარიერს მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანებს ტრანსპორტის მომსახურებით სარგებლობაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ ტრამვაის მესამე ხაზის ახალ გაჩერებებზე მგზავრებს ვიზუალური ფორმით მხოლოდ შემდეგი სახის ინფორმაციაზე მიუწვდებოდათ ხელი: მომდევნო ტრამვაის მოსვლამდე დარჩენილი დრო და, გამონაკლის შემთხვევებში, სერვისის დროებითი ან სრული შეზღუდვის შესახებ ინფორმაცია. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ინფორმაცია ასევე განთავსებულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანებისათვის, რომლებიც სარგებლობენ მეტყველების ამოცნობის კომპიუტერული პროგრამით, და რომ მომჩივანი მხედველობის შეზღუდვის არმქონე მგზავრებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის გარეშეც შეძლებდა, ესარგებლა ტრამვაის მომსახურებით. საოლქო სასამართლოს დასკვნით, ციფრული აუდიო სისტემის არარსებობა არ წარმოადგენდა კომუნიკაციის ისეთ ბარიერს, რომლის არსებობაც დაარღვევდა დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ მოთხოვნას. სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა, ხოლო მომჩივანს დააკისრა 674.35 ევროს გადახდის ვალდებულება, სასამართლო ხარჯების ასანაზღაურებლად.

2.8 მომჩივანმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება ლინცის რეგიონულ სასამართლოში გაასაჩივრა. 2013 წლის 15 ივლისს რეგიონულმა სასამართლომ მხარი დაუჭირა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას და მიიჩნია, რომ ტრამვაის მესამე

¹²⁴ მორიგების პროცედურის ინიცირება მოხდა შშმ პირთა თანასწორობის შესახებ ფედერალური აქტის მე-14 პუნქტის საფუძველზე.

¹²⁵ მომჩივანმა წარმოადგინა ლინცის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი და ინგლისურენოვანი თარგმანი, რომელიც 2013 წლის 2 მაისით თაირღდება

ხაზის გაჩერებებზე ვიზუალური ფორმით ხელმისაწვდომი ინფორმაცია “უმნიშვნელოა”, და რომ მომჩივანს აღნიშნული ინფორმაცია დასჭირდებოდა იშვიათ შემთხვევებში.

2.9 მომჩივნის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ტრამვაის განრიგი განთავსებულია ინტერნეტში, მას ხელი არ მიუწვდება რეალურ დროში განახლებულ ინფორმაციაზე, რომელიც მგზავრობის დროს ესაჭიროება. მომჩივანი დამატებით აცხადებს, რომ ტრამვაის მესამე ხაზის ახალ გაჩერებებზე ვიზუალური ფორმით ხელმისაწვდომი ინფორმაცია მისთვის უადრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მას არ აქვს ალტერნატიული მარშრუტი, რომელსაც ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისათვის გამოიყენებს.

2.10 “სამოქალაქო საპროცესო კოდექსის” 502 (2) მუხლის თანახმად, უზენაესი სასამართლო არ არის უფლებამოსილი, განიხილოს ისეთი საქმეები, რომელთა სასარჩელო ღირებულება 5000 ევროზე ნაკლებია. შესაბამისად, გასაჩივრების ბოლო ინსტანციას რეგიონული სასამართლო წარმოადგენდა. ამრიგად, მომჩივანს ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებებზე ხელი არ მიუწვდება.

2.11 მომჩივანი აგრეთვე აცხადებს, რომ “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის შესახებ ფედერალური აქტი” არ უზრუნველყოფს სამართლებრივი დაცვის ადეკვატურ საშუალებას, ვინაიდან აღნიშნული აქტი კომპენსაციას ითვალისწინებს მხოლოდ ირიბი დისკრიმინაციის დროს და არ ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი სერვისებით სარგებლობის დამაბრკოლებელი ბარიერების აღმოფხვრის შესახებ ვალდებულების შეუსრულებლობას.

საჩივარი

3.1 მომჩივნის მტკიცებით, ის ფაქტი, რომ სახელმწიფო მხარემ ტრამვაის მესამე ხაზზე აუდიო სისტემა არ განათავსა, წარმოადგენს ხელმისაწვდომობის “ორი შეგრძნების პრინციპის” დარღვევას; კერძოდ, აღნიშნული პრინციპის თანახმად, ყველა სახის ინფორმაცია, მათ შორის საორიენტაციო დამხმარე საშუალებები, სამი შეგრძნებიდან (სმენა, მხედველობა, შეხება) მინიმუმ ორი შეგრძნებით უნდა იყოს აღქმადი, რათა სმენისა და მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანებს ყველა სახის მნიშვნელოვან ინფორმაციაზე მიუწვდებოდეთ ხელი დამოუკიდებლად, სხვების დახმარების გარეშე. მომჩივანი დამატებით აცხადებს, რომ აუდიო სისტემის არარსებობა მას, როგორც მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანს, არ აძლევს საშუალებას, მიიღოს ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ ვიზუალური ფორმით არის ხელმისაწვდომი. მომჩივანი თვლის, რომ კომუნიკაციის დამაბრკოლებელი აღნიშნული ბარიერი დისკრიმინაციას წარმოადგენს, ვინაიდან არ აძლევს სატრანსპორტო სერვისების გამოყენების საშუალებას, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, რითაც ირღვევა კონვენციის მე-5 და მე-9 მუხლები.

3.2 მომჩივნის მტკიცებით, სახელმწიფო მხარემ აღნიშნული ბარიერების აღმოფხვრაზე უარი განაცხადა, რითაც დაარღვია კონვენციის მე-19 და მე-20 მუხლები, ვინაიდან მესამე ხაზზე აუდიო სისტემის არარსებობა მას დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალებას არ აძლევს და მისი ინდივიდუალური მობილურობის უფლებას არღვევს.

3.3 მომჩივნის მტკიცებით, “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის შესახებ ფედერალური აქტი” არ უზრუნველყოფს დისკრიმინაციისაგან

დაცვის ადეკვატურ საშუალებებს, ვინაიდან იგი არ აწესებს ბარიერების აღმოფხვრის ვალდებულებას. მომჩივანს მიაჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა აქტის შესაბამისი დებულებები ზედმეტად ვიწროდ განმარტეს, ვინაიდან განმარტების თანახმად, ხსენებული ბარიერები შშმ პირთა დისკრიმინაციის წყაროს არ წარმოადგენს. მომჩივანი დამატებით აცხადებს, რომ ამგვარი ინტერპრეტაცია არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციას და არღვევს კონვენციის მე-5 (2) მუხლით გათვალისწინებულ უფლებას სამართლებრივი დაცვის თანასწორ და ეფექტურ საშუალებაზე.

3.4 მომჩივანი დამატებით აცხადებს, რომ აქტის თანახმად, ბარიერი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება უკანონოდ, თუ საქმე ეხება შეცდომით ან განზრახ წარმოქმნილ დაბრკოლებას. შესაბამისად, აღნიშნული აქტის მოქმედების ფარგლებში არ ხვდება “გამორიცხვა ან შეზღუდვა, რომლის ... შედეგია ყველა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სამოქალაქო ან სხვა სფეროებში, ადამიანის ყველა უფლების და ფუნდამენტური თავისუფლების სხვების თანასწორად, ცნობის რეალიზების ან სარგებლობის ხელის შეშლა ან მათი უარყოფა”, რაც კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას წარმოადგენს.

სახელმწიფო მხარის არგუმენტები შეტყობინების დასაშვებობასა და არსებით მხარესთან დაკავშირებით

4.1 2014 წლის 30 დეკემბერს სახელმწიფო მხარემ წარმოადგინა არგუმენტები შეტყობინების დასაშვებობასთან და არსებით მხარესთან დაკავშირებით.

4.2 სახელმწიფო მხარე აღნიშნავს, რომ ლინცის ტრამვაის მართავს კომპანია Linz Linien GmbH, რომელიც ქალაქ ლინცში დაახლოებით 720 გაჩერებას ამუშავებს. აღნიშნული 720 გაჩერებიდან, 374 აღჭურვილია სამგზავრო ინფორმაციის დინამიური სისტემით, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკრანებზე გამოსახულია ტრამვაის მოსვლისა და გასვლის დროების შესახებ რეალური, განახლებული ინფორმაცია და არა წინასწარ შედგენილი განრიგი. ეკრანებზე აგრეთვე მითითებულია გაჩერებაზე მომდევნო ტრამვაის მოსვლამდე დარჩენილი დრო. 374 გაჩერებიდან 44 აღჭურვილია ეკრანზე გამოსახული ინფორმაციის აკუსტიკური ტრანსფორმაციის სისტემით (აკუსტიკური ტრანსფორმაცია ღილაკზე თითის დაჭერით ხდება), რათა მონაცემთა “წაკითხვა ყველა მგზავრმა შეძლოს.” აღნიშნული სისტემა განთავსებულია საკვანძო გაჩერებებზე. ინფორმაციის ხმოვან რეჟიმში მიწოდება ტექნიკურად შესაძლებელია მხოლოდ იმ გაჩერებებზე, რომლებიც აღჭურვილია სამგზავრო ინფორმაციის დინამიური სისტემით.

4.3 სახელმწიფო მხარე აღწერს მომჩივნის მიერ აღძრულ სასამართლო პროცესებს და აცხადებს, რომ 2013 წლის 31 ივლისს ლინცის რეგიონულმა სასამართლომ უარი თქვა, დაეკმაყოფილებინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მომჩივანმა ლინცის საოლქო სასამართლოს მიერ 2013 წლის 2 მაისს მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა; კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ტექნიკური კომუნიკაციის ბარიერებთან დაკავშირებულ ირიბ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან დინამიურ სამგზავრო ინფორმაციას არ ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა იმ გაჩერებებზე, რომლებითაც მომჩივანი სარგებლობს; კერძოდ, ამ გაჩერებებზე მხოლოდ მესამე ხაზზე მოძრავი ტრამვაი ჩერდება, რომელიც, როგორც წესი, 7 ან 8 წუთიანი ინტერვალებით მოძრაობს, დაგვიანებები პრაქტიკულად არ ხდება, ხოლო სერვისის სრულად გაუქმების შემთხვევები უაღრესად იშვიათია.

რეგიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ [ტრამვაის] მუშაობის ზოგადი ინტერვალებისა და განჭვრეტადი ან დაგეგმილი შეფერხების შესახებ ინფორმაცია უსინათლო მგზავრებისათვის ხელმისაწვდომია ინტერნეტით, მეტყველების ამოცნობის სისტემის გამოყენებით. შესაბამისად, სასამართლოს აზრით, მომჩივანს დახმარების გამოყენება უწევდა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, და რომ მომჩივანს მესამე ხაზის ტრამვაით სარგებლობა შეეძლო “ჩვეულებრივ, რაიმე განსაკუთრებული დაბრკოლებისა თუ ბარიერის გარეშე, და უმეტეს შემთხვევაში, დამოუკიდებლად.”

4.4 სახელმწიფო მხარე აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-5 მუხლი კრძალავს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას, ხოლო კონვენციის მე-9 (1) მუხლის თანახმად, სახელმწიფო მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, მიმართონ ყველა შესაბამის ზომას, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის უზრუნველყონ, სხვების თანასწორად, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, საზოგადოებისათვის განკუთვნილი სხვა მოწყობილობებისა და მომსახურებების ხელმისაწვდომობა. კონვენციის მე-9 (2) მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ საზოგადოებისათვის ღია მომსახურებებისა და მოწყობილობების შემთავაზებელი კერძო ორგანიზაციების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ამ მომსახურებებისა და მოწყობილობების ხელმისაწვდომობის გათვალისწინება. კონვენციის მე-19 მუხლი იცავს ყველა შშმ პირის უფლებას, სხვებთან თანასწორი არჩევანით იცხოვროს საზოგადოებაში, ხოლო მე-20 მუხლი სახელმწიფო მხარეებს ავალდებულებს, მიიღონ ეფექტური ზომები შშმ პირების მაქსიმალურად დამოუკიდებელი ინდივიდუალური მობილურობის უზრუნველსაყოფად.

4.5 დამატებით, სახელმწიფო მიუთითებს კომიტეტის მიერ კონვენციის მე-9 მუხლის განმარტებაზე, რომელიც მოცემულია კომიტეტის ზოგად კომენტარში No. 2¹²⁶ და ასკვნის, რომ “ხელმისაწვდომობის უფლება მომდინარეობს კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვიდან და წარმოადგენს კონვენციის მე-19 მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების და აგრეთვე, კონვენციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური მობილურობის უფლებით სარგებლობის წინაპირობას.” სახელმწიფო მხარე აგრეთვე იხსენებს, რომ კონვენცია არ მოიცავს განსხვავებული მოპყრობის აბსოლუტურ აკრძალვას; რომ “ხელმისაწვდომობის განხორციელების ვალდებულება უპირობოა ... [ხოლო] გონივრული მისადაგების ვალდებულება ... არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულის უზრუნველყოფა შესაბამის სუბიექტს გაუმართლებელ ტვირთს არ დააკისრებს”;¹²⁷ ამასთან, “მისადაგების ზომების გონივრულობისა და პროპორციულობის შეფასებისას, სახელმწიფოებს აქვთ თავისუფალი შეფასების გარკვეული ფარგლები.”¹²⁸

4.6 სახელმწიფო მხარე მიიჩნევს, რომ “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის შესახებ ფედერალური აქტის” მეშვეობით მან განახორციელა სამართლებრივი ღონისძიებები კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების

¹²⁶ იხ. CRPD/G/GC/2, პუნქტი 13:

¹²⁷ იქვე, პუნქტი 25.

¹²⁸ იხ. შეტყობინება No. 5/2011, “იუნგელინი შვედეთის წინააღმდეგ”, 2014 წლის 14 ნოემბერს მიღებული მოსაზრებები, პუნქტი 10.5; No. 3/2011, “3.მ. შვედეთის წინააღმდეგ”, 2012 წლის 12 მაისს მიღებული მოსაზრებები, პუნქტი H. 8.5 და 8.8; და No. 8/2012, “X არგენტინის წინააღმდეგ”, 2014 წლის 18 ივნისს მიღებული მოსაზრებები, პუნქტი 8.5.

შესასრულებლად; კერძოდ, აქტი კრძალავს პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას და ეფუძნება “ბარიერებისაგან თავისუფლების” ყოვლისმომცველ პრინციპს. აქტის მე-6 (5) მუხლის თანახმად, შენობები და სხვა დაწესებულებები, სატრანსპორტო საშუალებები, ტექნიკა, ინფორმაციის გადამუშავების სისტემები და ცხოვრების სხვა შექმნილი ასპექტები ბარიერებისაგან თავისუფლად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ შშმ პირებს მათზე ხელი მიუწვდებათ და შეუძლიათ მათი გამოყენება რაიმე განსაკუთრებული სირთულის გარეშე, სხვების დაუხმარებლად. სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ წინამდებარე საქმეში, შესაბამის ფაქტების სრულფასოვანი და ობიექტური შეფასების შემდეგ, ლინცის საოლქო სასამართლომ და ლინცის რეგიონულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ აქტის შესაბამისად, აუდიო სისტემის არარსებობა იმ გაჩერებებზე, რომლითაც მომჩივანი სარგებლობს, მომჩივნის ირიბ დისკრიმინაციას არ იწვევდა. სასამართლოების დასკვნა ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ აღნიშნულ გაჩერებებზე მხოლოდ მესამე ხაზზე მოძრავი ტრამვაი ჩერდება, რეგულარული 7-8 წუთიანი ინტერვალებით. ვინაიდან ზოგადი განრიგი და ინფორმაცია ექსპლუატაციის პროცესში განჭვრეტადი, დაგეგმილი შეფერხებებისა და გართულებების შესახებ უსინათლო მგზავრებისათვის ინტერნეტითაც არის ხელმისაწვდომი, მეტყველების ამომცნობი სისტემის საშუალებით, აუდიო სისტემა საჭირო იქნებოდა მხოლოდ სერვისის დროებით გაუთვალისწინებელი შეფერხების ან სრული გაუქმების შემთხვევაში, რაც ნაკლებად სავარაუდოა და უიშვიათესად ხდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ ტრამვაის ხაზი “განსაკუთრებული სირთულის გარეშე და უმეტესწილად, სხვების დაუხმარებლად” იყო ხელმისაწვდომი, აქტის მე-6 (5) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში; შესაბამისად, მომჩივნის წინააღმდეგ ირიბი დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

4.7 სახელმწიფო მხარე არ ეთანხმება მომჩივნის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ აუდიო სისტემის არ არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ მომჩივანს ტრამვაის მესამე ხაზით შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებთან თანასწორ პირობებში სარგებლობის საშუალება არ აქვს. ტრამვაიზე ხელმისაწვდომობა და მისით, როგორც სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობა არ არის შეზღუდული. ცალსახაა, რომ მომჩივნის მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის “ყოველდღიური მიზანი” მიიღწევა აუდიო სისტემის გარეშეც. აუდიო სისტემის არსებობა უბრალოდ გავლენას ახდენს ტრამვაით სარგებლობის მეთოდზე. ვიზუალური ფორმით და აუდიო სისტემების მეშვეობით ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიღება უსინათლო და მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანებს შეუძლიათ ინტერნეტის საშუალებით ნებისმიერ დროს, მეტყველების ამომცნობის შესაბამისი სისტემის გამოყენებით. კომპანია Linz Linien GmbH-მა ქ.ლინცის “მონაცემთა ღიაობის ინიციატივის” ფარგლებში ყველა განრიგის ხელმისაწვდომობა უზრუნველყო. მგზავრებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა მობილური აპლიკაციები, რომელთაგანაც ზოგიერთი სრულიად უფასოა. აღნიშნული აპლიკაციები, სხვა ინფორმაციასთან ერთად, მომხმარებელს აწვდის რეალურ დროში განახლებულ ინფორმაციას ტრამვაის მოსვლისა და გასვლის დროებთან დაკავშირებით და შესაბამისად, სერვისის შეფერხებისა თუ გაუქმების შესახებ ზუსტ ინფორმაციას უზრუნველყოფს.¹²⁹ ამასთან, კომპანიაში Linz Linien GmbH მოქმედებს მობილური ელექტრონული ინფორმაციის სისტემა, რომელსაც რეალურ დროში მონაცემთა პროგნოზირებისა და აღრიცხვის ფუნქცია გააჩნია. სახელმწიფო მხარე მიიჩნევს, რომ ხსენებული საშუალებები დინამიური სამგზავრო ინფორმაციის სისტემის ადეკვატურ

¹²⁹ აპლიკაციების ჩამონათვალი და აღწერა სახელმწიფო მხარის არგუმენტებში დანართის სახით არის წარმოდგენილი

ალტერნატივას წარმოადგენს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პიროვნებას ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდება, მას შეუძლია, ნებისმიერ დროს ტელეფონით დაუკავშირდეს Linz Linien GmbH-ის მომხმარებელთა მომსახურების განყოფილებას და დროულად მიიღოს დეტალური ინფორმაცია განრიგის შესახებ. სახელმწიფო მხარის განცხადებით, მომჩივანი მხარე არ აკონკრეტებს, თუ რატომ არ მიაჩნია Linz Linien GmbH-ის მიერ უზრუნველყოფილი სხვადასხვა საინფორმაციო წყაროები “გონივრულ მისადაგებად” და მიაჩნია, რომ აუდიო სისტემის არარსებობა უსინათლო და მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანებს სხვებისაგან განსხვავებულ პირობებში არ აყენებს.

4.8 სახელმწიფო მხარე ამტკიცებს, რომ წინამდებარე საქმეში, გაჩერებებზე, რომლითაც მომჩივანი სარგებლობს, მხოლოდ მესამე ხაზის ტრამვაი ჩერდება. დინამიური სამგზავრო ინფორმაციის სისტემა კი იძლევა ინფორმაციას მხოლოდ იმის თაობაზე, თუ რამდენი წუთია დარჩენილი მომდევნო ტრამვაის მოსვლამდე. ტრამვაებს შორის არსებული მოკლე ინტერვალების გათვალისწინებით, აღნიშნული ინფორმაცია, როგორც წესი, მგზავრებს მნიშვნელოვანს ვერაფერს შესძენს, ვინაიდან განრიგი ინტერნეტშია გამოქვეყნებული. ამ მხრივ, სახელმწიფო მხარე აღნიშნავს, რომ მომჩივანი არ აკონკრეტებს, თუ რატომ არ მიიჩნევს Linz Linien GmbH -ის მიერ უზრუნველყოფილ სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების “გონივრულ მისადაგებად.”^{4.9} სახელმწიფო მხარეს თვლის, რომ აუდიო სისტემა “არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის” წინაპირობას, ვინაიდან ინფორმაცია, რომელსაც აღნიშნული სისტემა მგზავრებს აწვდის, არ არის აბსოლუტურად საჭირო. სახელმწიფო მხარე აგრეთვე მიიჩნევს, რომ კონვენცია არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის აღჭურვას ყველა შესაძლო საშუალებით, [შშმ პირების მიერ] საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის ხელშეწყობის მიზნით, ხოლო თანაბარ ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთება სერვისების მიმწოდებლის პრეროგატივაა. ამ მხრივ, სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ Linz Linien GmbH-მა “უსინათლო და მხედველობის შეზღუდვის მქონე პირების ზემო ავსტრიის ასოციაციასთან” თანამშრომლობით გადაწყვიტა, აუდიო სისტემები ტრამვაის რამოდენიმე ხაზის გადაკვეთაზე არსებულ საკვანძო გაჩერებებზე დაემონტაჟებინა. ამავდროულად, ყველა სხვა გაჩერება აღჭურვილია “ხაზის შეტყობინების სისტემით” - ეს არის გარე აკუსტიკური განცხადებების სისტემა, რომელიც გაჩერებაზე მდგარ მგზავრებს საშუალებას აძლევს, გაააქტიურონ პორტატული გადამცემები, რათა უსინათლო ადამიანებმა მიიღონ ინფორმაცია მოახლოებული ან მომავალი საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალების ხაზის ნომრისა და ბოლო გაჩერების შესახებ. იმ გასაგები მიზეზების გათვალისწინებით, რომლის გამოც აუდიო სისტემა მხოლოდ საკვანძო გაჩერებებზე დამონტაჟდა და არა იმ გაჩერებებზე, რომლებზეც მხოლოდ ერთი ხაზის ტრამვაი მოძრაობს, სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ მომჩივანზე ირიბი დისკრიმინაცია არ განხორციელებულა, ხოლო აუდიო სისტემის არ არსებობა გავლენას არ ახდენს მის უფლებაზე, იცხოვროს დამოუკიდებლად და მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

4.10 რაც შეეხება მომჩივნის განცხადებას იმის თაობაზე, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლს არ აქვს უფლება, მოითხოვოს დაბრკოლებისა თუ ბარიერის აღმოფხვრა, და რომ მას მხოლოდ ფინანსური კომპენსაციის მიღება შეუძლია, სახელმწიფო მხარე მიიჩნევს, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც დისკრიმინაციის მსხვერპლს საშუალებას აძლევს, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, შეესაბამება კონვენციის მე-5 (2) მუხლის მოთხოვნებს ეფექტური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. მას მიაჩნია, რომ სამართლებრივი დაცვის

აღნიშნული საშუალება უზრუნველყოფს უფრო ეფექტურ სამართლებრივ დაცვას, ვიდრე უბრალოდ ქმედების ან უმოქმედობის უფლება; კერძოდ, საჯარო ან კერძო ორგანო, რომელსაც დისკრიმინაციული ქმედების ან უმოქმედობის გამო კომპენსაციის გადახდა დაეკისრა, აშკარა მიზეზების გამო ეცდება, დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ის დისკრიმინაციული მდგომარეობა, რომლის გამოც ზარალის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრა. “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის შესახებ ფედერალური აქტი” მოსარჩელეთა სასარგებლოდ აგრეთვე უზრუნველყოფს მორიგების ადვილად ხელმისაწვდომ პროცედურებს, რომელიც მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში (მორიგების პროცესთა უმრავლესობა კი შეთანხმების მიღწევით სრულდება), ხდება სავარაუდო დისკრიმინაციული მდგომარეობის აღმოფხვრა. სახელმწიფოში მორიგების პროცესი უფასოა და საშუალოდ 106 დღე გრძელდება.

4.11 სახელმწიფო მხარე აგრეთვე აღნიშნავს, რომ 2009 წელს, ტრანსპორტის, ინოვაციისა და ტექნოლოგიის ფედერალურმა სამინისტრომ გამოაქვეყნა შშმ პირთა მიერ საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების ხელმისაწვდომობის სახელმძღვანელო, სახელწოდებით “საზოგადოებრივი ტრანსპორტი ბარიერის გარეშე”. სახელმძღვანელოს ერთ-ერთი თავი ეთმობა ავტობუსებისა და ტრამვაების გაჩერებებით და მათზე არსებული საინფორმაციო და საორიენტაციო სისტემებით სარგებლობასთან დაკავშირებული ბარიერების აღკვეთის მოთხოვნებს. აღნიშნულ თავში, სხვა რეკომენდაციებთან ერთად წარმოდგენილია რეკომენდაცია “ორი შეგრძნების პრინციპის” გათვალისწინების თაობაზე და აღნიშნულია, რომ ჩვეულებრივი ინფორმაცია აკუსტიკური ფორმით მხოლოდ მოთხოვნის შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

მომჩივნის კომენტარები სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით

5.1 2015 წლის 13 იანვარს მომჩივანმა კომიტეტს წარუდგინა კომენტარები სახელმწიფო მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით. მას მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ მითითებული “ყოვლისმომცველი წესი დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე” არ არის ეფექტური.

5.2 რაც შეეხება “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის შესახებ ფედერალური აქტის” მე-14 მუხლით გათვალისწინებულ მორიგების პროცედურას, მომჩივანს მიაჩნია, რომ მორიგების საბჭო არ იყო დაინტერესებული მორიგების მიღწევით. იგი დამატებით აცხადებს, რომ აღნიშნული პროცედურა არ არის ეფექტური შემდეგი მიზეზების გამო: (ა) აქტით გათვალისწინებული დისკრიმინაციის კონცეფცია არ შეესაბამება კონვენციის მე-2 მუხლში მოცემულ განსაზღვრებას, ვინაიდან აქტის მოთხოვნების თანახმად, დისკრიმინაციის განმახორციელებელი პირის მიზანს დისკრიმინაცია უნდა წარმოადგენდეს; (ბ) აქტი ითვალისწინებს მხოლოდ ფულად კომპენსაციას და არ უზრუნველყოფს ბარიერის აღმოფხვრის უფლებას; (გ) დისკრიმინაციის შემთხვევაში მინიჭებული კომპენსაცია მინიმალურია; და (დ) აქტი არ ითვალისწინებს მოსამართლეთა ცნობიერების ასამაღლებელ სავალდებულო ტრენინგს, რაც ხელს შეუწყობდა მათ მიერ დისკრიმინაციის ადექვატურ აღქმას. მომჩივანი თვლის, რომ აქტის საფუძველზე იმ ადამიანთა მხოლოდ მცირე ნაწილი მიმართავს სამართლებრივ ღონისძიებებს, ვინც თვლის, რომ მის წინააღმდეგ დისკრიმინაცია

განხორციელდა, ვინაიდან მათ არ ჯერათ, რომ აღნიშნულ სამართლებრივ ღონისძიებას მათთვის სასურველი შედეგი მოჰყვება.

5.3 მომჩივანი თვლის, რომ სახელმძღვანელოს სახელწოდებით “საზოგადოებრივი ტრანსპორტი ბარიერის გარეშე”, რომელზეც სახელმწიფო მხარე მიუთითებს, სავალდებულო ძალა არ აქვს და მის შემთხვევაში [სახელმძღვანელოს მოთხოვნები] უგულვებელყოფილი იქნა. მას მიაჩნია, რომ “ორი შეგრძნების პრინციპი” არ ყოფილა გათვალისწინებული, აკუსტიკური საშუალებები მოთხოვნის საფუძველზეც კი არ არის ხელმისაწვდომი, ხოლო Linz Linien GmbH-მა მოახდინა აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპების უგულვებელყოფა.

5.4 მომჩივნის მტკიცებით, სახელმწიფო მხარის არგუმენტები არ არის საკმარისი იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ აკუსტიკური ინფორმაციის ნაკლებობა მის წინააღმდეგ დისკრიმინაციას არ წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით, მომჩივანს აინტერესებს, თუ რატომ ხდება მის მიერ აკუსტიკური ფორმით მოთხოვნილი ინფორმაციის ვიზუალურად მიწოდება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მხარეს აღნიშნული ინფორმაცია საჭიროდ არ მიაჩნია. აღნიშნულის საპირისპიროდ მომჩივანი ამტკიცებს, რომ აუდიო ინფორმაციის სისტემა მომხმარებლებს აწვდის არა მხოლოდ დაგვიანებებისა და შეფერხებების შესახებ ინფორმაციას, არამედ უსინათლო ადამიანებს გაჩერების მოძებნაშიც ეხმარება. ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის თანახმად¹³⁰, “მესამე ხაზზე ტრამვაი დადის, სულ მცირე, 30 წუთში ერთხელ, საათში რვაჯერ, დილის 6 საათიდან საღამოს 8 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევამდე, ხოლო სხვა დროს უფრო ნაკლები სიხშირით.”¹³¹ მომჩივანი აცხადებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ არის საკმარისი, და რომ ახალი გაჩერებების გამოყენება მისთვის გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული; როგორც წესი, მას ესაჭიროება სხვისი დახმარება იმისათვის, რომ მოძებნოს გაჩერება და გაეცნოს ეკრანებზე მხოლოდ ვიზუალური ფორმით ხელმისაწვდომ ინფორმაციას. შესაბამისად, მომჩივანი მიიჩნევს, რომ “ორი შეგრძნების პრინციპის” დარღვევა დისკრიმინაციას წარმოადგენს.

5.5 მომჩივანი თვლის, რომ სახელმწიფო მხარის არგუმენტებში წარმოდგენილია “ხელმისაწვდომობის” უაღრესად ვიწრო განმარტება. მისი მტკიცებით, ტრამვაიზე ხელმისაწვდომობა არ ნიშნავს მხოლოდ პირის ფიზიკურ შესაძლებლობას, ისარგებლოს ტრამვაის მომსახურებით; არამედ, ხელმისაწვდომობა აგრეთვე გულისხმობს ტრამვაის მომსახურებით სარგებლობისათვის საჭირო ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობას, თანასწორობის საფუძველზე. მომჩივანს მიაჩნია, რომ აღნიშნული ინფორმაცია პრაქტიკაში ხელმისაწვდომი არ არის. ამ კუთხით, იგი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარის მიერ მითითებული მობილური ტელეფონის აპლიკაციები არ წარმოადგენს ოფიციალურ აპლიკაციებს, რომელთა ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს კომპანია Linz Linien GmbH, არამედ აღნიშნული აპლიკაციები კერძო სუბიექტების საკუთრებაა. სახელმწიფო მხარის მტკიცების საწინააღმდეგოდ, მომჩივანი აღნიშნავს, რომ მას ტრამვაის მესამე ხაზით დამოუკიდებლად სარგებლობა არ შეუძლია. მისი განცხადებით, ტრამვაის გაჩერების მოსაძებნად ესაჭიროება აუდიო სისტემის დახმარება, ხოლო მობილური ტელეფონის აპლიკაციებითა თუ მობილური ტელეფონით ხელმისაწვდომი ინფორმაცია აღნიშნულ მიზანს არ ემსახურება. რეალურ დროში განახლებული ინფორმაციის მიწოდება ხდება იმისთვის, რომ მომხმარებელმა

¹³⁰ იხ. www.linzwiki.at/wiki/Stra%C3%9Ffenbahnlinie_3/.

¹³¹ არაოფიციალური თარგმანი.

ტრანსპორტით სპონტანურად ისარგებლოს, ხოლო მობილური ტელეფონის საშუალებით ინფორმაციის მოძიებას შესაძლოა დიდი დრო დასჭირდეს, რის გამოც აღნიშნული გზა არასაიმედო და უსარგებლოა მათთვის, ვისაც ტრამვით გადაადგილება ესაჭიროება; ამასთან, Linz Linien GmbH-ის მიერ უზრუნველყოფილი ხმოვანი აპლიკაციებით მომჩივანი ვერ სარგებლობს და აღნიშნული აპლიკაციები მომხმარებელს ყველა საჭირო ინფორმაციას არ აწვდის.

5.6 რაც შეეხება სახელმწიფო მხარის განცხადებას “უსინათლო და მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანების ზემო ავსტრიის ასოციაციასთან” თანამშრომლობით “ხაზის შეტყობინების სისტემის” შექმნის შესახებ, მომჩივნის მტკიცებით, ეს ასოციაცია არ წარმოადგენს მხედველობის შეზღუდვის მქონე ავსტრიაში მცხოვრებ ყველა ადამიანს. იგი დამატებით აცხადებს, რომ “ხაზის შეტყობინების სისტემა” დაკავშირებულია ტრამვაისტან და შესაბამისად, ისეთ უსინათლო ადამიანებს, როგორცაა მომჩივანი, ვერ ეხმარება ტრამვაის გაჩერების დამოუკიდებლად პოვნაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საჭიროა გაჩერების აღჭურვა აუდიო სისტემით.

5.7 მომჩივანი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფო მხარის არგუმენტზე იმასთან დაკავშირებით, რომ ფინანსური კომპენსაცია სამართლებრივი დაცვის უფრო ეფექტური საშუალებაა, ვიდრე “უბრალოდ ქმედების ან უმოქმედობის უფლება”, და აცხადებს: ბარიერებისა და სხვა სახის დისკრიმინაციის შემთხვევაში მინიჭებული კომპენსაციის ოდენობა ძალიან დაბალია, რაც არ არის საკმარისი მოტივაცია იმისათვის, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მაღაზიებისა თუ საჯარო დაწესებულებების პროვაიდერებმა აღმოფხვრან შესაბამისი ბარიერები. იგი აცხადებს, რომ ბარიერის აღმოფხვრის უფლება ერთადერთი ეფექტური სანქციაა ხელმისაწვდომი გარემოს უზრუნველსაყოფად. ამასთან, “სამოქალაქო საპროცესო აქტის” 501 (1) მუხლის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ღირებულება არ აღემატება 2700 ევროს, სამართლებრივი დაცვის საშუალებები ხელმისაწვდომია მხოლოდ იურიდიული მიზეზების და არა მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე.¹³² და ბოლოს, მომჩივანი აცხადებს, რომ ბარიერები უამრავ ადამიანზე ახდენს გავლენას. შესაბამისად, ბარიერის აღმოფხვრის უფლება კომპენსაციაზე გაცილებით ეფექტური საშუალებაა, ვინაიდან ერთი სარჩელით შესაძლებელია ყველა შესაბამისი პირის მდგომარეობის გაუმჯობესება. როდესაც სამართლებრივი დაცვის ერთადერთი საშუალებაა კომპენსაცია, საჩივრის შეტანა მოუწევს ყველა იმ ადამიანს, რომელზეც აღნიშნული ბარიერი ახდენს გავლენას, ხოლო თავად ბარიერი არ იქნება აღმოფხვრილი.

სახელმწიფო მხარის დამატებითი არგუმენტები

6.1 2015 წლის 8 მაისს სახელმწიფო მხარემ წარადგინა დამატებითი არგუმენტები მომჩივნის კომენტარებთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, განხილვას არ ექვემდებარება მომჩივნის მტკიცება იმის თაობაზე, რომ “ავსტრალიის ფედერალური კონსტიტუციით” გათვალისწინებული დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის შეუსაბამოა; კერძოდ, მოცემულ საქმეში ერთადერთი განსახილველი გადამწყვეტი კრიტერიუმი მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად ზიანის მომტანია შესაბამისი დებულება ან რამდენად ექვემდებარება მომჩივანი ამ დებულებას. შესაბამისად, არარელევანტურია იმაზე მსჯელობა, თუ რა ტიპის სამართალწარმოებას

¹³² აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე დამატებითი ინფორმაცია არ ყოფილა წარმოდგენილი.

განეკუთვნებოდა მოცემული საქმე - ადმინისტრაციულს, თუ სამოქალაქოს. სამოქალაქო სასამართლოებში ფედერალური აქტის მე-9 პუნქტის თანახმად აღძრულ საქმეში შეტყობინების ავტორს შეეძლო წარმოედგინა დეტალური არგუმენტები იმის თაობაზე, თუ აქტის რომელი დებულებები მიაჩნდა დისკრიმინაციულად. მას შეეძლო სამოქალაქო სასამართლოებისათვის მიემართა თხოვნით, საკონსტიტუციო სასამართლოში წარედგინათ შესაბამისი პეტიცია სამართლებრივი ექსპერტიზის თაობაზე.

6.2 რაც შეეხება მომჩივნის არგუმენტებს ფედერალური აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის ზოგად სისტემასთან დაკავშირებით, სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ აღნიშნული სისტემა კონვენციასთან შეუსაბამო არ არის, ვინაიდან კონვენცია არ ითვალისწინებს მკაცრ პასუხისმგებლობას, დაუდევრობისა თუ ბრალის მიუხედავად, და არ აკონკრეტებს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ზიანის ასანაზღაურებლად მინიჭებული კომპენსაციის მინიმალურ ოდენობას. სახელმწიფო მხარე დამატებით აცხადებს, რომ მე-9 მუხლის შესახებ ზოგად კომენტარში No. 2 კომიტეტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტულ ინდიკატორებზე არ მიუთითებს. ავსტრიაში დილექტის მარეგულირებელი ზოგადი პრინციპების შესაბამისად, აქტის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელში მითითებული უნდა იყოს კანონის დარღვევით ჩადენილი გაუფრთხილებელი საქციელი. პირდაპირი დისკრიმინაციის შემთხვევაში, ზოგადად, დასაშვებია, რომ ქმედება იყო ნებაყოფლობითი. სახელმწიფო მხარე დამატებით მიიჩნევს, რომ კონკრეტულ საქმეში ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების შეფასება მოითხოვს მაღალი დონის ექსპერტულ გამოცდილებასა და ტექნიკურ ცოდნას. ხელმისაწვდომობის სტანდარტები მუდმივად ცვალებადია; შესაბამისად, ბიზნესები და სერვისების მიწოდებლები ვერ იძლევიან იმის გარანტიას, რომ მათ მიერ შეთავაზებული პროდუქცია და სერვისები ყოველთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად იქნება ხელმისაწვდომი. ამრიგად, სავსებით შესაძლებელია, რომ განზრახ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გარეშე, მათ შექმნან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების დამაბრკოლებელი ბარიერები. ამ მიზეზის გამო, აქტი ითვალისწინებს მორიგების პროცედურას, დავების გადაწყვეტისა და ბარიერების აღმოფხვრის პრაქტიკული გზების მოძიების მიზნით.

6.3 ბარიერების გამო ირიბი დისკრიმინაციის შემთხვევებში, სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ მკაცრი პასუხისმგებლობა გაუმართლებელ შედეგებს მოიტანს და ფედერალური აქტის მიზნების მიღწევას არ უზრუნველყოფს.

6.4 სახელმწიფო მხარის განცხადებით, მომჩივანი უგულებელყოფს ლინცის ტრამვაის მესამე ხაზის ბარიერის გარეშე გამოყენების სხვადასხვა ვარიანტებს, რომლებიც სახელმწიფო მხარემ საკუთარ არგუმენტებში წარმოადგინა. ამ კონტექსტში აღსანიშნავია “ავსტრალიის ეროვნული სამოქმედო გეგმა შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ 2012-2020”, ვინაიდან გეგმის ერთ-ერთი მიზანია საზოგადოებრივ ცხოვრებაში შშმ პირთა მონაწილეობის ხელშეწყობა და გაუმჯობესება. გეგმას მხარს უჭერს ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის შშმ პირთა ორგანიზაციები. კონვენციისა და ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ფინანსდება არაერთი პროექტი, რომელიც უკავშირდება ტრანსპორტის ხელმისაწვდომობას და მუშავდება უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამები, ქვეყანაში ხელმისაწვდომ მობილურობასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ყოველწლიურად აგრეთვე იმართება კვლევითი ფორუმი, სახელწოდებით “საყოველთაო მობილურობა”,

რომელშიც მონაწილეობას იღებენ ავსტრიის კვლევითი დაწესებულების ექსპერტები მობილურობის, ტრანსპორტისა და განვითარების სფეროებში და შშმ პირთა ორგანიზაციები, არა-სამთავრობო ორგანიზაციები და მობილური სერვისებისა და ტექნოლოგიების მომწოდებელი კომპანიები.

6.5 სახელმწიფო მხარე დამატებით აღნიშნავს, რომ გაიზარდა ვიზუალური ინფორმაციის სისტემის მასშტაბები, რათა სმენის შეზღუდვის მქონე ადამიანებმა შეძლონ ქ.ლინცის ტრამვაით სარგებლობა, ბარიერების გარეშე. ორგანიზაცია Statistics Austria -ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, 2008 წელს ავსტრიის მოსახლეობის დაახლოებით 2.5%-ს ჰქონდა სმენის მუდმივი დარღვევა¹³³, მათგან დაახლოებით 8,000-დან 10,000-მდე ადამიანი სმენის არმქონეა, ხოლო 10,000-დან 15,000-მდე ადამიანს აღენიშნება სმენის მწვავე დარღვევა და მათთვის თითქმის შეუძლებელია კომუნიკაცია მხოლოდ სმენის საფუძველზე, დამხმარე საშუალებების გამოყენების შემთხვევაშიც კი. სახელმწიფო მხარე აცხადებს, რომ მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანები, როგორც წესი, გადიან ტრენინგს მობილურობის შესახებ, რათა შეძლონ სივრცეში ორიენტაცია და შეძლებისდაგვარად, აირიდონ მოსალოდნელი საფრთხეები.¹³⁴ აღნიშნული ტრენინგის ხარჯებს ძირითადად ფარავს ადგილობრივი მთავრობა, ავსტრიის ფედერალური სოციალური კეთილდღეობის სამსახური ან ავსტრიის პენსიის სააგენტო, ხოლო ტრენინგის მონაწილეებს მხოლოდ მცირე საფასურის გადახდა უწევთ. შეზღუდული მხედველობის მქონე პირები სწავლობენ ნავიგაციის იმ სისტემებისა და მარშრუტების გამოყენებას, რომელთაც ისინი ხშირად სარგებლობენ. სწორედ აღნიშნული ძირითადი მეთოდებით ხდება ტრამვაის გაჩერების მოძებნა. მხედველობის შეზღუდვის მქონე პირები გაჩერებისკენ მომავალი ტრამვაის შესახებ ინფორმაციას იღებენ “ხაზის საინფორმაციო სისტემის” საშუალებით. მომჩივანმა [წინამდებარე შეტყობინებაში] პირველად განაცხადა, რომ აღნიშნული სისტემა, რომელიც მომხმარებელს აწვდის აკუსტიკურ ინფორმაციას ტრამვაის მოსვლის დროსა და მოლოდინის ხანგრძლივობის შესახებ, გაჩერების მოძებნის საშუალებას არ იძლევა. შესაბამისად, მომჩივანს ამ საკითხთან დაკავშირებით არ ამოუწურავს ადგილობრივ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რის გამოც მისი შეტყობინება დაუშვებლად უნდა იქნას მიჩნეული.

6.6 დამატებით, სახელმწიფო მხარის განცხადებით, კონვენცია არ განსაზღვრავს იმას, თუ ვინ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი დაწესებულებისა თუ სერვისების ხელმისაწვდომობისათვის განკუთვნილი დამხმარე საშუალებები. შესაბამისად, სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ მომჩივნის არგუმენტი უსაფუძვლოა.

6.7 დამატებით, სახელმწიფო მხარე მიიჩნევს: ის ფაქტი, რომ შეუძლებელია ყველა ინდივიდუალური მოთხოვნის დაკმაყოფილება, დისკრიმინაციას არ წარმოადგენს. ამასთან, მომჩივანი არ განმარტავს, თუ რატომ არ არის სისტემა, რომელიც შემუშავდა “უსინათლო და მხედველობის შეზღუდვის მქონე პირთა ზემო ავსტრიის ასოციაციასთან” თანამშრომლობით, მის საჭიროებებთან ადაპტირებული.

6.8 ამრიგად, სახელმწიფო მხარეს მიაჩნია, რომ მომჩივნის წინააღმდეგ არ დარღვეულა კონვენციით გათვალისწინებული უფლებები.

¹³³ იხ. ავსტრიის ფედერალური მთავრობის ანგარიში ავსტრიაში შშმ პირთა მდგომარეობის შესახებ, 2008.

მსგავსი კვლევის განხორციელება იკვებება 2015 წელს.

¹³⁴ აღნიშნულ სასწავლო კურსს ახორციელებს, მაგ. “პროფესიული განათლებისა და რეაბილიტაციის ცენტრი.”

კომიტეტის მიერ დასმული საკითხები და მათი განხილვის პროცედურა

შეტყობინების დასაშვებობის განხილვა

7.1 შეტყობინებაში წარმოდგენილი ნებისმიერი პრეტენზიის განხილვამდე, კომიტეტმა, ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 65-ე წესის შესაბამისად, უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა შეტყობინება კონვენციის ფაკულტატური ოქმის თანახმად დასაშვები.

7.2 ფაკულტატური ოქმის მე-2 მუხლის (გ) პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, კომიტეტმა დაადგინა, რომ წინამდებარე შეტყობინების თემა კომიტეტს აქამდე არ განუხილავს, და რომ ეს თემა არ განხილულა და არ განიხილება სხვა საერთაშორისო საგამოძიებო ან დავების მოგვარების პროცედურის ფარგლებში.

7.3 კომიტეტი აღნიშნავს: სახელმწიფო მხარის არგუმენტის თანახმად, მომჩივანმა კომიტეტს განუცხადა, რომ “ხაზის საინფორმაციო სისტემა” არ არის მის საჭიროებებთან ადაპტირებული, რის შესახებაც მას ადგილობრივი სასამართლოებისათვის არ განუცხადებია. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მომჩივანი ადგილობრივ სასამართლოებში შეტანილი სარჩელში აღნიშნულ საკითხზე არ მიუთითებს. შესაბამისად, ფაკულტატური ოქმის მე-2 (დ) მუხლის თანახმად, მომჩივნის ზემოაღნიშნული პრეტენზია დაუშვებელია.

7.4 კომიტეტი აგრეთვე აღნიშნავს: სახელმწიფო მხარის არგუმენტების თანახმად, მომჩივანი აცხადებს, რომ ავსტრიის ფედერალური კონსტიტუციით გათვალისწინებული დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის შეუსაბამოა, ხოლო სამოქალაქო სასამართლოებში ფედერალური აქტის მე-9 პუნქტის თანახმად აღძრული საქმეში მომჩივანს შეეძლო წარმოედგინა დეტალური არგუმენტები იმის თაობაზე თუ კონკრეტულად აქტის რომელ დებულებებს მიიჩნევს დისკრიმინაციულად. სახელმწიფო მხარე დამატებით აცხადებს, რომ მომჩივანს შეეძლო სამოქალაქო სასამართლოებისათვის მიემართა თხოვნით, საკონსტიტუციო სასამართლოში წარედგინათ შესაბამისი პეტიცია სამართლებრივი ექსპერტიზის თაობაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ორივე მხარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით კომიტეტი მიიჩნევს: მომჩივნის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ აქტი არ ითვალისწინებს სამართლებრივი დაცვის ადეკვატურ საშუალებებს, კონვენციის მე-2 და მე-5 (2) მუხლების დარღვევით, არის დაუშვებელი, ვინაიდან მომჩივანს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები არ ამოუწურავს.

7.5 ვინაიდან შეტყობინების დასაშვებობის წინააღმდეგ სხვა არგუმენტი არ არსებობს, კომიტეტი კომუნიკაციაში წარმოდგენილ დანარჩენ პრეტენზიებს დასაშვებად აცხადებს და იწყებს საქმის არსებით განხილვას.

არსებითი განხილვა

8.1 კომიტეტმა წინამდებარე საქმე განიხილა მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ფაკულტატური ოქმის მე-5 (1) მუხლის თანახმად.

8.2 კომიტეტი ითვალისწინებს საოლქო სასამართლოს 2013 წლის 2 მაისი გადაწყვეტილებას, რომელსაც მხარი დაუჭირა რეგიონულმა სასამართლომ, 2013 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ციფრული აუდიო

სისტემის არ არსებობა არ უქმნიდა ბარიერს მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანებს, რათა მათ ტრანსპორტის მომსახურებით ესარგებლათ; რომ ვიზუალური ფორმით ხელმისაწვდომი ინფორმაცია აგრეთვე განთავსებულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანებისათვის, რომლებიც სარგებლობენ მეტყველების ამოცნობის კომპიუტერული პროგრამით, ხოლო მომჩივანი მხედველობის შეზღუდვის არმქონე მგზავრებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის გარეშეც შეძლებდა ესარგებლა ტრამვაის მომსახურებით.

8.3 კომიტეტი დამატებით აღნიშნავს სახელმწიფო მხარის შემდეგ არგუმენტებს: აუდიო სისტემა “არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის წინაპირობას”; მომჩივნის მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის “ყოველდღიური მიზანი” მიიღწევა აუდიო სისტემის გარეშეც; ინფორმაცია, რომელსაც აღნიშნული სისტემა მგზავრებს აწვდის, არ არის აბსოლუტურად საჭირო, არამედ აუდიო სისტემის არსებობა უბრალოდ გავლენას ახდენს ტრამვაით სარგებლობის მეთოდზე; ვიზუალური ინფორმაციის სისტემის მასშტაბები გაიზარდა, რათა სმენის შეზღუდვის მქონე ადამიანებმა შეძლონ ქ.ლინცის ტრამვაით სარგებლობა, ბარიერების გარეშეც; კონვენცია არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის აღჭურვას ყველა შესაძლო საშუალებით, [შშმ პირების მიერ] საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის ხელშეწყობის მიზნით, ხოლო თანაბარ ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთება სერვისების მიმწოდებლის პრეროგატივაა. აღნიშნულთან დაკავშირებით, კომიტეტი აღნიშნავს, რომ აუდიო სისტემები ტრამვაის რამოდენიმე ხაზის გადაკვეთაზე არსებულ საკვანძო გაჩერებებზე დამონტაჟდა, ხოლო “ამავდროულად”, ყველა სხვა გაჩერება აღჭურვილია “ხაზის შეტყობინების სისტემით”, რომელიც გაჩერებაზე მდგარ მგზავრებს საშუალებას აძლევს, გაააქტიურონ პორტატული გადამცემები, რათა უსინათლო ადამიანებმა მიიღონ ინფორმაცია მოახლოებული ან მომავალი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხაზის ნომრისა და ბოლო გაჩერების შესახებ. კომიტეტი აგრეთვე ეთანხმება სახელმწიფო მხარის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ტრამვაის მუშაობის ზოგადი ინტერვალებისა და განჭვრეტადი ან დაგეგმილი შეფერხების შესახებ ინფორმაცია ტრამვაის მესამე ხაზით მოსარგებლე მგზავრებისათვის ხელმისაწვდომია ინტერნეტით, მეტყველების ამოცნობის სისტემის საშუალებით. ამავდროულად, კომიტეტი ითვალისწინებს მომჩივნის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ ტრამვაის მესამე ხაზის გაჩერებებზე ციფრული აუდიო სისტემის არარსებობა ხელს უშლის ტრამვაის გაჩერების მოძებნაში და აფერხებს რეალურ დროში განახლებულ ინფორმაციაზე წვდომას ტრამვაით სარგებლობისას, რის გამოც მას არ აქვს ტრამვაის მესამე ხაზით დამოუკიდებლად სარგებლობის საშუალება, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე.

8.4 კომიტეტი მხარეებს შეახსენებს, რომ “ხელმისაწვდომობა უკავშირდება ჯგუფებს, ხოლო გონივრული მისადაგება უკავშირდება პიროვნებებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მოვალეობა ex ante მოვალეობაა. შესაბამისად, სახელმწიფო მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ ხელმისაწვდომობა მანამდე, სანამ მიიღებენ ინდივიდუალურ მოთხოვნას ადგილითა თუ სერვისით სარგებლობის შესახებ.” კომიტეტი მხარეებს აგრეთვე შეახსენებს, რომ “ხელმისაწვდომობის პრაქტიკაში განხორციელების ვალდებულება უპირობო ვალდებულებას წარმოადგენს, ი.ე. სუბიექტი, რომელიც ვალდებულია, უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა, აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობას ვერ გაამართლებს

შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ტვირთზე მითითებით.¹³⁵

8.5 შშმ პირები აწყდებიან ისეთ ტექნიკურ და გარემო დაბრკოლებებს, როგორცაა ინფორმაციის ნაკლებობა მათთვის ხელსაყრელ ფორმატში. კონვენციის მე-9 (1) მუხლის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის უზრუნველყონ... ტრანსპორტზე, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემებზე თანაბარი წვდომა,“ კონვენციის მე-9 მუხლის 2(ვ) პუნქტის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები ასევე იღებენ ზომებს, რათა ... შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის მისწვდომობის უზრუნველსაყოფად განავითარონ დახმარების სხვა შესაბამისი ფორმები“. კომიტეტი მხარეებს დამატებით შეახსენებს, რომ ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი შესაძლებელს ხდის სერვისების ფართო სპექტრის მიწოდებას, ახდენს არსებული სერვისების ტრანსფორმაციასა და ზრდის ინფორმაციასა და ცოდნაზე ხელმისაწვდომობის მოთხოვნას, განსაკუთრებით სოციალურად იზოლირებული მოსახლეობისათვის, რომელთაც სერვისებზე საკმარისად არ მიუწვდებათ ხელი.¹³⁶ აღნიშნულ პერსპექტივაში, ახალი ტექნოლოგიები შესაძლოა გამოყენებულ იქნას საზოგადოებაში შშმ პირთა სრულფასოვანი და თანასწორი მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიები შექმნილია და წარმოებულია იმგვარად, რაც უზრუნველყოფს მათზე ხელმისაწვდომობას. ახალ ინვესტიციებს, კვლევასა და წარმოებას უთანასწორობის აღმოფხვრაში უნდა შეჰქონდეს წვლილი და ახალ დაბრკოლებებს არ უნდა ქმნიდეს. შესაბამისად, კონვენციის მე-9 მუხლის 2 (თ) პუნქტი სახელმწიფო მხარეებს მოუწოდებს, „საწყის ეტაპზევე უზრუნველყონ მისაწვდომი ინფორმაციის, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების დაგეგმვა, განვითარება, წარმოება და გავრცელება და ამ ტექნოლოგიებითა და სისტემებით მინიმალური დანახარჯებით სარგებლობა.“¹³⁷ კომიტეტი მხარეებს დამატებით შეახსენებს, რომ კონვენციის მე-5 (2) მუხლის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები კრძალავენ შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ დისკრიმინაციას და უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარ და ეფექტურ იურიდიულ დაცვას ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან“, ხოლო ნათლად უნდა განისაზღვროს, რომ ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა თუ კომუნიკაციის ან საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობაზე უარი წარმოადგენს დისკრიმინაციულ ქმედებას, რომელიც აკრძალულია.¹³⁸

8.6 წინამდებარე საქმეში კომიტეტი აღნიშნავს, რომ მესამე ხაზის გაჩერებებზე ვიზუალური ფორმით ხელმისაწვდომი ინფორმაცია დამხმარე სერვისია, რომელიც ტრანსპორტის ხაზით სარგებლობას უწყობს ხელს და აღნიშნული ინფორმაცია, როგორც ასეთი, სატრანსპორტო სერვისის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, კომიტეტის მიერ განსახილველი საკითხი მდგომარეობს შემდეგში: რამდენად მიიღო სახელმწიფო მხარემ საკმარისი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია სატრანსპორტო

¹³⁵ იხ. CRPD/C/GC/2, პუნქტი 25.

¹³⁶ იქვე, პუნქტი 5.

¹³⁷ იქვე, პუნქტი 22.

¹³⁸ იქვე, პუნქტი 29.

სერვისების შესახებ აგრეთვე ყოფილიყო ხელმისაწვდომი მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანებისათვის, თანასწორობის საფუძველზე.

8.7 აღნიშნულთან დაკავშირებით კომიტეტი აღნიშნავს, რომ 2004 წლის მარტში, კომპანია Linz Linien GmbH-მა დაიწყო ქალაქში მდებარე ტრამვაის გაჩერებების აღჭურვა ციფრული აუდიო სისტემებით. 2011 წლის აგვისტოში კომპანიამ ტრამვაის მესამე ხაზის სარკინიგზო ქსელი გააფართოვა, მაგრამ არც ერთი ახალი გაჩერება არ აღჭურვა ციფრული აუდიო სისტემით, რომელიც უკვე ცნობილი იყო სერვისის პროვაიდერისათვის და რომლის დამონტაჟებაც შესაძლებელი იყო მინიმალური დანახარჯებით, ახალი ხაზის მშენებლობის პერიოდში. კომიტეტი დამატებით აღნიშნავს მომჩივნის არგუმენტს იმის შესახებ, რომ აუდიო სისტემა მას და მხედველობის დარღვევის მქონე სხვა პირებს რეალურ დროში განახლებული ინფორმაციის მიღების საშუალებას მისცემდა, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, მაშინ, როდესაც არსებული ალტერნატივები, კერძოდ კი ინტერნეტით და მობილური ტელეფონით ხელმისაწვდომი სხვადასხვა აპლიკაციები და აგრეთვე, “ხაზის შეტყობინების სისტემა” აღნიშნულის საშუალებას არ იძლევა. ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ ტრამვაის ქსელის გაფართოების პროცესში არ მოახდინა აუდიო სისტემების დამონტაჟება, წარმოადგენს უარს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საჯარო მოწყობილობებისა და სერვისების ხელმისაწვდომობაზე, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, და შესაბამისად, შეადგენს კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-9 მუხლის 1, 2 (ვ) და 2 (ზ) პუნქტების დარღვევას.

8.8 რაც შეეხება მომჩივნის ბრალდებებს მე-19 და მე-20 მუხლებთან დაკავშირებით, კომიტეტი აღნიშნავს, რომ მომჩივანს არ წარმოუდგენია საკმარისი ელემენტები, რომელიც კომიტეტს საშუალებას მისცემდა შეეფასებინა, თუ რამდენად ახდენს მომჩივნის ინდივიდუალური მობილურობისა და დამოუკიდებლად ცხოვრების უფლებაზე გავლენას აუდიო სისტემის არ არსებობა. შესაბამისად, კომიტეტს მიაჩნია, რომ წინამდებარე საქმეში არ დგინდება კონვენციის მე-19 და მე-20 მუხლების დარღვევა.

9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლის საფუძველზე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო მხარემ ვერ შეასრულა ვალდებულებები, რომლებიც მას ეკისრება კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-9 მუხლის 1, 2 (ვ) და 2 (ზ) პუნქტების შესაბამისად. ამრიგად, კომიტეტი სახელმწიფო მხარეს მიმართავს შემდეგი რეკომენდაციებით:

(ა) მომჩივანთან დაკავშირებით, სახელმწიფო მხარე ვალდებულია, გამოასწოროს ტრამვაის ქსელის ყველა ხაზზე ვიზუალური ფორმით არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. ამასთან, სახელმწიფო მხარემ მომჩივანს სათანადოდ უნდა აუნაზღაუროს ადგილობრივ დონეზე საქმის წარმოებასთან და წინამდებარე შეტყობინების კომიტეტში წარდგენასთან დაკავშირებული სამართლებრივი ხარჯები.

(ბ) ზოგადად, სახელმწიფო მხარეს ეკისრება ვალდებულება, მიიღოს ზომები მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად, მათ შორის:

(i) უზრუნველყოს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის არსებული მინიმალური სტანდარტები მხედველობის და სხვა ტიპის დარღვევის მქონე ყველა პირს

აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ რეალურ დროში განახლებული ინფორმაცია, რომელიც ტრამვაისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ყველა სხვა სახეობის დანარჩენი მომხმარებლებისათვის ვიზუალური ფორმით არის ხელმისაწვდომი. აღნიშნულ კონტექსტში, კომიტეტი სახელმწიფო მხარეს მიმართავს რეკომენდაციით, შექმნას საკანონმდებლო ჩარჩო კონკრეტული, აღსრულებადი და დროში გაწერილი კრიტერიუმებით მონიტორინგისა და იმ ეტაპობრივი ცვლილებებისა თუ შესწორებების შესაფასებლად, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ მხედველობის დარღვევის მქონე პირებს ვიზუალური ფორმით არსებულ ინფორმაციაზე ჰქონდეთ წვდომა. სახელმწიფო მხარემ აგრეთვე უნდა უზრუნველყოს, რომ ტრამვაის ახლადშესყიდული ხაზები და სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი შშმ პირებისათვის სრულად იყოს ხელმისაწვდომი;

(ii) სახელმწიფო მხარემ სერვისის ყველა მიმწოდებლისთვის, რომელიც მონაწილეობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის პროექტირებაში, აშენებასა და აღჭურვაში, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი და რეგულარული ტრენინგები კონვენციისა და მისი ფაკულტატური ოქმის მოქმედების სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის შშმ პირთა ხელმისაწვდომობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს სამომავლოდ [საზოგადოებრივი ტრანსპორტის] ქსელის აშენებასა და აღჭურვას უნივერსალური დიზაინის პრინციპების შესაბამისად;

(iii) სახელმწიფო მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ტრანსპორტისა და შესყიდვების სფეროში არადისკრიმინაციული ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი კანონები მოიცავდეს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიისა და ამ ტექნოლოგიის მეშვეობით შეთავაზებული თანამედროვე საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საქონლისა და მომსახურების ფართო სპექტრის ხელმისაწვდომობას; კომიტეტი სახელმწიფო მხარეს აგრეთვე მიმართავს რეკომენდაციით, რომ აღნიშნული კანონებისა და მარეგულირებელი წესების გადასინჯვა და მიღება განახორციელოს შშმ პირებთან და მათ შესაბამის ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, კონვენციის მე-4 (3) მუხლის შესაბამისად; აგრეთვე, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის აკადემიური წრის წარმომადგენლებთან და არქიტექტორების, ურბანული დაგეგმარების ექსპერტების, ინჟინრებისა და დიზაინერების ასოციაციების წევრებთან მჭიდრო თანამშრომლობით. კანონმდებლობა უნდა მოიცავდეს და ეფუძნებოდეს უნივერსალური დიზაინის პრინციპს და უნდა უზრუნველყოფდეს ხელმისაწვდომობის სტანდარტებისა და

აღნიშნული სტანდარტების შეუსრულებლობისათვის
გათვალისწინებული სანქციების სავალდებულო გამოყენებას.

10. ფაკულტატური ოქმის მე-5 მუხლისა და კომიტეტის რეგლამენტის 75-ე წესის შესაბამისად, სახელმწიფო მხარემ კომიტეტს ექვსი თვის მანძილზე უნდა წარუდგინოს წერილობითი პასუხი, მათ შორის ნებისმიერი ინფორმაცია კომიტეტის წინამდებარე მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი ქმედების შესახებ. სახელმწიფო მხარეს, აგრეთვე, მოეთხოვება კომიტეტის მოსაზრებების გამოქვეყნება, სახელმწიფო მხარის ოფიციალურ ენაზე თარგმნა და ფართოდ გავრცელება ხელმისაწვდომ ფორმატებში, რათა მოსაზრებები მოსახლეობის ყველა სექტორისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
კედიას ქ. 7, 0154, თბილისი, საქართველო
(+995 32) 2 35 66 09
www.disability.ge

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი
ადვოკატირების პროექტი

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
კედლას ქ. 7, 0154, თბილისი, საქართველო
(+995 32) 2 35 66 09
www.disability.ge